

სამართალი ვასტანგ მუქქვისა

ტექსტი დაადგინა,
გამოკვლევა და საძიებლები დაურთო

ი ს ი ღ რ ა მ ღ რ ლ ი ქ ი ა მ



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1981

„სამართალი ვახტანგ მეექვსისა“ შეიცავს ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტისადმი მიძღვნილ გამოკვლევასა და კანონთა ტექსტს. გამოკვლევების ნაწილში განხილულია ვახტანგის მოღვაწეობა სამართლის დარგში, მის მიერ შედგენილი სამართლის წიგნთა კრებულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, სამართლის წიგნის წყაროები და სისტემა, სამართლის წიგნთა კრებულის უძველესი ნუსხების აღწერილობა და ვახტანგის სამართლის შედგენილობა.

ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ვახტანგას სამართლის წიგნის კ რ ი ტ ი კ უ ლ ა დ და დ გ ე ნ ი ლ ი ტ ე ქ ს ტ ი ო თ ხ ი უ ძველესი ნუსხის მიხედვით.

11001—149

Д—————45. 81.

М.601 (08) .81

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა სამართლის დარგში

«იყო ქვეყანა ესე ქართლისა
ყოვლითურთ კეთილითა
შემკულ და შეზავებულა».
ვახტანგ VI

ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი, ვახტანგ VI მოღვაწეობის ხანას რომ ახასიათებს, წერს: «სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. ათიქმის ყველა ამდროინდელი მოღვაწეების აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნეების ნამუშევარი და ნაქირნახულევი «შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივად წარმოდგენა და ცნობა ვარდაეცათ. ამ დიადი საქმის მოთავედ დასულის ჩამდგმელად... დიდებული და დაუეიწყარი ვახტანგ VI იყო. მან შეეკრიბა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მატინანეების დახელოვნებული მცოდნე პირები, მათი დახმარებით საისტორიო მასალებს ერთად თავი მოუყარა, ძველი შეავსო და შეასწორა. მანვე შეაგროვა ქართული სამართლის ძველი ნაშთები და ძეგლები და სამართლის წიგნების კოდიკო შეადგინა... მანვე გამგეობისა და მოხელეობის შესახებ მასალები შეაგროვა და ერთი ქართული სახელმწიფო სამართლის წიგნი «დასტურლამალი» შეადგინა»¹.

ამართლაც, გასაოცარი ხანა იყო ის დრო და გასაოცარი, რომ იტყვიან, ესით უთქმელი პიროვნება იყო თვით ვახტანგ ბატონიშვილიც ქართლის გამგებელი რომ გახდა, იგი საკმაოდ ახალგაზრდა, 28 წლისა იყო, მაგრამ თავისი ხანმოკლე გამგებლობის პერიოდში (1703—1711), დაუცხრომელი შემოქმედებითი მოღვაწეობით დიდი ეროვნული საქმეების გაკეთება შეძლო, რითაც ქართული კულტურის ისტორიაში უკვდავების სახელი დაიმკვიდრა. ✓

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ნაწ. I, 1923, გვ. 116—117.

✓ ვახტანგი იყო დიდი განმანათლებელი, ქართული ენისა და კულტურის დიდი მოაძავე, მეფე-მეცნიერი, მეფე-მგოსანი, მეფე-მთარგმნელი და კომენტატორი. ჩვენამდე მოაღწია ვახტანგის ორიგინალურმა და ნათარგმნმა ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა, ასტრონომიულ-საბუნებისმეტყველო ტრაქტატებმა. ამ ხელნაწერთა უბრალო გადათვალერებაც კი ანციფრებს ადამიანს «ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა მ გ ე ბ ლ ი ს» მრავალმხრივი ცოდნითა და განსწავლულობით. ✓

მემატიანე ვახტანგის პირადი თვისებების ჩამოთვლისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი იყო «ბრძენი» და დაუცხრომელი «ცოდნის მოყუარე». ტრადიცია ტყუილად როდი მიაწერს მას დიდ და სახელოვან ქართველ მეფეთა ამ საუცხოო თვისებას. თრიალეთსა და შაბიანის ხეობაში ნადირობის დროსაც კი განუყრელად თან ჰქონდაო „ქართლის ცხოვრება« და «ვეფხისტყაოსანი». დავით აღმაშენებლის მემატიანეც ხომ ამბობს, რომ დავითს «თ ვ ი თ ნ ა დ ი რ ო ბ ა ს ა შ ა შ ი ნ ა წ ი გ ნ ა ი ა ქ უ ნ დ ი ა ნ კ ე ლ თ ა». მართლაც გადაკარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დავით აღმაშენებლის შემდეგ საქართველოს არ ჰყოლია ასე ღრმად განსწავლული გამგებელი.

ვახტანგი აღზარდა «ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ა მ ა მ» — სულხან-საბა ორბელიანმა, მისივე სიტყვებით, იგი იყო «ვახტანგ მეფისა ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი». როგორც ცნობილია, ვახტანგი ეხმარებოდა საბას სალექსიკონო მასალების შეკრებასა და ახსნა-განმარტებაში და სახელწოდებაც «ს ი ტ ვ ე ი ს - კ ო ნ ა» ლექსიკონს ვახტანგმა შეარქვა.

«დავითიანის» ავტორიც ამბობს ვახტანგის შესახებ, რომ იგი იყო «ს ი ბ რ ძ ე ნ ი თ ს რ უ ლ ი» და «წ ე რ ი ლ თ ა თ ა რ გ მ ნ ი თ ვ ი თ რ ო გ ო რ ც ი თ ხ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ა». *

✓ მე-18 საუკუნის დამდეგისათვის «ქართლის ცხოვრების» ხელნაწერები დაფანტული, მიმოდანებული იყო. ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიას თავის დროზე რომ არ შეეკრიბა ეს ნუსხები, უეჭველია ისინი ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს სრულიად განადგურდებოდა. *

ცნობილია, რომ სწავლულ კაცთა კომისიის მიერ გასინჯულ «ქართლის ცხოვრების» ტექსტს პირადად ვახტანგი უწევდა რედაქციას; მისმა თაოსნობამ საბოლოო დალუპვას გადაარჩინა ეს ძვირფასი მემატიანე.

ასეთივე მღვდომარეობაში იყო «ვეფხისტყაოსანი» ხელნაწერებიც. ვახტანგმა შეკრიბა იმ დროისათვის შემონახული ნუსხები და 1712 წელს განახორციელა ე. წ. ვახტანგისეული რედაქციის გამოცემა, რასაც საფუძვლიანი მეცნიერული კომენტარებიც დაურთო.

ვახტანგმა «მოიღო მბეჭდველობა ვლახეთი დამ დანაშაულნა წიგნი სამღთონი, რაშეთუ უმეცარნიცა სამღუდელოთა წერილთა იკითხვიდიან». ქართული სტამბის დაარსებამ დიდი გაქანება მისცა მწიგნობრული კულტურის განვითარება-აღმავლობას.

ვახტანგ ბატონიშვილის მოღვაწეობას სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და სამართლის დარგში მემართიანე ასე ახასიათებს: «ამა დროთა შინა განაგებდა გამგებელი საქართველოსა, ზნესრული და მხნე ძლიერი, ჯანიშინად თქმული, მაგრამ მეფედ წოდებული, ბატონიშვილი ვახტანგ... და განაგო საქმე საქართველოსი, განაჩინა წიგნი სამართლისა; ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის სამღვივოსა სახლსა; განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთათანა; კვირესა და სამშაბათს განაგებდა მეჯლისს»¹.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა სამართლის დარგში მრავალმხრივია: იგი არის სჯულმდებელი, უმაღლესი გამგებელი, უზენაესი მსაჯული და სამართლის მეცნიერ-კომენტატორი. ვახტანგს მეტად საყურადღებო შეხედულებები აქვს გამოთქმული სახელმწიფოსა და სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებზე.

მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ვახტანგის მოღვაწეობა კანონმდებლობის დარგში. მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა ქართული სამართლის სამი დიდი ძეგლი: «დასტურლამალი», «სამართლის წიგნთა კრებული» და «სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა»². «დასტურლამალი» წარმოადგენს ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლს, რომელიც შეიცავს მდიდარ მასალას XVII—XVIII სს. ქართლის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ. «დასტურლამალი», როგორც ეს ამ ძეგლის შესავალშია ნათქვამი, არის «წესი და განგება სამეფო დარბაზობისა», რომლის თანახმად «ყოველნი კელისუფალნი დამოქმედნი დარბაზისა რივისანი» უნდა იქცეოდნენ ძეგლში მოცემულია ქართლის სამეფოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის სისტემის, მოხელეთა ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობის დაწერილებით დახასიათება; იგი გვაძლევს ძვირფას ცნობებს გვიანდელაღი ქართლის სასამართლო ორგანიზაციის შესახებ. მაგრამ დასტურლამალი მარტო სახელმწიფო სამართლის ძეგლი როდია, იგი შეიცავს აგრეთვე საკანონმდებლო მასალას საფინანსო-საგადასახადო სისტემის, გლეხთა კატეგორიების და

¹ საქართველოს ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოცემა, 1913, გვ. 24.

სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ. «ცნობათა სიუხვითა და მრავალფეროვნებითაც ვახტანგ VI-ის დასტურლამალი საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის ნამდვილ დაუშრეტელ განძს წარმოადგენს»¹.

«დასტურლამალის» ცალკეული ნაწილები, გარიგების წიგნები, როგორც თვით ტექსტშია აღნიშნული, შედგენილი იყო XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და XVIII ს. დამდეგს. ვახტანგ ბატონიშვილის მიერ შექმნილმა საკოდიფიკაციო კომისიამ შეკრიბა იმ დროისათვის შემონახული ასეთი ხასიათის გარიგებათა წიგნები (სადედოფლო დასტურლამალი, მორღლის საჩუგო, ყაიყულის გარიგება, მღვიანბეგების გარიგება და სხვ.) და სათანადო რედაქციით შეიტანა ისინი დასტურლამალში. მაგრამ ასეთ მასალას დასტურლამალში მეტად მკირე ადგილი უჭირავს; მისი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილები შედგენილია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ შექმნილი საკოდიფიკაციო კომისიის მიერ. ძეგლის შედგენისას ფართოდ იქნა გამოყენებული ქართული ჩვეულებითი სამართალი, რომელიც დასტურლამალის ძირითად წყაროს წარმოადგენს² როგორც ამჟამად დადგენილია, დასტურლამალის სხვადასხვა გარიგებათა წიგნებით შეესება ვახტანგის ჯანიშინობისა და მეფობის მთელ მანძილზე ხდებოდა?

მეგრე ცივილიზებულ ერს სახელმწიფო სამართლის ასეთი ჩინებული ძეგლი არ გააჩნია.³

მეორე დიდი საკანონმდებლო ძეგლი ვახტანგ ბატონიშვილისა არის «სამართლის წიგნთა კრებულნი», რომელიც შვიდი საკანონმდებლო ძეგლისაგან შედგება, აქედან სამი უცხო სამართლის, ხოლო ოთხი — ეროვნული სამართლის ძეგლებია. კრებულს წინ ერთვის ე. წ. «ზანდუკი» ანუ საძიებელი. საძიებელს მოსდევს კრებულის საერთო შესავალი, რომელიც შედგენილია საკოდიფიკაციო კომისიის მიერ ვახტანგის მითითებით. შესავალი მთელი სარედაქციო კომისიის კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია, მას არა ჰყავს ერთი რომელიმე ავტორი. მართლაც, კომისიას შეეძლო ეთქვა, ვახტანგის სამართალი «ქვეყნად ჩვენ და უმჯობესი არს», და ამიტომ უნდა «ამით სჯიდენო».

¹ ი. ვ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, 1933, გვ. 52.

² ი. დოლიძე, ვახტანგ VI-ის დასტურლამალის გარიგებათა ზოგიერთი წიგნა («ნაკენი», ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, № 2, 1977, გვ. 172-182).

პირველ ძეგლად კრებულში შესულია ე. წ. «მოსეს სამართალი», რომელიც წარმოადგენს გამონაკრებს «მეორე სჯულიდან». ეს კანონები ჩვენი ეროვნული სამართლის ერთ-ერთი უძველესი წყაროა, ისინი ძველთაგანვე მოქმედებდნენ საქართველოში. ქართველი ხალხი და ქართული სამართალი ორი ათასი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა «მეორე სჯულში» ჩამოყალიბებული ათრ მცნებით. რაც შემდეგ «სახარებაშიც» დაკანონდა. მოსეს სამართალი. ქართული ვერსიაც ათი მცნების გადმოცემით იწყება, რომელთა შორის პირველი საღეთო, წმიდათაწმიდა ცნებაა დედისა და მამის პატივისცემა: «თავუყავ მამასა შენსა და დედასა შენსა... რაფთა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო შენ». იგივე დებულება მეორდება 52-ე მუხლშიც—«წყეულ იყავნ, რომელმან შეურაცხყოს მამაჲ თვისი, გინა დედაჲ თვისი».

ამ მცნებას ვახტანგ ბატონიშვილიც აკანონებს. «მამის უაჰებლობა შვილისაგან არა ჯამს... მეათე მცნება მამისა და დედის პატივის-ღება არის» (მუხ. 78¹). მოსეს სამართლის სხვა დიდგენილებანიც (მუხ. 7, 11, 20, 22, 39, 45), სათანადო რედაქციით, გამოყენებულია ვახტანგის სამართლის წიგნში (მუხ. 100, 110, 125, 134, 251).

მეორე ძეგლად კრებულში შესულია «სამართალი ბერძული», რომელიც წარმოადგენს მათე ბლასტარის აღფაბეტური სინტაგმის შემოკლებას, შეესებულს არქენოპულოს «ექუსწიგნეულიდან». იგი შედგენილია საბერძნეთში, რასაც ამ კანონთა შინაარსის ბერძნული ანბანის რაგზე დალაგება ამტკიცებს.

სამართლის წიგნთა კრებულის შესავალში ნათქვამია, რომ ბატონიშვილმა ვახტანგმა «ძიება-ყო საბერძნეთით, ოთხთა პატრიარქთა მიურქენებითა, წიგნი სასამართლონი... იგიცა ფრიადითა შრომითა გარდმოთარგმანებითა ბრძენთა კაცთათა, რომელსა თჳით უმეტეს შეეწეოდა თარგმანსა შინა», ბერძნული სამართლის ქართული ვერსია წარმოადგენს არა სიტყვასიტყვით. არამედ გამოკრებით თარგმანს.

მესამე ძეგლად კრებულში შეტანილია «სამართალი სომხური», რომელიც ბატონიშვილმა ვახტანგმა, «მოაღებინა დიდისა სომხეთისა მწყემსისა გრიგოლ განმანათლებელისა სამარხოს ეჩმიადინით სომეხთ მეფეთა წიგნი სამართლისანი». სომხური სამართლის ქართული ვერსია ორი ნაწილისაგან შედგება: სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსია (მუხ. 1--150) და მხეთარგოშის სამართლის ქართული ვერ-

ს ი ა (მუხ. 151—431). პირველი წარმოდგენს V საუკუნის ბოლოს ბასილიკე კეისრის მეფობაში აღმოსავლეთში შედგენილ რომაულ კანონებს, რომელთა სამი ტექსტია ცნობილი: სირიული, არაბული და სომხური. ამ კანონების ქართული ვერსია თარგმნილია XII საუკუნის ბოლოს, სომხურად თარგმნილი ტექსტიდან. სირიულ-რომაული სამართლის წიგნი აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში გავრცელებულ კანონებს წარმოადგენდა, რომლებიც ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში შემაველ სახელმწიფოებში მოქმედებდა.

რაც შეეხება მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ს, იგი შედგენილია XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე (1184—1213 წწ.). ქართული ვერსია სომხური ტექსტის თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს, ზოგან შემოკლებულს და ზოგან განვრცობილს. ეს კანონები მოქმედებდნენ საქართველოს სამეფოს იმ პროვინციებსა და ქალაქებში, სადაც სომეხი მოსახლეობა ცხოვრობდა.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული უცხოური სამართლის ძეგლები უმეტესად აღრეც იქნებოდა თარგმნილი, მაგრამ, როგორც ჩანს, XVIII საუკუნის დამდგენისათვის ეს თარგმანები უკვე დაკარგული იყო.

კრებულის მე ო თ ხ ე ძ ე გ ლ ი ა «წმიდათა და მართლმადიდებელთა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზთა და ღირსთა ეფისკოპოზთაგან განწესებული სამართალი», რომელიც შედგენილია XVI საუკუნის შუაწლებში. ეს კანონები შედგენილია დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა მონაწილეობით, მაგრამ იგი მთელ საქართველოში მოქმედებდა¹.

კრებულის მე ხ უ თ ე ნ ა წ ი ლ ი ა «ღიდის მეფეთ-მეფის გიორგის მიერ თქმულნი სამართალნი». აქ იგულისხმება გიორგი ბრწყინვალის «ძეგლის დადება», რომელიც მთიულთათვის იყო შედგენილი და, მამასადამე, ადგილობრივი ხასიათის სჯულდებას წარმოადგენდა².

«მ ე ე ქ ე ს ე, აღ ბ უ ლ ა ჯ ა ყ ე ლ - ც ი ნ ი ს ჯ ვ რ ე ლ ი ს თ ქ მ უ ლ ნ ი გ ა ნ ა ჩ ე ნ ნ ი და ს ა მ ა რ თ ა ლ ნ ი». ქართული სამართლის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი ოთხი ნაწილისაგან შედგება: ბ ე ქ ა მ ა ნ დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი (მუხ. 1—65), აღ ბ უ ლ ა ა თ ა ბ ა გ - ა მ ი რ ს ჰ ა ს ა ლ ა რ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი (მუხ. 66—98), ბ ა გ რ ა ტ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი (მუხ. 99—160) და კ ა ნ ო ნ ი კ უ რ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ -

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, 1963, გვ. 603—613.

² ი ქ ვ ე, გვ. 614—619; ი. დოლიძე. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957.

ტი (მუხ. 161—170). პირველი შედგენილია XIII—XIV საუკუნეებსა ზიჯნაზე, მეორე — XIV საუკუნის ბოლოს, ხოლო მესამე და მეოთხე შედგენილი უნდა იყოს XI საუკუნეში¹.

დაბოლოს, კრებულის უკანასკნელ მეშვიდე ნაწილს შეადგენს საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი. «ამა ყოველთა შემოდგომად აღწერა თვით სიბრძნით და გულისკმობითა თვისითა, დამოწმებითა და ნებადართვით თვისთა კათალიკოზ-ეპისკოპოზ და დიდებულ-დარბაისელთათა, რომელი აღწერა თითოეულად ყოველნივე სამართალნი უფროსსაჯმარარს დასარგებელქართლსა შინა მათსხვათასა».

✓ «სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა» ასე ეწოდება ვახტანგის სამართლის წიგნს თვით ვახტანგის მიერ ნარედაქციევ ნუსხებში — და «დასტურლამალი» წარმოადგენენ ქართული სამართლის დარგში ვახტანგის შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლებს.

სამართლის წიგნის შესავალში ვახტანგი თავმდაბლურად აცხადებს: «ნურვინ ჰგონებთ, თვით მხოლოდ თავით თვისით რასამე ვყოფდეთ», არამედ სამართლის წიგნი შევადგინეთ საკანონმდებლო კომისიის წევრთა «თანაყოლითა და დამოწმებითაო». კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ვახტანგის ძმა ბატონიშვილი კათალიკოსი დომენტი,
არაგვის ერისთვის შვილი მთავარეპისკოპოზი გრიგოლი,

სხვა მიტროპოლიტ-ეპისკოპოზ წინამძღვარნი და საღმართოგანნი.

მუხრანის ბატონი ერეკლე,

სახლის უხუცესი პაპუა,

არაგვის ერისთავი გიორგი,

ქსნის ერისთავი დავითი,

ორბელიძე სარდარი ლუარსაბ,

ამილახორი ავთანდილ,

მდივანბეგი ერასტი,

სხვა დარბაზის ერანი,

კუთა მყოფელი და მოხუცებულნი კაცნი. ✓✓

საკანონმდებლო კომისიის წევრთა შემადგენლობაში სახლთუხუცესი მალაძე პაპუა მხოლოდ Q 575 და მისგან გადაწერილ გვიანდელ ნუსხებში იხსენიება. მაგრამ მისი მონაწილეობა კანონთა შედგენაში ეჭვს არ იწვევს. პაპუა მალაძე XVII საუკუნის

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, 1963, გვ. 619—630; ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953.

მეორე ნახევრისა და XVIII ს. პირველი მეოთხედის ცნობილი საეკლესიო მოღვაწეა, იგი კათალიკოსის სახლთუხუცესია, მისი უშუალო მონაწილეობით შედგენილ იქნა საკანონმდებლო ძეგლი — «სახლთუხუცესის რიგი და შესავალი», რომელშიც განსაზღვრულია სახლთუხუცესის სამეურნეო, ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები¹. 1672 წლის წყალობის წიგნში პაპუა მაღალაძისადმი დომენტი კათალიკოსი და შაჰნავაზ მეფე (ვახტანგ V) წერენ: «სვეტიცხოვლისა და სამცხეთოს სახლთუცობა შენ როსტომ მეფისა და დიასამიძის კათალიკოზისაგან გეშოვნა და წიგნებიც გქონდათ. აწე ჩვენცა სიგლითა ამით და გიმტკიცეთ და გიბოძეთ სახლთუცობა ქართლით კახეთამდი სამცხეთოსი»².

პაპუა მაღალაძე, როგორც სამართლის მცოდნე, ხშირად მონაწილეობს სასამართლო საქმეების გარჩევაში და თავადაც გამოაქვს სასამართლო განჩინებანი. იგი დიდი პატივით სარგებლობს ვახტანგის განმგებლობის დროსაც.

ამ მხრივ, მეტად ნიშანდობლივია ვახტანგ ბატონიშვილის განჩიება ავალიშვილების ყმა-მამულის საქმეზე, რომელშიც ნათქვამია: «ჩვენ, საქართველოს გამგებელმა ბატონიშვილმა პატრონმა ვახტანგ, გვერთ ვიახელნით... მუხრანის ბატონი ერეკლე, არაგვის ერისთავი გიორგი, სახლისუხუცესი პაპუა, ქსნის ერისთავი დავით, სარდალი ლუარსაბ, მღვივანბეგი ერასტი»... და ავალიშვილების საქმე განვიხილეთო³.

ვახტანგ ბატონიშვილის ეს განჩინება გამოტანილია იმავე ხანებში, როცა სამართლის წიგნის შედგენა ხდებოდა. განჩინებაში მოხსენიებულინი არიან იგივე პირნი, რომელნიც ვახტანგის სამართლის წიგნის საკანონმდებლო კომისიაში შედიან. სამართლის წიგნის შესავალში სახლთუხუცეს პაპუას მოუხსენებლობა S — 3683 ნუსხის გადამწერის უყურადღებობით აიხსნება, მას ასეთი ხარვეზები სხვა ადგილასაც აქვს. Q—575 ნუსხამ, რომელიც ვახტანგის ნარედაქციევია და გადაწერილია 1710 წელს, აღადგინა S — 3683 ნუსხის ეს ხარვეზი.

საკანონმდებლო კომისიის შემადგენლობას რომ ვეცნობით, ყურადღებას იქცევს კომისიის წევრთა დასახელების თანმიმდევრობის რიგი. პირველად მოხსენიებულია «დიდის დედაქალაქისა მცხეთისა და კვართსა ზედან საუფლოსა სვეტისა საქედ მპყრობელისა და წარსქსა ზედან მტკიცედ მდგომელისა» კათალიკოს დომენტის სახე-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, № 137.

² იქვე, № 136.

³ იქვე, IV, 1972, № 164.

ლ. რომლის «თ ა ნ ა ყ ო ლ ი თ ა და დ ა მ ო წ მ ე ბ ი თ ა» შედგენილ იქნა სამართლის წიგნი; შემდეგ არაგვის ერისთვის შეილი მთავარ-ე ბ ი ს კ ო ზ ი გ რ ი გ ო ლ, რომლის «თ ა ნ ა დ გ ო მ ი თ ა», ე. ი. თანამონაწილეობით შექმნილი იქნა კანონები; ხოლო შემდეგ აღნიშნულია «სხვათა მიტრაპოლიტ-ებისკოპოზ-წინამძღვართა და სა-ღმრთოგანთა» მონაწილეობა. როგორც ვხედავთ, საკანონმდებლო კრება საქმაოდ წარმომადგენლობითი ყოფილა, მასში მონაწილეობენ ქართლის ეპისკოპოსები, მონასტრის წინამძღვრები და აგრეთვე სჯულმწებლობის საქმეში ცნობილი საღმრთო პირები. მასასადაწყ, ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენაში დიდი და საპატიო როლი შეასრულეს სჯულის მოქმედებმა, კანონიერი სამართლის მცოდნე პირებმა, სამღვდელოების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა.

კომისიის საერო პირების პერსონალური შემადგენლობის ჩამო-თვლის შემდეგ, რომელთა «დ ა მ ო წ მ ე ბ ი თ ა და თ ა ნ ა ზ რ ა ხ ვ ი თ ა» შეადგინეს სამართლის წიგნი, აღნიშნულია, რომ კანონები შეუდგენიათ აგრეთვე «სხვათა ყ ო ვ ე ლ თ ა და რ ბ ა ზ ი ს ე რ თ ა» მონაწილეობით. მაშასადამე, საკანონმდებლო კრების მუშაობაში, გარდა ჩამოთვლილი პირებისა, მონაწილეობას ღებულობდა დარბაზის სხვა წევრებიც, სამეფო კარის მაღალი თანამდებობის პირები. სა-მართლის წიგნის 24-ე მუხლიდანაც ცხადად ჩანს, რომ «დარბაისელთა» მონაწილეობით მეფე უმნიშვნელოვანეს სასამართლო საქმეებს განი-ხილავდა.

ადაბოლოს, სამართლის წიგნი ვახტანგ ბატონიშვილს შეუდგენია «კ ი თ ხ ე ი თ ა ჭ კ უ ა თ ა მ ყ ო ფ ე ლ თ ა და მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ თ ა კ ა ც თ ა». აქ იგულისხმებიან ჩვეულებითი სამართლის მცოდნე მსცო-ვანი პირები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ძველ წეს-ჩვეულებებს და თავისი რჩევით შეეძლოთ დახმარება აღმოეჩინათ საკანონმდებლო კომისიისათვის. [ამავე დროს, ასეთი განმარტების მიცემა არა მარტო თავდაზნაურობას, არამედ დაბალი ფენების წარმომადგენლებსაც შეეძლოთ. «ჭ კ ვ ი ა ნ კ ა ც თ ა» მონაწილეობა სამართლის წიგნის შედგენაში აღნიშნულია ბაგრატ კურაპალატის კანონების შესა-ვალშიც. ხევის ჩვეულებითი სამართლის მცოდნე პირები, «კ ვ ე ი ს ბ ე რ ნ ი და ჰ ე რ ო ვ ა ნ ი», როგორც ცნობილია, გიორგი ბრწყინ-ველის «ძეგლის დადების» შედგენაშიც მონაწილეობენ.

ჩვენ არ ვიცით საკანონმდებლო კომისიის წევრთაგან ვის რა ლეწლი მიუძღვის სამართლის წიგნის შედგენაში, ვინ რომელი მუხლი ან კარი შეადგინა კანონებისა. მაგრამ ერთი რამ უდავოა, მთელ ამ საქმიანობაში მთავარ როლს თვითონ ბატონიშვილი ვახტანგი ასრუ-

ლებს. ზანდუკ-საძიებლიდან დაწყებული და ვახტანგის სამართლის წიგნის უკანასკნელი მუხლით (270) დამთავრებული, მთელ კრებულს ვახტანგის გამრჩე და მოჭირნახულე ხელი ატყვია. იგი მონაწილეობს კრებულში შესული უცხოური სამართლის ძეგლების თარგმანსა და რედაქტირებაში, საძიებლისა და კრებულის შესავლის შედგენაში, ეროვნული სამართლის ძეგლების რედაქტირებაში.

ქრაც შეეხება საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს, ირკვევა, რომ შესავალი, ბოლოსიტყვა და კანონთა მუხლების დიდი ნაწილი თვითონ ვახტანგის მიერ არის შედგენილი, რასაც ნაწილობრივ სამართლის წიგნში დაცული ცნობებიც ადასტურებენ.

სამართლის წიგნის შესავალში ვახტანგი ამბობს: «მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია და არც ვიჩემებ, რომ არა აკლდეს რა»¹ სულმდებელი მეფის ეს სიტყვები, ცხადია, იმას არნიშნავს, რომ სამართლის წიგნი მთლიანად მან დაწერა. აქ ხაზგასმულია მთავარი და განსაკუთრებული როლი, რომელიც ვახტანგმა, ვითარცა საკანონმდებლო კომისიის თავმჯდომარემ, შეასრულა კანონთა შედგენაში.

იგივე აზრი გამოთქმულია სამართლის წიგნის ბოლოსიტყვაობაშიც, სადაც ვახტანგი კვლავ აცხადებს, რომ სამართლის წიგნი არის «ჩვენ მიერ თქმული», რომ «თვით ვიგულისმოდგინეთ, რომელთა ზედან მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულობით».²

კრებულში შესული უცხოური სამართლის ძეგლებთან შედარებით საკუთარი კანონების უპირატესობას რომ ამტკიცებს, ვახტანგი ამბობს: «ნუსიქადულად შემირაცხავთ და ვგონებთ» ჩვენი ქვეყნისათვის უმჯობესი და უფრო სასარგებლოა ჩვენს მიერ შედგენილი კანონებიო.

ბოლოსიტყვის დასასრულს მეფე თხოვნით მიმართავს ყველას, ნუ შეცვლით და ნუ დაამახინჯებთ ჩვენს მიერ დაწერილ კანონებსო, — «აწ ვიაჯები ყოველთა... ნუ გარყვნით წერილთა ჩვენთა, რომელი აღგვეწეროს... ხოლო რომელმან არა ისმინოს ვედრება ესე და მოშალოს სამართლები ჩვენს ცოდვათა ჩვენთა მიერ იგიმცა დაისჯების».³

სამართლის წიგნის ზოგიერთ მუხლში ვახტანგი პირადად თავისი სახელით ლაპარაკობს: «ამის მომსწრები თვითონ მეცა ვარ, და სხვანი მრავალნი ხნით ჩემსა უფროსი არიან» (მუხ. 2), «იმისი ჩვენ არა დაგვიწერია რა», «ჩვენ ვერას ვიტყვით», «მე ასრემგონია», «ვეჭობ, ესეც კმარ იყოს» (მუხ.

23), «ვინ უკეთ იცოდეს, ჩვენ ნურას იგვაბრალეს», «რომელსაც მე ვკმობ» (მუხ. 25) დასხვ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩვენი დაკვირვებით, ვახტანგ ბატონ-შვილს უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული სამართლის წიგნის შემდეგი მუხლების ჩამოყალიბებაში: 1—6, 13, 15—42, 49, 61, 91, 95, 98—104, 109, 116, 155, 169—172, 175—177, 198—203, 220—222, 254, 258—260. დადგენილია აგრეთვე, რომ მე-7, 74-ე, 207-ე, 262-ე, 263-ე და 270-ე მუხლების ბოლო ნაწილები S—3683 ნუსხაში საკუთრივ ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი.

ჩაქედან ჩანს, რომ სამართლის წიგნის შედგენის მთავარი სიმძიმე თავად ვახტანგმა იტვირთა და სასახელოდაც შეასრულა იგი. ამიტომაც საკანონმდებლო კომისიამ ამ კანონებს სამართლიანად მიაკუთვნა ვახტანგის სახელი.

ვახტანგის სამართლის წიგნი იწყება მართლმსაჯულების მიზნებისა და პრინციპების გადმოცემით. პირველივე მუხლში ვახტანგ ბატონ-შვილი მოსამართლეებსა და მსაჯულებს აუწყებს, რომ ამ ქვეყნად ყოველგვარი უბედურების მიზეზი არის უსამართლობა, რომელიც «ამა სოფელს კაცსა უძეოდ აღმოფხვრის და გარდაავლინებს, დღეთასი-გრძობასა მოუკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა — ნაყოფს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წასწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს».

V სამართლის წიგნის შედგენას სჯულმდებელი მეფე ერთგვარი ისტორიული ექსკურსით იწყებს: «იყო ქვეყანა ესე ქართლისა ყოლითურთ კეთილთა შემკულ და შეზავებულ», მაგრამ ჟამთა ცვალებადობის გამო მართლმსაჯულება დაეცა და «ვითარცა ენებათ, სჯიდნენ».

XVII—XVIII სს. მიჯნაზე, და უფრო ადრეც, მართლმსაჯულება ქართლში მეტისმეტად დაცემული იყო. ურჩი და თავნება ფეოდალები მეფის ხელსუფლებას არ ემორჩილებოდნენ და თავიანთ სამფლობელოებში ისე აწარმოებდნენ სამართალს, როგორც მოესურვებოდათ. მეფეს «ოდენ სახელი მეფე რქმევი ა», თორემ რეალური ძალაუფლება ფეოდალების მიმართ არ ჰქონია. ამ დროის მომსწრები მეცა ვარ და სხვანი მრავალნი, რომელნიც ხნით ჩემზე უფროსნი არიანო, ამბობს სჯულმდებელი მეფე.

ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენა, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავდა ერთგვარი წესრიგის დამყარებას იმ ქაოსში, რომელიც სასამართლო წარმოების დარგში სუფევდა ცალკეულ სათავადოებსა და ქართლის მთელ სამეფოში. არ არსებობდა ერთიანი სამართლის წიგნი, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ მოსამართლეებს საქმის

განხილვისას თავისთავად სამართლის წიგნის შედგენა და სამართალ-წარჩობებში ერთგვაროვანი პრაქტიკისა და წესების დამკვიდრების ცდა მიზნად ისახავდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას. ვახტანგ ბატონიშვილი თავის განზრახვას არ მალავს და აშკარად ამბობს: «თუ მეფეს მეფობა შეეძლოს, ქნას... შეუძლებლად მეფობას უქნელობა სჯობს და ქელის აღება».

მაგრამ «მეფობის ქნას» იმ დროს ბევრი საშინაო და საგარეო პირობები უშლიდა ხელს. სჯულმდებელმა მეფემ კარგად იცის, რომ ქართლის სამეფო თავისუფალი და დამოუკიდებელი არ არის მართლ-მსაჯულების დარგშიც, აქაც ირანის ხელი მოქმედებს: «თუ ერანის კელმწიფის ყენით იყოს ერთი რამ საქმე, რომე უმისოდ ვერ იქმოღეს, და თუ ქნას, ის იწყენდეს, იმისი საქმე სხვა არის».

ვახტანგ ბატონიშვილმა თავის სამართლის წიგნში ჩამოაყალიბა სამაგალითო მოსამართლის ნიშან-თვისებები.

მოსამართლე პირველ რიგში «დიდად მჩხრეკელი» და «გამომეძიებელი» უნდა იყოს. მოსამართლო პროცესი სამსჯავრო გამოძიებაა, რომლის დროს მოსამართლემ გულმოდგინედ უნდა გამოიძიოს საქმის ყველა გარემოება, შეათასოს დამამტკიცებელი საბუთები და დაადგინოს ესა თუ ის ფაქტი. ამისათვის საჭიროა, მოსამართლეს ჰქონდეს გამოძიებლის კარგი ალღო, შეეძლოს საქმის გულდასმით ჩხრეკა, შინაარსში ჩაწვდომა. თუ მოსამართლეს საქმის გამოძიების უნარი არ შესწევს, იგი ვერ შეძლებს მართლმსაჯულების განხორციელებას, «მართალი სამართლის» დადვენას.

მოსამართლე «გონება აუჩქარებელი, დაწყნარებულ ი», დინჯი, დარბაისელი კაცი უნდა იყოს. გონებაჩქარებულ და მშფოთვარე ადამიანს არ შეუძლია მოსამართლის მოვალეობის შესრულება. სიდინჯე და სამშვიდე მოსამართლის განუყრელი თვისებებია, ცეტი და დაუღვრომელი ადამიანი მოსამართლედ ვერ გამოდგება.

მოსამართლე «გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდებნი უნდა იყოს». თუ მოსამართლე სამსჯავრო სხდომაზე საქმეს ზერელედ იძიებს, მოდავე მზარეთა ახსნა-განმარტებებს და მოწმეთა ჩვენებებს, საერთოდ დამამტკიცებელ საბუთებს ყურადღებით არ ისმენს და გულსყურით არ განიხილავს, იგი ვერ შეძლებს ქეშმარიტების დადგენას. «თუ მოსამართლე სხვას რასმე საქმობს და მოჩივრის საჩივარს ყურს არ უგდებს, ან საჩივარში ჯავრობს და მოჩივარს უწყრების, იმასაც საჩივარს დააკარგვინებს და ვერც არას თვითონ მიხედვის და უსამართლო მოუა».

მოსამართლე მართო დაზარალებულის საჩივრებს კი არ უნდა უსმენდეს, არამედ ამასთან «მოჩივრის მოადის მომცდე».

ლიც», ე. ი. მოპასუხის ან განსასჯელის პასუხის მომსმენიც უნდა იყოს. ამასთან იგი «ს ხ ვ ი ს ა ც მ კ ი თ ხ ე ე ლ ი» უნდა იყოს. მოსამართლემ «ფ ი ც ხ ლ ა ვ ს ა მ ა რ თ ა ლ ი» არ უნდა ქნას; მოდავე მხარეები ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე, მრავალ გზის უნდა დაკითხოს და აღაპარაკოს. საქმის სრულყოფილი სამსჯავრო გამოძიებისათვის ღიდი მნიშვნელობა აქვს მოწმეთა ჩვენებას, მათ მიერ დანაშაულებრივი ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას. ამიტომ მოსამართლე ფაქტის თვითმხილველი «მ ო წ მ ი ს მ ო ძ ე ბ ა რ ი ც» უნდა იყოს, რომ «მოწმით, კითხვით და გამოძიებით საჩივრის მართლად შეტყობას ეცადოს».

✓სხვა ნიშან-თვისებებთან ერთად მოსამართლეს უნდა ახასიათებულეს უ ა ნ გ ა რ ო ბ ა, ე. ი. «ქ რ თ ა მ ი ა რ უ ნ დ ა ი ნ ღ ო მ ო ს», იგი არ უნდა იყოს ვერცხლისმოყვარე, გამოძალაველი და მომხვეჭელი. ვახტანგის სამართალს ქრთამი ისეთ მძიმე ცოდვად მიაჩნია, რომლისაგანაც ყოველგვარი უსამართლობა წარმოიშობა.

საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს მოსამართლე არ შეიძლება «მ ო ყ უ ს ო ბ ი თ», ე. ი. მეგობრობითა და ნათლიმამობით ხელმძღვანელობდეს, თუ იგი საქმეს ძმაზიჟურად წყვეტს, ღვთის გამარისხებელ ცოდვას იღენს. ამავე დროს არ შეიძლება საქმე განხილულ იქნეს «ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ ა ნ უ მ ტ ე რ ო ბ ი თ». თუ მოსამართლე ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს და ერთს ან მეორე მოდავე მხარეს მიუღდა, «ა რ ც ს ა მ ა რ თ ა ლ ი მ ო ჯ დ ე ბ ი ს», ე. ი. საქმის კანონიერი, სამართლიანი გადაწყვეტა არ მოხდება.

მოსამართლეს საქმის განხილვის დროს არავისი არ უნდა ეშინოდეს, მანზე არავინ არ უნდა ახდენდეს ზეგავლენას. თუ მოსამართლე საქმეს ვისიმე «შ ი შ ი თ» განიხილავს და გადაწყვეტს, დიდ უსამართლობას ჩაიდენს. მოსამართლის მიერ უკანონობა შეიძლება ჩადენილ იქნეს არა მარტო «შ ი შ ი თ», არამედ «მ ო რ ი დ ე ბ ი თ ა ც». სამართლიანმა მსაჯულმა არც ერთი და არც მეორე მხედველობაში არ უნდა მიიღოს.

დაბოლოს, მოსამართლე «ღ მ რ თ ი ს მ ო შ ი შ ი» უნდა იყოს, მართლმსაჯულება ღვთაებრივი საქმეა, ღვთის განგებაა. ღმერთი, ვითარცა უწენაესი განმსჯელი, მოსამართლისაგან «სამართლის უფროს არას ითხოვს და რისხვაცა უსამართლობით მოივლინების». მართლმსაჯულების ღვთაებრიობა «ბიბლიიდან» მომდინარეობს: ღმრთის შიშით «ს ი მ ა რ თ ლ ი თ ს ა მ ა რ თ ა ლ ს ა შეუდევით, რათა სცხოვნდეთ». აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართლის შედგენამდე დიდი ხნით ადრე ეს დებულება დაკანონებულია ბაგრატ კურაპალატის (XI ს.) სამართლის წიგნშიც, სადაც ნათქვამია, რომ საქმის განხილვისა ჯა

გადაწყვეტის დროს მოსამართლეებმა «გულთა შიგან ღმრთის შიში უნდა დაიჭირონ და მართალი სამართალი გააჩინონ» (მუხ. 99).

ასეთი სრულყოფილი უნდა იყოს, ვახტანგის აზრით, სამაგალითო მოსამართლე. კანონმდებელი უზადო, უნაკლო მოსამართლის ტიპს გვიხატავს. რა თქმა უნდა, ასეთი ნიშან-თვისებების მქონე მოსამართლენი იმდროინდელ ქართლში თითქმის არ იყვნენ. *მს*

✓ ვახტანგის სამართლის წიგნი ქართლის ფეოდალური საზოგადოების კოდექსია, რომელიც აკანონებს ფეოდალთა კლასის — თავადაზნაურობის სრულ უფლებებსა და პრივილეგიებს, მათს ბატონობას ექსპლოატირებულ ყმა გლეხებზე. ცნობილია, რომ ფეოდალური საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს შეადგენდა ფეოდალის საკუთრება წარმოების საშუალებებზე და არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე ანუ ყმაზე. ყმას ჰქონდა ერთგვარი პირადი და ქონებრივი უფლებები, იურიდიულად მებატონეს არ შეეძლო მისი მოკვლა, მაგრამ შეეძლო მისი გაყიდვა, გაჩუქება, ანდერძით გადაცემა ან სხვა წესით გასხვისება. თავისი სისასტიკითა და ექსპლოატაციის ხარისხით ფეოდალური საზოგადოება დიდად არ განსხვავდებოდა მონათმფლობელობისაგან.

რაც უფრო ცენტრალიზებულია ფეოდალური სახელმწიფო, მით უფრო სასტიკია მისი კანონმდებლობა ყმა გლეხთა მიმართ. ასე იყო ევროპასა და რუსეთშიც. 1649 წლის «მეფე ალექსი მიხეილის ძის სჯულდება» ამის საუცხოო ილუსტრაციას წარმოადგენს.

მკაცრია ვახტანგის კანონებიც, თუმცა ქართლის სამეფო დეცენტრალიზებულია, სათავადოებადაა დაყოფილი. და ეს სიმკაცრე თვით ფეოდალური წყობილების ხასიათითა და, კერძოდ, ქართლის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური თავისებურებით აიხსნება.

✓ ვახტანგის სამართლის წიგნის იმ მუხლებიდან, რომლებიც ბატონყმურ ურთიერთობებს აწესრიგებენ, განსაკუთრებული სისასტიკით ორი მუხლი გამოირჩევა. 258-ე მუხლი ადგენს: უკეთუ ყმა თავის ბატონს მოკლავს ან დაჭრის, «ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისთვის რომე ყმისა ყველა ბატონისა არის». ხოლო 259-ე მუხლში ნათქვამია: «თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ან ჯოხი კრას, ან კელით სცემოს, კელი მოეკვეთოს, ან იმ კაცის კელი ფასი წაერთოს. თუ ან გაჯავრებით პირისპირ შეაგონოს, ენა მოეჭრას ან ენის ფასი წაერთვას». *პროფ. ალ. ხახანაშვილის აზრით ეს ორი მუხლი ბერძნული კანონების გავლენის*

შედგება ვახტანგის სამართალზე, მაგრამ ეს მოსაზრება დამაჯერებელი არ არის. »

258-ე მუხლის დებულება — «*ყ მ ი ს ა ყ ვ ე ლ ა ბ ა ტ ო ნ ი ს ა ა რ ი ს*» — ფეოდალური სამართლის ძირითადი პრინციპის დაკანონებაა, რომლის თანახმად ყმა, სულსა გარდა, ბატონს ეკუთვნის, ე. ი. ბატონს ყმის მიმართ აქვს ყოველგვარი უფლება, გარდა ერთისა, მას არ შეუძლია მისი მოკვლა.

მხოლოდ 259-ე მუხლი ყმის მიერ ბატონის ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის სიმბოლური პრინციპის მიხედვით ასოთღამაზიანებელ სასჯელს აწესებს — შეურაცხყოფელ ყმას ის ორგანო უნდა მოეკვეთოს, რომლითაც დანაშაული ჩაიდინა, ამავე დროს კანონმდებელი ალტერნატივის შესაძლებლობასაც დასაშვებად სთვლის — ყმა შეუძლია დანაშაული სისხლის გადახდით გამოსყიდოს, მაგრამ ეს შესაძლებლობა ფაქტობრივად გამორიცხული იყო. ✓

ყმა გლეხობის, როგორც ფეოდალური საზოგადოების ძირითადი წარმოებლური კლასის, შენარჩუნებისა და ბატონყმობის არსებობის აუცილებელი პირობებიდან გამომდინარე, ვახტანგ მეფე თავისი კანონმდებლობით ცდილობს ერთგვარად შეამსუბუქოს ყმის მდგომარეობა, დაიცვას და დააკანონოს მისი უმნიშვნელო პირადი და ქონებრივი უფლებები. იგივე 258-ე მუხლი აღგენს, რომ ბატონმა თავის ყმა «*უ ჯ ე ლ მ წ ი ფ ო თ ვ ე რ ც მ ო კ ლ ა ს დ ა ვ ე რ ც გ ა ა ხ ე ი ბ რ ო ს*». ყმის სიკვდილით დასჯა ან დასახიჩრება უმაღლესი იურისდიქციაა, რომელიც მხოლოდ მეფეს ეკუთვნის, მეფის დასტურისა და თახხმობის გარეშე არავის არ შეუძლია იგი განახორციელოს. ეს დებულება დაკანონებულია 95-ე მუხლში: «*თ ა ვ ი ს ი ს ყ მ ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი დ ა გ ა ხ ე ი ბ რ ე ბ ა ა რ ა ვ ი ს კ ე ლ ე წ ი ფ ე ბ ი ს*».

მხოლოდ თუ ბატონი ყმას უდანაშაულოდ, თვითნებურად მოკლავდა ან დასახიჩრებდა, ყმა თავისი ცოლ-შვილით იმ მეზობლის ყმობიდან თავდახსნილად ითვლებოდა, ბატონს მასთან და მის მეგობრებთან ხელი აღარ ჰქონდა, მათ ველარ მიედავებოდა, მათზე ყმობის უფლებას კარგავდა, რადგან ყმას «*თ ა ვ ი ს ს ი ს ხ ლ ი თ დ ა უ ჯ ს ნ ი ა თ ა ვ ი ს ი თ ა ვ ი*». ✓

სჯულმდებელი მეფე თავისი სამართლის წიგნით მეზობლის თვითნებობისა და ძალადობისაგან იცავს ყმის ადამიანურ ღირსებას, მისი შეუღლეა და ოჯახის ზნეობრივ სიწმინდეს: უკეთუ ბატონი ყმის ცოლს გააწილებს და ყმა მოძალადეს დანაშაულზე წაასწრებს და მოკლავს, ყმა თავისუფალი პასუხისმგებლობისაგან, მას «*ს ი ს ხ ლ ი ა რ გ ა უ ჩ ნ დ ე ბ ი ს*» (მუხ. 42). იგივე დებულება, ოღონდ მოძალადე ბატონის მიმართ უფრო შერბილებული ფორმით, გადმოცემულია

259-ე მუხლში: ყმამ რომ ბატონი თავის ცოლზე დაიჭიროს, მოსამართლემ ბატონს ყმის ცოლის გაუპატიურებისათვის სისხლი უნდა გარდაახდევინოს ან ყმა ცოლ-შვილით ყმობიდან გაათავისუფლოს. ხოლო «თუ ყმამ ამისთანას საქმისათვის ან აგინოს, ან ჯოხისცეს, ან ცოტათიც დასჭრას, ბატონმან შეუწოდოს».

კანონი სხვა მხრივაც იცავს ყმა ცოლ-ქმრის უფლებას. ერთი ბატონის ყმა მეორე მებატონესთან რომ მივიდეს, მოახლე საცოლელ სთხოვს «მომეც და გეყმობიო» და შეირთოს, თუ შემდეგ ყმის პირველი ბატონი თავისი ყმის დაბრუნებას მოითხოვს, «პატრონს ყმა არ წაერთმევის, უნდა მიეცეს. მაგრამ ეარც იმკაცს და ცოლი წაერთმევის, ცოლ-ქმარს ნუ გაყრიან», ძველმა ბატონმა ახლა ბატონს მოახლის სანაცვლოდ ისეთივე მოახლე მისცესო. მაშასადამე, კანონი კრძალავს ყმა ცოლ-ქმრის ძალტადანებით გაყრას.

სამართლის წიგნის 203-ე მუხლი ადგენს: გლეხი კაცის ქვრივს «მისი მებატონე ძალად ნუ გაათხოვებს, ვინც ქვრივს უნდოდეს, ის შეირთოს; და თუ არ უნდოდეს, თავის ობლებთან იყოს». ხოლო თუ ქვრივი ქალი თავისი ნებით გათხოვდება, ქვრივის წამყვანმა ქვრივის ბატონს კანონით დაწესებული გამოსაღები—«საქვრივო» უნდა გადაუხადოს,—«მეტს ნურცის მებატონე და ნურც მოურავი ნუღარასა სთხოვს». თუ ქვრივს პირველი ქმრიდან ვაჟი დარჩება, უნდა გაზარდოს და მის ძველ მებატონეს მიჰვებაროს. ხოლო თუ ქალიშვილი დარჩება, დედამ, ბიძებმა ან მოყვრებმა უნდა გაზარდონ და გაათხოვონ, «მებატონე მუახლედ ნუ მოინდომებს». მაშასადამე, ყმის გარდაცვალების შემთხვევაში ობლად დარჩენილი გოგო მებატონის მოახლე არ ხდება.

მებატონეთა ძალადობისაგან ყმა გლეხის უფლებისა და პიროვნების დაცვის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია სამართლის წიგნის 201-ე მუხლის დადგენილება, რომელიც თვითონ სჯულმდებელი მეფის მიერ უნდა იყოს დაწერილი. კანონი ადგენს: თუ ერთი საბატონოს გლეხი აიყრება და მეორე საბატონოში წავა, იქ ექვს წელიწადს დაჰყოფს და შემდეგ ხელმწიფეს ყმად მიუვა, ხელმწიფის ნებაზეა დამოკიდებული, თუ უნდა, მისცემს ყმას ძველ მებატონეს და, თუ უნდა, არ მისცემს. «ეს იმიტომ დავწერთ: რომე ნურაკაცითავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა, ექუს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა, კელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგება».

ამ მნიშვნელოვანი დადგენილებით ვახტანგ ბატონიშვილი ცდილობდა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა საბატონო ყმების აუტანელი

პირობები და ერთგვარად შეეზღუდა თავგასულ მებატონეთა თვითნებობა და ძალადობა ყმების მიმართ.

დაბოლოს, სამართლის წიგნის უკანასკნელი 270-ე მუხლით, რომელიც თვითონ ვახტანგის ხელით არის დაწერილი, სჯულმდებელი მეფე, აუქმებს რა ძველად არსებულ წესს, კვლავ ცდილობს შეარბილოს ყმა გლეხების მიმართ მოქმედი მკაცრი წესდებულებანი. ძველად ასეთი წესი ყოფილა: თუ მეფე ვისმე გლეხს უბოძებდა, ან წაართმევდა, ან გლეხი ასაყრელი იყო და აყრიდნენ, ამისთვის მეფის მოხელეები — ეპიტალასი და იასაულნი იმავე გლეხს გამოსაღების სახით ხარსა და მარჩილს აართმევდნენ. ხოლო თუ მეფე ვისმე გლეხს უწყალობებდა, ან სასამართლო წესით გლეხს ვისმე მიაკუთვნებდნენ, მდივნის სარგოსა და მორდლის სარგოსაც გლეხს ახდევინებდნენ.

ეს წესი, წერს ვახტანგი, «დიდი უსამართლო იყო», ამიტომ ჩვენ ახლა ასე გავარიგეთ: ვისაც მეფის წყალობით გლეხს უბოძებენ, ან სასამართლო წესით მიაკუთვნებენ, ხარი და მარჩილი იმან უნდა გარდაიხადოს, «გლეხსამაში ნურას გარჩიან». აქ კანონმდებელს მხედველობაში ჰყავს სახასო (სამეფო) გლეხები, მაგრამ ეს ახლად შემოღებული წესი საბატონო გლეხებზეც უკუელდება.

ამრიგად, ვახტანგ ბატონიშვილი თავისი კანონმდებლობით შეეცადა ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა ყმა გლეხის მდგომარეობა და ერთგვარად შეერბილებინა ბატონყმური კანონმდებლობისა და წეს-ჩვეულებათა სასტიკი ხასიათი. ვახტანგის მემკვიდრე ამას მისი პიროვნული თვისებებით, მისი ჰუმანურობით ხსნის, რომ იგი იყო «ქვივობოლთა და გლახაკთა მიმცემელი, ულონოთა შემბრალე». ცხადია, «ზნესრული გამგებელის» ეს თვისებებიც მხედველობაშია მისაღები, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, ვახტანგის სამართლის წიგნი ქართლის ფეოდალური საზოგადოების კოდექსია, რომელიც აკანონებს მემამულეთა ბატონობას ყმა გლეხებზე. სჯულმდებელი მეფის ცდა — აღეკვეთა თავადაზნაურთა თვითნებობა და ძალადობა ყმების მიმართ, მიზნად ისახავდა მწარმოებლური კლასის განადგურებისაგან გადაარჩენას, როგორც ბატონყმური წყობილების არსებობის აუცილებელ პირობას.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა სამართლის დარგში «დასტურლამალის», «სამართლის წიგნთა კრებულისა» და «სამართლის წიგნის» შედგენით არ დამთავრებულა. მის მიერ გამოცემული იქნა მთელი რიგი მხიშვხლოვანი საკანონმდებლო აქტებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

ბრძანება ორბელიშვილთა სახლში საუფროსოს აღუდებლობის
თაობაზე (1703—1724 წწ.),
მამულის წყალობის წიგნი ავთანდილ მოურავიშვილისადმი
(1710 წ.),
წიგნი რუსუდან დედოფლისა ტყვის სყიდვის აკრძალვის თაობაზე
(1712 წ.),
სეტიციხოვლის სასარდლოს განწესების წიგნი (1720 წ.),
წყალობის წიგნი ტფილისში მსახლობელ მოქალაქეთადმი (1722 წ.),
შეუვალობის წიგნი დომენტი კათალიკოსისადმი (1719 წ.),
სამუხრანოს სახლისკაცობის რიგი (1720 წ.),
განწესება კათალიკოსის ყმების ლაშქრისა (1720 წ.),
ბრძანება საბარათაშვილოში სამართლის ქმნის შესახებ (1703—
1724 წწ.)¹.

ახემოთ ჩამოთვლილი აქტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია
1712 წლის აქტი ტყვეთა სყიდვის აკრძალვის შესახებ. ვახუშტი
ბატონიშვილიც საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ვახტანგმა «მო-
შალა ტყვის სყიდვა».²

დიდად საყურადღებო საკანონმდებლო ძეგლია ვახტანგ მეფის
ჰიერ განწესებული «სამუხრანოს სახლისკაცობის
რიგი», რომელიც ფასდაუდებელი წყაროა სათავადოების სოცია-
ლურ-პოლიტიკური წყობილების შესასწავლად. ასევე მნიშვნელოვანია
სეტიციხოვლის სასარდლოსა და ლაშქრის გან-
წესების წიგნიც.

შეტად საყურადღებოა აგრეთვე 1722 წლის წყალობის წიგნი თბი-
ლისელ ვაჭარ-მოქალაქეთადმი, რომელთაც ვახტანგ მეფემ მემკვი-
დრეობის ახალი წესი დაუდგინა.

ასეთი იყო ვახტანგ მეფის საკანონმდებლო მოღვა-
წეობის ძირითადი მომენტები.

ვახტანგი, ვითარცა ქართლის გამგებელი და მეფე, ამავე დროს
სამეფოს უზენაესი მსაჯულიც იყო: «ორშაბათსა და პარა-
სკევსა დაჯდის სამდივნოსა სახლსა, განაგებდა
სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა».
სამდივნო სახლი — მეფის სასამართლოა. მეფე განსაკუთრე-
ბით მნიშვნელოვან სასამართლო საქმეებს განიხილავდა, რაც კარგად
ჩანს ვახტანგის სამართლის წიგნის 24-ე მუხლიდანაც. ასეთ საქმეებს

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1966, №№ 90, 91, 93, 95, 99; ტომი
VI, 1977, №№ 354, 355, 356, 357.

მეფე კათალიკოზისა და სხვა «ეპისკოპოზ-დარბაისელთ შემოყრით და დახვდომით» არჩევს.

ჩვენამდე მოღწეულია ვახტანგ მეფის რამდენიმე სასამართლო განჩინება¹, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი განჩინება—ციციშვილებისა და ჯავახიშვილების დავისა გამო ნასოფლარების თაობაზე; ავალიშვილების გაყრისა და მამულის გაყოფის შესახებ და ელისბარ და კოსტანტილე დავითიშვილების (მუხრან-ბატონიშვილების) გაყრის საქმეზე. სამივე განჩინება უთარილოა. პირველი და მეორე განჩინება ვახტანგს მშინ გამოუტანია, როცა იგი «საქართველოს ჯანიშინი» ანუ გამგებელი იყო, ხოლო მესამე — როცა ის უკვე ქართლის მეფედ იჯდა.

პირველი საქმის გარჩევაში ვახტანგ ბატონიშვილთან ერთად მონაწილეობენ: კათალიკოსი დომენტი, ვახტანგის ძმები სვიმონ და თეიმურაზ ბატონიშვილები, მუხრანბატონი ერეკლე, არაგვის ერისთავი გიორგი, სარდალი ლუარსაბ, ამილახორი ავთანდილ, მდივანბეგი ერასტი, მოურავი ავთანდილ და სხვანი ეპისკოპოზ-დარბაისელნი და მდივნები.

მეორე საქმეზე სასამართლოს შემადგენლობაში კათალიკოსის ხაცვლად სამი სასულიერო პირია მოწვეული: მთავარეპისკოპოსი ევდემოზ, თბილელი პავლე და მანგლელი ნიკოლოზ. ხოლო საერო პირებიდან მონაწილეობენ იგივე მუხრანბატონი, არაგვის ერისთავი, სარდალი, მდივანბეგი და მოურავი: ხოლო სვიმონ და თეიმურაზ ბატონიშვილების ნაცვლად მოწვეულნი არიან სახლთხუცესი პაპუა, ქანის ერისთავი დავით და ყულარაღაი ქაიხოსრო და მდივნები. «სხვანი ეპისკოპოზ-დარბაისელნი» მოხსენიებული აღარ არიან.

მესამე საქმის განხილვაში ვახტანგ მეფესთან ერთად მონაწილეობენ: მისი ძე შაჰნავაზ მეფე (იგივე ბაქარ), კათალიკოსი დომენტი, ძმა ბატონიშვილი სვიმონ, სარდალი ბატონიშვილი ვახუშტი, მუხრანის ბატონი ლევან, არაგვის ერისთავი გიორგი, ამილახორი ავთანდილ, ორბელიშვილი ლუარსაბ, მდივანბეგი ავთანდილ, ეშიკაღასბაში ამილახორიშვილი გიორგი, სახლთხუცესი ვახტანგ, ციციშვილი ზაზა და სხვანი ეპისკოპოზ-დარბაისის ერნი და მდივნები.

ამრიგად, ვახტანგ მეფის «სამდივნო სახლის» ანუ სასამართლოს

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972, №№ 148, 149, 154, 163—165, 166, 186, 200, 201, 211—214, 216, 217, 219, 220.

შემდგენლობაში სამღვდლოების უმაღლესი წარმომადგენლები. ბატონიშვილები, ქართლის დიდებული თავადები და სამეფო კარის მაღალი თანამდებობის პირები შედიოდნენ.

საკანონმდებლო მოღვაწეობისა და მართლმსაჯულების განხორციელებასთან ერთად ვახტანგი ქვეყნის მართვა-გამგეობას, სამეურნეო, ადმინისტრაციულ, სამხედრო, კულტურულ-საგანმანათლებლო და საწმენდობრივ საქმიანობასაც წარმატებით განაგებდა.

მრავალმხრივ საყურადღებო და ცხოვრების განახლების მომასწავებელი იყო ვახტანგ VI-ის გამგებლობის ხანა. მაგრამ მისი მეფობის ბოლოს, შინაური და გარეშე მტრების მოძალების გამო, ქართლის სამეფოს საქმეები მთლიანად აირ-დაირია. «დავითიანი ს» ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო დრო, როცა:

«კახელების აღმაკნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს,
ძმამ ძმას საკრე გაღუჭირა, მტერთ კომბალი თავში დასცხეს».

ასეთი ვითარების შექმნაში ვახტანგსაც ბრალი მიუძღოდა, ის შეცდა, მან ბევრი რამ ვერ გაითვალისწინა. აღნიშნულის გამო 1724 წელს იგი იძულებული გახდა თავისი ოჯახითა და მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთს გადასახლებულიყო. აღსასრულის წინ თავის პოლიტიკურ ორიენტაციაში იმედგაცრუებული, მრავალ ჭირგამოვლილი და ხელმოცარული მეფე-მგოსანი მწარედ ჩიოდა თავის ბედუქულმართობაზე.

1737 წ. მარტში გზად მყოფი ვახტანგი ასტრახანში აღესრულა. მისი ღროისა და ამბების მოწმე დიდმა მგოსანმა ცხარე ცრემლებით დაიტირა იგი:

«ვია, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო».

მაგრამ ამასთანავე პირუთვნელი და სამართლიანი მსჯავრიც გამოუტანა:

«მწყემსი უფრთხილი სამწყსოსი ადვილად დამკარგველია».

ვახტანგ მეფის მრავალმხრივი მოღვაწეობა ღირსეულად შეამკია მისმა განუყრელმა მდივან-მწიგნობარმა გივი თუმანიშვილმა.

ეს ლექსი შამხანის წყაროზე წერია
მდივნის გივის ნათქვამი

მე უმცირესი ძმათაგან ვახტანგ-ყე სახელდებული,
ოთხს წელ ვქენ მცხეთა, ურბნისი, სადგარის კამარა გებული,
ტფილის სიონი კელაქლად შეეძარწე ქანდაკებული,
ჩემთვისაც სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებული.

სტამბა მოვიღე ვლახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანი,
ქციის რუ ხუნანს ჩავიღე, გაღმითაც მოვრწყე ველანი,

მაშავერის რუ ტბას შევრთევ, შიგ ჩაესხი თევზნი ყუელანი,
ესე მთა მოვინადირე, ეკოცე ირემნი ძველანი.

ს ა მ ა რ ო ლ ი ს წ ი გ ნ ი ა ღ ვ ს წ ე რ ე, ს ა მ ს ჯ ა ე რ ო დ ა რ ა ც ი ლ ო ბ ა (დ),
«ვეფხისტყაოსნის» თარგმნობა, სხვას წვრილთ რაღა ექნა თქმულობა,
ჩემთანა ყოფთა კაბუჯთა უქნია კარგა ზრდილობა,
ბოლოდ მიმილო სოფელმან სიმდიდრე, მეფეთ შვილობა!

¹ ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის აეტორი (მსუ შრომები, № 43, 1951)

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

ევროპელი მეცნიერნი ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს რუსული თარგმანის მიხედვით იცავენ.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის მეორე რუსული გამოცემის რედაქტორი ცნობილი ისტორიკოსი დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე კრებულისადმი დართულ წინასიტყვაობაში კანონთა პირველი რუსულ გამოცემის შესახებ წერდა: «Сборник законов царя Вахтанга VI издан был по распоряжению Правительствующего Сената в 1828 г»¹.

კრებულის პირველ რუსულ გამოცემას არა აქვს სატიტულო ფურცელი და არც გამოცემის წელია ნაჩვენები. ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროებით სარგებლობდა დ. ბაქრაძე კრებულის გამოცემის თარიღის დასადგენად. წყაროებში ეს თარიღი მითითებული არ არის. როგორც ჩანს, დ. ბაქრაძის დასკვნა ემყარებოდა ამჟამად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ ვახტანგის სამართლის წიგნის რუსული თარგმანის დაბეჭდილი ტექსტისადმი დართულ ხელით ნაწერ სარჩევს, რომლის ქალაქის ფილიგრანს აზის თარიღი 1828 წელი². ეს თარიღი დღემდე მიღებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში.

1978 წელს ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნდა რ. ახვერდიანისა და რ. ლომინაძის წერილი, რომელშიც დაწვრილებით განხილულია კრებულის პირველი რუსული გამოცემის ისტორია. ვახტანგის კანონების რუსულად თარგმნისათვის 1828 წელს სპეციალურ კომისია შექმნილა, რომელშიც შედიოდნენ: გენერალ-მაიორი პოვენი—საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი (კომისიის თავმჯდომარე), კარის მრჩეველი ნ. ფალავანდიშვილი, კარის მრჩეველი იაგორკილაშვილი და კოლეგიის ასესორი ნიკოჩუბინაშვილი. დამოწმებული ხელნაწერი სარჩევის მე-5 ფურცლის recto-ს ბოლოს წერია: «Подлинное подписали» და ერთვის ზემოთ დასახელებულ პირთა ხელის მოწერა რუსულად.

რ. ახვერდიანისა და რ. ლომინაძის დაკვირვებით, ვახტანგის სამარ-

¹ Сборник законов грузинского царя Вахтанга VI», 1887, გვ. XI.

² საჯარო ბიბლიოთეკის ფონდი, В — 225, № (22) 34.

თლის წიგნის რუსულად დაბეჭდილი ტექსტის ქალაქს ქვირნიშნად უზის 1835—1836 წწ. ამის გამო და აგრეთვე სხვა საბუთებზე დამოწმების საფუძველზე წერილის ავტორები დაასკვნინან: «წიგნის ქალაქზე აღნიშნული ფილიგრანები არ იგაძლევენ უფლებას, დავათარილოთ ეს გამოცემა 1836 წელზე უფრო ადრე», «ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის პირველი რუსული გამოცემა განხორციელდა 1836 წელს»¹.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის პირველმა რუსულმა გამოცემამ დიდი ინტერესი გამოიწვია ევროპელ, პირველ რიგში ფრანკორიენტალისტებს შორის.

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს იბერიულ-კავკასიური ფილოლოგიის ფუძემდებელმა, ქართული კულტურის ისტორიის დიდმა მკვლევარმა მარია ბროსემ გამოჩენილი ორიენტალისტი სენ-მარტენის შთაგონებით ფრანგულად თარგმნა და დასაბეჭდად გადასცა ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის წიგნი.

ამის შესახებ მ. ბროსე წერდა: «ამავე ქართული კოდექსის მეშვიდე ნაწილი, რომელიც შეიცავს საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას. 267 მუხლად, ამ შენიშვნის ავტორის ფრანგული თარგმანითურთ დედნის პარალელურად დაიბეჭდება წელს, ნებართვისამებრ, სამეფო სტამბაში» (La septième partie du même Code géorgien, contenant la législation nationale de la Géorgie en 267 articles, sera imprimée, cette année, par autorisation, à l'imprimerie royale, la traduction française par l'auteur de cette note, en regard du texte).

ვახტანგის კრებულის მეორე რუსული გამოცემის რედაქტორი დ. ბაქრაძე, იმომწებს რა მ. ბროსეს ამ ცნობას, წერს: «ვახტანგის სამართლის წიგნის ფრანგული თარგმანის შესახებ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი წამოწყებული იყო თვით სენ-მარტენის შთაგონებით, დართული ჰქონდა ტექსტის კრიტიკული გარჩევა. განხილული იყო ექვნი უფის მიერ და ტექსტთან ერთად იბეჭდებოდა 1837 წელს. მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია და არაფერი შეგვიძლია ვთქვათ იმის შესახებ, გამოქვეყნდა თუ არა იგი და არსებობს თუ არა დღესაც?»².

მ. ბროსე იმ დროს უკვე ცნობილი ქართველოლოგი იყო, რომელსაც არაერთი შრომა ჰქონდა გამოქვეყნებული ქართული ენისა და კულტურის ისტორიის საკითხებზე. ცხადია, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ვახტანგის სამართლის ხელნაწერის მიხედვით მის მიერ შესრულებული თარგმანი დიდი შენაძენი იქნებოდა მეცნი-

¹ „განთიადი“, № 1, 1978, გვ. 168, 170.

² Сборник законов грузинского царя, Вахтанга VI, 1887, გვ. 159—160. შენიშვნა.

ერებისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ეს თარგმანი დაიკარგა.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის მეორე რუსული გამოცემა განხორციელდა თბილისში 1887 წელს. გამოცემის რედაქტორი დ. ბაქრაძე წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ მის მიერ შენარჩუნებულია ყოველგვარი ცვლილებების იარაღზე ტექსტის ოკიციალური ხასიათი, მაგრამ რაკი პირველი რუსული გამოცემის ქართულ ხელნაწერებთან შეჭერებისას ზოგიერთი მუხლის თარგმანში შეცდომები აღმოჩნდა, ჩვენ ქართული ტექსტის ნამდვილი აზრი შენიშვნებში მივუთითეთ, ხოლო ის მუხლები, რომლებიც პირველ გამოცემაში გამოტოვებული ან ორიგინალს მნიშვნელოვნად დაცილებული იყო, ხელახლა ვთარგმნეთ.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის რუსული თარგმანი შესრულებულია ქუთაისის 201 ტიპის ხელნაწერიდან, რომელშიც საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი 267 მუხლს შეიცავს. დედნის ხარვეზის გამო რუსულ თარგმანშიც გამოტოვებულია კრებულის შესავალში ჩამოთვლილ ძეგლებს შორის მეოთხე ძეგლი — «კ ა თ ა ლ ი კ ო ს თ ა ს ა მ ა რ თ ა ლ ი» (გვ. 146), და აგრეთვე 185-ე და 237-ე მუხლი, ხოლო 259-ე მუხლის მეორე ნაწილი როგორც ქართულში, ისე რუსულშიც დამახინჯებულია.

ვახტანგის კანონების პირველი რუსული გამოცემა მართლაც უვარგისია. როგორც ჩანს, მთარგმნელებს ქართული იურიდიული ტერმინები არ ესმოდათ. მეორე გამოცემაში ძველი თარგმანი აქა-იქ შესწორებული და გაუმჯობესებულია დ. ბაქრაძის მიერ. მიუხედავად ამისა, მეორე გამოცემაც მრავალ შეცდომასა და დამახინჯებას შეიცავს, ამიტომ აკად. ივ. ჯავახიშვილმა ორივე თარგმანი ერთნაირად უვარგისად მიიჩნია.

კრებულის მეორე რუსულმა გამოცემამ კიდევ უფრო გააცხოველა სამართლის ზოგადი ისტორიის მკვლევართა ინტერესი ქართული სამართლის ისტორიის საკითხების მეცნიერული შესწავლისადმი. 1889 წელს პაროზში გამოქვეყნდა სამართლის შედარებითი ისტორიის გამოჩენილი ფრანგი მკვლევარის როდოლფ დარესტის ნაშრომი, რომლის VI თავში მიმოხილულია ვახტანგის კრებულში შესული უცხოური და ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლები.

ავტორი შედარებით უფრო დაწვრილებით ჩერდება საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნით გათვალისწინებული ინსტიტუტების დახასიათებაზე. აღნიშნავს რა ვახტანგის სამართლის წიგნის დადგენილებათა ორიგინალურსა და ძველისძველ ხასიათს, იგი მიუთითებს, რომ, თუმცა ეს კანონები შედგენილია XVIII საუკუნეში, მაგრამ მისი დად-

გენ-ლებანი უძველეს დროს მიეკუთვნება და სწორედ ეს წინააღმდეგობა ფორმასა და შინაარსს შორის ხდის ვახტანგის კანონებს «ერთ ყველაზე საინტერესო ძეგლად სამართლის ისტორიაში» («un des monuments les plus intéressants pour l'histoire du droit»)¹

ნაშრომის სხვა ადგილას ავტორი ნატრობდა, ნეტავ ვინმე ორიენტალისტი გამოჩნდებოდეს, რომელიც ამ კანონებს თანამედროვე ევროპულ ენაზე გადათარგმნისო. სამართლის შედარებითი ისტორიისათვის ვახტანგის სამართლის წიგნის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას რომ განსაზღვრავს, იგი წერს: «უძველესი ეპოქების სჯულმდებლობათა შესწავლისას სასარგებლოა მათი შედარება კანონებთან, რომლებიც შედგენილია გაცილებით უფრო გვიან, მაგრამ იმავე ენით მეტყველებენ. XVIII საუკუნის ეს კოდექსი საუცხოო წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორი იყვნენ ბერძნები ჰომეროსის დროიდან დრაკონამდე, რომაელები პრეისტორიულ ხანაში, გალები—ცეზარამდე, გერმანელები — შემოსევათა ეპოქაში, რუსები — იაროსლავის გამგებლობის დროს და სკანდინაველები XIII საუკუნეში» («S'il est bon d'étudier les lois dont la rédaction remonte aux époques les plus reculées, il est utile de leur comparer celles qui ne datent que d'hier et qui cependant parlent le même langage. Ce Code du XVIII^e siècle nous fait mieux comprendre ce qu'étaient les Grecs au temps d'Homère et jusqu'à Dracon, les Romains au temps préhistorique, les Gaulois avant César, les Germains à l'époque des invasions, les Russes sous le règne de Jaroslav, les Scandinaves au XIII^e siècle»)²

ცხადია, რომ ასეთი შედარება მეტისმეტად პირობითია და შეიძლება დაშვებული იქნეს მხოლოდ გარკვეული მნიშვნელობით. მართლაც, როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ ჰომეროსის პერიოდის ბერძნებსა, რექსების ხანის რომაელების, იულიუს კეისრის დროინდელი გალების, რომის იმპერიის დაპყრობათა ეპოქის გერმანელების, იაროსლავის დროინდელი რუსების, XIII საუკუნის სკანდინაველებისა და XVIII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი წყობილების და იურიდიული ყოფის ერთგვარობასა და, თუ გნებავთ, მსგავსებაზედაც.

ვახტანგის დროინდელი საქართველო გვიანფეოდალური ხანის საქართველოა, რომელსაც გავლილი აქვს ფეოდალიზმამდელი საზოგადოებრივი წყობილების ფორმები, მაშინ, როცა ხსენებული ეპოქის

¹ Rodolphe Dareste, *Études d'histoire du droit*, Paris, 1889, 33. 129.

² იქვე, 33. 135.

ბერძნები, რომაელები და გერმანელები საზოგადოებრივი განვითარების მიხედვით ბარბაროსობის ზედა საფეხურზე იმყოფებოდნენ და ფეოდალური სამართლის ინსტიტუტები მათთვის სრულიად უცნობი იყო, რუსეთსა და სკანდინავიაში კი ფეოდალიზმის განვითარება ის-ის იყო იწყებოდა.

მეორე მხრივ, რ. დარესტის მიერ ვახტანგის სამართლის წიგნის შედარება დასახელებულ ხალხთა დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ეპოქებთან ხაზს უსვამს ქართული სამართლის ამ ძეგლის კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას და იმ ადგილს, რომელიც მას შედარებითი იურისპრუდენციის თვალსაზრისით სამართლის ზოგად ისტორიაში უჭირავს.

კრებულის დიდ კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1914 წელს გამოქვეყნდა გიორგი ბრწყინვალის «ძეგლის დადების» ინგლისური თარგმანი, შესრულებული ოლივერ უორდროპის მიერ. ძეგლის თარგმანს წამძღვრებული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა. ტექსტი გამოცემულია ვახტანგის კანონთა კრებულის ბოდლენის ბიბლიოთეკის ხელნაწერის მიხედვით, რომელიც საქართველოს ბატონიშვილს დაეითს ეკუთვნოდა.

ეხება რა კრებულში შესული ძეგლების კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას, ოლივერ უორდროპი წერს: მთელი ეს სჯულმდებლობა ევროპაში მხოლოდ ყურმოკრულად არის ცნობილი. იგი უაღრესად საინტერესოა შედარებითი იურისპრუდენციის შემსწავლელთათვის. კრებულის დიდინაწილი, რომელიც ვახტანგის სახელს ატარებს, თუმცა შედგენილია მეფერამეტე საუკუნეში ამ ბატონიშვილის მიერ, ემყარება ქართველი ერის ძველთა-ძველჩვეულებებს და მას შეუძლია წარმატებით მიიპყროს ასირიოლოგების ყურადღება» («All this mass of legislation is only known in Europe by hearsay. It is of extraordinary interest to students of comparative jurisprudence; and the large section which bears the name of Vakhtang, though edited by that prince in the eighteenth century, is based upon the most ancient customs of the Georgian race and might profitably engage the attention of Assyriologists»).¹ ინგლისური თარგმანის შესახებ იხილეთ «გიორგი ბრწყინვალის სამართალი», 1957. გვ. 90—94.

¹ Oliver Wardrop, Laws of King George V of Georgia, summarized „the Brilliant“ (Journal of the Royal Asiatic Society, July, 1914, გვ. 608)-

1934-1939 წლებში სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ კარსტი (Joseph Karst) ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ვახტანგის კრებულში შესული ქართული სამართლის ძეგლების თარგმანი და კომენტარები 5 წიგნად. ავტორის სიტყვით, თარგმანი შესრულებულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ვახტანგის კრებულის № 24 ხელნაწერის მიხედვით.

ამ ნუსხის ისტორიის შესახებ ექ. თაყაიშვილი წერს: «ეს ხელნაწერი, 1823 წ. ნიკოლოზ ბალინოვის მიერ გადაწერილი, შეუძენია საფრანგეთის კონსულს ტფილისში გამბას და დაუთმია პარიზის საკოროლო (ეხლა ნაციონალური) ბიბლიოთეკისათვის იანვარში 1825 წელს, რასაც მოგვიტხოვობს ფრანგული წარწერა. მთელი ტექსტი ამ ხელნაწერისა მ. ბროსეს გადმოუწერია თავისთვის. წერა დაუწყო 1828 წ. 23 დეკემბერს და დაუმთავრებია 27 თებერვალს 1829 წლისა¹. ბროსეს მიერ გადაწერილი ნუსხა ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (S—3682).

პარიზის ნუსხით ვახტანგის სამართლის წიგნი 267 მუხლი შეიცავს, მაშასადამე, იგი გადაწერილია ქუთაისის 201 ტიპის ხელნაწერიდან.

თარგმანს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა (გვ. 1—22), რასაც მოსდევს კრებულის შესავალი (გვ. 27—33) და კანონთა ტექსტი (გვ. 35—326). როგორც ითქვა, ამ ტიპის ქართულ ნუსხებში ხარვეზებია, ამიტომ კრებულის შესავლის ფრანგულ თარგმანში ნაცვლად შეიდი ძეგლისა, ჩამოთვლილია ექვსი (გვ. 30—31), ე. ი. გამოტოვებულია «კათალიკოსთა სამართალი». 185-ე მუხლის მხოლოდ სამი შემონახული სიტყვაა თარგმნილი — «მეწყერი რომ მოგლჯდეს» (გვ. 227), ხოლო 237-ე მუხლის თარგმანი (გვ. 293) შესრულებულია დ. ჩუბინაშვილის მიერ «ქართულ ქრესტომათიაში» დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით. I ტომის პირველ ნაკვეთში მოთავსებულია საკუთრივ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის თარგმანი, რომელსაც წამძღვარებული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა. I ტომის მეორე და მესამე ნაკვეთები შეიცავს ვახტანგის სამართლის მუხლობრივ კომენტარებს². ნაშრომი მიძღვნილია იბერიულ-კავკასიური ფილოლოგიის ფუძემდებლის მარ ბროსეს ხსოვნისადმი.

II ტომის პირველ ნაკვეთში დაბეჭდილია ბექასა და აღბუღას სამართლის თარგმანი, ხოლო ამავე ტომის მეორე ნაკვეთში ბექასა და

¹ ექ. თაყაიშვილი. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები... პარიზი, 1933, გვ. 55—56.

² Le Code de Vakhtang VI, édité en version française et annoté par Joseph Karst, Strasbourg, 1934—19:7.

აღბუღას სამართლის მუხლობრივი კომენტარები და გიორგი ბრწყინვალის «ძეგლის დადების» ფრანგული თარგმანი¹.

ამრიგად, ვახტანგის კრებულში შესული ქართული სამართლის ძეგლებიდან კარსტის მიერ თარგმნილია ფრანგულ ენაზე ვახტანგის სამართლის წიგნი, ბექასა და აღბუღას სამართალი და გიორგი ბრწყინვალის «ძეგლის დადება». რაც შეეხება «კათალიკოსთა სამართალს», დასახელებულ ტომებში იგი შეტანილი არ არის და, როგორც ჩანს, კარსტმა მისი თარგმნა და გამომქვეყნება ვერ მოასწრო.

უნდა აღინიშნოს, რომ კარსტის მთარგმნელობითი მეთოდი ტექსტის თავისუფალი და განმარტებული გადმოცემით ხასიათდება. კანონთა ტექსტში კარსტს შეტანილი აქვს მთელი რიგი განმარტებითი ხასიათის წინადადებები, რომელთა ერთი ნაწილი კაეებშია ჩასმული, ხოლო დანარჩენი შერწყმულია ტექსტის ფრანგულ თარგმანში. ორიგინალის ლაკონიური სტილი და ფორმულები თარგმანში დაცული არ არის. ფრანგული თარგმანი ქართული ტექსტის კომენტარულად გადმოცემა და მოცულობით დიდად აღემატება ორიგინალს. კარსტი იმოწმებს პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერს, მაგრამ, როგორც ჩანს, მან ძველი ქართული ენა იმდენად არ იცოდა. რა ქართული ტექსტის აღდგენა და შესატყვისი თარგმანის შესრულება ეკისრა. მისი თარგმანი ძირითადად კრებულის 1887 წლის რუსულ გამოცემას ეყრდნობა. ზემოაღნიშნულის გამო ამ ფრანგული გამოცემის სამეცნიერო მნიშვნელობა მცირეა და მკითხველს იგი მხოლოდ კანონთა საერთო შინაარსის გასაცნობად გამოადგება.

ამასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება მკითხველს მოვავაგონოთ ის შეფასება, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილმა მისცა ყოფიერ კარსტის ნაშრომს «იბერიულ-კავკასიურის შედარებითი გრამატიკის ძირითადი მონახაზი»: «მხოლოდ ძველი და თანამედროვე ქართულის ცხადი უცოდინარობის ნაყოფი უნდა იყოს ის ვარაუდობა, რომ ძველად სხვადასხვა წარმოშობილობის, მაგრამ დროთა განმავლობაში დამსგავსებული სიტყვები კარსტს მონათესავე სიტყვებად მოსჩვენებია. რა თქმა უნდა, რომ ასეთის ცოდნით აღჭურვილ მკვლევარს შეეცდომები მრავლად უნდა ჰქონდეს და ასეთ პირობებშიც ყოველი შედარების ღირებულებაც სათუო ხდება»².

ამასვე ადასტურებდა აკად. ექ. თაყაიშვილიც, რომელიც კარსტს პირადად იცნობდა.

¹ Code d'Aghbougha III, II², Strasbourg, 1938—1939.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 90.

V ძველი, შუა და ახალი დროის სამართლებრივი ინსტიტუტები არ წარმოადგენენ ერთიმეორას უარყოფას. პირიქით, მათი განვითარება გვიჩვენებს იგარკვეულ თანმიმდევრობასა და მონაცვლეობას. იერძ-წელმა სამართალმა ცოტა რამ როდი შეითვისა ძველადმოსავლური სამართლიდან: რომაულ სამართალში საკმაოდ მოიპოვება ბერძნული ცვლემენტები: შუა საუკუნეების ევროპის სამართლის მნიშვნელოვან ნაკადს რომის სამართალი შეადგენდა. თვით ნაპოლეონის Code Civil-მაც, განსაკუთრებით ვალდებულებითი სამართლის დარგში, ბევრი რამ ისესხა იუსტინიანეს Corpus juris civilis-იდან. რომლის სამართალი კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სამართლის ყველაზე სრულყოფილი ფორმა იყო და ამიტომ ვერც ფეოდალურმა და ვერც ბურჟუაზიულმა კანონმდებლობამ ვერ შეძლო მასში რაიმე არსებითი ცვლილებების შეტანა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის გერმანელი ისტორიკოსები და იურისტები მკვლევლობის გამოსასყიდ ჯარიმას მხოლოდ გერმანული სამართლის ინსტიტუტად სთვლიდნენ, მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ფ. ენგელსი, «ეს ვირა, რომელიც ჯერ კიდევ წინა თაობაში სპეციფიკურ გერმანულ დაწესებულებად იყო მიჩნეული, აქლა ასეულობით ხალხებში დადასტურებულია როგორც სისხლის აღების შეზღუდვის საყოველთაო ფორმა, რომელიც გვაროვნული წყობილება და გამომდი-ნარეობს»¹.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ძველი სჯულმდებლობის მონუმენტური და უნიკალური ძეგლები, რომელთა კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა ცივილიზაციის ისტორიისათვის განუზომელი და ფასდაუდებელია. დაგროვდა მრავალრიცხოვანი იურიდიული დოკუმენტები და კერძოუფლებრივი აქტები, რომელთაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ სამართლის უძველესი ისტორიის შესასწავლად. ამჟამად სამართლის ზოგად ისტორიას მოპოვებული აქვს უმდიდრესი მასალა, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია კაცობრიობის განვითარების ისტორიის შესწავლა.

შედარებითმა იურისპრუდენციამ, რომლის მძლავრი აღმავლობა XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა სამართლის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა ახსნისათვის.

¹ ფ. ენგელსი, ოჯახის კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 191—192.

სამართლის შედარებითი ისტორიის მეცნიერება ცდილობდა სამართლებრივი ინსტიტუტების ისტორია ისტორიული პროცესების მთლიანობაში შეესწავლა და ამ გზით იგაერკვია ის, თუ რა ადგილი უკავია სამართლის ისტორიაში ამა თუ იმ სამართლებრივ ინსტიტუტს. სამართლის ზოგადი ისტორია ამოცანად ისახავდა შეესწავლა ყველა ისტორიულად არსებული ხალხის სამართალი არა დოგმატურ-ემპირიულად, არამედ მათ ურთიერთობასა და მთლიანობაში, მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებების გამორკვევის, მათი განვითარების კანონზომიერებათა გამოვლინებისა და ახსნის მიზნით. მაგრამ შედარებითმა იურისპრუდენციამ ამ ამოცანის შესრულება ვერ შეძლო.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ერთმანეთს ადარებდა ზოგჯერ ისეთ ხალხთა ცხოვრებიდან აღებულ მოვლენებს, რომლებიც სულ სხვადასხვა პირობებში იმყოფებოდნენ და საზოგადოებრივი განვითარების სრულიად სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის შედარებითი ისტორიის თვალსაზრისით. იგი შეიცავს მდიდარ და ძვირფას მასალას სამართლის ზოგადი ისტორიის შესასწავლად. კრებულში შეტანილია საქრისტიანო მსოფლიოში ცნობილი სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, რომელთა შორის პირველი და უძველესია ბიბლიური სჯულმდებლობის კომპილაცია ანუ გამოჩაკრები «მეორე სჯული»-დან მოსეის სამართლის სახით, რომელიც ძველი დროიდანვე მოქმედებდა საქართველოში—საქრისტიანო მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ქვეყანაში.

კრებული შეიცავს აგრეთვე სირიულ-რომაულ სამართლის წიგნს, რომელიც შედგენილი იყო V საუკუნის ბოლოს და მოქმედებდა აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნებში, მათ შორის სომხეთსა და საქართველოში.

ბიზანტიურა სამართალი წარმოდგენილია კრებულში ბერძნული სამართლის სახით, რომელიც არმენოპულოს «ექვსი წიგნე ულისა» და ბლასტარის სინტაგმის, ბიზანტიური სამართლის საქვეყნოდ ცნობილი კრებულების, კომპილაციას წარმოადგენს.

დაბოლოს, კრებულში შესული უცხო ძეგლებიდან აღსანიშნავია მხითარ გოშის სამართლის წიგნი, რომელიც ძველსაერთო და საეკლესიო სჯულმდებლობის ნორმებთან ერთად სომეხი ხალხის უძველეს და უმნიშვნელოვანეს ჩვეულებებს შეიცავს. სომხური სამართლის მოქმედება და გამოყენება განსაზღვრულ ადგილებსა და დარგებში დადასტურებულია ჩვენშიც.

ამრიგად: ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულ-

ლის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ერთი მხარე ის არის, რომ იგი წარმოადგენს საქრისტიანო მსოფლიოს სჯულმდებლობის საყოველთაოდ ცნობილი ძეგლების თავისებურ კორპუსს, რომელიც მოსეს სჯულის, სირიულ-რომაული, ბიზანტიური და სომხური სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს შეიცავს. ნიშანდობლივია, რომ ამგვარი კრებული არც ერთი ხალხის სამართლის ისტორიაში ცნობილი არ არის.

მაგრამ სამართლის შედარებითი ისტორიის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია კრებულის მეორე მხარე, ე. ი. კრებულის ის ნაწილი, რომელიც ქართული სამართლის ორიგინალურ ძეგლებს წარმოგვიდგენს, აქ პირველ რიგში, დროისა და მნიშვნელობის მიხედვითაც, ბექასა და აღბუღას სამართალი უნდა აღინიშნოს. ეს ძეგლი შეიცავს მდიდარ მასალას საქართველოს სოციალური და იურიდიული წყობილების შესახებ. მან დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე, განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე. XVIII საუკუნის დასაწყისში ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის დიდი ნაწილი, სათანადო რედაქციით, ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნში შეიტანა და ამით ეს ნორმები დაკანონდა, როგორც მოქმედი სამართალი.

ბექასა და აღბუღას კანონებს ქართული სამართლის ისტორიისათვის ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც «სალიკურ სამართალსა» (Lex Salica) და «საქსონიის სარკეს» (Sachsenspiegel) ძველი გერმანული სამართლის ისტორიისათვის, ანდა «Русская Правда»-ს რუსული სამართლის ისტორიისათვის. მართალია, ბექასა და აღბუღას სამართალი თავდაპირველად შედგენილი იყო სამცხის სამთავროსათვის, რომელიც იმ დროს ფეოდალური საქართველოს მოწინავე მხარე იყო და თითქმის მის ერთ მესამედს შეადგენდა, მაგრამ სულ მალე ეს კანონები საქართველოს სხვა სამთავროებშიც გავრცელდა და მოქმედ სამართლად იქცა. ამიტომ აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული ინსტიტუტები დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ შუა საუკუნეების საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც, რომელთა საზოგადოებრივი წყობილება აქვე ფეოდალური იყო.

როგორც ცნობილია, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დიდება ადგილობრივი ხასიათის სჯულმდებლობაა. ძეგლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობანი ხასიათდებიან მთიულეთის თემური ყოფა-ცხოვრების თავისებურებებით, სუსტად განვითარებული სამართლებრივი შეგნებით, პრიმიტიული სამართლისათვის დამახასიათებელი შურისძიების უფლების დაკანონებითა და, საერთოდ, ხევის ადათობრივი სამართლის ძლიერი გავლენით. სამარ-

თლის წიგნში ასახულია მთიელთა პატრიარქალური ყოფა, მტკიცედ დამკვიდრებული თემური ურთიერთობებითა და წეს-ჩვეულებებით.

ამავე დროს ძეგლის დადება შეიცავს რამდენიმე მეტად საყურადღებო დადგენილებას, რომლებიც დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ განვითარებული ქართული ფეოდალური სამართლისათვის (მუხ. 15, 16, 23—24, 32—40, 44—46). ძეგლის დადების ორივე ეს თავისებურება მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია შედარებითი იურისპრუდენციისათვის.

საყურადღებო ძეგლია კათალიკოზთა სამართალიც. თავდაპირველად იგი შედგენილი იყო როგორც დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სჯული, მაგრამ შემდგომ მისი მოქმედება მთელ საქართველოში გავრცელდა. კათალიკოზთა სამართალი ეროვნული სჯულმდებლობის მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელშიც ასახულია ქართული ეკლესიის წესები, მისი კანონმდებლობითი ტრადიცია და პრაქტიკული მოღვაწეობა. მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია კათალიკოზთა სამართლის მეორე მხარე—მისი დამოკიდებულება მსოფლიო საეკლესიო კრებათა სჯულმდებლობასთან, საქართველოში სჯულის კანონისა და საერთოდ ბიზანტიური სამართლის მოქმედების გავრცელებასთან.

კრებულის მეშვიდე და უკანასკნელ ნაწილს შეადგენს საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი, რომელიც ქართული სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ძეგლია. იგი წარმოადგენს მთავარსა და უნიკალურ წყაროს გვიანფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი წესწყობილების შესასწავლად. ძეგლი შეიცავს მდიდარ მასალას XVII—XVIII სს. საქართველოს სამეურნეო წყობილების შესახებ. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის გადმოცემა წარმოუდგენელია ვახტანგის კანონების საფუძვლიანი შესწავლის გარეშე. სამართლის წიგნში მოცემულია ფეოდალური ქართლის საზოგადოებრივი წყობილების, კლასებისა და სოციალური ფენების ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის მკაფიო სურათი. მასში ასახულია საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის მრავალვეროვანი ინსტიტუტები, ხალხის ჩვეულებები, იურადიული ყოფა და მართლშეგნება. საქართველოს ისტორიის ყველა დარგის მკვლევარი—ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ეკონომისტი, იურისტი, ენათმეცნიერი, ნუმისმატიკოსი თუ მეცნიერებათა სხვა დარგის წარმომადგენელი—უხვსა და ძვირფას მასალას პოულობს ამ შესანიშნავ ძეგლში.

ვახტანგის სამართლის წიგნის შესწავლისას, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჩვენი სამართლისათვის უცხოა ბრალდებულის ტანჯვა-წამებით გამოტეხის ის საშინელი ხერხები (ძვლების მტკრევა,

ფეხით ჩამოკიდება, ხელ-ფეხის შანთით დაწვა და სხვ.), აგრეთვე მსჯავრდებულის სიკვდილით დასჯის შემადრწუნებელი და შემზარავი სახეები (ანძახე აცმა, ცეცხლში ან მღვდარეში ჩაგდება, ხელ-ფეხისა და თავის მოჭრა, ბორბლებზე დაგლეჯა, ცოცხლად დამარხვა, გამდნარი ლითონის ყელში ჩასხმა, ნეკნით ჩამოკიდება და სხვ.), რომლებიც გავალისწინებული იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის საკანონმდებლო ძეგლებით. ამ მხრივ ვახტანგის სამართალი გაცილებით უფრო პროგრესული, ლმობიერი და ჰუმანურია, ვიდრე სხვა საქრისტიანო ქვეყნების მისი თანამედროვე სჯულმდებლობა.

სამართლის შედარებითი ისტორიის გამოჩენილი ევროპელი და რუსი მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ ვახტანგის სამართლის ორიგინალობას, მის თვითმყოფობას, მის ეროვნულ ხასიათს, მართალია, იგი შედგენილია XVIII საუკუნის დასაწყისში, მაგრამ მასში ასახულია გაცილებით უფრო ადრინდელი სამართლებრივი ინსტიტუტები, ქართველი ხალხის ძველთაძველი ჩვეულებები, რომლებიც უადრესად საინტერესოა შედარებითი იურისპრუდენციის თვალსაზრისით.

მაგრამ, ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ვახტანგის სამართალში გადმონაშთის სახით შემორჩენილია დრომოკმული სასამართლო ორდალების ფორმები.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა კიდევ უფრო ცხადი სდება კრებულში შეტანილი სირიულ-რომაული და ბიზანტიური სამართლის წიგნების შესწავლისას. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველო მჭიდრო კულტურულ და სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ბიზანტიასთან. ქართულმა სამართალმა თავისებურად დაამუშავა და გამოიყენა ბიზანტიური სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტი და მოხდენილად შეუფარდა ისინი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს. ბერძნულ-რომაული სამართლის მიმართება ქართულ სამართალთან და იმ თავისებური ხასიათისა და შინაარსის გარკვევა, რაც ბიზანტიური სამართლის ინსტიტუტებმა საქართველოში მიიღო, დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის პრობლემაა, რომელიც ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს სამართლის მსოფლიო ისტორიის პირველსარისხოვნად ძეგლთა შორის აყენებს.

ვახტანგის სამართლის საკანონმდებლო წყაროები

1. ვახტანგის კანონების მოკვლევისა და სავალდებულო ძალის შესახებ

(ვახტანგის სამართლის ძირითად წყაროს ქართული ჩვეულებითი სამართალი შეადგენს. სამართლის წიგნის მუხლების უმეტესი ნაწილი ჩვეულებითი სამართლის სფეროდანაა აღებული (6—14, 26—49, 98—149, 160—172, 198—204, 223—224, 232—239 და სხვ.).

ამასთან ერთად, როგორც სამართლის წიგნის შესავლიდან და ბოლო-სიტყვაობიდან ჩანს, საქანონმდებლო კომისია ფართოდ იყენებდა სასამართლო პრაქტიკასაც.

მოკლედ შევეხოთ საკითხს იმის შესახებ, თუ რა გავლენა იქონია ვახტანგის კრებულში შეტანილმა უცხოური და ეროვნული კანონმდებლობის ძეგლებმა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნზე. ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევჩერდეთ ვახტანგის კრებულის უცხოური და ეროვნული სამართლის ძეგლების მოქმედებისა და სავალდებულო ძალის საკითხებზე.

ზოგიერთი მწერალი, საერთოდ უარყოფს ვახტანგის კრებულში შეტანილი ძეგლებისა და მათ შორის, საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედების ძალას. ალ. ჯამბ-ორბელიანი, რომელიც ვახტანგ მეფეს საქართველოს დამანგრეველად თვლის, წერდა: «ქრისტიანმა მეფე ვახტანგმა კი ქრისტიანებს მომხრებითა საქართველო დააქციეს. ამის შედეგად რაწი გავამართლო მეფე ვახტანგ? რომ დაწერა იმაში? მაშინ ის რჯული არც უხმარიათ, არც მოქმედებაში ჰქონიათ და ან ვინ მოიცილდა იმისთვისა, ასეთი დრო იყო მაშინ საქართველოში. მეფის ვახტანგის რჯულისა არაფრისთანა არა იყო რამაშინ საქართველოში არაფერსეუდ!»¹.

დაახლოებით ამავე აზრს ავითარებს კ. ბოროზდინიც: «ჩვეულებითი სამართალი, ჩაწერილი მეფე ვახტანგის მიერ წასულ საუკუნეში და არეული მოსეს და აღბუღას კანონებთან ერთად, წარმოადგენდა კრებულს, რომელსაც თავის დღეებში არა

¹ ალ. ჯამბ-ორბელიანი, დღისტილიდან ლექსების გამოხედა და სხვა ამბები, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1914, გვ. 15—16.

ჰქონია საკანონმდებლო კოდექსის მნიშვნელობა, ამას მხოლოდ მოსამართლენი ხმარობდნენ საქმის გარჩევის დროს სხვადასხვა ცნობების ამოსაყრებად¹.

ვახტანგ VI კანონთა კრებულის მეორე რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში კრებულის გამომცემელი ა. ს. ფრენკელი წერდა: «Исследователи старых грузинских законов: граф Блудов, кн. Багратион-Мухранский, Д. З. Бакрадзе и некоторые другие согласны между собою в том, что действовавшим законом в Грузии следует признать исключительно Уложение царя Вахтанга»².

ქართულ საბჭოთა მეცნიერთაგან ვახტანგის კრებულის სამართლის წიგნების მოქმედებისა და სავალდებულო ძალის შესახებ აზრი გამოთქვეს პროფ. ალ. ვაჩეიშვილი და პროფ. ივ. სურგულაძე.

იხილავს რა ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის სავალდებულო ძალის საკითხს, პროფ. ალ. ვაჩეიშვილი წერს: «მეფე ვახტანგ საკუთარ დებულებას სავალდებულო ძალას ანიჭებდა, როგორც ყველაზე უფრო შეგუებულს ქართულ ყოფა-ცხოვრებასთან; რაც შეეხება სხვა იურიდიულ ძეგლებს, ისინი დადებითი სამართლის დამხმარე წყაროს წარმოადგენდნენ. ამგვარად, მოქმედი სამართალი მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის დებულებით არ ამოიწურებოდა; ვახტანგის დებულება. სარგებლობდა უპირატესობით, მაგრამ სასამართლოს ჰქონდა კომპილაციის სხვა ნომების შეფარდების უფლება, თუ ამის საჭიროება მოითხოვდა»³.

პროფ. ივ. სურგულაძე საკმაოდ დაწვრილებით იხილავს აღნიშნულ საკითხს და გამოთქვამს შემდეგ ძირითად მოსაზრებებს: «ვახტანგის კანონთა კრებულის სხვადასხვა ნაწილი, გარდა თვით ვახტანგის წიგნისა, არ იყო მოქმედი კანონი ვახტანგის დროს და ისინი არც ამ პერიოდის სამართლის ისტორიის შესასწავლად გამოდგებიან»⁴. ამავე აზრს იმეორებს ავტორი დასახელებული ნაშრომის სხვა გვერდებზეც: «ვახტანგის სამართლის კრებულის ქართული სამართლის წიგნებს, გარდა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნისა, არ ჰქონდა სავალ-

¹ კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934, გვ. 269.

² Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, გვ. I—II.

³ ალ. ვაჩეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, I, 1946, გვ. 18.

⁴ ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიათვის, I, 1952, გვ. 81.

დებულო ძალა»¹. «კრებულში შემავალ სამართლის წიგნებს არა აქვთ კანონის ძალა. კრებულის ეს წიგნები შესადარებელ მასალას წარმოადგენს... ვახტანგის კანონთა კრებულში შეტანილ უცხოეთის სამართლის წიგნებს ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელობა აქვს იმდენად. რამდენადაც მათი საშუალებით შესაძლებელი არის ამათუიმ იურიდიული ტერმინის გამორკვევა»².

ამრიგად, ავტორის აზრით, კანონთა კრებულში შეტანილ ქართული სამართლის წიგნებს კანონის ძალა არა აქვს, ისინი არ გამოდგება ვახტანგის პერიოდის სამართლის ისტორიის შესასწავლად, მათ მხოლოდ შესადარებელი მასალის ხასიათი აქვთ; იხილო კრებულში შესული უცხო სამართლის ძეგლების მნიშვნელობა ის არის, რომ მათი საშუალებით შეიძლება ამა თუ იმ იურიდიული ტერმინის მინაარსის დადგენა.

• რაც შეეხება საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის სავალდებულო ძალას, ამ საკითხზე პროფ. ივ. სურგულაძეს ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები აქვს გამოთქმული. ერთ შემთხვევაში იგი სამართლის წიგნს მოქმედ კანონად თვლის, ხოლო მეორე შემთხვევაში უარყოფს მის სავალდებულო ძალას. «ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, შედგენილი ქართლის სამეფოში ქართლის სამეფოს დარბაზის მონაწილეობით, მოქმედებდა მთელს საქართველოში»³.

ნაშრომის წინა გვერდებზე კი ავტორი წერს: „ვახტანგის სამართლის წიგნს სავალდებულო ძალა არც კი აქვს, თითქოს კანონმდებელი მბრძანებელი კი არ არის, არამედ მრჩეველი»⁴. «საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის სავალდებულო ძალა პირობითია; ის უფრო საცნობარო მნიშვნელობისაა... ვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედების სავალდებულო ძალა მეტად შეზღუდულია. თუ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის მოქმედების სავალდებულო ძალა ასე პირობითია, მით უმეტეს ნაკლებად ექნებოდა სავალდებულო ძალა ვახტანგის სამართლის კრებულში შემავალ სხვა სამართლის წიგნებს»⁵.

¹ ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1, 1952, გვ. 88.

² იქვე, გვ. 93.

³ იქვე, გვ. 113.

⁴ იქვე, გვ. 85.

⁵ იქვე, გვ. 87.

დაბოლოს. ავტორი იძლევა ასეთ დასკვნას: აცენტრალური ხელი-სუფლების სისუსტის გამო საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის სავალდებულო ძალა მეტად პირობითია; ფაქტიურად ვახტანგის სამართლის წიგნის სავალდებულო ძალის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლეს შეუძლია მისი გამოყენება. ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს სასამართლო პრაქტიკა¹.

მაგრამ ზემოთ მოტანილი მოსაზრებანი ჯეროვნად დასაბუთებულნი არ არის. ჩვენს მიერ გამოქვეყნებული სასამართლო აქტები სწორედ საწინააღმდეგოს ამტკიცებენ². უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის სასამართლო აქტები, რომლებიც გადაწყვეტილების გამოტანისას ხშირად ვახტანგის სამართლის წიგნს იმორჩებენ, ცხადად მეტყველებენ იმაზე, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი მოქმედი სამართალი იყო, რომელსაც სავალდებულო ძალა ჰქონდა. კანონთა სავალდებულო ძალა იმას ემყარებოდა, რომ სამართლის წიგნის ძირითად წყაროს ქართული ჩვეულებითი სამართალი შეადგენდა, რომლის მოქმედება საკანონმდებლო წესით სანქცირებულ იქნა სჯულმდებელი მეფის მიერ.

XVIII საუკუნის სასამართლო განჩინებებში ვახტანგის სამართლის წიგნს ხშირად მისი ავტორის დაუსახელებლად, «სამართლის წიგნს», «ქართულ სამართალს», «საქართველოს სამართალს», ან «საქართველოს სამართლის განწესებას» უწოდებენ³.

ივ. სურგულაძის აზრით, როცა წყაროები «ქართულ სამართალს» ან «სამართალს» იხსენიებენ, «ასეთ შემთხვევაში დაუწერავი, ჩვეულებითი სამართალი უნდა იგულისხმებოდეს». სინამდვილეში კი პირიქით: ეს ნიშნავს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი, რომელიც ქართლის სამეფოსათვის იყო შედგენილი, სულ მალე მთელ საქართველოში გავრცელდა და «საქართველოს სამართლად» იქცა.

ამ მხრივ ფრიად ნიშანდობლივია სოლომონ მეორის განჩინება ხუტუ მიქელაძის ქალისათვის მამულის დამკვიდრების თაობაზე. ხუტუ მიქელაძეს თავისი ქალიშვილისათვის ანდერძით თა-

¹ ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 92.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV—VI, 1972—1977 წწ.

³ იქვე, ტ. IV, 1972, გვ. 272, 439, 552, 623, ტომი V, 1974, გვ. 42, 276, 441, 533, 540, 590, 652, 659, 693.

ვის ყმა და მამული დაუმკვიდრებია, ანდერძი მეფეს ბეჭდით დაუმტკიცებია. მიქელაძეებს ამაზე შფოთი აუტყენიათ: ასეთი რამ «ჩვენში არ ქნილაო». განჩინებაში ნათქვამია: «წიგნი სამართლისა იმერეთისა, აღწერილი მეფის ვახტანგისაგან, დამტკიცებულ იქმნა ყოვლისა სოფლისაგან ყოველთა კელშიფეთაგან, ღმრთისა და კაცთაგან»¹. ვახტანგის სამართალი, ვითორცა «წიგნი სამართლისა იმერეთისა», ამ განჩინებაში არაერთგზისაა დამოწმებული. მაშასადამე, იმერთა მეფე სოლომონ მეორე, ვახტანგის მიერ შედგენილ სამართალს იმერეთის სამართალს უწოდებს. ვახტანგის სამართლის გავრცელება და სამოქმედოდ შემოღება იმერეთში სოლომონ მეორემდე დიდი ხნით ადრე მომხდარი ფაქტია.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალში, რომელიც შედგენილია საკოდიფიკაციო კომისიის მიერ თვით ვახტანგის მითითებით და რომელიც სჯულმდებელი მეფის ნებასურვილს გამოხატავს, კრებულში შესული უცხო სამართლის ძეგლებისა და საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის შესახებ ნათქვამია: «რამეთუ ყოველთა ქვეყანათა, ყოველთა სამეფოთა თვითოეული რიგი, გინა სამართალნი და ქცევა აქუან და განუწესებდესთ, და არა მსგავს არს ერთი იგი სხვათა მეორესა სამეფოსასა, და თვისთა საქმეთა იქმან, ეგრეთვე სხვა ესე შემოსენებული მრავალნი უკმარ არს და არცა იქმან, ქვეყნად ამაღ ოდენ, ესე უმჯობესი, ესე გამგებლისა ვახტანგის მიერ თქმული არს საქნელი, და ამით სჯიდენ. ნუ უკუე თქუას ვინმემ, რად შეურაცხიდელნი ესე სამართლები და უმჯობესად ახალსა ამას კმობენ. ნუ ყოს ღმერთმან შეურაცხება პირველთა, არამედ ქვეყნად ჩვენდა ესე არს უმჯობესი».

სჯულმდებელი მეფისა და საკანონმდებლო კომისიის ეს დებულება თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოღებულია ვახტანგის სამართლის წიგნის ბოლოსიტყვაობიდან, რომელიც თვით ვახტანგს ეკუთვნის. «ვინათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქვეყნისა რიგთა და ქცეულებათა, სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი და სიკვდილი, სხვა არს ღალატი და უკადრისი, ამაღ ესე ვითარისა სამართალნი სხვათა

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VI, გვ. 432.

გახაჩენტა შინა მოკლედ იპოების და მათი წიგნი უფროს ჩვენ და უკმარ არს. ნუ სიქადულად შემირაცხავთ, და ვგონებთ უმჯობესად ყოველთასა წიგნსა ამას, სასარგებლოდ ქვეყანისა ამისად, ამად ნურავინ სძულობთ და იუნდოვებს».

ამრიგად, სჯულმდებელი მეფე და საკანონმდებლო კომისია ორგზის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი კრებულში შესულ სამართლის წიგნთა შორის «უმჯობესი ყოველთასა წიგნსა» და ამიტომ უნდა «ამით სჯილდენ». რა თქმა უნდა, ოფიციალურად სანქცირებულ და სახმარად უპირატესად რეკომენდებულ ვახტანგის სამართალს სავალდებულო ძალაჰქონდა.

ზემოთ აღნიშნულის გამო არ დასტურდება ივ. სურგულაძის აზრი, რომ «ვახტანგის სამართლის წიგნის სავალდებულო ძალა პირობითია, ის უფრო საცნობარო მნიშვნელობისაა». XVIII საუკუნის სასამართლო პრაქტიკა, რაც სასამართლო განჩინებებშია აღბეჭდილი, სწორედ საწინააღმდეგო დასკვნის საფუძველს გვაძლევს.

2 ქართული სამართლის წიგნები და ვახტანგის კანონები

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ქართული სამართლის წიგნები — გიორგი V-ის ძეგლის დადებამ, აღბუღას სამართალი და კათალიკოსთა სამართალი ივ. სურგულაძის აზრით, თუმცა ისინი ქართულ ფეოდალურ სინამდვილეს ასახავენ, მაგრამ არა ვახტანგის დროისას და ამიტომ, ამ პერიოდის სამართლის ისტორიის შესასწავლად არ გამოდგებიან. «ვახტანგის სამართლის კრებულში შეტანილი ქართული სამართლის წიგნები ვახტანგის დროის წინა პერიოდში არის შედგენილი და ამდენადვე ისინი შეუსაბამოა ვახტანგის პერიოდისათვის»¹. ეს მოსაზრება არასწორია.

როგორც ცნობილია ევროპული და რუსული სამართლის ისტორიიდან, ფეოდალიზმის ხანაში წინარე პერიოდებში შედგენილი საერთო-სახელმწიფოებრივი თუ ადგილობრივი ხასიათის კანონმდებლობა ხშირად შემდგომი საუკუნეების სამართლისა და საკანონმდებლო აე-

¹ ივ. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952, გვ. 88.

გლების მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა. ასე იყო საქართველო-შიც. (

△ ბექასა და ალბუღას სამართლის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: ამ ძეგლის მოქმედების ასპარეზი, საქართველოს ტერიტორიის თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა, მაგრამ «რადგან ამ დროს მესხეთსა და საქართველოს დანარჩენ ცენტრალურ ადგილებს შორის კულტურულსა და სოციალური მდგომარეობის მხრივ რაიმე თვალსაჩინო განსხვავება არ უნდა ყოფილიყო, ამიტომ ამ ძეგლის ანალიზით მოპოებული სურათი ნაწილობრივ შეიძლება დანარჩენ (მთა-ადგილებს გარდა) საქართველოსთვისაც დამახასიათებლად მივიჩნიოთ»¹.

მოსაზრება, რომ ბექასა და ალბუღას სამართალი «შეუსაბამოა ვახტანგის პერიოდისათვის» არ დასტურდება ვახტანგის შემდგომი პერიოდის სასამართლო პრაქტიკითაც. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სასამართლო განჩინებები შეიცავენ მითითებებს ბექა-ალბუღას კანონების გამოყენების შესახებ.

კახთა მეფე თეიმურაზ მეორე 1743 წლის 14 ივნისს, ეპისკოპოს-დარბაისელთ მონაწილეობით, იხილავს გიორგი გოგენიაშვილისა და ზაზა ჯანდიერიშვილის ჩხუბის საქმეს. განაჩენში ნათქვამია: რადგან გოგენიაშვილი «დაბალი კაცი არის და ამ სისხლის მიცემას ვერ შეიძლებს... ნიფხვი-თაოდენ გაშიშვლებულად ზოლოთა შვიდთა ბიჯთა ჩაათრიონ და მის კაცისა მეტრემან სამი შოლტი უნდა ამოჰკრას, საწბილო არის ხალხში. ეს ორში ერთმანეთის ნებით, რომელიც უნდა, ირჩიონ. გოგენიაშვილმა თუ ეს სასირცხო სასჯელი ირჩიოს, ჯანდიერიშვილები მიყვენენ, რადგან დაბალი კაცი არის და სისხლის მიცემა არ შეუძლია»².

ეს გამაწბილებელი სასჯელი, როგორც ცნობილია, გათვალისწინებულია ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის მე-13 მუხლში და კანონმდებლის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი «დღი დისახიჩარი და საუკუნო სირცხვილის საქმეა». ამრიგად, როგორც ვხედავთ, ბექა-ალბუღას სამართალი კახეთშიც მოქმედებს XVIII საუკუნეში.

1791 წლის 9 მაისის განჩინება ზაზა მაღალაშვილის ყმის თევდორე ბიძინაშვილის საქმეზე ადგენს: «ზურაბ ფირანს თავის სახლში მიხდომია უსამართლოდ და დამხდომს ის

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, 1928, გვ. 111-112.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972, გვ. 356.

მე-11 დომი მოუკლავს. საქართველოს სამართლის განწესებით დამხდომმა მომხდომი რომ მოკლას, სისხლს არ მიაცემინებენ»¹. ამ შემთხვევაში სასამართლოს მხედველობაში აქვს ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის მე-12 მუხლი, რომლის თანახმად «ზედა დამსხმელისა სისხლი არ არის». ეს მუხლი საფუძვლად დაედო ვახტანგის სამართლის წიგნის 50-ე და 51-ე მუხლს.

ანალოგიური ხასიათის საქმეს იხილავს 1793 წ. 15 თებერვალს მსაჯულთშეკრებულების სასამართლო, რომლის განაჩენში ბერი ფრიდონაშვილისა და გიორგი ქართველის სასისლო საქმეზე ნათქვამია: «უნდა მიმხდომის სისხლი მისცეს, რომელიც მიუხდა ამ გიორგის»². აქაც ბექას სამართლის იგივე მუხლი იგულისხმება.

1802 წლის 22 დეკემბრის განჩინებაში ნოდარ მიწობლიძის ნაშვილების მარკოზას საქმეზე დამოწმებულია აღბუღას (ბაგრატ კურაპალატის) სამართლის 159-ე მუხლი: «თუ უწიგნოდ შესულიყვნენ, შეტანილი და ჭირნახული გაჰყვესთ და შესმულ-შეკმული არა იხსენოს». ნაშვილების სამემკვიდრეო უფლების საკითხზე სასამართლო, ვახტანგის კრებულში შესულ სხვა სამართლის წიგნებთან ერთად, აღბუღას სამართლის აღნიშნულ მუხლსაც ეყრდნობა და აღგენს: «ეს სამართლების გვარი და რიგი არ ამტკიცებს ამათს მამაშვილობას, რადგანაც უკანონოდ მოქცეულან»³.

ამრიგად, ბექასა და აღბუღას კანონები მოქმედ სამართალს წარმოადგენდა მე-19 ს. დამდეგსაც.

«კათალიკოსთა სამართალი», როგორც ცნობილია, XVI საუკუნის საეკლესიო სამართლის ძეგლია. სასამართლო განჩინებებიდან ჩანს, რომ ეს კანონები XVII საუკუნეშიც გამოიყენებოდა. 1773 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაში დავით-გარეჯის მონასტრისა და ავალიშვილების დავისა გამო მამულის თაობაზე, ბერძნულ და ვახტანგის კანონებთან ერთად, დამოწმებულია კათალიკოსთა სამართალიც: «საქართველოესა კათალიკოზ-პატრიარხის მალაქიას და აფხაზეთის კათალიკოზის ევდემონის განწესება სჯულისა კანონისა-ებრ რიცხვი კ: ვინცა ვინ ეკლესიის მტეხელნი მართალი მრუდათ გამოიკვლიოსო, მრუდი გაამართლოსო, შეჩვენებული იყოსო. ამათივე თქმული კა სამართალი: რომელმაც მონასტრის მამული გამოახვას,

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი V, 1972, გვ. 533.

² იქვე, ტომი V, გვ. 601.

³ იქვე, ტომი VI, გვ. 324-325.

შეჩვენებული იყოს. ამ ზემო-სამართლების ძალამან დაანება წმინდას უდაბნოს»¹. აქ დამოწმებულია კათალიკოსთა სამართლის მე-20 და 21-ე მუხლები, რომელთა საფუძველზე სადავო მამული დავით-გარეჯის მონასტერს მიეკუთვნა. მასასადამე, (კათალიკოსთა სამართალიც მოქმედი სამართალი ყოფილა XVIII საუკუნეში.)

რეივე უნდა ითქვას გიორგი ბრწყინვალის «ძეგლის დადების» შესახებაც. მართალია, ამ კანონების დიდი ნაწილი მთიულეთის სინამდვილეს ასახავს. და მხოლოდ ამ კუთხის ყოფა-ცხოვრებისათვისაა დამახსიათებელი, მაგრამ ამავე დროს იგი შეიცავს მთელ რიგ მუხლებს, რომლებიც საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებშიც გამოიყენებოდა (მუხ. 15, 16, 23-24, 32-40, 44-46).

ამრიგად, არ დასტურდება ივ. სურგულაძის აზრი იმის შესახებ, რომ ვახტანგის კრებულში შეტანილი ეროვნული სამართლის წიგნები არ იყო მოქმედი ვახტანგის დროს და არც ამ პერიოდის სამართლის ისტორიის შესასწავლად გამოდგება.

დადგენილია, რომ ვახტანგ VI-ის საკანონმდებლო კომისია სამართლის წიგნის შედგენისას ფართოდ იყენებდა ქართული ეროვნული სამართლის წერილობით ძეგლებს, განსაკუთრებით ბექასა და აღბუღას სამართალს. ვახტანგის სამართლის წიგნის ორიოდე მუხლის პარალელი მოიპოვება ბაგრატ კურაპალატის, გიორგი ბრწყინვალისა და კათალიკოსთა სამართალშიც. ბაგრატის სამართლის 102-ე მუხლში ნათქვამია, რომ «მეორე მეფე ეპისკოპოზი არისო». საერო და სასულიერო ხელისუფლების თანასწორობის ეს პრინციპი, რომელიც ბიზანტიური სამართლიდან მომდინარეობს, ასახულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 25-ე მუხლში: «მეფისა და კათალიკოზის საქმე... ორისავე სწორი არის, ამიტომ რომე ერთი კორცის ხელმწიფეა და მეორე — სულის».

ვახტანგის სამართლის 78-ე მუხლი ამბობს: თუ მამამ შვილი მოკლას ან შვილმა მამა, მაგისი სისხლი და სამართალი არ დაიწერებოდა და რჯულის კანონით უნდა გარიგდესო. ამ მუხლის წყაროა გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადების მე-15 მუხლი.)

კათალიკოზთა სამართლის 1-ლი და მე-16 მუხლი, რომლებიც კაცის გაყიდვას და მეფის ღალატს ეხებიან, სათანადო რედაქციით შეტანილია ვახტანგის სამართლის წიგნის 97-ე და 222-ე მუხლში.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი გავლენა ვახტანგის სამართლის წიგნზე ბექასა და აღბუღას კანონებმა მოახდინეს. საყურადღებოა, რომ ვახტანგის სამართლის მთელი რიგი მუხლები პირდაპირ მიუთითებენ

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972, გვ. 657-658.

ძველად არსებული კანონმდებლობის გამოყენებაზე. («ეს სისხლის განაჩენები რაც დაგვიწერია, ძველად დადებული დაგვიწერია, თორემ სხვისა არა დაგვირთავს რაო», ნათქვამია ვახტანგის სამართლის 34-ე მუხლში. მართლაც, თუ შევადარებთ ბექას სამართლის 1-ელ — მე-11 მუხლებს ვახტანგის სამართლის 24-ე — 33-ე მუხლებს, ნათელი გახდება, რომ სისხლის განაჩენების სისტემა ბექას სამართლიდან არის ნასესხები. ვახტანგის სამართლის 50-ე მუხლში ნათქვამია, რომ სასაფლაოზე თავდასხმის «სისხლი ძველი დგანდი და დადებული არის»-ო. კანონმდებელს აქ მხედველობაში აქვს ბექას სამართლის 25-ე მუხლი, რომელიც ანალოგიურ დანაშაულს ითვალისწინებს.

ვახტანგის სამართლის მთელი რიგი მუხლები, ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით, ზოგჯერ სათანადო ცვლილებებით, ბექასა და აღბუღას სამართლის შესაბამის მუხლებს იყენებს.)

ბექას სამართალი

5. კელი თუ ანუ ფეკი მოეკუეთოს, ანუ ერთობ დაუშავდეს, სისხლის მესამედი დაუურვოს.

თუ თვალი წამოაგდებინოს, სისხლის მეოთხედი დაუურვოს.

თუ კელის თითი მოეკუეთოს, კელის გერში მებუთედი დაუურვოს.

თუ ორნი მოეკუეთნეს, თუ რაზომნიცა, ამავე წესითა დაუურვონ.

8. თუ კაცმან კაცს წინა ანუ უკანა კბილი შთააგდებინოს, ერთის თითის ოდენი გერში დაუურვოს, ამად რომე წინა სახიჩარია და უკანა ჭამას დააკლებს.

12. ზედა-დამსხმელისა სისხლი და გერში არ არის.

თუ კიდეცა იგივე მოკუდეს, რომელსა დაესხა, ორკეცი სისხ-

ვახტანგის სამართალი

45. ცალი თვალი კაცის მესამედი სისხლი არის, აგრევე ცალი კელი, აგრევე, ცალი ფეკი.

მაგრამე, თუ კელი სრულ არ დაუშავდეს და ერთი თითი დაუშავდეს, მთელის კელის მებუთედი გაუჩნდების.

აგრევე, რამთენიც თითი დაუშავდეს, ყველასათვის ამა ანგარიშით გაუჩინეთ.

47. წინა თუ უკანა კბილი, რომელიც ჩააგდებინოს ვინმე, ორივე სწორე არის, ამიტომ რომე წინა სახიჩრად დარჩების და უკანა ჭამაში დააკლდების.

50. თუ მიმჯღომი ან მისი ასაბია მოიკლას თუ დაიჭრას, მისი სისხლი არ არის.

51. რაც მოკლას და ან დაქ-

ლი დაუერვოს და გერშიცა ამავე წესით იყოს.

14. თუ ზედა-დასხმასა შიგან დედაკაცსა შვილი მოსწყდეს, სრული სისხლი დაუერვოს.

16. მონაზონისა და დიაცისა, ხუცისა, თუ შუად მოსრული იყოს და ესეთი რომელი მოკუდეს, ორკეცი სისხლი დაუერვოს, რისაც გვარისა იყოს. გერშიცა ამავე წესითა.

და თუ მეომარი ყოფილიყოს, მართლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდაცდეს ასრე, ვითა ძალის ყუფა.

და თუ ერისგანი იყოს და მართლად გამოჩნდეს, რომე შუა ყოფილიყოს, მისიცა ორკეცი სისხლი იყოს.

18. თუ კაცმან მისი სწორი კაცი ცოტას სამღურავისა რასათვისმე თავისა სამამულეშიგან მყოფი ნახოს. იმჯნოს და შეიპყროს, სცეს, შეკრას, შეცხნას, აბჯარი აქენდეს თუ სხვა რაცა, წარაქციოს ჭლებითა წინა, მისი მზღვარი განელოს და მიიყვანოს... სისხლის ნახევარი დაუერვოს, რასაცა გვარისა იყოს, წანაღებიცა სულ დაუკლებლაუ.

19. თუ კაცი კაცს ომით მოერიოს, გამარჯვება ეყოფის და თანა ნურას წაიტანს.

თუ თავის სახლსა მიიყვანოს და ამით არცხვინოს, სისხლის ნახევარი დაუერვოს და აბჯარი და ნაძარცი სრულად მისცეს და გერში, როგორცა აჩნდეს.

რას, ოროლი სისხლი მისცეს, რასაცა გვარის იყოს, და წანაღებიცა.

თუ მიკდომაში დედაკაცს შვილი მოსწყდა, მისთვიც მთელი სისხლი მისცეს.

58. თუ შუამავალი მოკედეს, ბერი თუ მონაზანი, ქალი თუ კაცი, მოკითხული უნდა იქნას.

თუ მართლის გამოჩენით ჩნდეს, რომე შუამავალი ყოფილიყოს და არცერთის მომკმარო არ ყოფილიყოს, სიკვდილისა და ჭრილობისაც ორკეცი სისხლი უნდა მისცეს, როგორც სისხლი სდიოდეს.

და თუ მომკმარო ყოფილა რომლისამე, ვისაც მოკმარებოდეს, მას ელაპარაკოს.

61. თუ მისი სწორი კაცი ცოტას სამღურავისათვის თავის მამულში დაახელოს, იბრიყოს, დაიპიროს, შეკრას, აბჯარი აპყროს, წინ წაიგდოს, თავისი სამძღვარი ცემით გაარონიოს, — სისხლის ნახევარი მისცეს, იარაღი და წანართმევიცა.

57. ერთი მეორეს რომ მოერიოს, თან ნულარ წაიყვანს თავის სახლში და იმითაც ნულარ შეარცხვენს.

და თუ არ დაიშალოს და წაიყვანოს, ნახევარი სისხლი გარდაუტადოს, იარაღიცა და წანაღებიც უკლებლივ მისცეს, და

რაზომიცა ყმა მასვე თანა მიეტანოს, მისიცა ნახევარი სისხლი დაუურვოს.

22. თუ ძმამან ძმა მოკლას, — ერთსახლი და გაუყოფელი იყოს, და თუ გაყოფილი იყოს, სწორი და გინა ახლოს მეყვისი, ორი კეცი სისხლი დაუურვოს, რაც გვარისა იყოს, ამად რომე საღმთოდ ბრალია და საკანონო არის ასკეცი... ებისკოპოზმა მისი წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოს.

23. თუ კაცმან დედა-წულმან დედა-წულისა ცოლსა უარშიო უყოს და კიდევ მოაყვინოს, გინა ნებითა, გინა უნებურად, და გამჟღავნდეს, და გინა მეყვისმან მეყვისსა, გინა უმეყვისმან ერთსახელმან, — დაუურვოს ცოლისა ქმარსა სრული სისხლი და მთავარმან და პატრონმან მისმან ნიფხვით ოდენ, შიშველი, და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა განჭირებული მოავლოს.

25. თუ სწორი სწორს სასაფლაოს ზედა დაესხას და საფლავთაცა მიუყოს კელი, მისი ასე იქნას: რაზომიცა მისი გარდასრული და მუნ დამარხული მას აჯსოვდეს, ასეთი რომე მისსა სახლსა შიგა საჭირისუფლო სდებოდეს მისი, ყველასაგან ორთა უთავადესთა სისხლი დაუურვოს, რაცა ალაფი წაელოს, აგრევე შეაქციოს.

საფლავსა არა კელი მიეყოს

რამდენიც იმისი ყმა დაჭრილა და აჩნია, იმისი მთელი სისხლი მისცეს და იარალიცა. და რამდენიც იმისი ყმა დაჭერილი იმას თან წაეყვანოს, იმათაც ნახევარ-ნახევარი სისხლი მოსცეს.

81. თუ ძმამ ძმა მოკლას, არც მისი სისხლისა ვიციით, ჩვენთან დიად მიიმე არის, და თქვენ იციით. მაგრამე თუ შვილი ჰყავს, სისხლი და ნახევარი გაუჩნდების. და კათალიკოზისა იმან იცის. თუ უნდა გაყრილი ძმა იყოს, თუ უნდა გაუყრელი, შვილი თუ დარჩა, აიღებს.

69. აუ დედაკაცმან მეზობელს თუ მოყუასსა თუ თავის სახლში უმაჰანკლოს და გამოჩნდეს, რასაც გვარისა იყოს ის მაჰაქალი, თავისის სისხლის ნახევარი იმ ქალის პატრონს მისცეს. თუ ამისი მიცემა არ შეეძლოს მაჰაქალს, მაშ ასრე უნდა უყონ: მაჰაქალს ყელზე საბელი უნდა მოაბან და ტიტველი, ყელსაბლიანი, ნიფხვით ოდენ, სოფელი შემოატარონ — დიდი აუგია.

50. თუ სასაფლაოზე სწორი სწორს დაესხას, დიდი თუ ცოტა, უფროსი უმცროსსა, გინა უმცროსი უფროსსა, და სასაფლაოს კელი მიუყოს, ან საყდრის კარი შეღწეწოს, ანუ კედელი მოურღვიოს, ანუ სიწმინდის იარალს კელი უხლოს და წაილოს, მისის სისხლი ძველითგან დიდად დადებული არი.

ახლა ეს გავაჩინეთ. თუ სა-

და კიდევ ოდენ მოერბოს, ერთი-სა სისხლი დაუტრვოს და ალაფიცა აგრევე . კელთა მისცეს. დიდმან ცოტასა უყოს ესე. თუ მას საქმესა შიგა სასაფლაოსა ეკლესიასა შეურაცხებით მიყოს კელი ანუ წარმართულად კარისა შელენითა, ანუ სხვაგნით სითმე შერღვევით, იგი მეცნიერთა და ქრისტეს სისხლის პატივსა მცნებულთა ვითა უყვარს, ეგვეთი პატივი დაუტრვებინონ. შეკვეთითა არ ითქმოდა.

26. თუ დიდებულისა გინა აზნაურისა ცოლსა უაშიყოს დიდებულმან, გინა აზნაურმან და გამოჩნდეს ცხადად, რათა თანა იყოს, თუ დააგდოს მისმან ქმარმან, უზღოს მოაშიყემან თორმეტი ათასი თეთრი, და თუ არ გააგდოს — ექვსი ათასი.

27. თუ წაგვაროს, — თორმეტი ათასი და თუ არა თანა ყოფილიყოს, აშიყობისათვის ოდენ ამის მეტსა არას ემართლებს, რომე თავის სამართლებლად, სჯობს, ფიცის უქნელობა თავითა და ერთითა აზნაურიშვილითა, და თუ აშიყობა კაცისაგან გამოჩნდეს, ემღუროდეს, არა საკვირველია.

29. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს და მისი ზითევი სრულად.

30. თუ კაცმან მისგან უსაბატოვენი ცოლი დააგდოს, რასაცა გუარისა იგი კაცი იყოს, ეგვეთსა მეტი სისხლი არა მართებს.

საფლაოში მყოფი მიმხლომმან მოკლას და სასაფლაოსაც ესენი უყოს, რომელიც ზევით დაგვიწერია, მაშ, სამი სისხლი მისცეს — ერთი საფლავისათვის, ერთი სიკვდილისათვის და ერთი მივდომისათვის, და წანაღები უკლებლივ. აგრევე — ჭრილობისა. და თუ არ მოკლას რა და არც არა საფლავს კადროს, და არც არა დაჭრას, ერთ მთელი სისხლი მაინც მისცეს დედაწულთ არევისათვის.

71. თუ ერთმან მეორის ცოლს უაშიყოს და გამოჩნდეს, რომ მასთან ყოფილიყოს, და დააგდოს მისმან ქმარმან, სრული სისხლი მისცეს.

და თუ წაგვაროს, მაშინაც მთელი სისხლი მისცეს. და თუ იმ ქალთან არ ყოფილიყოს და ფიცით თავი იმართლოს, და თუ აშიყობა ვერ ფიცოს და თან კი არ ყოფილიყოს, მისთვინ მართლის ბოზობის ნახევარი სისხლი მისცეს.

72. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, მთელი სისხლი მისცეს და თავისი ზითევი უკლებრივ მისცეს.

73. თუ კაცმან მისგან უდიდებულესის კაცის ქალი დააგდოს, რასაც გუარისა ის კაცი იყოს, იმტოლი მთელი სისხლი მისცეს, მეტი არ ეთხოვბის.

32. პირველ დიაცი მიღმა ქრმისა დაგდებასა არას ემართლება, არცა ღირსა და ნუცა იკადრებს. თუ რადმე დააგდოს და ღმერთი შერისხდეს მისითა ენაქრტილობითა, უსირცხნობითა, რომლისაც გუარისა იყოს იგი კაცი, ეგეთი სისხლი დაუურვოს მან ღიაცმან.

36. თუ ღმერთი შერისხდეს და შეაკუდეს კაცისა შვილი, კაცი, ამას შიგან სრული სისხლი და სისხლის ნახევარი უზღოს... და თუ მათის პატრონისაგან არა სცოდნია და გამოჩნდების ესე, თუ მათ კაცთა, ვითა მათი პატრონი. მამულთურთ, მას, გაუპატივებულსა, კელთა მისცემს, რაცა უნდა, უყოს.

37. თუ კაცი კაცსა სჯდომისა სიანლესა მისისა გლეხისა დაესხას, და სადა კმა მისწვდებოდესთ. ვითა ზედადასხმის წესია, დაუურვოს. ფიციცა ალაფსა ლაშქართა მართებს, და თუ ორთავე სწორედ ერბიოს, თავისათვის დაიფიცონ ალაფი.

38. თუ კაცნი, — საპატიონი გინა ქვემონი, — უმზრახნი გზად წინ შეიმთხვივნენ და ერთმან გარიდნეს გზა, იგი მეორე თუ პირს ევენების და არა იკადროს [გარიდება] და აუგიანი და გარიდებული მოკლას, ორი კეცი სისხლი დაუურვოს. და თუ არა რომელმან გარიდნეს და შემთხვევითა რომელმან მოკლას და ღმერთი გაურისხდეს, ერთი სისხლი დაუურვოს.

74. დედაკაცი ქმრის დაგდებას არა ღირსა და ნურც ჰკადრებს. და თუ ღმერთი შერისხდეს და მისის უსირცხვილობით ქნას, რასაც გუარისა იგი კაცი არის, მთელი სისხლი დედაკაცმან ქმარს მისცეს.

75. თუ აზნაურმან ანუ გლეხმან მისგან უფროსი კაცი მოკლას, ერთნახევარი სისხლი მისცეს. თუ მისის პატრონისაგან არა სცოდნოდეს, ისრე ექნას, მესისხლე კაცი თავის ნასყიდის მამულითა, რაც ერგებოდეს, და თავის კერძის საქონლით, ცოლშვილით კელში მისცეს, რაც უნდა, უყოს.

52. თუ ასეთს გლეხს დაესხას, რომე ახლოს იყოს მის ბატონის სასახლეზე, მის ბატონს — ნახევარი სისხლი და იმ გლეხისა რაც მოკუდეს და დაიჭრას, ორკეცი სისხლი და წანადებიცა მისცეს. საქონლის წაღებაზე ფიცით შეიჯერიოს.

76. თუ უმძრახი კაცი ერთმანეთს შემოეყარნენ და ერთმან გზა დაუგდოს და გარიდოს, მეორე ნულარ მისდევს. თუ მიზდიოს და ის გარიდებული მოკლას, ორკეცი სისხლი მისცეს. და თუ ეს მიმდევარი მოკუდეს, მისმან სისხლმან ჩაიაროს... რომ არ დაუგდოს და დაუშინონ, რომელიც მოკუდეს, სისხლი მისცენ.

46. თუ კაცმან კაცს ცოლი წაგუაროს, ასრე რომ დიაცი მისით ნებითა და წადილითა გაჰყვეს თანა, რასაცა გუარისა იყოს, მისითა წესითა სისხლი ორნაწილი დაუურვოს ქმარსა და, რაცა მისი სასაქონლო რა გინდა რამე წაეტანოს, იგიცა აგრევე შეაქციოს დიაცსა.

და თუ რა მისი მოტანილის მზითევისაგან, გინა სასაქონლო, გინა პირუტყუი გაეტანოს მას დიაცსა, იგი ქმარყოფილი იმას ნუ სთხოვს. და, რაცა ქმარყოფილსა დარჩეს, მას დიაცი ნუ ითხოვს, რა გინდა შვილნი უდგენენ...

თუ რამ სამამულო მზითევი იყოს, იგი მის ქალისა სამშობლოსავე მართებს; და თუ ქალსავე მისცემენ, მათ იციან.

თუ შვილნი არ დარჩომილყვნენ პირველისა ქმრისანნი სახლსა შიგა, იგი წამგურელი კაცი სისხლისა საქმესა შიგა მოსრულსა არას ემართლები, მის ქალსა სამშობლოსაგან კიდე.

47. თუ ძალად წაგუაროს დიაციისა უმეცრად და უნდომლად, ულონიოდ, ესეკალიბისა ძალთა, ლაშქართა უახლებლად ვერ უზამს ვერცა უფროსი უმეცროსსა და ვერცა უმეცროსი უფროსსა. და დაუურვოს ცოლის წაგუარისა საპატიყო სისხლისა ორნაწილი.

აგრევე დასხმულობისა წესითა დასხმულობა დაუურვოს.

84. თუ კაცმან ცოლი წაგუაროს კაცსა, ასე რომ დედაკაცი მისის ნებით გაყვეს, იმ დედაკაცის ქმარი რასაც გუარისა იყოს, მისი სისხლის ორი წილი გარდაივადოს, და რაც პირველის ქმრისა გაეტანოს ისიც უკლებრივ მისცეს.

თუ რამ თავისი მზითევი გაეტანოს, ქმარყოფილი იმას ნულარ სთხოვს. თუ რამ მზითევი პირველს ქმართან დარჩომოდეს, ის დედაკაცი ნულარ ითხოვს, რა გინდ შვილიც არ დარჩომოდეს.

აგრევე, თუ რამ სამამულე მზითევი დარჩომოდეს, მისი არის, რომ პირველს ქმართან შვილი დარჩეს; და თუ არა, სანამდინ სისხლს მისცემდენ. პირველს ქმარს ეუპიროს. რახან სისხლი მისცეს, ის მამული იმ ქალის სამშობლოსი არის, თავის დას უნდა მისცენ.

85. თუ დედაკაცი ძალად მოიტაცოს და წაიყვანოს, ეს გამოჩენილი შეიქნება, ულაშქროდ ვერ წაიყვანს, ვერც დიდი და ვერც ცოტა. მაშ, ლაშქრით თავს დასხმა იქნების. იმისი ასრე იქნას: იმ ქმარყოფილს წამყვანმან ორი სისხლი მისცეს, მიკდომისა და ძალად წართმევისათვის, ერთი მთელი სისხლი მისცეს, რომ შეიქნების ყველაყა ერთი მთელი სისხლი, კიდევ მთელის სისხლის.

რაცა მოწამითა კაცითა მის დღის წანალები დაიფიცოს ცოლწაგურილმან კაცმან, იგიცა გარევე შეაქციონ.

ღიაცისა ზითევისაგან თუ რა ვაეღ ნოს, ანუ რაცა დარჩომოდეს, აგრევე ქნას, ვითა ზემო სწერია.

50. თუ ცოლმან ქმარსა გაუპირდეს, დედაკაცსა, ანუ დედაკაცისა ქმარს შესჩივლოს, ვითა, ესე ჩემი ქმარი შენსა ცოლთანა არისო, და მის ღიაცისა ქმარმან გაიგონოს, და ამა ყბედისა და ჭეელისა ქმრისა ამისსა მოწამენი ჰყვენ, თუ ვაეყაროს, ბოზობისა ოდნად გარდაცდეს მისი საქმე და სისხლი; არცა მის ყბედისა ღიაცისა მეყუისნი სისხლისა თხოვასა ემართლებიან.

და თუ ოდესმე ეთქუას და მას უკანის კიდევ ინდომოდეს, და არა შეეცსენოს და დაემონოს-ვე, ხანი გამოსრულიყოს, უკანისდა მის ყბედობისა მოწყენილმან მოიგონოსლა, უქამოლა არის — ვინ არ იცოდა, რომე არშივი არ ეგებოდა, მის ყბედისა მიწეზი ნუა.

52. თუ ყანასა შიგან, გინა ვენაკსა, ბოსტანსა, რასა გინდა სავანოსა შიგან პირუტყვი და ამწყედლის კაცმან და, ნაწყენმან, კიდევ მოკლას, თუ პირუტყვისა პატრონი იახლოს და განგებითა ეყოს, მტერობით იქმნების, ნუცა ნაწყენსა მიერჩის და ნუცა სიკუდილსა იგი მას.

და თუ უმეტრად შესრული

ორი წილი. წანალებისა ასრე იქნას: წამლებმა, რაც დაიფიცოს, ამის მეტი არ წამილიაო. ისრევე შემოაქციოს. მზითევი, რაც თან გაჰყოლოდეს, ან იქ დარჩომოდეს, როგორც დავვიწერია, ისრე ქნან.

87. დედაკაცმან სხვას დედაკაცს თავის ქმართან წასძახოს, რომე ჩემი ქმარი შენთან არისო, და იმ დედაკაცის ქმარს გააგონოს, და იმ კაცმან ამ სიტყვისათვის თავისი ცოლი გაუშვას მაშინვე, ბოზობისოდენი სისხლი წამძახებლის ქმარმა მისცეს. და თუ მაშინ არ გაუშვას, ცუდის დედაკაცის ნათქუამს სიტყუას არას გამოეკიდოს და თავის ქმარმან შეუხედოს; და მერმე მას უკან კარგა ხანი გამოვიდეს და მაშინდელი წამძახილი ქმარმან ცოლს დააყვედროს და აღარ ინდომოს, უდროოს დროს გაშვება იქნება. კაცი ტყუის და ველარ გაუშვებს.

188. ნაშრომისა და რასაც ფერის პირუტყვისაგან წანაყედისა ასრე იქნას; თუ უპატრონოდ ისრე რჩომა ნაშრომში შევიდეს, ერთხელ პატრონს მოგუაროს. უყურე, ნუ წამიყდენინებო. თუ არ უყუროს და კიდევ დაახელოს შიგა, მოკლას, ვერას შეუა. და თუ არ მოკლას, შუაკაცთ კითხ-

მოკლას. ნაწყენი უზღოს შუათა დახედვითა. და პირუტყვისა მომკვლელმან ზღოს ასე, რომე, თუ ჯორცი პირუტყვისა პატრონმან წაიღოს, ნახევარი უზღოს; და თუ მომკვლელსა მისცენ, ერთობილი უზღოს, როგორცა მეზობელთა დაათასონ. და თუ უკამსი იყოს, არად შემოიღებინ.

65. თუ... წაჯდომილი იცნას კაცმან. თუ ესე ფიცოს მან სხვამან კაცმან, რომე იგი ქურდად არა ყოფილიყოს, თავის მეტს არას ემართლებინ.

აღბუღას სამართალი

67. თუ კაცსა კაცისა საქმითა წაელოს ვისგანმე რამე და წაუტღეს ანუ სოფელსა უწყინოს ვინ. თათარმან ანუ ქართველმან, — წაყვეს მას წამლებსა, დამხუთავსა კაცსა, და მან გასცეს პასუხი და მოაცემინოს დაუკლებლად კელთა. ანუ კიდე არა წაყვეს, ანუ მოაცემინოს და რამე აკლდეს, მან კაცმან უზღოს დაუკლებლად.

80. თუ კაცისასა მიმავალი

ვით წანაჯედის პასუხი გასცეს. და თუ პატრონიც გვერდსა უდგეს და ისრე წაუტღინა, მაშინ განაღმც რომ უფროსი პასუხი უნდა მისცეს.

იქნების, რომ პატრონი გვერთ არ უდგეს და შემამულე რჩომას პატრონს ედავებოდეს, განზრახ შემოლაღეო და ქიშპობით წამიკვდინეო და გვერთ აღარ მოუდგეო. მაშინ ჯერი უყოს, რომ მისი ნება არ ყოფილიყოს, და საფათერაკოს წესი და წანაჯედის პასუხი მისცეს, ამიტომ რომე იმთონი რჩომა უკაცოდ რატომ გაუშეა.

156. ...ამ შენის საქონლისა არც მე ვიყო ქურდი და ველარც იმას ვიცნობდე, ვისგანც მამცემია, აღარც კელი მიწვდებოდეს. თუ ასრე შეფიცოს, თავისი თავნი გამოართვას, სხვას ნულარას მიერჩის.

ვახტანგის სამართალი

174. თუ შორეულმან ასეთი კაცი იხუთოს, რომე მისის თემისა იყოს, იცნობდეს და საქმე მიუწვდებოდეს, მართებულია და სხვის კაცისა კი არა მართებს. რა იმ რიგის კაცის თავზე დაიხუთონ, მას კაცს სთხოონ პასუხი, ვისაც თავზე დახუთვილა. და ის კაცი ამას ემართლებინ: წაჰყვეს მას მისსა მოდავესა თანა და აუშვას; და თუ რამე დაჰკარგოდეს, უკლებლივ უზღოს, და იმ მოდავესთან თავი გამოიმართლოს.

თუ ამას ამბობდეს, ჩემთან იმ

ანუ ვისგანმე გაგზავნილი კაცი დაიხუთოს კაცმან, უმტერო კაცი, — კაცსა არას ემართლების. და რაცა წყენა და ნაცვალი მისი, და საკლისი მოიგონოს, ყველას ემართლების; და მის კაცის წანალებისა დაურვებას ემართლების დაუკლებლად.

79. თუ კაცმან კაცი დაიქირავოს რა გინდა რა საქმისათვის, მისითა გულითა ექირაოს და მას შიგან მოკუდეს, არავინ რას ემართლების ქირისაგან მეტსა.

81. დიაცსა თუ ღმერთი შერისხდეს დაქერიდეს და შვილი არა ედგას, მისი ზითევი თანა გაყუეს დაუკლებლად...

სადა გინდა იყოს, ანუ ქმარი შეირთოს, ანუ თავისწინა სადმე იყოს.

86. თუ კაცმან ნაპარევი რამე დასწამოს კაცსა, დასტური არა იცოდეს, ავსა და უწესოს იქს და ანუ სურის. მაგრა თავის სამართლებლად თუ შეფიცოს, არა საკვირველია და თავი იმართლოს. მაგრა თუ არც ფიცი დაუჯეროს და არცა მოწამესა უყუროს, გასაჯოს და წამოუღოს, და უბანთა ზედა გააქიქოს, და მერმე სხვაგან გამოჩნდეს იგი წარკდომილი, მას კაცსა იგი წაღებული მისცეს, და რაცა დაეწამოს, ეგზომი ერთი სხვა თავისი მისცეს, ამაღ რომე უდასტუროდ დასწამა და უბრალო გააწბილა.

87. თუ კაცმან კაცსა ამანათი შეევედროს, რა გინდა რა ფერი, და მისმან მოსაქმემან კაცმან კი-

კაცს კელი არა აქუსო, ეგ არ იქნების, უმისკაცისოდ ვერ გამართლებება, იმ დამხუთავთან უნდა მიჰყვეს. თუ არ წაყვების. მამ, წანართმევი ყველა უნდა უხლოს, და თუ დაქერილი არის ვინმე, იმის აშვებისაც უნდა გაუროგოს.

210. თუ კაცმან კაცი ინათხოვროს და თუ მოკუდეს, ვერას შეუა. თუ არა და მიზეზი არა არის რა, უნდა მისცეს თავისი პატრონსა მისსა, როსაც სთხოვოს.

231 ...დედაკაცი დარჩეს უშვილოდ, თუ სახლში დაღებების, რადგან ქმარი და შვილი იქ მოკლოდია, ისრევ თავისი პატივით იყოს. თუ გამოვა, ან სამშობლოს მივა, ან მოლოზნად შედგება, სახლიდამ საკაცოს საქონელს ვერ წაიღებს.

159. კაცმან რომ კაცს ქუროლობა თუ სხვა რა გინდა რა შესწამოს, სტანჯოს, ბევრი რამ უპატიური შეჰკადროს, დააფიცოს. მერმე ის საქმე სხვაგან გამოჩნდეს და დამფიცებულმან თუ რამ იქილამ გამოიტანოს, ნახევარი იმისია, ვინც იფიცავს, და გარჯის საუპატროც უნდა მოსცეს დაფიცებულსა. იქილამ კიდევ ვერა გამოიტანოს რა, გარჯის საუპატრო მაშინც უნდა მოსცეს, ბჭეთაგან გასინჯვით, როგორც კამდეს.

207². კაცს, რომ კაცის რა გინდა რა საქონელი ებაროს, ვისაც აბარია, იმას რომ თავისი ბატონი

დე წაუღოს, საქონლისა პატრონი წამლებს არა ემართლების თხოვას, მას სთხოვოს, ვისდა შეუფედრებია, — ანუ მისგან უშოვნოს, ანუ უზღოს დაუკლებლად.

89. თუ კაცმან კაცსა პაემანი-თა საკედარი რამე მიყიდოს, პაემანსა შიგნით ზნე რამე გამო-აჩნდეს, მოშლას ემართლების უცილებლად, უსამშლელოდ. თუ გარეთ მოეშალოს, ათის თავი მისია, სამშლელოდ მისცეს... ეს ბჭობა, პაემანსა გარეთ ერთი პაემნის ოდენი გამოსრულიყოს, მანამდი მოიკმარების, მას გარეთ ნულარ მიერჩის.

91. თუ ომსა შიგან კელთა დარჩენილსა კაცსა და მისსა აბჯარსა ზედა იცილებოდნენ, რასაცა აბჯარსა ზედა რომლისა ნაკრავი აჩნდეს, და ანუ ცხენსა, მას მართებს. ასრე რომე იგი დარჩომილი კაციცა გაიკითხონ ფიცითა: მანცა როგორცა უმოწმოს; სხვა იყოს, — მეორესა კაცსა მართებს უცილოდ.

¶ ამრიგად, ქართული ეროვნული სამართლის წიგნები, განსაკუთრებით ბექას და აღბუღას კანონები, შეადგენენ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. აქედან ცხადია, რომ ბექასა და აღბუღას კანონები მოქმედი სამართალი იყო შუა საუკუნეების განმავლობაში. XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ ბატონიშვილმა

გაუწყრეს და აიკლოს და ის მიბარებული საქონელიც თან გაატანონ, იმისი ასრე იქნას: თუ დასთმოს იმ კაცმა მოყვრობით და მეზობლობით... კარგია, და არას ემართლების.

166. თუ პირუტყუი, აქლემი, ცხენი, ჯორი, ულაყი და რაც რჩომა პირობით მიყიდა და ეს პირობა დაუდვა: «ამ ჩემს მოსყიდულს საქონელს, არც დაშაგებულობით და არც სნეულობით არა სჭირს რა, და თუ გამოაჩნდეს, შენი ფასი წაიღე და ჩემი პირუტყუი მამგვარე». როდესაც იმ კაცმან შეამჩნიოს რამე და მოგვაროს, უნდა მიმსყიდველმან პირობა გაუთაოს. და თუ არადა, პირობა არა ყოფილა რა, ერთმანეთის მოწონებით უვაჭრიათ თუ გაუცვლიათ, მოკუდების თუ ავი რამ გამოჩნდების, რა საბელზე გარდააბიჯებინებენ, აღარ შეიშლის.

254. ომში კაცის დარჩენისათვის. თუ არა და იარაღი ჰქარა რამე და გაუარა, არა ინალვლა რა, ვისაც დარჩეს, იმისი იყოს. თუ მოწამე ყავს, რომ იმ კაცზე ამის იარაღი მოხვდა რამ დამნარჩუნებელს უწინ, ერთი, რომელიც უკეთესი იარაღი ქონდეს, მოწმობის გულისათვის მისცეს.

ეს კანონები საფუძვლად დაუდო თავის სამართლის წიგნს, რომელიც ქართული ეროვნული სამართლის ყველაზე სრულყოფილი ძეგლი და მართლმსაჯულების ძირითადი სახელმძღვანელო წიგნი იყო გვიან-ფეოდალურ საქართველოში. ✓

3. უცხო სამართლის წიგნები და ვახტანგის კანონები

ახლა განვიხილოთ საკითხი ვახტანგის კრებულში შეტანილი უცხოური საკანონმდებლო ძეგლების მოქმედების შესახებ საქართველოში. 7

(აკად. ივ. ჯავახიშვილი,) არჩევს რა გიორგი ბრწყინვალის «ძეგლის დადების» 46-ე მუხლს, აღნიშნავს, რომ «მეზობელ ერთა სამართლის ძეგლები დედნად, თუ ნათარგმნი ამ დროსაც საქართველოში უნდა ჰქონოდათ და ქართული სამართლის წიგნების შედგენის დროს მათი ცხოვებისათვისაც ანგარიში გაუწევიათ»¹. ამავე ნაშრომის სხვა ადგილას სახელოვანი მეცნიერი წერს: «ქართულ საკანონმდებლო ძეგლებთან ერთად უცხო ქვეყნის ამგვარივე ძეგლების, მაგ., ებრაელთა სამართლის წიგნების, ერთ ხელნაწერში ერთნაირი კრებულის მსგავსად მოთავსება ვახტანგ VI უწინარესაც სცოდნიათ... მაგრამ ამ [ძეგლების ქართული თარგმანის არსებობა ვახტანგ VI, როგორც ეტყობა არ სცოდნია. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ვახტანგ მეფეს ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები ხელახლად გადმოუქართულებია. ამნაირი ძეგლების ძველი ქართული თარგმანი უექვევლია წინათაც იქნებოდა, მხოლოდ XVIII ს. ალბათ ან დაკარგული იყო, ან სრულებით მივიწყებული».²

პროფ. ივ. სურგულაძის აზრით, ვახტანგის კანონთა კრებულში შეტანილი უცხოეთის სამართლის წიგნები არ იყო მოქმედი ვახტანგის დროს, მათ კანონის ძალა არა ჰქონდათ და ისინი მხოლოდ შესაღარებელ მასალას წარმოადგენდა.

(ვახტანგის კრებულში შეტანილი უცხო სამართლის ძეგლები რომ მოქმედ სამართლად ითვლებოდა საქართველოში, ეს კარგად ჩანს «საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი»-დან, ე. ი. ქ ა რ თ უ ლ ი ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ, რომელიც შედგენილი იყო XIX საუკუნის დამდეგს.

ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ი ს ჯ უ ლ ი ს ზოგიერთ მუხლს დართული აქვს შენიშვნები, რომლებიც ადასტურებენ ვახტანგის კრებულში შეტანილი უცხო სამართლის წიგნების მოქმედებას. 7

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, ვვ. 104.

² იქვე, გვ. 119—120.

ს ქ უ ლ ი ს პირველი მუხლი გადმოგვეცემს ყმისა და მამულის გაყიდვის წესებს, რომლებიც შემოღებული და დამკვიდრებული იყო ფეოდალურ საქართველოში. მუხლის განმარტებაში ნათქვამია: «მეფის ვახტანგის კანონის მეორეს წიგნის იჯ მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არს». ვახტანგ მეფის კანონად აქ იგულისხმება ვახტანგის კრებული, ხოლო მეორე წიგნად — ბერძნული სამართალი. შამრიად, ბერძნული სამართლის მე-13 მუხლი, რომელიც ვალში მამულის გაყიდვის წესებს ეხება, მოქმედ კანონად ითვლებოდა საქართველოში.

ჩვეულებითი ს ქ უ ლ ი ს მე-7 მუხლი გირაოდ აღებული ვალის წესებს ითვალისწინებს. ამ მუხლის შენიშვნაში ნათქვამია: «მეფის ვახტანგის კანონის ბერძნული მეორეს წიგნის რამუხლი ამ ჩვეულებისამებრ იხმარებოდა». მაშასადამე, ვახტანგის კანონთა კრებულის მეორე წიგნის ანუ ბერძნული სამართლის 101-ე მუხლი, რომელიც გირავნობის უფლებას ეხება, მოქმედ კანონად ითვლებოდა საქართველოში.

ჩვეულებითი ს ქ უ ლ ი ს მე-60 მუხლში გათვალისწინებულია მოსამართლეთა მიერ საქმის გარჩევის, გადაწყვეტილების გამოტანისა და გასაჩივრების წესი. აღნიშნული მუხლის შენიშვნაში მითითებულია: «მეფის ვახტანგის კანონის ...მეორე წიგნის ბერძნული რღვ... მუხლი ამ ჩვეულებისამებრ მოხმარებულ არს და ბერძნული მეორის წიგნის რღვ და რღვ მუხლი სრულს ძალაზედ მაშინ მოიყვანებოდა, ოდესაც ბჭენი ჭეშმარიტობით განსჯიდნენ». მაშასადამე, ბერძნული სამართლის 136-ე, 137-ე და 138-ე მუხლით გათვალისწინებული ბჭეთა სამართალწარმოების წესები მოქმედ ნორმებად ითვლებოდნენ ქართულ სასამართლო წარმოებაში.

ჩვეულებითი ს ქ უ ლ ი ს ზემოთ დამოწმებული მუხლები სრულიად უდავოდ ადასტურებენ იმას, რომ ვახტანგის კრებულში შეტანილი ბერძნული და სომხური სამართლის მუხლების გარკვეული ნაწილი წარმოადგენდა მოქმედ სამართალს, რომელსაც სავალდებულო ძალა) ჰქონდა განსაზღვრულ იურიდიულ ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში.

კრებულში შესული უცხოური კანონები რომ მოქმედ სამართალს წარმოადგენდა საქართველოში, ეს დასტურდება აგრეთვე სასამართლო განჩინებებში დაცული ცნობებითაც.

მართალია, ეს განჩინებები XVIII საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება, მაგრამ უდავოდ მათში ასახულია ადრინდელი სასამართლო

ბრაქტიკა. მდივანბეგთა 1768 წლის 8 იანვრის განჩინებაში იესე მდივანისა და კევეზერელის დავის გამო მამულის ნასყიდობის თაობაზე ნათქვამია: «ამათი საჩივარი ჩვენ, მოსამართლეებმა, მოვისმინეთ. ბერძული სამართალი ასე უჩენდა: უსაკოს ყმაწვილისაგან გასყიდვა არ იქნება, როცა მისი ძმა თუ შვილი ინებებს, დაიხსნისო... ამ სამართლებით ეს ნასყიდობა მრუდი ნასყიდობა არის, უნდა ისევ იესე მდივანმა დაიხსნას, რადგან არც ნება ჰქონია გასყიდვისა და არც დაუბეჭდავს»¹. >

1773 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაში დავით-გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტის გერმანესა და ავალიშვილების დავისა გამო ჩობახურის მამულის თაობაზე დადგენილია: «ბერძული სამართალი სკვ მეფისა იუსტიხიანესი: ძალად მონასტრის მამულს ნურავინ დაიჭერსო; და უკეთუ დაიჭიროს ვინმე და ააშენოს ვინმე რამე, აშენებული მამული მონასტერს დაარჩესო... ამ ზემო სამართლების ძალამან დაანება წმინდას უდაბნოს»².

(1782 წლის 20 მაისის მდივანბეგთა განჩინებაში ოქრომქედლიშვილის ქვრივ-ობოლისა და აბიათარის საქმისა გამო ცრუმოწმეობის თაობაზე ნათქვამია: «ამისთანა მოწმისთვის ბერძული სამართალი ასე ბრძანებს: ექსორია იქმნასო, თუ ღარიბი იყოს, ენა მოეჭრასო»³. >

ბერძნული სამართლის მოქმედება დამოწმებულია 1783 წლის 1 აპრილის მდივანბეგთა განჩინებით ზაქარია ციციშვილისა და სარდალ ქალაქის მოურავის დავით ციციშვილის დავის გამო მძოვრეთის ციხის თაობაზე: «ბერძული სამართალი (მუხ. 47) ასე განაჩენს: «თუ ვინმე წაართოს რაც რამ ფერი ვენახი, წისკვილი, თუ რამ სხვა, მოსამართლემ გამოართოს, თავის პატრონს შისცეს და ერთი ამდენი სხვა ფასიც გამოართოს და ისიც მისცესო. ამის მიხედვით მძოვრეთის ციხე ნოდარიანთი ყოფილა, დარჩა ისევ ციხე ერთობით ნოდარიანთ და ერთი იმდენი ამ ციხის შესწორებული ზაქარიამ დავით მოურავს, პაატას და ნიკოლოზს უნდა მისცეს»⁴.

ქვათახევის არქიმანდრიტის ანტონისა და თაყობაშვილების დავის გამო ყმა-მამულის თაობაზე, მდივანბეგთა სამართლო 1790 წლის 2 აპრილის განჩინებით აღგენს: «რაც ეკლესიის

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972, გვ. 552.

² იქვე, ტ. IV, გვ. 657—658.

³ იქვე, ტ. V, 1974, გვ. 179.

⁴ იქვე, ტ. V, გვ. 212.

ყმა და მამული ამ თაყინათ სკერიათ უსაბუთოთ, ქურდობით და მძლავრობით, სამართლისაებრ ერთიორად უნდა გამოერთოსთ თაყინათ და ეკლესიას დანებდეს; რომლისთვისაც რომ სამართალი ბერძული ორმოცსა და შვიდს რიცხვში ასე სწერს: რომელმაც წაართოს ვისმე ვენახი, სახლის ადგილი, ანუ ბოსტანი ანუ სხვა რამ ამისთანა ერთი ორად მისცეს პატრონაო»¹.

ბერძნული სამართლის დამოწმებას ვხვდებით მდივანბეგთა 1793 წ. 28 მარტის განჩინებაშიც ჯავახიშვილებისა და სახლთუხუცეს მალალაშვილის დავის გამო ყმა-მამულის თაობაზე. «სამართლის წიგნის, რომელსაც რომ ასე სწერს ბერძული სამართალი (მუხ. 101): თუ გირაო ეჭიროს ერთს მეორისაო, თუ დიდ ხანს გაეველოს, თეთრის პატრონი მოვიდეს მოსამართლესთანო, თეთრის თხოვნა დაუწყოს; თუ თეთრი არ მისცეს ის გირაოები დაიყიდოს და ვალში მიეცესო... ამ სამართლის წიგნის ძალით უნდა დაახსნეინოს კაცი და მამული»².

1799 წლის 4 ივნისის განჩინებით ბეჟან და დავით ყორჩიბაშის შვილების დავის გამო გაყრის თაობაზე მდივანბეგთა სასამართლო ადგენს ბერძული «სამართლის წიგნში სუე სწერს: კვეთებულს (სულელს) ვისმე ნათესავებმა რომ არ მოუარონ და სხვამ უცხოებმა მოუარონ, მაშინ იმის წილს ყმასა და მამულს შემნახავნი დაეპატრონებიანო»³.

ღდაბლოს, დავიმოწმებთ მედიატორეთა 1819 წლის 18 ივნისის განჩინებას შანშე ერისთავისა და უთრუთ გიოგაშვილის დავის გამო იკორთის მონასტრის ყმების თაობაზე, რომელშიც ნათქვამია: მეფის ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ბერძული სამართლის მეხუთე მუხლის ძალით «რომელიც უთრუთს უჭირავს ჩალაურნი და ბერიკაშვილებს უწოდებენ, იგინი დარჩნენ იკორთის წმიდის მთავარანგელოზის მონასტერს ყმად. დღეის შემდგომ ამაზედ დავა აღარა შეუძლია რა»⁴.

ამრიგად, აქ დამოწმებული განჩინებებიდან ცხადად ჩანს, რომ ვახტანგის კრებულში შესული «სამართალი ბერძული» მე-19 საუკუნის დამდეგსაც მოქმედ კანონებს წარმოადგენდა.

იგივე უნდა ითქვას კრებულში შესულ სირიულ-რომაული სამართლის შესახებაც.) დავიმოწმებთ ორიოდვე განჩინებას, რო-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 492.

² იქვე, ტ. V, გვ. 604—605.

³ იქვე, ტ. VI, 1977, გვ. 123—124.

⁴ იქვე, ტ. VI, გვ. 483.

მღვდლები ამ კანონთა მუხლებს ემყარებიან. იმის გამო, რომ კანონების ქართული თარგმანის ტექსტი (მუხ. 1-150) ვახტანგის კრებულში სომხურად სამართლის პირველ ნაწილად, ხოლო მხითარ გოშის სამართალი, ვითარცა «წიგნი მეორე სომხის სამართლისა» მეორე ნაწილად (მუხ. 151-431) არის შეტანილი, სასამართლო განჩინებებში მას «სომხური სამართლის» სახელწოდებით იმოწმებენ.

(1783 წლის 14 ოქტომბრის მსაჯულთა განჩინებაში სულხან და სოლომონ მდივების დავის გამო მამულის ნასყიდობის თაობაზე აღნიშნულია: «სომხური სამართალი ასე ამბობს: ფასი რომ გარდასწყვიტონ და ვერ მისცენ, ფასი თუ გარდაწყვეტილია. არ შეუძლიან გასყიდვა სხვაზე, სანამდინ ვისაც უწინ აძლედა, იმისგან დასტური და წიგნი სახელდობით არ აიღოს.» ამის გაშინჯულობით, რადგან სულხანს ფასი გარდაწყვეტილი აქვს, პატარკაცისაგან წიგნი დაბეჭდილი მიცემული სულხანს კელში უჭირავს, ეს აღარ მოიძღვებოდა... დარჩა სულხანს ეს ნასყიდობა»¹.

დამოწმებული ტექსტი სირიულ-რომაული სამართლის მე-14 მუხლს წარმოადგენს.

მდივანბეგთა 1802 წლის 22 დეკემბრის განჩინებაში ნოდარ მიწობლისა და მარკოზას დავის გამო შეილობილობის თაობაზე დამოწმებულია სირიულ-რომაული სამართლის მე-100, 102-ე და 126-ე მუხლები და მითითებულია, რომ «ეს სამართლების გვარი და რიგი არ ამტკიცებს ამათს მამაშვილობას»².

(განჩინებებში მოხსენებული «სომხური სამართალი» არის იგივე სირიულ-რომაული სამართალი, რომლის ნორმებიც, საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებული იყო ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.)
რაც შეეხება საკუთრივ «სომხურ სამართალს» ანუ მხითარ გოშის სამართლის წიგნს, სასამართლო განჩინებებში ამ კანონთა მუხლების დამოწმება თითქმის არ გვხვდება. და ეს გასაგებიცაა, რადგან ამ კანონებით, როგორც დავით ბატონიშვილი ამბობს, ვაჭარ-მოქალაქეთა სავაჭრო და სხვა ურთიერთობანი წესრიგდებოდა³.

ჩვენთვის ცნობილია ერთადერთი განჩინება, რომელშიც დამოწმებულია მხითარ გოშის სამართალი. 1768 წლის 8 იანვრის განჩინებაში იესე მდივნისა და კვეზერელის დავის გამო მამულის ნასყიდობის თაობაზე ნათქვამია, «ქართული და სომხური სამართალი

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, 1974, გვ. 235.

² იქვე, ტ. VI, 1977, გვ. 324—325.

³ იქვე, ტ. I, 1963, გვ. 652—653.

ასე უჩინდა: ბატონისა და სახლისკაცის შეუკითხავად და დაუბეჭდავად მამული არ გაიყიდებო; თუ გაიყიდა, როცა წაედავებიან — დაიხსნიანო. ამ სამართლებით ეს ნასყიდობა მრული ნასყიდობა არის, ისევე იესე მდივანმა დაიხსნას, რადგან არც ნება ჰქონია გასყიდვისა და არც დაუბეჭდავს¹. სასამართლოს მხედველობაში აქვს მხითარ გოშის სამართლის 367-ე მუხლი, რომელიც მამულის გაყიდვის შემთხვევაში ოჯახის წევრთა თანხმობას ითვალისწინებს. ამ ერთადერთ შემთხვევაშიც კი სასამართლო მხითარ გოშის სამართლის წიგნის აღნიშნულ მუხლზე მიუთითებს როგორც ვახტანგის სამართლის 161-ე და 167-ე მუხლებთან შესადარებელ მასალას. ხოლო საქმე წყდება ვახტანგის «სამართლის წიგნის ძალით».

(ცნობა სომხური კანონების გამოყენების შესახებ დაცულია აგრეთვე საქართველოს ჩვეულებითი სჯულში, რომლის მე-10 მუხლი ვალში დაგირავებული მამულით სარგებლობის წესს ეხება. ამ მუხლის შენიშვნაში ნათქვამია: „მეფის ვახტანგის კანონის სომხურის მესამეს წიგნის სლგ მუხლი ამ ჩვეულებასამებრ მოხმარებულ არს». ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის მესამე წიგნი არის მხითარ გოშის სამართალი, რომლის 233-ე მუხლით გათვალისწინებული გირავნობის წესი მოქმედი სამართალი ყოფილა ჩვენში. მართლაც, ქართული სამართლის წიგნებში გირავნობის შესახებ მეტად მცირე მასალა შობოვება. ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში გამოყენებულია როგორც ბერძნული (მუხ. 101), ისე სომხური სამართალიც (მუხ. 233).

რაც შეეხება (საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მისი შედგენის დროს კანონმდებელს სათანადო რედაქციით გამოუყენებია მხითარ გოშის სამართლის წიგნის რამდენიმე მუხლი (208, 215, 225, 228, 232), რომელთა პირველწყაროა ბიბლია («გამოსლვათა»). ამრიგად, ბიბლიური სამართლის ნორმებთან ვახტანგის კანონებში გამოყენებულია სომხური სამართლის განვრცობილი რედაქციით.) გარდა ამისა, აღსანიშნავია კიდევ მხითარ გოშის სამართლის ზოგიერთი მუხლი (152, 161, 165, 173, 175, 177, 234, 382), რომელთაც მეტ-ნაკლებად ემსგავსება ვახტანგის სამართლის წიგნის შესაბამისი მუხლები (იხ. აქვე, გვ. 73—76).

კრებულში შეტანილი უცხო სამართლის წიგნების მოქმედებას ადასტურებს კრებულის ზანდუკიც, რომელიც შედგენილია კრებულის ყველა ძეგლის მუხლების გათვალისწინებით.) საძიებელი დალაგებულია საკითხების მიხედვით, გარკვეული თანმიმდევრობით. საძიებლის თითოეულ პუნქტს სათანადო სვეტში მითითებული აქვს

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1970, გვ. 552.

კრებულის ეროვნული და უცხო სამართლის წიგნების შესაბამისი მუხლები, მაგრამ (მთელ რიგ შემთხვევებში, როცა ამა თუ იმ კაზუსის შესაბამისი ნორმა ეროვნული სამართლის წიგნებში არ მოიპოვება, მითითებულია მხოლოდ უცხო კანონთა სათანადო მუხლები,) რომელთა მიხედვით მოსამართლეებს ესა თუ ის კონკრეტული სასამართლო საქმე უნდა გაერჩიათ და გადაეწყვიტათ. ეს გარემოება - სრულად უდავოდ სდის იმ ფაქტს, რომ ქართული სამართლის წიგნებში არსებული ხარვეზის შემთხვევაში კრებულის უცხო სამართლის წიგნების შესაბამისი მუხლები მოქმედი სამართლის ნორმებს წარმოადგენდნენ.

ამრიგად, ვახტანგის კრებულის ზანდუკი ანუ საძიებელი საფუძველს გვაქვს დავასკვნათ, რომ კრებულში შეტანილ კანონებს მეტწილად გამოყენება ჰქონდა სასამართლო წარმოებაში. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ სასამართლო კაზუსის შესაბამისი მუხლი ან ნორმა მოცემულია როგორც ეროვნული, ისე უცხო სამართლის წიგნებში. მოსამართლე საქმის გადაწყვეტისას უპირატესობას აძლევს საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს. ხოლო როცა ეროვნული კანონმდებლობის ძეგლებში, პირველ რიგში ვახტანგის სამართლის წიგნში, ასეთი ნორმა გთვალისწინებული არ არის. მოსამართლე ხელმძღვანელობს კრებულში შეტანილი უცხო კანონმდებლობის ნორმებით.

(ვახტანგის კრებულის უცხო კანონების მოქმედებას საქართველოში ადასტურებს დავით ბატონიშვილიც, რომელმაც თავისი მამის, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII დავალებით შეადგინა საკმაოდ ვრცელი და შევსებული სამართლის წიგნი.) დავით ბატონიშვილი ქართული სამართლის ისტორიის საუკეთესო მკვლევარია. ამიტომ მის ცნობებს მეტად სარწმუნო და პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა აქვს.

დავიბრუნდეთ დავით ბატონიშვილის ორ ხელნაწერ თხზულებას: «საქართველოს ისტორიასა» და მოხსენებით ბარათს «ქართული კანონების შესახებ». პირველი დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების არქივში, ხოლო მეორე ლენინგრადის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში.

ნაშრომში «საქართველოს ისტორია» დავით ბატონიშვილი წერს:

«§ 26. Правление Грузии основано было на законах Моисеевых и греческих,» и на учреждениях Грузинскими царями введенных. Но уголовные преступления судимы были особенно по Греческим Уставам...

[275გ] «§ 39. По возвращении своем в отечество, царь Вахтанг наружно показывая себя магометанином, а в сердце своем имея напечатленным православное вероисповедание своих предков, управляя кротко и благоразумно Иверию по законам Греческим, а для купечества по законам Армянским, а также и по уложению царя Георгия V*, к коим законам присовокупил потом и свое особенное уложение.

В царствование родителя моего Георгия XIII, мне поручено было пополнить и в большую ясность привести древния узаконения. Стараясь споспешествовать пользам своего отечества, и руководствуясь разными [276გ] законами, я присовокупил к древним Грузинским узаконениям многия постановления, которые найдены были по моему соображению, полезными для Иверских народов»¹.

რაც შეეხება დავით ბატონიშვილის მეორე ხელნაწერს — მოხსენებით ბარათს «ქართული კანონების შესახებ», მასში, ვახტანგის სამართლის თარგმანის განმხილველი კომისიის მოხსენებით, ნათქვამია შემდეგი:

«К сему царевич Давид присовокупил, что при царствовании в Грузии родителей его и предков, край сей управляем был: 1. Законами пророка Моисея. 2. Законами греческих императоров Константина, Юстиниана и Льва Мудрого. 3. Законами царя грузинского Георгия**. 4. Установлениями князя Агбуги Атабагского. 5. Законами армянскими относительно торговли»^{2***}.

ამრიგად. (დავით ბატონიშვილის ორივე ნაშრომი ადასტურებს ბერძნული, სომხური და მოსეს სამართლის მოქმედებას საქართველოში.)

ზემოთ დამოწმებული წყაროები ცხადყოფენ იმ ფაქტს, რომ ვახტანგის კანონთა კრებულში შეტანილი უცხო სამართლის ძეგლები მოქმედ კანონებს წარმოადგენდნენ. კანონთა კრებულს რომ აღგენდა, ვახტანგ მეფის საკოდიფიკაციო კომისიამ კარგად იცოდა, რომ ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები მოქმედი კანონები იყო, რომლებითაც ძველთაგანვე ხელმძღვანელობდნენ ქართულ სასამართლო წარმოებაში. ამიტომ სჯულმდებელი მეფე თავის სამართლის წიგნის წი-

¹ Ленинградское отделение Института востоковедения АН СССР, М25 (Г 5, М 14). Грузинская история 26 г.

² ЦГИАЛ, фонд 1260. Дело 6—Дело о рассмотрении Грузинского гражданского уложения царя Вахтанга, 201V. 1816, 71V—72.

* ხელნაწერში «Георгия IV».

** ხელნაწერში «Георгия III».

*** ორივე საარქივო მასალა მომართა დ. ფურცელაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

ნასიტყვაობაში, ჩამოთვლის რა კრებულში შეტანილი უცხო და ეროვნული სამართლის ძეგლებს, ასე მიმართავს მოსამართლეებს: «ხოლო ესეცა სცანიოთ, იგულეთ და იგულის მოდგინეთ. და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და სამართალსა იქმოდეთ». ამ სიტყვებით სჯულმდებელი მეფე კვლავ ადასტურებს კრებულში შესული უცხოური კანონების მოქმედებას.

ბერძნული კანონების მოქმედებასა და გავლენას საქართველოში საკმაოდ ვრცლად და, შეიძლება ითქვას, ერთგვარი გადაჭარბებითაც, აღნიშნავს ქართული სამართლის ცნობილი მკვლევარი აკად. მაქსიმე კოვალევსკი. ბერძნული სამართლისა და ვახტანგის კანონების, აგრეთვე ქართული ჩვეულებითი სამართლის შესაბამისი ნორმების შედარებით ანალიზის შედეგად მ. კოვალევსკი დაასკვნის, რომ ქართულ საოჯახო სამართალსა და საერთოდ ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რომაულ-ბიზანტიურმა სამართალმა.¹

ქართულ კანონმდებლობაზე ბიზანტიური სამართლის გავლენას ეხება პროფ. ვლ. სოკოლსკიც. ბიზანტიური სამართლის გავლენა, წერს ავტორი, სხვა მართლმადიდებელი ქვეყნების სამართალზე თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ არ შეწყვეტილა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ის ერთგვარად კიდევ გაძლიერდა. დაწერილებით იხილავს რა ბერძნული სამართლის ქართული ვერსიისა და სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიის წყაროებს, პროფ. ვლ. სოკოლსკი დაასკვნის «ამრიგად. საქართველოში გავრცელდა და გამოიყენებოდა როგორც ყველაზე ძველი (ე. ი. სირიულ-რომაული სამართალი — ი. დ.) ისე, ბერძნულ-რომაული სამართლის ერთერთი გვიანდელი ძეგლი (ე. ი. ბერძნული სამართლის ქართული ვერსია — ი. დ.). რაც მოწმობს საუკუნეთა განმავლობაში ბერძნულ-რომაული სამართლის მუდმივსა და უწყვეტ გავლენას საქართველოს სამართლებრივ წყობილებაზე. ამ მსრივ საქართველოში განმეორდა ყველა ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში»².

(ბერძნული კანონების მოქმედებისა და მათ ქართულ სამართალზე გავლენას აღნიშნავს პროფესორი ალ. ხახანაშვილიც. თავის

¹ М. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, том. I, 1890, гл. 134—136, 139—146.

² В. И. Соколовский. Греко-римское право в уложении грузинского царя Вахтанга VI, гл. 92 (Жур. Мин. Нар. Просв. 1897, сентябрь).

მონოგრაფიაში — «ბატონყმობა საქართველოში» იგი არაერთგზის შენიშნავს, რომ ბერძნული სამართალი მოქმედებდა საქართველოში და მას დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ სამართალზე» «არ შეგვიძლია არ შევხიზხოთ აქ გავლენა ბერძენთა კანონებისა, რომელმაც, როგორც ვნახეთ, საშინელი ბეჭედი დაასვა მე-204 მუხლიდამ ვახტანგის კანონებს».¹

დასახელებული ნაშრომის სხვა ადგილას ავტორი, ეხება რა ამ საკითხს წერს: «ბერძენთა კანონებმა აიქონიეს საშინელი გავლენა ძველს ჩვეულებაზედ საქართველოში... ბერძენთა კანონები რომ მოქმედებდა ჩვენში, ექვი არ არის, რადგანაც სიგელებში ხშირად ნახავთ მითითებებს ბერძენთა კანონებზე»².

აღ. ხახანაშვილის აზრით, ბერძნული კანონების გავლენა ვახტანგის სამართლის წიგნს ცხადად ემჩნევა 204-ე მუხლის შემდეგ. ეს გავლენა მეტად მკაფიოდ ჩანს ნასყიდი ყმის საკითხში. ვახტანგის სამართლის 235-ე, 258-ე და 259-ე მუხლები, რომლებიც ყმის უფლებობო მდგომარეობას აკანონებს, ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 153-ე, 166-ე და 172-ე მუხლებიდან მომდინარეობს. ბატონყმობის მკაცრი ხასიათი ვახტანგის სამართლის წიგნის 204-ე მუხლის მომდევნო მუხლებში ბერძნული კანონების გავლენით უნდა აიხსნას.

აღ. ხახანაშვილი კვლავ უბრუნდება ქართულ კანონმდებლობაზე ბერძნული სამართლის გავლენის საკითხს. ბიზანტიას, წერს იგი, დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ კულტურაზე და კანონმდებლობაზე. ვახტანგის სამართლის წიგნის 25-ე მუხლში დაკანონებული პრინციპი — «მეფისა და კათალიკოსის საქმე... ორისავე სწორი არის» და ბაგრატ კურაპალატის სამართლის 102-ე მუხლის ნორმა «მეორე მეფეების კოპოზიარს», ბიზანტიური სამართლის ნორმებია. ბიზანტიამ კიდევ უფრო მეტი გავლენა დაამჩნია საქართველოში ქორწინების, ცოლ-ქმრობის კავშირისა და ოჯახის საფუძვლების განმტკიცებას.³

კრებულში შეტანილი უცხო სამართლის ძეგლებისა და საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის შედარებითმა შესწავლამ დაგვანახა, რომ მოსეს სჯული, ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები არა მარტო მოქმედი კანონები იყო ჩვენში, არამედ ვახტანგ ბატონიშვი-

¹ აღ. ხახანაშვილი, ბატონყმობა საქართველოში, მეორე გამოცემა, 1910, გვ. 25.

² იქვე, გვ. 50—51.

³ ეურ. „მოამბე“, 1901, №—XII.

ლის სამართლის წიგნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროც. საკო-
დიფიკაციო კომისიამ ვახტანგის სამართლის შედგენისას, ქართული სი-
ნამდვილის გათვალისწინებითა და სათანადო რედაქციით, გამოიყენა
კრებულში შეტანილი უცხო სამართლის მთელი რიგი დადგენილებანი,
რომელნიც ხანგრძლივი გამოყენების შედეგად უკვე ეროვნული სამა-
რთლის ნორმებს შეადგენდა.

ქვემოთ მოგვყავს შესაბამისი მუხლები და ადგილები მოსეს, ბერ-
ძნული, სირიულ-რომაული და მხითარგ გომის სამართლის წიგნებიდან.

სამართალი მოსესი

1. თავ-უყავ მამასა შენსა და
დედასა შენსა, ვითარცა გამცნო
შენ უფალმან ღმერთმან შენმან,
რათა კეთილი გეყოს შენ და
დღეგრძელი იყო შენ ქუეყანასა
ზედა, რომელ-იგი უფალმან ღმე-
რთმან მოგცეს შენ.

11. ნუ აიღებ საქმედ შენ
მსგავსად, ბიწებისა მის წარმართ-
თაჲსა, ნუვინ იპოების თქუენ შო-
რის. რომელი... მისნობდეს მის-
ნობითა, ანუ ჰავსა იზმნიდეს ჰა-
ვითა ზმნითა, ანუ წამლევდეს
წამლითა, ანუ გრძნეულ იყოს,
ანუ ულუკთ-მკითხველი, ანუ თუ
სასწაულითა მკუდართა მკითხვე-
ლი, რამეთუ ბილწ არს წი-
ნაშე უფლისა, რომელი იქ-
მოდის ამას ყოველსა, რამეთუ
ამის ყოვლისა ბილწებისათვის
მოსრნა იგი უფალმან ღმე-
რთმან შენმან პირისაგან შენი-
სა.

ვახტანგის სამართალი

271. თუ მამამ შეილსა სცეს ან
ავნოს რამე, ვერას შეუა — ან
უამებლობისათვის უზამს და ან
სწავლისათვის, მამის უამებლობა
შვილისაგან არა კამს. თუ შეილ-
მან მამა ან გალაკა, ან უკადრისი
რამ ჰკადრა, იმას ავად მოპყრობა
უნდა, ამიტომ რომე მეათე
მცნება მამისა და დედის
პატივის დება არის.

251. მისანთა და კუდიანთა ამ-
ყოლი კაცი ღვთისაგან ცდა-
წყევლილი არის პატრონი-
საგანც წასაქდენი. ამ მისნისა და
კუდიანისაგან დაჩხიბულნი კაც-
ნი თუ სამართალში მოვიდნენ, მი-
სანი და კუდიანი გასახებობრებული
არის. და რაც იმ მკითხველს სხვა-
ზედ ან ჩხიბი, ან წასაქდენი მოუ-
ქდენია, მოსამართლემ გაუკითხა-
ვად, სისხლი იყოს თუ საუპატიო,
წაურთოს და მისცეს. იქნება სა-
ქონელიც წაერთოს მისნის პი-
რით, ის ერთი ორად გამოურ-
თოს მოსამართლემ.

20. დღესა მას განყოფისასა და წილგდებისასა, რაჟამს განუყოფდე შეილთა... ნუცა შეურაც ჰყოფნ პირმშობებასა, არამედ უხუცესი იგი ნაწილი მას... მიეცინ და შემდგომობით მრჩობილი ყოველისავე მისგან ფასისა მისისა, რაიცა იყო ველსა შინა მისსა.

22. ნუ ყოს ღმერთმან, თუცა ესუას კაცისა ბიჭი მკვეალთანა ანუ ხარჭსა თანა. უკეთუ ჰყუეს და სხუა ძენიცა ჰყუეს კურთხევისანი და შეილნი ღმრთისანი, და განიყარნენ ძმობისა მიერ და განინაწილონ მამული, არა მიეცეს ნაწილი მამულისა ძესა მკვეალისასა.

39. ნუ მიჰკვი აღნადგინება ძმასა შენსა ვეცხლისასა, ნუცა აღნადგინება საჰმლისასა, ნუცა ყოველსა აღნადგინება სესხისა მის შენსასა, რომელ ავასხე ძმასა შენსა, რაჟთა გაკურთხოს შენ ღმერთმან.

სამართალი ბერძული

26. უკეთუ სიტყუა რამე საეკო მოაკსენოს მოსამართლესა, სიტყუასა მას შეიწყნარებს მოსამართლე იგი და ჩაფიქრდების, და სინჯვას დაუწყებს საქმესა მას, უნდა გასინჯოს.

27. უკეთუ სიგელში ეწეროს სიტყუები ბევრი და მოსამართლე იგი სიტყუასა მისსა ვერ მიხუდეს კარგადა, და თავკარგი მოწამე არა ჰყავს მას კაცსა, მოსამართლე იგი

100. საუფროსო ასრე უნდა: რისაც ან აზნაურისა, ან გლენის პატრონნი იყვენენ... რამდენიც კომლი დადგეს, ოცს კომლზე ერთს უკეთესს, რომელიც უნდა, უფროსი გამოირჩევს...

110. ნაბიჭურის წილი არ არის მამულში. თუ თავის ძმებს ეყმობა... ძმებმან ერთი ყმის ალაგს უნდა არჩინონ. და თუ არ უნდა ძმებთან ყოფნა, იმათთან არაფერი წილი არა აქვს, ვისთანაც უნდოდეს, წავიდეს, ძმობს პასუხი არა აქვთ.

[125. სულ უკეთესი ეს არის, რომ სარგებელი სულ არ აილოს. სარგებლის სარგებელი არაფერის ვალისა არ გაჩნდების, არც ითხოვების, არც მიეცემინების.]

ვახტანგის სამართალი

212. მოსამართლეს რომ საეკო მოკსენდეს სიტყვით, მოწამე თავად მომკსენენსა სთხოვონ. თუ იმან დასაჯერი მოწამეები იშოვოს, კარგი არის, თუ არა და ვისაც ედავების, იმას სთხოვოს მოწამე.

213. მოსამართლე რომ სიგლის წერილს ვერ მიხვდეს, თუ იმაში დაწერილზედ რომ ისარჩლიდენ, თუ უცილებლად ყოფილა იმ დღემდინ, სიგელიც მართლად ჩაიგდების და შიგ წერილიცა უცი-

სიტყუასა მას წიგნისასა არა დაი-
ჯერებს.

80. რომელნიც ციხილამ გავი-
დეს და იმ ციხის მტერთან მივი-
დეს და ციხისა მის საიღუმლო
გაამელავენოს მტერსა მისსა, ის
კაცი, როდისაც კელში ჩაიგდონ,
ან ანძაზედ ააცვან და ან ცეცხლში
დასწვან.

31. რომელმან დაუტეოს თავი-
სი სამკვიდრებელი და წარვი-
დეს და თავისის უფროსის მტერ-
თან მივიდეს... უკეთუ სხვამან
ვინმე განდგომილებაში დაიჭიროს
და თავის სამკუიდრებელზე მოი-
ყუანონ, თუ ის კაცი ქრისტიანე
კაცის მკულელიც იყოს, თავი მო-
სპრან.

32. რომელმანცა მოინდომოს
ქრისტიანეთა ზედა ლაშქრის მო-
ყუანა და ანუ ქრისტიანენი გას-
ცეს მტერზედა, მას თავი მოს-
პრან.

47. ... რომელმაც მოგლიჯოს
სამანი და სხვაგან ჩასვას, რომელ-
მანც ეს ქნას, ორი ზომა მისცეს
პატრონსა, ერთი ორად მისცენ.

48. უკეთუ რომელიმე ამგვარს
საქმეზე ჩემს მამულზედ მოვიდ-
ნენ კლმითა, შუბითა, ისრითა ანუ
სხვას იარაღითა, შუღლი ქნან და
შემოჰკრან და მოკლას ვინმე მი-
წის პატრონისა, — თავი მოეკვე-
თოს... ამისთვის რომე ჩემს მა-
მულთან რა კელი გაქუს, რომ მა-

ლებელი ყოფილა, არას ემართლე-
ბის. თუ სიგლისა არა შეიტყობა
რა და სადაოსაც ახლა ედავების,
ნუ აღაპარაკებს, დაკარგვია.

221. ციხილამ და სიმაგრილამ
კაცი ან ბატონს ან ამხანაგს წაუ-
ვიდეს და გასცეს, ლაშქარი
დაასხას, იმისი სისხლი არ გაიჩი-
ნება, ამისთვის რომ ბევრის სუ-
ლის მესისხლე არის. რაც გარდა-
ვდება, სამართლით იქნება.

220. თუ კელმწიფეს ლაშქრი-
ლამ კაცი წაუვიდეს და მტერს მი-
უვიდეს, და იმავ კელმწიფეს და-
რჩეს, თავად კელმწიფეს მოწყა-
ლებაზე კიღია, თუ არა და ფეკის
მოკვეთა ჯერ არს.

[222. ვინც კაცმა ქვეყანას და
ქრისტეს რჯულს უორგულოს...
ღმრთისა და ბატონისა ორისავე
მესისხლე იქნების და ყოველი ავი
იმაზე მართებული არის.]

242. სამნის მოგლეჯისათვის...
თავის კელის სისხლის ფასი ჯუ-
რუმი გარდიჯადოს, ამისთვის რო-
მე სამნის მომგლეჯელი კელმო-
საპრელი არის.

88. თუ კაცმან მამულის ცილე-
ბაში მამულის პატრონი მოკლას,
გასინჯოს მოსამართლემ და, თუ
კაცი ტყუილად შესცილებია და
ისრე მოუკლავს, ერთნახევარი სი-
სხლი მისცეს. თუ შემცილებელი
მოკვდეს, სისხლის ორი წილი მი-

მელსაც მართმევ და კიდევ მამ-
კლავ?

25. დედაკაცისა არა ჯერ არს,
რათა რისაცა საქმისათვის სამარ-
თალში მივიდეს. არამედ, თუ
მოუკლას ვინმე მამა ანუ შვილი,
ანუ ბატონი, ანუ ნათესავნი, იმ
საქმის საჩივლელად მივა სამარ-
თალშია და უნდა გაუგონონ.

148. არა ჯერ არს დედაკაცისა-
გან, რომე საჯელო დაიჭიროს,
არცა მოწმობა დაეჯერება, არ-
ცა ჯერ არს მისი ქმნად. ვინცა ვინ
იმოწმოს, თუ არ ნახოს თავისის
თვალითა. გაგონილზედ ნუ იმო-
წმებენ.

295. დედაკაცი არაოდეს არა-
ვისაგან თავდებად არ დაიყენება.
და უკეთუ დაიყენოს ვინმე თავ-
დებად, სამართალში ვერავინ მი-
იყვანს დედაკაცსა.

226. უკეთუ ეკლესიის ალაგ-
ზედ ააშენოს ვინმე რამე უპატ-
რონოდ. ვენაჯი. კილი ანუ ყანა,
ჭირნახელი ყველა დაეკარგება.

227. უკეთუ შერიგდეს ვინმე
მონასტრის მამულზედა, .. რომე
მონასტრის მამულში სახლი ააშე-
ნოს. ანუ ვენაჯი და ხილი დარგოს.
ანუ ყანა დათესოს, პირველად ქი-
რახე უნდა შერიგდნენ და წიგნი
გამოართვან, თუ წელიწადში ამ-
დენი ქირა მოგცეო, რადგან ას-
რე შერიგდნენ. მასუკან იმ ალაგ-
ზე, რაც უნდა, ააშენონ.

სცეს, ამიტომ რომ სხვის მამული-
სათვის რატომ შეაკვდა?

216. თუ დედაკაცს კაცისაგან
საჩივარი აქვს, სამართალშიც მი-
ესვლება და, გაგონებაც უნდა.

მაგრამ მისის ენით მოადს არც
ფიცი დაედება, არც არა წაერთ-
მის.

თუ კაცს დაიმოწმებს, მცდარი
არის.

თუ დედაკაცი დედაკაცისაგან
ჩიოდეს, მდივანში ცელი არა აქვს...

239. დედაკაცს არ ეფიცების,
არც გარემე კაცი შეეგდების,
ამისთვის რომე გარეშეს კაცს არ
გაუტყდება, არც არას მისის ფი-
ცისას ინალვლის...

217. თუ ცილებით ქნას, და
ისევ ეკლესიას დარჩეს, რაც ეჭირ-
ნახულოს, სულ ეკლესიას დარჩეს.

217. ეკლესიის მამულის დამ-
თესველმა და დამწერგველმან თუ
ეკლესიის პატრონისაგან დასტუ-
რით მოქნას, მართებული ღალა და
სამსახური გარდაუქადოს.

238. ებისკოპოზი რომ მიიცვალოს, მის საქონელზედა არავის აქუს უფლება, რომ წაიღოს, ვინმე თავისთვის, არცა პატრიარქსა, არცა მეფესა, არცა ეკლესიის მის კრებულთა, არცა მის ნათესავთა... და რაჟამს ებისკოპოზი დაჯდეს საყდარსა მისსა ზედა, ყველა უკლებ მას მიაბარონ საყდრისათვის.

305. უკეთუ ვინმე ერთი რამ მიაბაროს კაცსა და ეგონოს, რომ ის კაცი ამ მისაბარებელს მასუკან უარყოფსო, მართებულია რომ წიგნი გამოართოს, თუ ეს მამბარებიაო, და მერე ისე მიაბაროს. რაც მიბარებია, სახელდობრ უნდა ეწეროს და მოწამეცა ეწეროს.

306. უკეთუ კაცს მიაბაროს ვინმე რამე, და იმ კაცს ცეცხლი შეედვას და ან არეულობა რამე შეიქმნას, ან სახლი დაექცეს და წაუტდეს და მან უარყოს, რომ ჩემთვის არ მოგიბარებიაო, თუ მოწამე მოიყუანოს და ის კაცი მოწმით გასტეხოს, ორი ზომა უნდა გამოართვას, ხოლო უკეთუ ვისაც მიაბარა, მან თქუას, თუ ეს მამებარაო, ისევ თავისი გამოართვას. მიბარებული წამედარიყოს რამე, მისი წაყდენისა ფასი მოსცეს ავად შენახვისათვის.

322. ვინცა ვინ მოჭრას ხე ანუ ხილი, ანუ ვენაკი, ვითარცა ავაზაკი, ეგრეთ განიპატიჯოს, უკეთუ მოსჭრან ხე, ხილი, ვენაკი, ერთი ანუ ბევრი, და უარყონ, მე არ

175. ებისკოპოზის ბეითალმალი ჩვენს მიხდომაში სრულებით საყდრისა უნდა იყოს, ... ვერც არას ებისკოპოზის ძმა და სახლისკაცი ებისკოპოზისაგან სიცოცხლეში იშოვებს რასმე მისგან, რომე ებისკოპოზის დამარხვა შეიძლოს...

207. მიბარებულისა რასაც ნივთისა და გინა ნათხოვარისა ასრე იქნებოდეს, თუ ასრე პირობა დაუდვას, ან წიგნით, ან მოწმობით, ამგვარად ინდოს, რომე ან მტრის დასხმით. ან ცეცხლით ან წყლით, ან მოპარვით, რასაც ფერის დამარცხებით თუ ჩემსასაც არა დაუმარცხდა რაო, არცა არას შენსას დაუმარცხებო, და მერმე ამ მიმბარებელს და მენათხოვრეს ერთის რისაც დამარცხებით თავისი წაუტდა, და ეს სხვისაც, -- არას ემართლებიან. იქნების. რომ არ უჯეროს, შენი არ წამედარა რაო და ჩემი უნალღვლებლობით დაკარგე და წამიციდინეო. — ფიცით შეიჯეროს. როგორც საქონელი ყოფილიყოს, იმრიგის მოწმით, როგორაც მოსამართლეთ გამონახონ. თუ თავისი არა წაუტდარა და მიბარებული და ნათხოვარი წააყდინა, უკლებლად უნდა მისცეს ისევე თავნი.

189. ვაზის აკაფისა, ნერგისა, გინა ხილისა, ასრე იქნას, თუ ასეთმან კაცმან კაცს ვაზი აუკაფოს, რომე არ ემართლებოდეს, სადაო და სალაპარაკო არა ქონდეს რა,

მამიკრიაო, ორი იმ ხის ფასი მისცენ. უკეთუ თქუას, მე დავაშავე და ვქენიო, რაც წაუჭდინოს, ისევ თავისი მისცეს.

391. ერთმა კაცმა ცოლი დანიშნა, და ღელაკაცი თუ მოკუდეს, რაც მისთვის ნიშანი მიეტანოს, ისევ უნდა გამოართოს.

417. ვინცა ვინ სხვის მიწაში რუ გაიღოს და წყალი გაიყუანოს, იმ მიწის პატრონის დასტური უნდა ქონდეს და ისე გაიღოს რუ. სამს წელიწადს იმ რუს გაღებისათვის უნდა ქირა მისცეს რუს გამღებზე მიწის პატრონსა.

სირიულ-რომაული სამართალი

28. არ მისცემს რიგი სამართლისა, რომე ვინმე მოკლას თავისი ყმა და მოსამსახურე თავისის ჯელითა, თუ დააშავა ყმამ და ქნა სასიკუდილო საქმე, უნდა მიართვან კელმწიფესა და მან უყოს დანაშაულის ჭაზა.

50. თუ, ვინ მიიცვალოს ღელაკაცი და არ დარჩეს შვილი, და ქმარი ყუანდეს ცოცხალი, რაც მიყოლოდეს მას ღელაკაცსა, მიწაცემიანთ, შუა გაყონ და ნახევარი ქმარსა მისსა, და ნახევარი მამასა მისსა. და თუ არა ყუანდეს მამა, ვისაც ანდერძი უყოს მან ღელაკაცმან, მისცენ მას.

ღვინით გინა სიბრძეყით აუკაფოს, რამღვინც ვაზი მოეჭრას, იმღვინ აბაზისა მისცეს.

223. ნიშნის მიტანისა. ან ვაჟი მოკუდეს და ან ქალი, თუ რამ გასაცვეთი მისელთა და სიცოცხლეში გაუცვეთია, ვერას შეუთა, — რომე სიძესაც ბევრს მიეცემა. მას გარდა სულ უნდა მიეცეს ნიშნის პატრონსა.

244. რუს გამღებისა, რომ შუაში სხვის მამული ეღვას, იმ შუას მამულის პატრონს არა გაუკეთდება რა, ფასი უნდა მიეცეს. თუ იმასაც გაუკეთდება რამე, კარგად შერიგდენ.

ვახტანგის სამართალი

95. . . . უჯელმწიფოს კაცს თავისის ყმის სიკუდილი და გახეიბრება არავეს კელეწიფების. რომელიც მაგვარი სასიკუდილო და ან გასახეიბრებული დანაშაული ქონდეს, კელმწიფეს მოაჯსენოს და მისის დასტურით უყოს.

224. ვისაც სახლში უშვილოდ ქალი მოკუდეს და ქმარი დარჩეს, და მის სულს კარგად მოუაროს, თუ დიდის ხნის ცოლ-ქმარნი არიან, არა ეთხოვოს რა. თუ ახალი შეყრილი არიან და შვილი არა ყავს, ზითევი სამად გაიყოს: ერთი წილი სულისათვის, ერთი წილი ამისთვის, რომ საქორწილო მიუტანია, და მესამედი ქალის პატრონს მიეცეს.

82. თუ შეხუდეს კაცს ცოლი ასეთი, რომ იყოს გიყი და ბნედიანი და მოინდომოს კაცმან გაშვება, მოსამართლემ მოკითხული ქნას: თუ ქორწილს უკან ქრმის კელში დამართებია, ვერც გაუშვებს და არც იქნება; თუ უწინვე, ქორწილამდის სჭირვებია, გაშვება ხომ კიდევ ძნელია. მაგრამ რადგან არ იქნების და გაუშვებს, ნიშანი, რაც გაეგზავნოს, მას კაცს დარჩეს და ზითევი მისი — ქალსა. და თუ ქრმის კელში დამართოდეს, გაუშვას, ზითევიცა და ნიშანიც სრულ უკლებლივ მიეცეს მას ქალსა.

84. ... და ბოზობით სხვისგან მისცემოდეს, ამრიგის შვილის გატანა შეუძლია, და ალალი შვილი მამისა არის და მამის ბრძანებას ქვეშ უნდა იყოს.

103. მამას შვილის მაგიერად ვერავინ სთხოვოს ვალი, თუ მამის ბრძანებით არ იყოს აღებული.

105. ვინ ერთმანეთს უშულლოს და შულლში მოკუდეს, და მას მოკლულს კაცს ყუანდეს მამა ან ძმა, ან სხვა სისხლის მამკითხავი, მათ ვერ შეუძლიათ თავისთავად სანაცვლოს სიკუდილი და ვერც თავისთავად სისხლის თხოვნა. და ასე მართებთ: უნდა მივიღნენ კელმწიფესა და მოსამართლეს მოაკსენონ; და კელმწიფემ და მოსამართლემ ქნან სამართალი, და

225. გიყისა და ბნედიანის ცოლისთვის. თუ ეს სენი ქორწილს წინათ სჭირს და ქმარს შეატყუეს, თუ გაუშვებს, სამკუდრო უნდა მისცეს; და საკანონო მამამა და გამთხოვებელმან უნდა გარდაიკალოს, ამისათვის რომ ქრმის თავი არა ქონდა, რატომ გაათხოვეს? და თუ რაც რაფერი სენი დედაკაცს ქრმის კელში დაეძართოს, უნდა მოუაროს, გაშვება არ იქნება. და ერთმანერთის შენდობით იქნების მოსამართლე არად გაერვეს.

67. თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს... თუ გაუშვა, რაც მზითევი მოჰყოლია, ისიცა და ბოზობით შექნილი შვილიცა თან უნდა გაატანოს. მაგრამ, თუ ამ მართალს ქმართან შვილი ჰყავს, ზითევი მთლად არ მიეცემის.

104. შვილმან რომ ვალი აიღოს მამის უკითხვად, მამა არ მისცემს და არც ეთხოვების.

24. ერთი ესეც უწყოდეს მოსამართლემ, რომე რა დიდი საქმე და დიდროანს კაცში სიკვდილი და რაგინდარა სისხლი მოკვდეს, ერთიმეორის მოყუსობით მოკმარებასა და მიშველებას მეფე და კათალიკოზი ნუ აქნევიანებენ, ნურც ერთს მეორის რბევას და აწყებინებს. და ნურცა ვინ მოინდომებს... რა ამგვარი საქმე ქვეყანაში მოკვდეს, ასრე უნდა. მათ შუა კელმწიფემ კაცი დაუყენოს,

როგორც გარდევნილები მართებთ, ისრე გარდააქვენიონ.

123. რომელიც შვილი მამამან ანდერძით დააბატონოს ქონებასა და მამულსა მისსა, და რომ დარჩეს ვალი, რომელიც რომ დაბატონდა, ვალიც მან უნდა მისცეს, თუ ბევრია, თუ ცოტა.

124. ვინც კაცმან ვინც დააბატონოს ქონებასა და მამულსა მისსა ანდერძით, და დარჩეს ვალი, და ვალიც მას დაადვას, მასუკან არც ინდომოს მამული და ქონება, და არც ვალი — აბა, მასუკან წავიდეს პეველე და მოკიდოს მამულსა და ქონებას ხელი თავის ვალის გულისათვის.

145. კითხონ რიგსა: რომ არიან კაცნი და ყავთ შვილი, წავიდეს ერთ-ერთი შვილი და აიღოს ვალი ვისგანც, ან ივაჭროს და ან რაც უყოს, მასუკან ის ვალის ამღები ან მოკუდეს ან გაიპაროს სადმე, მასუკან ის თეთრი ან მამასა და ან ძმას ეთხოვების, თუ არა? მიგემა სიტყულისა: ბრძანებს რიგი, არც ეთხოვების მამასა და არც ძმასა.

149. თუ ვინც... აქლემი, ცხენი, ჯორი, საყდარი მისცეს შესანახავად, უჩვენოს და მიიბაროს, რომ მოპარონ რამე მათ... უნდა მისცეს ფასი.

ერთმანეთზე აღარ მიუშვან. კიდემ სიკვდილი და ღმრთის საწყენი საქმე აღარა იქნას რა... ნდომით მომედარა ის საქმე. თუ უნდომლად, კარგად გამონახვა უნდა.

139. ძმა თუ ძმისწული ან ბიძაშვილი გაუყრელი დარჩა. იმ მკუდრის წილი მამულიცა და საქონელიც მისი არის და ვალიც იმათ უნდა გარდიკადონ...

ესეც იქნების, ერთგან იყვნენ გინდა ძმა, გინდა მამა, გინდა ძმისწული, ერთი და ერთი რომ მოკვდეს, და მკვდრის მამულს არ ინდომებს სხვა სახლის კაცი, რომ არც გარდაცა შეეძლოს, აღარც ვალს მისცემს.

148. კაცი რომ უცხოს თემს წავიდეს და იქ შვილი გინა ძმა დარჩეს, ის კაცი იმ უცხოს ქვეყანას დარჩეს და უძღებობაზედ ბევრი ვალი აიღოს, იმაზე ძმა და სახლიკაცი არ მიუდგების, იმასვე უნდა სთხოვონ, ამიტომ რომ მიმცემმან რატომ ავალა, ის რომ ლოთი და არზაქარი იყო?

211. თუ პირუტყვი მიიბაროს კაცმა კაცისა, თუ დაუყარგოს, უნდა უზღოს და იმან ქურდი იპოვნოს და იმას გამოართვას.

მხითარ გოშის სამართალი

152. მოლაშქრე კაცმან ომში ვინც დაინარჩუნოს, დარჩომილის კაცის ცხენი, იარაღი და ტანისამოსი, ვინც დაინარჩუნა, მისი არის. და კაცი, ჭაჭვი და მუზარადი კელმწიფეს მიართვას. ომში ნაშოვნი ოქრო, თვალი, მძიმე ზარბაზი ვინც იშოვნოს, კელმწიფის წილია.

161. უშვილოს დედაკაცს ნუ გაუშვებს ქმარი მისი, ამისათვის რომ შვილი არ მიმეცაო.

165. თუ ქმარმან უშიშრობითა და ურიგობით დაჰკრას ცოლსა თვისსა რაგინდარა და მოსტეხოს რამე და ანუ თვალი მოსთხაროს, ანუ კბილები ჩააყრევინოს, წაართვან მას კაცსა ჭრი ათასი ვერცხლის ჭარიმა.

173. რას დროს ყმაწვილთა თამაშობაში ერთმანერთი დააშაონ, თუ საქმის მოკდომით, თუ ჭავრითა მოსტეხოს რამე, მართებს მას შემამკურელსა საეჭიმო, მან მისცეს და გაამთელებინოს.

175. თუ ყმაწვილთა ნაძლევი დასდუნან ერთმანერთთან: აქილამ იქამდინ უსვენებელი გაირბინო ან ამ კედლიდამ იქამდინ გარდახტეო, ან ამ ხეზე გადიო, ან ცხენი გაარბევინოს, ან ლოდს ააზიდვინოს, მოკდეს რომ ნაძლევი ან დაშავდეს და ან მოკუდეს, გასინჯონ, რომელმაც რომ ნაძლევი და-

ვახტანგის სამართალი

178. თუ კაცმან კაცი დაინარჩუნოს ცოცხალი, თუ ანუ მოკლას, მისი ცხენი, იარაღი, ტანისამოსი დამნარჩუნებელისა არის; ჭაჭვი, ზუჩი, მუზარადი და ამგვარი კელმწიფისა არის, — მძიმე თვალი თუ მარგალიტი.

168. უშვილობისათვის კაცი ძალად და მის უნებურად ცოლს ვერ დააგდებს.

63. თუ ცოლი დაჰკრას ან დააშაოს, თუ ცოლს უნდოდეს, სისხლი აიღოს და გამოართვას.

194. თუ ხუმრობასა და თამაშობაში კაცმა კაცს აწყყინოს რამე, ან მოსტეხოს რამე, ან დაჰკრას... დაჰკრილს სააქიმო უნდა მისცეს.

197. ნაძლევისა ასრე იქნას. კაცი ყმაწვილსა და უჭკუოს კაცს არ უნდა დაენაძლეოს, არც იმას უნდა ჩამოჰყუეს, რომ ან შეეჭიდოს, ან ლოდს ააზიდვინოს. ან გარდახტომა მოუდვას, ან ცურვა დაჰპატიყოს, თუ რაც ამგვარი ნაძლევი მოუდვას, თორემ, თუ ამაში იმ ყმაწვილმან და უჭკუომ იწყინა რამე, იმ უფროსს კაცს ბრალი დაედება. და ამით, თუ რამ ავი

უღვა, დლით რომელი უფროა, და ნახევარი ჯარიმა მისცეს.

177. კაცთა ვინც ლეინოს სმაში ერთმანეთსა უშულღონ, მოკდეს რომ მოსტეხოს კელი ან სხვა რამ ასო დაუშაოს, უნდა შემამკურე-ღმან აქიმი დააყენოს და გაამთე-ლებინოს.

208. რომელმან მოიპაროს შვი-ლი ქრისტიანისა და გაყიდოს, სი-კუდილით გარდიცვალოს. თუ ქრისტიანმა ქრისტიანი გაყიდოს და გამოჩნდეს მისის ბოროტის ნაქმარობა, რომე ურჯულოსათ-ვის მიეყიდოს, საკანონოს გული-სათვის ნუ მოკულებენ, და საპურო-ბილეში ჩაავდონ, და თავდები გამოართვან, და მისგან გასყიდუ-ლი დააქსნევიონ (შდრ. გამოსლვ. 21, 17).

215. თუ მრჩოლელი იყო და უთხრეს პატრონსა მისას, ნუ შეი-ნახავ მაგასაო, ან მოკალ ან დაკარ-გეო, დღეს არის თუ ხვალ, კაცს დააშავებსო; ბევრჯერ უთხრეს და მან კაცმან თალაფული კრას... და მასუკან მოკლას ან კაცი და ან დედაკაცი, ის ძროხა ჩაქოლონ და ძროხის პატრონიც მოკუდეს, ან არადა მისცეს მოსარჩენი თა-ვის ტანისა (შდრ. გამოსლვ. 21, 28 — 30).

დაემართება, ან მოიტეხა რამე, ან დაშავდა, ან მოკვდა, ან დასნეუ-ლდა — მკვდარს სამარხი და და-შავებულს სააქიმო.

93. ლეინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაქრას, თუ რაც უყოს, მთელს სისხლზე თუ არა მეტი, ნაკლები არ მიეცემინების, ამისთვის რომ ის რომ იცის ლეი-ნოში აჩქარებული არის, რატომ დაღევს იმდენს, რომ ამგვარს სა-ქმეს აქნევიებს?

97. თუ კაცმან კაცს შვილი გა-უყიდოს, გინა ქალი, და გამოჩნ-დეს, მართლა გაეყიდოს, სისხლი ხომ ზევით დაგვიწერია და ასრე იქნას. თუ სწამობდეს და მართ-ლობით არა ჩნდეს, ან ფიცით, ან მდულრით გაიმართლოს თავი, და თუ ვერ გაიმართლოს თავი, ეს შეიტყევიეთ, სჯულიანზე მიუ-ყიდნია, თუ უსჯულოზე. თუ ქრის-ტიანზე მიუყიდნია, მთელი სის-ხლი უნდა მისცენ. და თუ დასაჯ-სნელად კელი მიუწვდებოდეს, დააქსნევიონ.

106. თუ ვისიმე პირუტყვი ირ-ჩოლებოდეს, პირველ უნდა უთხ-რან მეზობლებმან, რომე ამისგან ან კაცი მოკვდების ან პირუტყ-ვიო, ან დაკალ ან მოკალ, ან წყვილნი გამოუხევენ, ან გაყიდე და გაიცალე... და თუ არ დაიჭერა, და ან მოკლა რამე, ან დააშავა რამე, მრჩოლელის პატრონმა კაც-მა პასუხი უნდა გასცეს.

225. ვინცა ვის გაუძოოს ყანა ან ვენაჟი, გაუშვას თავისი პირუტყვი და გაუძოოს, რაც წაუტყდინოს. წაართვას მას პირუტყვის პატრონი. და მაგიერი მისის ყანიდამ შიაცემინონ. და თუ სრულ წაუტყდინოს, სრულ უკლებლივ მაგიერი მის პირუტყუის პატრონს, რომელიც უკეთესი ნაშრომი ქონდეს, იმისგან წაურთვან (შდრ. გამოსლვ. 22, 5).

228. თუ მიაბაროს კაცმან თავის ამხანაგს კარი, ცხვარი ან საკედარი ანუ სხვა რამ პირუტყვი... მოიტაცონ და არა იცოდნენ თუ როგორ მოკლა, მათ შუაში ჯერი მოკდეს. . . თუ მომტაცებელი იპოონ, აზღვევინონ სამართლითა. და თუ ნადირს წაეკდინოს, ლეში უნდა აჩვენოს პატრონსა, და აღარ ეზღვევინება; და თუ არ უჩვენა, ეზღვევინება (შდრ. გამოსლვ. 22, 10 — 13).

232. თუ თეთრი ასესხო ძმასა შენსა და ღარიბად იყოს, ნუ შეაწუხებ და სარგებელს ნუ სთხოვ. ძველისა და ახალის რიგის ბრძანებით, ორისავე სიტყუის ბრძანებით, არ აძლევს სარგებლის აღებასა გლახათაგან (შდრ. გამოსლვ. 22, 25; ლევიტ. 25, 36).

234. თუ ვინ ვისაც სახლს თავის ნებით ცეცხლი წაუჟიდონ, ნახონ მართლა, რომ კაცი თავის ნებით უჟიდებდეს, წაეჟიდოს და გარდიწვას სახლი და ზედ დაიჭირონ ისიც, იგი ცეცხლში დაწვან, რომ სიკუდილის ღირსია. და თუ შეიბრალონ დასაწევად, რო-

188. ნაშრომისა და რასაც ფერის პირუტყვისაგან წაქდენისათვის ასრე იქნას: თუ უპატრონოდ ისრე რჩომა ნაშრომში შევიდეს, ერთხელ პატრონს მოგვაროს, უყურე, ნუ წამიკდენინებო, თუ არა უყუროს და კიდევ დაახელოს შიგა, მოკლას, ვერას შეუა. და თუ არ მოკლას, შუაყაცთ კითხვით წინაქედის პასუხი გასცეს.

211. თუ პირუტყუი მიიბაროს კაცმა კაცისა. თუ დაუკარგოს, უნდა უზღოს. და იმან ქურდი იპოვნოს და იმას გამოართვას. . . თუ ან კლდეს გარდაადგოს, ან მგელს შეაქამოს, ან მტერს მოაკვლევინოს, — უნდა უზღოს. თუ, ვინ იცის, ან სენით მოკვდეს, ან სიბრმითა, ტყავი და ჯორცი პატრონს უნდა მიუტანოს, სხვას არას ემართლება.

132. თუ კაცი გაღარიბებულიყოს და ვალის მიცემა აღარ შეეძლოს, დიად, დაცემულიყოს, — თავნუნდაც დაიკლებს, და თუ ცოტაც არის, რომ შეუძლია. თავნი უნდა მისცეს და სარგებელი ჩაივლის.

191. თუ კაცი კაცს არას ემართლებოდეს და ისრე სახლსა და კარს ცეცხლი წაუჟიდოს, რომ ჯალაბნი შიგ უდგეს, თავის გუნებით დასაწევავათ მოუნდომებია. ერთი სისხლი და რაც ან სახლი და ან საქონელი დასწოდეს. უკლებლივ უნდა მისცეს. და თუ ემარ-

მელისაც კელით წაეკიდებინოს, ის კელი მოსპრან, და რაც რომ დამწვარიყოს იმ სახლში, ნახევარი აზღვევინონ. და თუ კელის მოსაპრელათაც შეიბრალონ და არ მოსპრან, წანაგედი ერთპირ აზღვევინონ, სრულად თამბა უყონ და ჭარიმაც აკღვევინონ.

351. პირუტყვი, წმნიდა თუ უწმინდური, რომ ვისიმე ვისას ორმოში ჩავარდეს... და მოკუდეს, სამართალი იქნას ასრე... ორმოს პატრონს რადგან თავლია გაუშვია, არა უნაღუღლია რა, ნახევარი უზღლოს.

თლებოდეს და ან საქმე რამ ქონდეს და იმისთვის ექნას, მოსამართლემ გაუსინჯოს, რაც ნამართლებულობა ქონდეს, იმაში გაუთვალონ.

250. ან ორმო დარჩეს პირლია, ან ნათხარი რამ ქნას კაცმა და იმაში ჩავარდეს რამე, თუ... არაინაღვლა რა კაცმა, თუ საქმელი პირუტყვი წაჯდეს, იმაში ჩავარდნილი — ორმოს თუ ნათხარის პატრონს, და საქონლის პატრონს იმისთანა, მთელი მისცეს. თუ ცხენი ან ვირი, მაგისთანა, რომ არ იჭმებოდეს, ჩავარდეს, ნახევარი ფასი გარდუჯადოს.

ამრიგად, ვახტანგის სამართლის წიგნის საკანონმდებლო წყაროს ეროვნული სამართლის ძეგლებთან ერთად მეტ-ნაკლებად შეადგენს კრებულიში შეტანილი უცხო სამართლის წიგნებიც.

ვახტანგის სამართლის წიგნის სისტემა

«სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა» შედგენილია საკანონმდებლო მასალის გარკვეული სისტემატიზაციის მიხედვით. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: რაც ჯერ კიდევ პროფ. ალ. ხახანაშვილმა შენიშნა: «ვახტანგ მეფის კანონები თავის თავად ორს ნაწილად განიყოფება: პირველი მხლის მე-204 მუხლამდე და შემდეგი იწყება მეორე ნაწილი, რომელსაც წინ უძღვის ახალი შესავალი»¹. მართლაც, ხელნაწერებში ვახტანგის სამართლის წიგნის თავდაპირველი ტექსტი 204 მუხლს შეიცავს და მთავრდება ბოლოსიტყვაობით. 205-ე მუხლით იწყება სამართლის წიგნის მეორე ნაწილი, 204-ე და 205-ე მუხლებს შუა ჩართული ტექსტის შინაარსიდან ცხადად ჩაბს, რომ იგი წარმოადგენს არა სამართლის წიგნის მეორე ნაწილის «ახალ შესავალს», როგორც პროფ. ალ. ხახანაშვილი ფიქრობდა, არამედ პირველი ნაწილის ბოლოსიტყვაობას, რომლითაც მთავრდება კანონთა თავდაპირველი ტექსტი.

ვახტანგის სამართლის წიგნის თავდაპირველი ტექსტი, ანუ პირველი რედაქცია 204-ე მუხლითა და ბოლოსიტყვაობით რომ მთავრდებოდა, ეს როგორც ქვემოთ დავინახავთ, უფრო საფუძვლიანად ს. გორგაძემ დასაბუთა 1919 წელს.

სამართლის წიგნი იწყება საკმაოდ ვრცელი წინასიტყვაობით, რომელშიც მოკლე ღვთისმეტყველური შესავლის შემდეგ გადმოცემულია ქართლში მართლმსაჯულების დაცემის სურათი, აღნიშნულია ვახტანგ V-ის, გიორგი XI-ისა და თვით სჯულმდებელი ვახტანგ ბატონიშვილის ღვაწლი; ჩამოთვლილია კრებულში შეტანილი თარგმნილი უცხოური და ორიგინალური ქართული ძეგლები, დასახელებულია საკანონმდებლო კომისიის წევრები, აღნიშნულია სამართლის წიგნის შედგენის მიზეზები და კანონთა შემდგომი შევსებისა და სრულყოფის საპირობა.

შესავლის შემდეგ იწყება კანონთა ტექსტი, რომელიც რამდენიმე ადგილას საკანონმდებლო კომისიის მიერ სამართლის დარგებისა თუ ინსტიტუტების მიხედვით დაყოფილია კარებად:

¹ ა. ხახანაშვილი, ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, მეორე გამოცემა, 1910, გვ. 116—117.

«კარი თეთრის გარიგებისა» (მუხ. 15—16).

«აქა კარი — დასაწყისი გაყარისა და ერთმანეთის დაშორებებისა თუ ვით უნდა» (მუხ. 98—115).

«კარი პირველი, ვალისა თუ როგორ აიღების» (მუხ. 116—149).

«აწვიწყოთ კარი ქურდობისა და სამართალი მისი» (მუხ. 150—159).

«კარი ნასყიდობისა» (მუხ. 160—166).

«თუ ვითარ გამს დაწერა განაჩენისა» (მუხ. 205).

რაც შეეხება სამართლის წიგნის სხვა ნაწილებს, ისინი წკანონთა შინაარსის მიხედვით კარებად დაყოფილია ჩვენს მიერ. სამართლის წიგნის 1-ლი მე-14 მუხლები მართლმსაჯულებისა და სასამართლო წარმოების საკითხებს შეიცავს. კერძოდ, მე-6 — მე-14 მუხლებში აღწერილია სასამართლო დამამტკიცებელ საბუთთა სახეები, გადმოცემულია თავის მართლების «რიგი და სამართალი». ამით მთავრდება სამართლის წიგნის ერთი განყოფილება, რომელიც სამართლის ქმნის საკითხებს აწესრიგებს.

ამიტომ 1-ლი მე-14 მუხლები ცალკე კარად გამოვყავით და დავასათურეთ: «კარი სამართლის ქმნისა».

ამას მოსდევს 17—97 მუხლები, რომლებიც დაზარალებულას წოდებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით მკვლელობისა და ქრილობის, აგრეთვე სხვისი ცოლის ან შვილის გატაცება-გაყიდვისათვის სასხლს განსაზღვრავენ. ეს მუხლები წიგნის ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენენ. ისინი ცალკე კარად გამოვყავით: «კარი სისხლის განაჩენებისა».

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნს უძველეს ნუსხაში (D—164) 25-ე მუხლის შესაბამისი ტექსტის შემდეგ მე-3 verso გვერდი სინგურით ნაწერი ასეთი სათაურით იწყება: «აწვიწყოთ კარი თქვის როგორი სისხლის დის». მაშასადამე, საკანონმდებლო კომისია თავდაპირველად ვარაუდობდა, რომ კარი სისხლის განაჩენებისა აქ უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ვახტანგს თავის ნარედაქციევ S—3683 და Q—575 ნუსხებში ეს სათაური აღარ შეუტანია.

გაცვლილობა, როგორც ცნობილია, ნასყიდობის თავდაპირველი ფორმა იყო და ამიტომ 167-ე მუხლი, რომელიც გაცვლილობის წესს აღგენს, ნასყიდობის კარში მოვთავსეთ.

გარდა კარებად დაყოფისა, ხელნაწერებში სამართლის წიგნის მთელი რიგი მუხლებისათვის მანის მნებელი სიტყვებით თუ წინადადებით იწყება.

- «შანთი ასრე არის» (მუხ. 9)
- «ფიცი ასრე არის» (10)
- «მოწმით სამართლის ქნა ასრე არის» (13)
- «ცოდვის მოკიდებისა ასრე არის» (14).
- «აწ კოკისა და კოდისა წონისა მოგაცხენოთ» (120)
- «სამართლიანად თეთრისა, პურისა, ღვინისა გავალემა როგორც კამს» (125)
- «პურზე თეთრის გაცემა» (129)
- «თეთრის მტეშზე გაცემა» (130)
- «ამანათისა» (149)
- «გაცვლილობისა» (167)
- «ლაშქარში დანარჩუნებულ კაცსა და იარაღზე ირჩოდენ» (178)
- «ნაშრომისა და რასაც ფერის პირუტყვისაგან წანაქედისა ასრე იქნას» (188)
- «ვაზის აკაფისა, ნერგისა, გინა ხილისა ასრე იქნას» (189).
- «ღაწვისა» (191)
- «ნაძლევისა ასრე იქნას» (197)
- «გლეხის გაყრა ასრე არის» (204)
- «მიბარებულისა რასაც ნივთისა და გინა ნათხოვრისა, ასრე იქნებოდეს» (207)
- «მოსამართლეს რომ საეკვო მოვსენდეს სიტყვით» (212).
- «მოსამართლე რომ სიგლის წერილს ვერ მიხედეს» (213)
- «ქვეყნისა და ქალაქთ შენახვისა» (214).
- «ბჰის დაღვინებისათვის» (215)
- «ღედაკაცის საჩივარში მოსვლისა» (216)
- «საფლავის მიწის ფასისათვის» (218)
- «ნიშნის მოტანისა» (223)
- «მზითევისათვის» (224)
- «გეუხა და ბნეღიანის ცოლისათვის» (225)
- «უსამართლოდ განებრისათვის» (226)
- «წამრახვისათვის» (227)
- «ანდერძი» (233)
- «აზატობისათვის» (234)
- «ფიცისათვის და მოფიცარისა» (237)
- «ტყუილად დამფიცებელისა» (238)
- «ღედაკაცის ფიცისათვის» (239)
- «სიგელის წართმევისათვის» (240)
- «სამძღვრის გარიგებისათვის ასრე უნდა იქნას» (241)
- «სამნის მოგლეჯისათვის» (242)

- «რუს გამღებისა» (244)
 «ვისაც ყმა ამოუვარდეს» (248)
 «რასაც ფერის ქურდობისათვის» (249)
 «ლალის აღებისათვის» (250)
 «მოწამლისათვის» (252)
 «ომში კაცის დარჩენისათვის» (254)
 «ომში ნაშოვნის საქონლისათვის» (255)

ცხადია, ზემოთ მოყვანილი წინადადებანი თუ სიტყვები სამართლას წიგნის მუხლების სათაურების მანიშნებელია, ამიტომ ისინი ტექსტიდან მუხლების სათაურებად გამოვიტანეთ.

რაც შეეხება სამართლის წიგნის დანარჩენ მუხლებს, ისინი არ შეიცავენ სათაურის მანიშნებელ სიტყვებსა თუ წინადადებებს. მათი სათაურები შედგენილია ჩვენს მიერ ერთგვაროვანი იურიდიული ურთიერთობის მომწესრიგებელი: მუხლის, თუ ცალკეული მუხლის შინაარსის მიხედვით და ჩასმულია კავებში. ასეთი სათაურებია:

- რიგი და სამართალი თავის მართლებისა (მუხ. 6)
 ჯმალში გატანება ამ წესით უნდა (7)
 მღუღარე ასრე უნდა (8)
 ვის როგორი სისხლი სდის (26—42)
 ასოთა და ჭრილობათა სისხლისათვის (43—49)
 მიჯდომისა და ლალატად დადგომისათვის (50—61)
 ცოლ-ქმრის საქმისა ასრე იქნას (62—74)
 უფროსი კაცის მოკვლისა ასრე იქნას (75)
 უმძრახ კაცთა მოკვლისა ასრე იქნას (76)
 მამა-შვილთა და და-ძმათა საქმისა ასრე იქნას (77—83)
 ცოლის წაგვრისა და დაგდებისა ასრე იქნას (მუხ. 84—87)
 სხვადასხვა მოკვლისათვის ასრე იქნას (88—95)
 სხვისი ცოლის ან შვილის გაყიდვისათვის (96—97)
 უშვილო ცოლ-ქმრის გაყრისათვის (168)
 წყალა, შეშა და ბალახი ჯელმწიფისა არის (169—172)
 დახუთვისა ასრე იქნას (173—174)
 ებოსკოპოზის ბეითალმალისა ასრე იქნას (175)
 ორბატონობასა და ორიანობაში მტრობისათვის (176—177)
 ნადირობის ცილებისათვის (179—183)
 წყლის სამძღვრის ცილებისათვის (184)
 საქონლის პოვნისათვის (186)
 ყმაწვილის ნაქნარის საქმისათვის (187)
 ხუმრობასა და თამაშობაში დაჭრისათვის (194)
 ორმოს პირლიად დატოვებისათვის (195)

- მრჩოლელი პირტყვისათვის (196)
 მებატონეთა და ყმათათვის (198—203)
 ბოლოსტყვა
 ეკლესიის მამულის მოკენისა და დანერგვისათვის (217)
 ქვეყნისა და რაჭულის ლალატისათვის (220—221)
 მქეპარის დათხოვნისათვის (228)
 ქორაუნობისათვის (229)
 ქვრივი დედაკაცისათვის (231—232)
 თავდებობისათვის (235)
 მთარობლობისათვის (236)
 ამანათისათვის (243)
 სხვისი მიწის გაშენებისათვის (246)
 ხის წაღებისათვის (247)
 მისანთა და კუდიანთათვის (251)
 ტყუილად დაბეზღებისათვის (253)
 ორმოში ჩავარდნისათვის (256)
 დედა-მამის საქონელსა და მამულზე ქალის დაპატრონებისათვის (257)
 ბატონის მოკვლის, დაჭრის, ცემისა თუ შეგინებისათვის (258—259)
 ყმის თავდაცნისათვის (260)
 ნაშვილებისათვის (261)
 მოახლის თხოვნისათვის (262)
 სხვას ქვეყანას ვალის აღებისათვის (263)
 თავის გატეხისათვის (264—266)
 მოსამართლის საუპატიოსანისათვის (267)
 შეყრისათვის (268)
 ყმის თავდებობისათვის (269)
 ბოძებული ან აყრილი გლეხისათვის (270).

სამართლის წიგნის კარებად დაყოფა და მუხლეთის დასათაურება საკანონმდებლო მასალის დალაგების გარკვეულ სურათს იძლევა. უწინარეს ყოვლისა, დიდი განახვევება შეინიშნება სამართლის წიგნის პირველსა და მეორე ნაწილს შორის. პირველ ნაწილში (მუხ. 1—204) საკანონმდებლო მასალა დალაგებულია გარკვეული თანამიმდევრობისა და სისტემის მიხედვით: სასამართლო წარმოება, სისხლის განაჩენები, მიხლომა და ლალატად დადგომა, მკვლელობის სხვადასხვა სახეობა, გაყრისა და დაშორების რიგი, სესხი და ვალი, ქურდობა და მისი სახეობანი, ნასყიდობა, გაცულილობა, ხელმწიფის პრივილეგიური უფლებები, ნადირობის ცილება,

ნაშრომისა და ქირანახულის წანახედი, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული, მებატონეთა და ყმათა ურთიერთობა.

ასეთია სამართლის წიგნის პირველ ნაწილში გათვალისწინებული სამართლის ცალკეული დარგები და ინსტიტუტები. გარდა ამისა, სამართლის წიგნის პირველი ნაწილის ნორმატიული მასალა რედაქციულად და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით უფრო დამუშავებულა, განზოგადებული და შედარებით ნაკლებად კაზუსტური ხასიათისა. ამ ნაწილში ანალოგიური შინაარსის მუხლების გამეორება თითქმის არ გვხვდება.

საკოდიფიკაციო კომისიას, თუმცა იშვიათად, მაინც დაშვებულა აქვს ერთგვარი არათანამიმდევრობა სამართლის წიგნის პირველ ნაწილშიც. ერთგვაროვანი იურიდიული ურთიერთობის მომწესრიგებელი ყველა ნორმა არც აქ არის ერთად დალაგებული.

სამართლის წიგნის მე-10—მე-12 მუხლები სასამართლო ფიცის დადების ზოგად წესს განსაზღვრავს. ფიცის ზოგადი შინაარსის ნორმას შეიცავს 143-ე მუხლის უკანასკნელი აბზაცი და 147-ე მუხლის მეორე ნაწილიც. კანონთა 62-ე—74-ე მუხლები ცოლ-ქმართა პირადსა და ქონებრივ ურთიერთობას აწესრიგებს. ანალოგიური შინაარსისაა 84-ე—87-ე მუხლებიც. 74-ე მუხლით მთავრდება განქორწინების შემთხვევები, მაგრამ კანონმდებელი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს 168-ე მუხლში. 75-ე და 76-ე მუხლები მკვლევლობას რომ ეხება, ცხადია, უნდა იყოს იქ, სადაც ჩამოთვლილია მკვლევლობის შემთხვევები (მუხლ. 88—95). თითქოს აქვე უნდა ყოფილიყო 182-ე და 183-ე მუხლის მეორე ნაწილი, 187-ე, 194-ე და 197-ე მუხლები, რომლებიც ფათერაკად მკვლევლობას ეხება.

სამართლის წიგნის პირველ ნაწილში ადგილი აქვს მუხლების გამეორების ერთ შემთხვევასაც—165-ე მუხლის ტექსტი გამეორებულა 186-ე მუხლში.

როგორც ზემოთ დავინახეთ, სამართლის წიგნის პირველი ნაწილი ჯეროვნად არის დამუშავებული, მასში ნორმატიული მასალა. გარდა ორიოდ გამონაკლისისა. დალაგებულია გარკვეული თანამიმდევრობით სამართლის დარგებისა თუ ინსტიტუტების მიხედვით.

სხვა სურათია სამართლის წიგნის მეორე ნაწილში. აქ მოკვანილი მასალა იმრიგად დამუშავებული აღარ არის. მუხლების გარკვეული ნაწილი არაა ჯეროვნად განზოგადებული და ჩამოყალიბებული. ისინი უფრო სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილი კაზუსების გადაწყვეტის ელფერს ატარებენ, თანაც ზოგიერთი მუხლის შინაარსი დაუშვავრბელი ჩანს.

ახალი მუხლების ჩაწერისას, როგორც ჩანს, მხედველობიდან გა-

მორჩენიათ პირველ ნაწილში გათვალისწინებული მუხლები და ნორმები. ამიტომ მეორე ნაწილის რამდენიმე მუხლი პირველი ნაწილის ზოგიერთ მუხლს იმეორებს ანდა ანალოგიური შინაარსისაა. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ.

105. კაცმან თუ ორმოს პირი აკდილი გაუშვას და იმაში ან კაცი ან პირუტყვი ჩაეარდეს წმიდა თუ უწმიდური, ის უნდა ნახონ, თავის ნატამალშია თუ სასოფლოს. ადგილსა, ან ის ჩადრდნილი კაცი თუ დედაკაცი ბრმა ყოფილა ანუ მთვრალი,—მოსამართლემ კარგად გამოიკითხოს.

თუ თავის ნატამალში ყოფილა ის ორმო, ნახევარს სისხლს შეუვა კაცისას თუ პირუტყვისას; თუ სასოფლოს ადგილს ყოფილა, მთელი ეთხოების, ამიტომ რომ იცოდა, გზა იყო, რად არ დაბურა?

256. ან ორმო დარჩეს პირლია, ან ნათხარი რამ ქნას კაცმა და იმაში ჩაეარდეს რამე, თუ თავის ნატამალში აქვს, უფრო ვეზას შეუვლენ.

და თუ სათემოს, სასოფლოს ადგილს არა ინაღვლა რა კაცმა. თუ საჭმელი პირუტყვი წაქვდეს, იმაში ჩავადრნილი — ორმოს თუ ნათხარის პატრონს, და საქონლის პატრონს იმისთანა მთელი მიცეს. თუ ცხენი ან ვირი. მავისთანა, რომ არ იკმებოდეს, ჩავარდეს, ნახევარი ფასი გარდაუქვდოს.

თუ ყმაწვილი ასეთი ჩავარდეს, რომ პირუტყვთან ჩაიგდებოდეს, რაც იწყინოს, მის საფურად მოსამართლემ გაუჩინოს.

ჭკუიანყოფელი ან კაცი ან დედაკაცი ჩაეარდეს, არა გაუჩნდება რა, ამისათვის რომე თვალთ უჩანს, ნუ იქს.

სამართლის წიგნის პირველი და მეორე ნაწილის მუხლები, რომლებიც ერთგვაროვან ან მსგავს იურიდიულ ურთიერთობას აწესრიგებენ, თანამიმდევრულად დალაგებული არ არის. მოსამართლის ნიშან-თვისებები დაწვრილებით ჩამოთვლილია მე-3 მუხლში, მაგრამ ამავე საკითხს ეხება 215-ე მუხლიც; ფიცისა და მოფიცართა შესახებ ლაპარაკია პირველი ნაწილის მე-10—მე-12, 143-ე და 147-ე მუხლებში, ამავე საკითხებს ეხება მეორე ნაწილის 237-ე—239-ე მუხლები; 88-ე—95-ე მუხლებში ჩამოთვლილია მკვლელობის შემთხვევები, მაგრამ მოწამვლით მკვლელობის შესახებ ლაპარაკია მეორე ნაწილის 252-ე მუხლშიც; უცხო მხარეში ვალის აღება გათვალისწინებულია 148-ე მუხლში, ანალოგიურ საკითხს ეხება 263-ე მუხლიც; ამანათის საკითხს ეხება 149-ე მუხლი, მაგრამ ასეთივე ურთიერთობას შეიცავს 207-ე

მუხლის პირველი ნაწილი და 243-ე მუხლიც; 188-ე მუხლი პირუტყვა-საგან ნაშრომის წახდენას ითვალისწინებს, ამავე საკითხს ეხება 245-ე მუხლიც. 178-ე მუხლში ლაპარაკია ლაშქრობაში ტყვედჩაგარდნილი ან მოკლული კაცის შესახებ. თუმცა სხვა შინაარსისაა, მაგრამ ამავე საკითხს ეხება 254-ე მუხლიც.

მსგავსი შინაარსის მუხლები გვხვდება სამართლის წიგნის მეორე ნაწილშიც (მუხ. 231—232 და 257).

ცხადია, სამართლის წიგნის პირველი და მეორე ნაწილს ზემოთ მოყვანილი მუხლები, რომლებიც ერთგვაროვან, ან მსგავს იურიდიულ ურთიერთობებს აწესრიგებენ, თანამიმდევრულად უნდა ყოფილიყო დალაგებული.

საკანონმდებლო მასალის არათანმიმდევრული გადმოცემა განსაკუთრებით იგრძნობა სამართლის წიგნის მეორე ნაწილში (მუხლ. 205—270). ამავე დროს, საფიქრებელია, რომ ბოლო (264—270) მუხლები კანონთა ტექსტში შეტანილია ვახტანგის მეფობის უკანასკნელ წლებში.⁴

ფეოდალური ეპოქის სამართლის წიგნებს არ შეიძლება მივედგეთ კოდიფიკაციის თანამედროვე პრინციპებისა და მოთხოვნების მიხედვით. საჭიროა გავიფიქროვოთ დრო, ვითარება და მართლმწიგნობის დონე. ვახტანგის სამართლის წიგნი და ქართული სამართლის სხვა ძეგლები, როგორც მათი გარეგანი დამუშავების, ისე საკანონმდებლო მასალის სისტემატიზაციის ივალსაზრისით ფეოდალური ეპოქის სხვა ხალხთა საკანონმდებლო აქტების კოდიფიკაციისა და იურიდიული აზროვნების დონეზე დგას. ამ მხრივ ვახტანგის სამართლის წიგნი არანაკლებ დამუშავებული და გამართულია, ვიდრე კრებულში შეტანილი უცხოური და ეროვნული სამართლის სხვა ძეგლები. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია მიღებულია ის აზრი, რომელიც თითქმის 100 წლის წინათ ვახტანგის კანონთა კრებულის გამომცემელმა ა. ს. ფრენკელმა გამოთქვა: «Законы царя Вахтанга представляют для своего времени стройное, законченное законодательство. Понятно мы не должны искать в Уложении Вахтанга расположения статей в строго научной системе, но отсюда, по возможности, сгруппированы и свидетельствуют что грузинский законодатель осмысленно принялся за свой тяжёлый и весьма сложный труд»¹.

ზემოთქმულის შემდეგ, ცხადია, მცდარია გ. ქ. სოსელიას მიერ ქართული სამართლის ძეგლების შესახებ გამოთქმული უსაფუძვლო

¹ Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, გვ. 11.

მოსაზრება: «Показательны памятники права XI—XVIII ввков. Они внешне совершенно не разработаны. Не говоря о казуистическом характере норм, отдельные статьи разбросаны в Судебнике без всякой системы!»¹.

სამართლის წიგნის 61-ე მუხლის პირველი ნაწილით მთავრდება «მივდომისა და ღალატად დადგომის» ნორმები. ამ მუხლის მეორე ნაწილი საერთო შინაარსის ნორმაა, ამიტომ იგი ცალკე 61¹ მუხლად გამოვყავით. აქვე აღვნიშნავთ, რომ S—3683 ნუსხაში 61¹ და 62-ე მუხლები გაერთიანებულია 62-ე (ნიბ) მუხლად.

78-ე მუხლის პირველი ნაწილი მამის მიერ შვილის, ან შვილის მიერ მამის მოკვლას ითვალისწინებს და კანონმდებელი ამბობს: «მაგისი სისხლი არ დაიწერებოდა და რჯულის კანონით უნდა გარიგდესო». ამავე მუხლის მეორე ნაწილი კი მამის და შვილის ურთიერთ შეურაცხყოფას ეხება, ე. ი. დანაშაულის სხვა შემადგენლობა შეიცავს და ამის შესაბამისად 78¹ მუხლად გამოვყავით.

91-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და მკვლელობის შემთხვევების ჩამოთვლის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს, თავის ადგილას გადავიტანეთ და 95¹ მუხლად გამოვყავით. ასეთივე შინაარსისაა ჩვენს მიერ 97¹ მუხლად გამოყოფილი ტექსტი, რომლითაც მთავრდება კარი სისხლის განაჩენებისა. ABC ნუსხებში ეს ტექსტი 115-ე მუხლის ბოლოსაა, 115-ე მუხლი კი საოჯახო ქონების გაყოფას ეხება და სისხლის განაჩენებთან არავითარი კავშირი არა აქვს. Q 164 ნუსხაში ეს ტექსტი თავის ადგილასაა, 97-ე მუხლს მოსდევს და ცალკეა (23r) დაწერილი.

103-ე მუხლის ტექსტი საგნის მისეღვით 103¹, 103², 103³, 103⁴ მუხლებად დავყავით. 104-ე მუხლის უკანასკნელი აპზაციც 104¹ მუხლად გამოვყავით.

სამართლის წიგნის ხელნაწერებში 109-ე მუხლის პირველი ნაწილი შეტანილია 108-ე მუხლში. მაგრამ ასეთი დაყოფა შინაარსობრივად შეუსაბამოა და ამიტომ ხელნაწერის 108-ე მუხლის მეორე ნაწილი 109-ე მუხლს მივაკუთვნეთ. 147-ე მუხლი უთამასუქოდ ვალის აღებას ეხება, ხოლო ამ მუხლის მეორე ნაწილი ფიცის ზოგადი შინაარსის ნორმას შეიცავს, რომელიც თავის ადგილას გადავიტანეთ და 10¹ მუხლით აღვნიშნეთ.

ხელნაწერებში 193-ე მუხლი იწყება სიტყვებით: «დამწერი კაცი თუ ამას ამბობდეს», მაგრამ ეს გადამწერთა შეცდომაა, რადგან 191-ე—192-ე მუხლები ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას განზრახ ცეცხლის წაქიდებისათვის, ხოლო 193-ე მუხლი — «უნებურად»

¹ ურ. «Вопросы истории, № 10, 1956, გვ. 82.

ცეცხლის გაჩენისათვის. ამიტომ ტექსტი თავის ადგილას გავკვეთეთ. 207-ე მუხლის ტექსტი, რომელიც მიზარებისა და ნათხოვრობის საკითხებს აწესრიგებს, მათში გათვალისწინებული ნორმების მიხედვით 207¹, 207², 207³ მუხლებად დაეყავით. დასასრულ, ცალკე 261¹ მუხლად გამოვყავით 261-ე მუხლის უკანასკნელი აბზაცი, რომელიც ბიჭის სასამსახუროდ ყიდვას ითვალისწინებს.

სამართლის წიგნის ზოგიერთი მუხლი (50, 80, 95, 86, 97, 151, 261 და 267) მ ი თ ი ე ბ ა ს შეიცავს («ზემორებრ იქნას», «როგორც დაგვიწერაა, ისრე გარდააჯდეინონ», «როგორც დაგვიწერია, ისრე იქნან», «როგორც ზეით სწერია, ისრე უნდა იქნას» და ა. შ.), მაგრამ კონკრეტულ მუხლს არ აღნიშნავს. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი მუხლები კავებში მიეუთითეთ.

ვახტანგის სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემა

ვახტანგის სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემის მთავარი ნაკლი, გარდა სხვა ნაკლოვანებისა, ის არის რომ გამომცემელი თითქმის უკრიტიკოდ იღებს S—3683 ნუსხის ტექსტს და ვერ ამჩნევს იმ ხარვეზებსა და დამახინჯებებს, რომლებსაც ადგილი აქვს ამ ხელნაწერში. ამის გამო ტექსტის დადგენისათვის არ იყენებს სხვა ნუსხების სწორსა და მართებულ წაკითხვებს. ტექსტში შეტანის ნაცვლად ისინი სქოლიოებში ჩააქვს, ხოლო ხშირად უმნიშვნელოვანეს კითხვასხვაობებს არც სქოლიოში უთითებს.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ დასახელებული გამოცემიდან მრავალი ტექსტოლოგიური მასალის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ ეს დიდად გადატვირთავდა ჩვენს ნარკვევს. ამიტომ ამ გამოცემის მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ხარვეზებსა და შეცდომებს აღვნიშნავთ.

მუხ. ვ. «მოჩივრის მოადის მომცდელი»

ვახტანგის სამართლის წიგნის მესამე მუხლი ჩამოთვლის მოსამართლის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს: «მოსამართლე დიდად მჩხრეკელი, მიმხილარი, ჭამამიძიებელი, გონებააუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი და სხვისაც მკითხველი, მოწმის მადებარი უნდა იყოს, უქრთამო და ღმრთის მოშიში». (Q 575 ტიპის ნუსხები ამ თვისებებს კიდევ ერთ ნიშანს უმატებს—მოსამართლე «მოჩივრის მოადის მომცდელი» უნდა იყოს. «მოადი» მოდავე მხარეს—დამნაშავეს (მოპასუხეს) ან დაზარალებულს (მოსარჩელეს) ეწოდება. მაშასადამე, კანონმდებელი მოითხოვს, რომ მოსამართლემ არა მარტო მომჩივნის, არამედ მოპასუხე მხარის ახსნა-განმარტებასაც უნდა დაელოდოს და გულისყურით მოუსმინოს მას. მოსამართლე რომ «მოჩივრის მოადის მომცდელი» უნდა იყოს, ჩაწერილია არა გვიანდელ ნუსხებში, არამედ ვახტანგის ხელიდან გამოსულ Q 575 ნუსხაში, რომელიც გადაწერილია 1710 წელს. მაშასადამე, ეს ფორმულა გადამწერთა გვიანდელი ინტერპოლაცია კი არ არის, არამედ კანონთა ტექსტში თვით სჯულმდებელი მეფის სანქციით ჩართული ნორმაა, რომლის დაცვა მოსამართლისათვის სავალდებულოა. ამიტომ

იგი შენარჩუნებულ უნდა იქნას კანონთა ტექსტში. 1955 წლის გამოცემა ამ ნორმას უგულებელყოფს.

მუხ. 4. «თუ იასაულმა ღმერთი გმო»

სამართლის წიგნის მე-4 მუხლი ისეთ შემთხვევას ითვალისწინებს, როცა მოსამართლე ადგილზე საქმის გამოსაძიებლად და «მართალი ამბავის» მოსატანად თავის იასაულს გზავნის. მაგრამ შეიძლება იასაულმა ღმერთი გმოს, ქრთამი მიიღოს და მოსამართლეს «მრუდი ამბავი» მოუტანოს. ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად და ამგვარი საქმის გამოსარკვევად მოსამართლეს სხვა «მართლის მთქმელი და სიმართლენე ცნობილი იასაული» უნდა ჰყავდეს, რომ მისი მეშვეობით საქმის ნამდვილი გარემოება დაადგინოს. S 3683 ნუსხის გადამწერს lapsus calami მოსვლია და სიტყვა «გმო» ორჯერ დაუწერია. სხვა ძველი ხელნაწერები და კერძოდ, ქუთაისის 201 ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია S 3683 ნუსხიდან 1746 წელს, ამ შეცდომას ასწორებენ. 1955 წლის გამოცემაში კი კალმის ეს შეცდომა შენარჩუნებულია და დაბეჭდილია: «იასაულმა ღმერთი გმო, გმო».

მუხ. 12. «იქნების, დღიურზე ერთი მოფიცარი შევარდეს»

სამართლის წიგნის მე-10—მე-12 მუხლები ფიცისა და მოფიცობის, როგორც სასამართლო დამამტკიცებელი საბუთების, გამოყენების წესებს ადგენს.

მე-12 მუხლში ლაპარაკია საადგილმამულო დავაზე და აღნიშნულია, რომ «მამულის ცილებაში» გარეშე მოფიცარი არ უნდა იქნას დანიშნული, ხოლო მოფიცართა რაოდენობა მამულის ღირსების მიხედვით უნდა განისაზღვროს. ამასთან შესაძლებელია, ერთი დღიურის ოდენობის სადავო მიწის საქმეზე ერთი მოფიცარიც დაინიშნოს. S 3683 ნუსხაში და მისი ტიპის ხელნაწერებში ამ ადგილას «მოფიცარი ს» ნაცვლად «მოწამე» სწერია, რაც დატოვებულია 1955 წლის გამოცემაშიც. მაგრამ ეს შეცდომაა, რადგან «მოწმით სამართლის ქმნისა» და მოწმეების, როგორც მტკიცებულებათა სახეობის შესახებ ჰპეციალურად ლაპარაკია სამართლის წიგნის მომდევნო მე-13 მუხლში. ამიტომ «მოწმის» ნაცვლად აქ «მოფიცარი» უნდა დარჩეს, როგორც ეს Q 575 ნუსხასა და მისი ტიპის ხელნაწერებშია დაცული.

მუხ. 23. «უხეები მოსამართლეთ კარგად გასინჯეთ და გამოიძიეთ»

23-ე მუხლში თავადთა და აზნაურთა წინათ განწყვებულ სისხლის გახანჩენებსა ანუ მკვლელობის საზღაურსა ლაპარაკი. კანონი ადგენს, რომ ძველად განსაზღვრული სისხლის მიხედვით ახლა საზღაურის გადახდა შეუძლებელია, რადგან «ახლა მამინდელზე ქართველს ბატონსაც ბევრი ადგილი აკლია და მისი თავადიც მამულზე დამცრობილია». ამიტომ მკვლელობის შემთხვევაში მოსამართლემ ყოველივე ეს კარგად უნდა შეამოწმოს და გამოიძიოს. S 3683 ტიპის ნუსხებში «და გამოიძიეთ» არ არის, ამის გამო იგი არც 1955 წლის გამოცემაშია. მაგრამ არის Q 575 ნუსხაში და მისი ტიპის სელნაწერებში. «გასინჯეთ» და «გამოიძიეთ» სინონიმური ცნებები არაა. პირველი «შემოწმებას ნიშნავს, ხოლო მეორე უფრო ღრმა, სპეციალური იურადიული ტერმინია, რომელიც საქმის საფუძვლიან გამოკვლევას გულისხმობს. ამ მოსაზრებათა გამო მისი შენარჩუნება ტექსტში აუცილებელია.

მუხ. 24. «ფიცო მოკდეს, თუ ისრე სისხლი გააჩინონ»

სამართლის წიგნის 24-ე მუხლი ადგენს: «დიდროანს კაცში სიკვდილი და რა გინდა რა სისხლი მოკდეს», მეფემ და კათალიკოზმა მოქიშვე მხარეებს არ უნდა მისცეს ნება, რომ ერთმანეთი ძარცვონ და არბიონ, აგრეთვე არც მათ ნათესაუბებს—მიეშველონ და დახმარება აღმოუჩინონ მათ. ასეთ შემთხვევაში მესისხლე მხარეებს კაცი უნდა განუწყოსონ და ისინი ერთმანეთზე სარბევად აღარ მიუშვან. მეფემ და კათალიკოზმა, ეფისკოპოს-დარბაისელთა თანდასწრებით, მათი საქმე და საჩივარი არაერთგზის უნდა მოისმინონ, გულდასმით განიხილონ, «ბეჯრჯერ გასინჯონ», და ამგვარად, ფიცის დაკისრებით, თუ უფიცრად, დანაშაუვე მხარეს სისხლის გადახდა მიუთაჯონ, ხოლო იმ სისხლია მესამედი მეფემ და კათალიკოზმა აპატიოსო. S 3683 ნუსხაში ჩვენთვის საინტერესო ადგილი ასე იკითხება: «ფიცო მოკდეს თუ ისრე სისხლი». წინადადება დაუმთავრებელი ჩანს. აკლავ შემასმენელი. ტექსტი ასეთა ჯაბეჭდილი 1955 წლის გამოცემაშიც. ამავე დროს ტექსტი სრულიად იმართება Q 164 უძველესი ნუსხის მოშველიებით, სადაც ნათქვამია: «ფიცო დაადგან, თუ უფიცრად სისხლი გააჩინონ», იმისი მესამედი მეფემ და კათალიკოზმა აპატიოსო. ამრიგად, აუცილებელია ტექსტში აღდგენილ იქნას «გააჩინონ».

მუხ. 36. «დიდებულისა და გამოჩენილი სისხლი მართებია»

36-ე მუხლი ადგენს: უკეთეს დიდებული თავადი თავის ტოლ («ამხანაგ») დიდებულ თავადს მოკლავს და მკვლეელი ცნობილი იქნება, აგრეთვე დადგენილ იქნება, რომ დაზარალებულს (მოკლულს) დამნაშავეს «სისხლი მართებია და მისთვის მოუკლავს», მაშინ «ნამართები სისხლი» უნდა შეუფარდონ და გამოაკლონ დაზარალებულის სისხლს და დანარჩენი სისხლის ანაზღაურება დააკისრონ დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ. S 3683 ნუსხაში ეს ტექსტი გაუმართავია და ასე იკითხება: «თუ ამხანაგი არის ის დიდებულის მკვლეელი, დიდებული და გამოჩენილი სისხლი მართებია». გამომცემელმა ტექსტი ვერ გაიგო და ასე უკრიტიკოდ დაბეჭდა, რის გამოც მივიღეთ «დიდებული სისხლი», რაც უაზრობაა. ეს ტექსტი Q 575 ნუსხის მიხედვით ასე იმართება: «თუ ამხანაგი არის ის დიდებულის მკვლეელი დიდებულისა, და გამოჩენილი სისხლი მართებია», გასინჯეთ და ისე უანგაროშეთ. ნაშასადამე, კანონში ნათქვამია, რომ მკვლეელი დიდებულს სოციალურად მოკლული დიდებულის ტოლია, წოდებით მისი თანასწორია, მისი «ამხანაგია».

მუხ. 38. «დაწამებულს მთხრობლის ტოლი ყმა ყვანდეს»

38-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ფეოდალთა კლასის წარმომადგენელს (თავადს ან აზნაურს) ბრალი ედება რაიმე დანაშაულში დამსმენის—«მთხრობლის» მეშვეობით. კანონი ადგენს: თუ ბრალდებულს—«დაწამებულს» ბრალმდებლის ანუ «მთხრობლის» ტოლი ყმა (ხელქვეითი, ვასალი) ჰყავს, იგი «ჯმალში გაატანოს», ე. ი. ორთაბრძოლაში გაიყვანოს მთხრობლის წინააღმდეგ და ამ წესით იმართლოს თავი წაყენებული ბრალდების გამო. გარდა Q 164 ხელნაწერისა, რომელიც თავდაპირველ დედანს წარმოადგენს, სამივე ნუსხაში. S 3683 ნუსხის მიხედვით, «დაწამებულის» ნაცვლად «დამწამებელი» სწერია, რაც აშკარა შეცდომაა, რადგან მომდევნო ტექსტიდან ჩანს, რომ ხმალში გადის არა ბრალმდებლის—«დაწამებულის» ყმა, არამედ ბრალდებულის—«დაწამებულის» ყმა. ტექსტის გამომცემელი ამას არ ჩაკვირვებია და დაბეჭდილ ტექსტში მცდარი წაკითხვა «დამწამებელს» დაუტოვებია. ეს შეცდომა თავის დროზე მართებულად აღნიშნა პროფ. გ. ნ ა დ ა რ ე ი შ ვ ი ლ მ ა.

მუხ. 42. «თუნდა კიდევ მოკლას»

სამართლის წიგნის 42-ე მუხლში ჩამოთვლილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ათი შემთხვევა. მესხეთე

კანონში გათვალისწინებულია ასეთი შემთხვევა: თუ წოდებით თანასწორი პირი მის ტოლ კაცს შეუტევს და ხმაღლე ხელს გაიკრავს, ხოლო მოპირდაპირე მხარე მას დაასწრებს, უწინ შემოჰკრავს, დაჰკრის, თუხდა კიდევ მოკლას, მკვლეელი პასუხს არ აგებს. აქ გათვალისწინებული აუცილებელი მოგერიების თავისებური შემთხვევა, როცა მომგერიებელი მხარე დამდგარი შედეგისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფალია. S 3683 ტიპის ნუსხებში აღნიშნული კაზუსა გაუძარათავია: «თუ სწორმან სწორს შეუტია და კმაღს კელი გაიკრა, და იმ მეორემ ამ შემტევებელს უწინ შემოჰკრა, დაჰკრა, და უნდა მოკლას, ვერას შეუა». ამჟარაა, რომ ფრაზა «უნდა მოკლას». აქ უაზრო და შეუსაბამოა. მომგერიებელ მხარეს, სიკვდილის რეალურა საფრთხისაგან რომ თავს იცავს, ცხადია, სურს მოკლას თავდამსხმელი—«შემტევებელი», რათა თავისი სიცოცხლე შეინარჩუნოს. ამიტომ ტექსტი Q 164 და Q 575 ნუსხების მიხედვით უნდა გაიმართოს და ასე აღდგეს: «თუნდა კიდევ მოკლას».

მუხ. 49. «ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი»

49-ე მუხლი მიყენებული ჰქრილობის საზღაურს განსაზღვრავს სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის ადამიანებისათვის. საზღაურის ოდენობა განისაზღვრება ჰქრილობის სიდიდისა და დაზარალებულის წოდებრივი მდგომარეობის მიხედვით. ჰქრილობის სიდიდე ჰქრის მარცვლით იზომება. ყოველ მომდევნო საფეხურზე მდგომი ადამიანის ჰქრილობის საზღაური ერთი ორად იზრდება. ერთი ჰქრის მარცვლის ოდენა ჰქრილობის საზღაური სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთათვის შემდეგნაირად განისაზღვრება: გლეხისა ორ მინალთუნად, მსახურისა ოთხ მინალთუნად, ცალმოგვი აზნაურისა რვა მინალთუნად, შუა აზნაურისა თექვსმეტ მინალთუნად, დიდ აზნაურისა სამ თუმნად და ორ მინალთუნად, დაბალი თავადისა ექვს თუმნად და ოთხ მინალთუნად, შუა თავადისა თორმეტ თუმნად და რვა მინალთუნად, დიდებულისა ოცდახუთ თუმნად და ექვს მინალთუნად. S 3683 ნუსხაში, გადამწერის შეცდომით, დაბალი თავადის ერთი ჰქრის მარცვლის ოდენა ჰქრილობის საზღაურად სწერია: «ექვსი თუმანი და სამი მინალთუნი». Q 164 და Q 575 ტიპის ნუსხებში კი «სამის» ნაცვლად იკითხება «ოთხი» მინალთუნი, რაც სწორია. გამომცემელი ამას არ უკვარდება და დაბეჭდილ ტექსტში S 3683 ნუსხის მცდარ ვარიანტს ტოვებს.

მუხ. 51. «თუ მიმკლომი ან ასაბია მოკვდეს»

კანონი აღგენს: უკეთუ ვინმე თავს დაესხმის სხვას თავის საზღაურსა და ცოლ-შვილსი და თავდამსხმელი ან მისი შემწე (ასაბია) მოკლული იქნება, მათი მოკვლისა ან დაჭრისათვის «ს ი ს ხ ლ ი ა რ ა რ ის», ე. ი. საზღაურს არ გადაიხდოს, პასუხს არ აგებს. S 3683 ნუსხაში სწერია: «თუ მიმკლომი და ასაბია მოკვდეს», Q 164 და Q 575 ნუსხებში კი სწერია—«თუ მიმკლომი ან ასაბია მოკვდეს». მაშასადამე, კანონმდებელი გულისხმობს არა ორივეს მოკვლას, არამედ ერთის ან მეორის, მიმკლომის ან ასაბიის მოკვლას, ამიტომ «და» კავშირის ნაცვლად ტექსტში «ან» უნდა დარჩეს.

მუხ. 52. «ორკეცი სისხლი და წანაღებიცა მისცეს»

ეს მუხლი გლეხის საზღ-კარსა და ოჯახზე თავდასხმას ითვალისწინებს. კანონი აღგენს: თავდასხმის შედეგად გლეხის ოჯახში რამდენიც მოკვდეს და დაიჭრას, დამნაშავემ სისხლი ორკეცად აუნაზღაუროს და მიტაცებული ქონებაც დაუბრუნოს. S 3683 ნუსხაში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: «იმ გლეხისა რაც მოკვდეს და დაიჭრას ორკეცი სისხლი და წინაღებიცა». წინადადების ბოლო გაუმართავი და ბუნდოვანია, რადგან აკლია ზმნა. 1955 წ. დაბეჭდილ ტექსტშიც ასეა დატოვებული. Q 575 ნუსხაში კი ეს ადგილი გამართულია: «იმ გლეხისა რაც მოკვდეს და დაიჭრას, ორკეცი სისხლი და წანაღებიცა მისცეს». ტექსტიც ასე უნდა გაიმართოს.

მუხ. 57. «რამდენიც იმისი ყმა დაჭერილი თან წაყვანოს»

ამ მუხლის თანახმად მიხლომისა და თავდასხმის დროს დამნაშავე რამდენ ყმასაც დაჭრის, მან იმდენი მთელი სისხლი უნდა გადაიხადოს. და რამდენ ყმასაც დაჭერილს წაიყვანს, იმდენი ნახევარი სისხლი უნდა მისცეს. მაშასადამე, კანონი ითვალისწინებს ორ შემთხვევას: ყმის დაჭრას და დაჭერილი ყმის წაყვანას. ყმის დაჭრისათვის მთელი სისხლია დაწესებული, ხოლო მისი დაჭრისა და წაყვანისათვის — ნახევარი სისხლი. S 3683 ნუსხაში კი გადანწერის შეცდომით მეორე შემთხვევაშიც «და დაჭერილი ყმა» სწერია «და დაჭერილი ყმის» ნაცვლად, მაგრამ საზღაური — ნახევარი სისხლი სწორადაა ნაჩვენები. გამომცემელს ეს ვერ შეუნიშნავს და ტექსტში S 3683 ნუსხის მცდარი წაკითხვა აღარ გაუსწორებია.

მუხ. 61. «რჭულის გარდამავალს საქმეში კათალიკოსს კელი აქვს»

61-ე მუხლის ბოლოს ნათქვამია: «სატანჯელის სიკვდილში და რჭულის გარდამავალ საქმეში კათალიკოსს კელი აქვს». ნუსხაში გადამწერს კალმის შეცდომა მოსვლია, სიტყვა «რჭულის» ორჯერ დაუწერია. გამომცემელიც უპროტიკოდ იზიარებს ამ შეცდომას და ბეჭდავს «რჭულისა და რჭულის». Q 164-სა და Q 575-ში კი ეს სიტყვა, როგორც ვერ არს, ერთხელაა დაწერილი.

მუხ. 73. «რასაც გვარისა ის კაცი იყოს»

კანონი ადგენს: «თუ კაცმან მისგან უდიდებულესის კაცის ქალი დააგდოს, რასაც გვარისა ის კაცი იყოს, იმტოლი მთელი სისხლი მისცეს». ე. ი. კანონი ამბობს, ქმარმა მასზე უფრო მაღალი წოდების ცოლს უმიზეზოდ რომ გაეყაროს, სისხლი თავისი გვარის მიხედვით უნდა დაუტრეოსო. მაგალითად, თუ ქმარი მეორე თავადი იყო და ცოლი კი პირველი თავადის კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ქმარი გაშვებულ ცოლს სისხლს თავისი გვარის ღირსების მიხედვით უნდიდა. ვახტანგის სამართლის ამ მუხლის წყაროს ბეჭა მანდატურათუხუცესის სამართლიან წიგნის 30-ე მუხლი წარმოადგენს. S 3683 ნუსხაში ფრაზა «ის კაცი» გამოტოვებულია, რის გამოც მუხლი საწინააღმდეგო შინაარსს ღებულობს, ე. ი. გამოდის, რომ ქმარმა სისხლი ცოლის საგვარეულო ღირსების მიხედვით უნდა გადაიხადოს. ასევე შეცდომითაა დაბეჭდილი ეს მუხლი გამოცემულ ტექსტშიც.

მუხ. 102. «ის მკვლელი იარაღი მიეცემის»

ამ მუხლში ლაპარაკია ფათერაკად, განუზრახველად მომხდარ მკვლელობაზე და ჩამოთვლილია ასეთი მკვლელობის ცალკეული კაზუსები. ერთ-ერთი კაზუსი ისეთ შემთხვევას ითვალისწინებს, როცა მკვლელობა მომხდარია ნადირობის დროს ცხენების უნებურად შეძგერებით ან თოფის შემთხვევით გასროლით. კანონმდებელი აუღებს: ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს (მოკლულს) ის ცხენი და ის იარაღი უნდა მიეცეს, რომლითაც ფათერაკად მკვლელობა მოხდა. S 3683 ხუსხაში კანონის ტექსტი დამახინჯებულია და ასე იკითხება: «ცხენისაგან მოკვდების სიკვდილი თუ იარაღისაგან, ის ცხენი, ის მკვლელი და ის იარაღი მიეცემის». გადამწერმა უყურადღებობის გამო ორი სიტყვა «და ის» ჩაუშატა, რითაც სრულიად დამახინჯა კანონის აზრი. ტექსტის გამომცემელიც ასევე აქვეყნებს მას. გამოდის, რომ ფათერაკ-

კად მომხდარ მკვლელობისათვის, ცხენსა და იარაღთან ერთად, მათ პატრონსაც დაზარალებულს აძლევენ სისხლის საზღაურში. ტექსტის ასეთი დამახინჯებული გაგება ეწინააღმდეგება ვახტანგის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მთელ აზრსა და შინაარსს.

მუხ. 92. «ან ყაბახს ესროდეს, ისარი კაცს დაეცეს»

ამავე 92-ე მუხლში გათვალისწინებულია ფათერაკად სიკვდილის კიდევ ერთი შემთხვევა, რაც ყ ა ბ ა ხ ის თამაშის დროს ხდება. საბურთაო, საჭირითო მოედანზე აღმართულია გრძელი ძელი, რომლის თავზე ბურთი დევს; მოჭირითე მხედარმა ბურთს ისარი უნდა ესროლოს და მოარტყას. მაგრამ შესაძლოა ეს თამაში უბედური შემთხვევითაც დამთავრდეს, ისარი ბურთის ნაცვლად მაყურებელს ნიხვდეს და მოკლას იგი. ასეთ შემთხვევაში ყაბახის მსროლელმა მოკლულის ოჯახს მხოლოდ «ს ა ფ ა თ ე რ ა კ ო ს ი ს ხ ლ ი» უნდა მოსცეს, ე. ი. ფათერაკად, განუზრახველად მკვლელობისათვის დაწესებული საზღაური გადაუხადოს. დაბეჭდილ ტექსტში ეს აღვილი ასე იკითხება: «ან ყაბახს ესროლოს და ის არ ით კაცს დაეცეს». გამომცემელი სქოლიოში მიუთითებს. რომ «ისარით» ABC ნუსხებში არ არისო, მაშასადამე, მხოლოდ D-ში უნდა იყოს. მაგრამ D-ში არის «ისარი» და არა «ისარით». ამრიგად, «ისარით» გამომცემლის უხეირო კონიექტურაა. Q 164 და Q 575 ხელნაწერებში კი წერია: «ან ყაბახს ესროდეს და ის არ ით კაცს დაეცეს». ცხადია, ამ ვარიანტში ტექსტი გამართულია და ასე უნდა დარჩეს.

მუხ. 101. «იქნების იმათშივე ერთსა და ერთს უბოძოს»

ეს ტექსტი S 3663 ნუსხაში არ არის, ამიტომ ის არც 1955 წ. დაბეჭდილ ტექსტში აღმოჩნდა. ამავე დროს Q 164 და Q 575 ნუსხებში იგი დაცულია. 101-ე მუხლი ითვალისწინებს თავადაზნაურული წოდების ძმების გაყრას და იმ გასამყრელო წილს, რომელიც ხელმწიფეს ეძლევა ასეთი გაყრის შემთხვევაში. დიდი თავადის გაყრის დროს ხელმწიფემ გასამყრელოდ შეიძლება მთელი სოფელიც კი აიღოს და დაიპიროს, როგორც თავისი სახასო ყმა-მამული, ან სხვა ვინმეს უბოძოს: ან იქნებ ხელმწიფემ მოისურვოს და თავისი კუთვნილი გასამყრელო ყმა-მამული რომელიმე გაყრილ ძმას უბოძოს ან ისევ იმას დაეტოვოს. ვის მულობელობაშიც იგი ადრე იყო. აქ გათვალისწინებული ოთხივე შემთხვევა ცხოვრების პრაქტიკას ასახავს და ამიტომ კანონთა ტექსტშიც შენარჩუნებული უნდა იქნეს.

მუხ. 103. «საუფროსო ერგოს და საუარესო აღარ მისცენ»

სამართლის წიგნის მე-100 მუხლის თანახმად თავადი ან აზნაური ძმების გაყრის შემთხვევაში ოთხი განსაკუთრებული წილი გამოიყოფა: გასამყრელო, საუფროსო, საშუალო და საუმცროსო.

გასამყრელო ძმების გაყრისათვის დაწესებული ხელმწიფის განსაკუთრებული წილია.

საუფროსო უფროსი ძმის განსაკუთრებული წილია სამკვიდრო ქონებაში.

საშუალო შუათანა ძმის განსაკუთრებული წილია სამკვიდრო ქონებაში.

საუმცროსო უმცროსი ძმის განსაკუთრებული წილია სამკვიდრო ქონებაში. ამრიგად, უფროსს, საშუალოსა და უმცროს ძმას თავ-თავისი განსაკუთრებული წილი აქვთ კანონით განწესებული.

§ 3683 ნუსხაში გადამწერის მიზეზით 103¹ მუხლის ტექსტი დამახინჯებულია და ასე იკითხება: «საუფროსო ერგოს და საუმცროსო აღარ მისცეს, ცხადია, მას საუმცროსო აღარ ერგება. გამომკვლელო ამას არ უკვირდება და წესის მცდარ წაკითხვას იზიარებს. Q 164 და Q 575 ნუსხებში კი როგორც ჭერ არს, ისე წერია: «საუფროსო ერგოს და საუარესო აღარ მისცენ». ტექსტიც ასე უნდა გაიმართოს.

მუხ. 119. «მარბილის თავს წელიწადში ერთი აბაზი სარგებელი მისცენ»

119-ე მუხლი თეთრის ვალის წლიურ სარგებელს განსაზღვრავს. სარგებელი შეიძლება იყოს როგორც ნატურალური ისე შრომითი ან ფულადი. ყოველ ერთ მარბილ (სამ აბაზ) ვალზე წელიწადში «სარგებლად ოთხი მუშა უნდა უმუშაოს» ან ერთი აბაზი მისცეს. § 3683 ნუსხის ტექსტი ხარვეზიანია, ფრაზა «წელიწადში ერთი» გამოტოვებულია, რაც აზრს ბუნდოვანს ხდის. გამოქვეყნებულ ტექსტშიც ასეა დაბეჭდილი. Q 575 ნუსხაში კი ეს ადგილი არის და ტექსტიც ასე უნდა გაიმართოს.

მუხ. 147. «იქნების, რომე კაცს კაცთან ესთიბარი ქონდესთ»

როგორც დაინახეთ, § 3683 ნუსხის გადამწერი ზოგჯერ უყურადღებობას იჩენს ტექსტის მიმართ, იგი არ უკვირდება ტექსტის შინაარსს, გაუაზრებლად იწერს მას. ამის საუცხოვო ილუსტრაცია კანონთა

147-ე მუხლი, რომელიც უხეშად დამახინჯებულია გადამწერის მიერ. აღნიშნულ მუხლში ლაპარაკია ისეთ შემთხვევაზე, როცა ფულის მსესხებელი ნდობით სარგებლობს განსესხებლის წინაშე, რომელიც კარგად იცნობს და ენდობა მას და ამიტომ უთამასუქოდ, უხელწერილოდ ან უთავდებოდ აძლევს ფულს სესხად.

Q 164 და Q 575 ნუსხებში ტექსტი ასე იკითხება: «იქნების, რომე კაცს კაცთან ესთიბარი ქონდესთ, უთამასუქოდ, უთავდებოდ თეთრი ევალეზანოს». S 3683 ნუსხის გადამწერმა, უცხო სიტყვა «ესთიბარი» (ნდობა) რომ ვერ გაიგო, კანონთა ტექსტი ასე დაამახინჯა: «იქნების, რომე კაცს კაცთან ერთი ბარი ქონდესთ». ამრიგად, «ესთიბარი» გაშლამცემლის დაუდევრობის გამო დაბეჭდილ ტექსტშიც «ერთი ბარი» გახდა. წარმოუდგენელი კურიოზია.

მუხ. 159. «დამფიცებელი» თუ «დაფიცებული»

ამ მუხლში კანონმდებელი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ვინმე ქურდობას ან სხვა რამე დანაშაულს შესწამებს სხვას და აიძულებს მას დაიფიცოს, რომ დანაშაული არ ჩაუდენია. თუ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ეს ბოროტმოქმედება სხვამ ჩაიდინა, მაშინ ცილისმწამებელმა ანუ «დამფიცებელმა» გარჯის საუბატიო უნდა გადაუხადოს ცილდაწამებულს ანუ «დაფიცებულს», რომელიც ტყუილუბრალოდ გასარჯა, გააწვალა და დააფიცა. ამ მუხლის ტექსტი S 3683 ნუსხაში დამახინჯებულია და ასევე დამახინჯებულად არის იგი გამოცემულ. მოგვიყვანოთ პარალელური ტექსტები.

«ამ დაფიცებულმა ან თუ რამ იქილამ გამოიტანოს, ნახევარი ფიცისათვის მიეცემა და გარჯის საუბატიოც უნდა მოსცეს. და დაფიცებულმა იქილამ კიდევ ვერა გამოიტანოს რა, გარჯის საუბატიო მაშინაც უნდა მოსცეს».

«და დაფიცებულმა ან თუ რამ იქილამ გამოიტანოს, ნახევარი იმისა, ვინც იფიცავს, და გარჯის საუბატიოც უნდა მოსცეს და ფიცებულსა. თუ უნდა კიდევ ვერა გამოიტანოს რა, უბრალოდ გარჯის საუბატიო მაშინაც უნდა მოსცეს».

ამ მუხლის წყაროა აღბუღას სამართლის 86-ე მუხლი, რომელიც ანალოგიურ შემთხვევას ითვალისწინებს. პირველ სვეტში მოყვანილია 1955 წლის გამოცემის ტექსტი, ხოლო მეორეში — ჩვენი. გამომცემელს ტექსტის აზრი სრულიად ვერ გაუგია, S 3683 ნუსხის მცდარა

წაკითხვები ტექსტში დაუტოვებია, ხოლო სხვა ნუსხების მართებული ჩვენებები სქოლიოში ჩაუტანია; სასვენი ნიშნებიც აურ-დაურეგია, ცილისძწამებელი და ცილდაწამებული ვერ გაურჩევია, რის გამოც «გა-
ჩის საუბათოს» გადახდას ცილისძწამებლის—«დამფიცებელი» ნაცვლად ცილდაწამებულს—«დაფიცებულს»
აკისრებს.

მუხ. 168. «თუ ვინ იცის, ქორწილზედ კაცი ყოფილა»

სამართლის წიგნის 168-ე მუხლი ცოლ-ქმრის გაყრის საკითხებს ეხება. აღნიშნულია, რომ უშვილობის გამო ქმარი ცოლს ვერ გაეყრება და არც ცოლს შეუძლია უნაყოფო ქმარი მიატოვოს. მაგრამ თუ კაცი «სულ ასე მცვედანი არის, რომ ქალთან წოლა არ შეუძლია», ქალს გაყრის დასტური და სხვაზე გათხოვების ნება უნდა მისცეს. ასეთია ამ მუხლის შინაარსი S 3683 ნუსხის მიხედვით და ასევეა ივრ დაბეჭდილი გამოცემულ ტექსტშიც.

1710 წელს გადაწერილი და ვახტანგის ხელთ ნაყოფი Q 575 ნუსხა ამას შემდეგ გლოსას უმატებს: «თუ, ვინ იცის, ქორწილზედ კაცი ყოფილა. და ან ქორწილს უწინაც, და მერმე ქორწილზედ დამკვედნებულე, არ გაიყრებთან». კანონმდებელი ყოველმხრივ ცდილობს გააძნელოს ცოლ-ქმრის გაყრა და ოჯახის დანგრევა. ეს გლოსა საკანონმდებლო კომისიის ან თვით სჯულმდებელი მეფის მითითებით უნდა იყოს დართული. რადგან Q 575 ნუსხაში იგი ტექსტისავე ხელითაა დაწერილი და შეუძლებელია გადამწერის ჩანართს წარმოადგენდეს. ამიტომ ეს მნიშვნელოვანი დებულება კანონთა ტექსტში შენარჩუნებულა უნდა იქნეს.

მუხ. 179. «რომელიც უფროსი იყოს, მან მშვილდ-ისარი დააყაროს»

ამ მუხლში ლაპარაკია «ნადირობის ცილების» — მოკლული ნადირზე მონადირეთა შეცილების შესახებ. სამართლის წიგნი აკანონებს ხალხში ქველთავანვე დამკვიდრებულ სამონადირეთა ჩვეულებას. რომლის თანახმად ცილება მოდავე მხარეთა შორის ასე უნდა გადაწყდეს: მოკლული ნადირს ერთ-ერთმა მოცილე მხარემ მშვილდ-ისარი უნდა დააყაროს და თქვას «დმერთმან ნულარა მომაკვლევინოს რა, თუ ამან უწინ ჩემი ისარი არ მოკვდომოდესო, და დარჩეს მას». მაგრამ რომელმა მოცილე მონადირემ უნდა დააყაროს მოკლულ ნადირს მშვილდ-ისარი. ამის თაობაზე ნუსხები განსხვავებულ წაკითხვებს იძლევიან. Q 164 და Q 575 ტიპის ნუსხებში სწერია «რომელიც უმცროსი იყოს». მან დააყაროსო. S 3683 ტიპის ნუსხებში კი პირიქით, «რომე-

ლიც უფროსი იყოს», მან შეასრულოს ეს წესიო. გამომცემელს ტექსტი ვერ გაუგია და ნაცვლად «მშვილდ-ისარი და აყაროს», დაუბეჭდია: მონადირემ «მშვილდ-ისარი და აყაროსო». ამავე დროს S 3683 ნუსხის სწორი წაკითხვა უარუყვია და Q 164 და Q 575 ტიპის ნუსხების მცდარი წაკითხვა გაუზიარებია. როგორც ვთქვით, S ნუსხის მიხედვით მოკლულ ნადირს მშვილდ-ისარი მან უნდა დააყაროს, «რომელიც უფროსი იყოს». ეს ვარიანტი სწორია და ტექსტში ასე უნდა დარჩეს. საქმე ის არის, რომ ძველი ქართული სამონადირეო წესჩვეულების მიხედვით, უკეთეს მოკლულ ნადირზე «ნადირობის ცილება» წარმოიშობა, ასაკით უფროსი მონადირე უმცროსთან შედარებით უპირატესობით სარგებლობს, მას მეტი პატივი აქვს და ამიტომაც ამ წეს-ჩვეულების შესრულებას კანონი მას ავალებს.

მუხ. 188. «ნაშრომისა და რასაც ფერის პირუტყვისაგან წანაქედისა»

ასეთია ამ მუხლის სათაური უძველეს Q 164-სა და Q 575 ნუსხებში. S 3683 ნუსხაში კი «წანაქედისა» ნაცვლად «წაქდევისათვის» სწერია. «წანაქედი» (нотрава) იურიდიული ტერმინია და მართებულია, რომ ტექსტში დარჩეს. მით უმეტეს, რომ ამავე მუხლას ტექსტში კანონმდებელი ორჯერ იმეორებს, რომ საქონლის—«რჩომის» პატრონმა მამულის პატრონს ნაშრომის წახდენისათვის, «წანაქედი პასუხი» უნდა გასცესო.

მუხ. 201. «კელმწიფეს ყმად მოუვიდა»

ამ მუხლის თანახმად, თუ ერთი საბატონოს გლეხი აიყარა და მეორე საბატონოში წავიდა, იქ ექვსი წელიწადი დაყო და შემდეგ ხელმწიფეს ყმად მიუვიდა, ხელმწიფის ნებაზეა დამოკიდებული, თუ უნდა. მისცემს ძველ მებატონეს, თუ არადა თავის სახასო ყმად დაიტოვებს. S 3683 ნუსხაში ტექსტი ასეთი რედაქციითაა: «თუ აქადამ აყრილი გლეხი სხვის საბატონოში წავიდეს, თუ იქ ექვსი წელიწადი დაყოს და იარე კელმწიფეს მოუვიდა, თუ უნდა მისცემს კელმწიფე და, თუ უნდა, არ მისცემს». Q 164 და Q 575 ტიპის ნუსხები ფრახას «კელმწიფეს მოუვიდა», შუაში ამატებენ სიტყვას «ყმად» და ასე მართავენ: «კელმწიფეს ყმად მოუვიდა». ეს უფრო სწორი და მართებულია, რადგან მუხლის ბოლოსაც კანონმდებელი აფრთხილებს მებატონეებს: ყმის მიმართ ძალმომრეობას ნუ გამოიჩენთ, თორემ წავა, ექვს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა, «კელმწიფეს ეყმობა» და ყმადაგეკარგებათო. ამიტომ ტექსტშიც ეს ვარიანტი უნდა იქნეს შენარჩუნებული.

მუხ. 203. «გლეხის კაცის ცოლი რომ დაქვრივდეს»

203-ე მუხლის პირველი წინადადება სამივე ნუსხაში ასეთი რედაქციითაა წარმოდგენილი: «გლეხის კაცის ქვრივი რომ დაქვრივდეს, მისი მებატონე ქვრივს ძალით ნუ გაათხოვებს». ამასვე იმეორებენ ვახტანგის სამართლის წიგნის გვიანდელი ნუსხებიც. ასეა დასწავლილი გამოქვეყნებულ ტექსტშიც. აშკარაა, რომ «ქვრივი დაქვრივდეს», უხეირო და უაზრო გამოთქმაა. ეს კარგად შეტყობინავენ S—3683 ნუსხის ზანდუკის შემდგენელს და ამ მუხლის შინაარსი ზანდუკში ასე გადმოუცია: «გლეხის კაცის ცოლი რომ დაქვრივდეს ძალად ნუ გაათხოვებენ»¹. ეს გასწორება რედაქტირებულია თვითონ სჯულმდებელი მეფის მიერ და ზანდუკში ამ პუნქტის გასწვრივ მისივე ხელით მიწერილია: «ქვრივის გათხოებისა». მაშასადამე, ამ გასწორებას აუტენტუკური ხასიათი აქვს და კანონთა ტექსტშიც ასე უნდა იყოს.

ბოლოსიტყვა: «შეუორგულებულნო საკუთარნო მამანო»

ვახტანგის სამართლის წიგნის თავდაპირველი რედაქცია, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, 204-სა და 205-ე მუხლებს შორის ჩართული ბოლოსიტყვაობით მთავრდება, სადაც სჯულმდებელი მეფე ხაზს უსვამს თავისი სამართლის წიგნის უპირატესობას კრებულში შესულ სხვა უცხოური სამართლის ძეგლებთან შედარებით. ბოლოსიტყვის დასაწყისში ვახტანგი ასე მიმართავს სამღვდელოების წარმომადგენელთ: «ეჰა წარჩინებულნო და ღმრთისა. ერთ-უფლებებისა და სამთვითების გულმკურვლად მადიდებელნო და შეუორგულებულნო საკუთარნო მამანო: კათალიკოზნო, ებისკოპოზნო, მიტრპოლიტნო, წინამძღვარნო, მღდელნო და სხვანო საღმრთოგანნო», ამ ჩვენი სამართლის წიგნის შესავალმა («დასაწყისმა წიგნისა») გამეცნოთ, თუ რა მიზეზებმა განაპირობეს ამ კანონების შედგენაო.

S 3683 ნუსხაში «შეუორგულებულნო საკუთარნო მამანო»-ს ნაცვლად წერია: «შეუორგულებულნო საკუთარნო მონანო», რაც ასევე შეცდომით დაბეჭდილია გამოქვეყნებულ ტექსტშიც. მაგრამ, თავისთავად ცხადია, «მამანო» უნდა იყოს. მეფის ასეთი ფორმით მიმართვა სამღვდლო პირთადმი ძველთაგანვე ცნობილია და დამოწმებულია როგორც კანონიკური, ისე აგიოგრაფიული მწერლობის ძეგლებშიც. გრიგოლ მერჩულეს სიტყვებით, გურამ მამფალმა მასთან

¹ ქართული სამართლის ძეგლები ტ. 1, 1963, გვ. 31, პუნქტი 282.

მოწვეულ სამღვდლოთ ასე მიმართა: «წმიდანო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუღაზნოენნო, იკით ყოველთა კანონი შჯულისაჲ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძლავრებით დაჯდომა»¹.

მუხ. 205. «მოსამართლეს აღიღათ ვერავინ დაუქერს»

S 3683 და Q 575 ნუსხებში ეს წინადადება ასე იკითხება: «მოსამართლეს დაღათს ვერავინ დაუქერს», ხოლო ქუთაისის 201 ხელნაწერში წერია: «მოსამართლეს დაღათს ვერავინ დაუქერს. სამართლის წიგნის გვიანდელ ნუსხებშიც ეს სიტყვა სხვადასხვა ვარიანტითაა წარმოდგენილი: «ხათრი» (F 20351), «ღავა» (H 104 და 962), «ღალატი» (Q 482), «დაღმერთს» (S 206 ბ, S 5035 და Q 395), «დაღწის» ან «ღწის» (H 1, 17, 280, 959, 2035, 2172; S 51, 2316, 3066, 3682; Q 23. «დაღლათს» (S 206 ა), «დაღლათს» (Q 875). უმრავლეს ნუსხებში შენარჩუნებულია დედნის (S 3683) დაწერილობა—«ღალათი».

მაშასადამე, გაუგებარი სიტყვა «დაღათი» გვიანდელი ნუსხების გადამწერთა მიერ ტექსტის უნებლიე დამახინჯებას როდი წარმოადგენს, ეს შეცდომა იმთავითვე მოსვლიათ. სამწუხაროდ, დედნის პირვანდელი ტექსტი (Q 164) ნაკლებია, 202-ე მუხლზე წყდება. ამიტომ ძნელი სათქმელია, თავდაპირველ დედნისეულ ტექსტში რა ფორმით იყო ეს სიტყვა წარმოდგენილი.

თუ ტექსტის დადგენისას შემთხვევათა უმრავლესობას მიეცემა უპირატესობა, მაშინ ეს ტერმინი «დაღათი»-ს სახით უნდა შეგვენარჩუნებინა, მაგრამ რაკი მისი შინაარსის გარკვევა არც უცხოური ლექსიკონებით ხერხდება, იგი ექვს იწვევს და როგორღაც სატყვის დამახინჯებულ ფორმად ჩანს.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს დამახინჯებული სიტყვა ქართული წარმოშობის არ უნდა იყოს. დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, თუ როდის შემოდის ეს ტერმინი ხმარებაში, ყოველ შემთხვევაში მისი არსებობა ქართულში სავარაუდებელია XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. პირველი საბუთი, დღემდე გამოქვეყნებულ საბუთთა შორის, სადაც ეს ტერმინი გვხვდება 1708 წლით თარიღდება. ეს სწორედ ის დროა, როცა ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენა მთავრდება. საბუთში ნათქვამია: «ბატონმა გვიბრძანა, წადით, ის ადგილი

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, 1964, გვ. 268.

ნახეთო და აღიღათი მოგვახსენეთო»¹. საბუთის გამომცემელი ამ ტერმინს ასე განმარტავს: «აღიღათი ჰეშმარიტება, სინამდვილე, საქმის ნამდვილი მდგომარეობა». ეს ტერმინი ორი ძირითადი ფორმი-თაა მოცემული — «აღიღათი» და «ჰაყიყათი».

მე-18 ს. სასამართლო არზა—ოქმებსა და საჩივრის წიგნებში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: «ამ არზის აღიღათი ნახეთო. მოიკითხეთ, აღიღათი შეიტყვევით, აღიღათი მოგვახსენეთო». აღიღათის მოკითხვა არზაში აღნიშნული გარემოების გამოკვევას, შემოწმებას ნიშნავს, ხოლო აღიღათის შეტყობა სინამდვილის, სიმართლის, ჰეშმარიტების დადგენას გულისხმობს. ნიშანდობლივია, რომ სასამართლო არზა-ოქმებში ამ ტერმინის სინონიმებად ნახმარია სიტყვები სიმართლე, სისწორე, ჰეშმარიტება.

ვახტანგის სამართლის წიგნის 205-ე მუხლის იმ ადგილას. სადაც ლაპარაკია «დაღათის» შესახებ კანონმდებელს მხედველობაში აქვს მოსალოდნელი საჩივარი მოსამართლის უკანონო მოქმედებაზე: «ქრთანი და მიდგომით მოსამართლემ უსამართლო მიუყოვო». მაშალადამე. «დაღათი», ისევე როგორც «აღიღათი», საჩივართან დაკავშირებული ცნებაა, თანაც ისეთი, რომელიც 205-ე მუხლის თანახმად «უსამართლოსა და მოგონებულს სამართალს» უპირისპირდება.

ამრიგად, ვახტანგის სამართლის წიგნის 205-ე მუხლის «დაღათი» არის გრაფიკულ ნიშანზე წარმოშობილი დამახინჯებული ფორმა «აღიღათისა». თუ გავითვალისწინებთ ამ ორი სიტყვის დიდ მსგავსებას, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რომ უცხო ტერმინს დაწერილობის ასეთი უნებლიე შეცდომა (lapsus calami) თავდაპირველი დედნის გადაწერისას დახელოვნებულ მდივან-მწიგნობარსაც შეიძლებოდა მოსვლოდა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ აღიღათი იმთავითვე დამახინჯებული დაღათის ფორმით შევიდა დედნად მიჩნეულ S—3683 ნუსხაში, ხოლო აქედან, როგორც ზემოთ დავინახეთ, კანონთა გვიანდელი ნუსხების გადამწერებმა იგი სხვადასხვა ვარიანტით თავიანთ გადანაწერში შეიტანეს.

ვახტანგის სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემაშიც ეს დამახინჯებული ტერმინი S—3683 ნუსხის მიხედვით, სხვა ნუსხების ვარიანტების მიუთითებლად. ასეა დაბეჭდილი: «მოსამართლეს დაღათს ვერავინ დაუქვრს».

¹ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ლ. ფუთურაძის გამოცემა, 1955, გვ. 421.

ზემოთქმულის შემდეგ 205-ე მუხლის ეს ადგილი ასე გაიმართება: «მოსამართლეს აღიღატს ვერავინ დაუჭერს». კანონმდებლის აზრიც სრულიად ცხადი ხდება: მოსამართლეს სიმართლეს ვერავინ დაუჭერს, სიმართლეზე უარს ვერავინ ეტყვის.

მუხ. 225. «თუ ეს სენი ქორწილის წინათ სჭირს»

ამ მუხლში ლაპარაკია გივი და ბნედიანი ცოლის წესახებ. კანონი ადგენს თუ ეს სენი ქალს ქორწინებამდე სჭირდა და ქმარს შეატყუეს. თუ ქმარი გაუშვებს, სამკვდრო უნდა მისცეს. ხოლო ქალის მამამ და გამთხოვებელმა საკანონო უნდა გადაიხადოს რაღაცან ქალს ოჯახის თავი რომ არა ჰქონდა, რატომ გააოხრეს?

გამომცემელს სიჩქარისა და დაუკვირებლობის გამო სამივე ნუსხის სწორი ჩვენება «ეს სენი» წაუკითხავს როგორც «ესენი» და ტექსტი უხეშად დაუმახინგებია.

მუხ. 239. «ძმა თუ შვილიანი სიძე»

ამ მუხლით კანონმდებელი ადგენს: დედაკაცს ფიცი არ უნდა დაეკისროს, არც გარეშე კაცი მოფიცრად დაენიშნოს, იმიტომ რომ სიმართლეს მაინც არ ეტყვის და არც მისი ფიცისა ენაღვლება რა. მოსამართლემ დედაკაცს უნდა მოუძებნოს მისთვის ძვირფასი და საყვარელი არსება «ძმა თუ შვილიანი სიძე» და ის დაუნიშნოს მოფიცრად. ასეა ყველა ძველსა და ძირითად ნუსხაში. ქუთაისის 201 ნუსხაში ოდნავი განსხვავებაა «თუ»-ს ნაცვლად «ან» არის, რაც აზრს არ ცვლის.

ვახტანგის სამართლის წიგნის 1955 წლის გამომცემელი, უარყოფს რა ყველა ნუსხის მართებულ წაკითხვას, სრულიად უსაფუძვლოდ და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ასეთ მცდარ კონიექტურას გვთავაზობს: «ძმა თუ შვილიანი სიძე».

ამ ვარიანტის გაზიარება შეუძლებელია შემდეგ მოსაზრებათა გამო. ჯერ-ერთი, კანონმდებელს «დედაკაცი» გათხოვილი ქალის ზოგადი მნიშვნელობით ესმის. შეიძლება მას შვილიც არ ჰყავდეს, მაგრამ ჰყავდეს ძმა, რომელიც მის მაგივრად მოფიცრობას გასწევს სასამართლოში.

მეორეც, შვილიც (ვაჟიშვილი) რომ ჰყავდეს, არ შეიძლება დედის ფიცი შვილს დაეკისროს და დედის საქმეზე ის მოფიცრად გამოვიდეს სასამართლოში. ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან სასამართლო განჩინებებს შორის ერთადერთი შემთხვევა გვხვ-

დება, ისიც კახეთში, XVIII საუკუნის მიწურულს (1793 წ.), როცა, სხვა მტკიცებულებათა უქონლობის გამო, ვინმე ყმა ლადალას სარჩელის თაობაზე სასამართლოში მოწმედ გამოდის ამ ყმის მსყიდველის, უკვე გარდაცვლილი ბერო მზარეულის, ქვრივი. მაგრამ მისი მოწმობა სასამართლომ მაინც არ შეიწყნარა და დაადგინა: თუ მაძიებელი სარწმუნო მოწმეებს ვერ იშოვნის, მაშინ მან ორი მოწმით შევიდოს, რომელთაგან ერთი—ქვრივ ქალს რომ პირველ «ქმართან შვილი ჰყოლია,—ის მიიყოლიოს და ერთი სხვა». ამავე დროს სასამართლომ ამ გამონაკლისი შემთხვევის გამო საჭიროდ სცნო განჩინებაში საჯანგებო განმარტება ჩაწერა: «იმ დედაკაცის შვილი ამიტომ დაწვერეთ, რომ ის დედაკაცი ემოწმება—ჩემის ქმრის ნასყიდი არისო; და თუ ნასყიდი არის, თავისი შვილი მიყოლიოს ფიცში, თორემ ცარიელის ლიტონის სიტყვით კი ვერ შევიწყნარეთ დედაკაცის მოწმობა»¹. როგორც მოყვანილი ტექსტიდან ჩანს, სასამართლო, გამონაკლისის წესით, შესაძლებლად თვლის მოფიცრად გამოვიდეს გარდაცვლილის ვერი, რომელიც ერთგვარად გარეშე კაცად ითვლება; და, თუ მეორე მოფიცარიც მაძიებლის—ყმა ლადალას ჩვენებას ფიცით დაადასტურებს, რომ იგი გარდაცვლილი ბერო მზარეულს მიერ ნასყიდი იყო, სასამართლო ასეთ ფიცს შეიწყნარებს. ცხადია, ეს იგნასაკუთრებული და საერთო წესისგან გამონაკლისის სახით დაშვებული შემთხვევაა.

ამრიგად, როგორც წესი, შვილი დედის საქმეზე და დედის მავიერად სასამართლოში მოფიცრად ვერ გამოვა. მაშასადამე, ვახტანგის სამართლის 239-ე მუხლში შვილი მოფიცრად მოხსენიებული არ არის და საზოგადოდ სიტყვა «შვილი» იქ არ არის.

მესამეც, შეუძლებელია შვილი—დედისათვის ყველაზე საყვარელი არსება, კანონმდებელს ძმის შექმნეგ ეხსენებია, ხოლო ძმა მასზე წინ დაეყენებინა და ეთქვა «ძმა თუ შვილი ან სიძე». მაშასადამე, «შვილი» აქ არაფერ შუაშია და გამომცემლის კონიექტურის მიღებაც შეუძლებელია.

ვახტანგის ნარედაქციევ ორივე ძველ ნუსხაში (S--3683 და Q--575), აგრეთვე ქუთაისის 201-სა და სხვა გვიანდელ ნუსხებშიც ერთადერთი სწორი წაკითხვაა—«ძმა თუ შვილი ან სიძე» და, რა თქმა უნდა, დაბეჭდილ ტექსტშიც ასე უნდა იყოს.

ჩვენს შენიშვნაზე გამომცემელმა მიკიბულ-მოკიბულად გვიპასუხა. «ტექსტის დასადგენად გამოყენებულ ხელნაწერებში ყველგან ასეთა წაკითხვაა. აკად. ი. დოლიძეც პუბლიკაციაში უშენიშვნოდ (!) ტოვებს ამ წაკითხვას. ჩვენ უფრო მართებულად (!) ჩავთვალეთ,

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1970, № 344.

ხელნაწერთა წაკითხვა სქოლიოში ჩავეტანა» («საბჭ. სამართ.» № 3, 1975, გვ. 66). ტექსტოლოგიაში საყოველთაოდ მიღებული წესია, როცა ყველა ნუსხა მართებულ წაკითხვას იძლევა, ტექსტს არავითარი შენიშვნა არ სჭირდება. მაგრამ, როცა მართებულ წაკითხვას უარყოფთ და საკუთარ კონიექტურას ვიძლევეთ, ამას კი საფუძვლიანი და დამაჯერებელი დასაბუთება სჭირდება.

მუხ. 251. «დაჩხუბილნი» კი არა «დაჩხიბულნი»

ამ მუხლის ტექსტი ყველა ნუსხაში დამახინჯებულია და, რაღა თქნა უნდა, ასევე დამახინჯებულადაა იგი დაბეჭდილი 1955 წლის გამოცემაშიც. აქვე მოვიყვანოთ მუხლის მთლიან ტექსტს S—3683 ნუსხის მიხედვით.

«ქ. მისანთა და კუდიანთ ამჟოლი კაცი ღვთისაგანაც დაწყველილი არის და პატრონისაგანაც წასაყდენი. ამ მისნისა და კუდიანისაგან და ჩ ხ უ ბ ი ლ ნ ი კაცნი თუ სამართალში მოვიდნენ, მისახი და კუდიანი გასახეობრებელი არის. და რაც იმ მკითხველს სხვაზე ან ჩ ხ უ ბ ი ან წასაყდენი მოუყდენია, მოსამართლემ გაუკითხავად, სისხლი იყოს თუ საუბატიო, წაურთოს და მისცეს. იქნება საქონელიც წაერთოს მისნის პირით, ის ერთი ორად გამოურთოს მოსამართლენა».

ჩვენს მიერ ტექსტში ხაზგასმული სიტყვები დამახინჯებული ფორმითაა წარმოდგენილი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ S—3683 ნუსხის გადამწერი ზოგჯერ არ უკვირდება ტექსტის აზრსა და მნიშვნელობას, არ წვდება მის შინაარსში და დაუკვირვებლობის გამო მთელ რიგ ტერმინებს დამახინჯებულად იწერს. ასეა ამ შემთხვევაშიც. შეუძლებელია ეს მუხლი თავდაპირველ დედნიესულ ტექსტში ასე დამახინჯებული ყოფილიყო. ეს უთუოდ გადამწერის lapsus calami არის, რამაც მთელი მუხლის აზრის დამახინჯება გამოიწვია. გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ სკულმდებელ მეფეს უკვე გადაწერილი S—3683 ნუსხის გულმოდგინე რედაქციის დროსაც ვერ შეუნიშნავს ტექსტის ეს დამახინჯება.

ვახტანგის კანონთა კრებულის რუსული თარგმანის გამოცემაში ეს ადგილი ასე იკითხება: «Если они произведут между людьми спор и тяжбу и дело дойдёт до суда, то таковых колдунов и ворожеев следует изувечить»¹.

რუსულ თარგმანში კანონის აზრი ისეა გაგებული, რომ თუ მისანი და კუდიანი ადამიანებს შორის ჩხუბსა და დავას ატეხენ და საქმე სა-

¹ «Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, гл. 74.

სამართლოში მივა, მისანი და კუდიანი დასახიჩრებულ უნდა იქნან. მაგრამ ასეთი გაგება დედნის აზრს დიდად შორდება.

კანონთა ფრანგულ თარგმანში, რომელიც შესრულებულია პროფ. ეოზეფ კარსტის მიერ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ვასტანგის სამართლის წიგნთა კრებულის 1823 წელს გადაწერილი ნუსხის მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო ადგილი გადმოცემულია შემდეგნაირად: «Si les personnes brouillées entre elles par un devin ou sorcier comparaissent en justice, ces devins et sorciers auront encouru la peine de la mutilation».¹

როგორც რუსული, ისე ფრანგული თარგმანიც ტექსტის ძალზე თავისუფალ გადმოცემას წარმოადგენს, რაც იმიტო აიხსნება, რომ მთარგმნელებს კანონის აზრი არ ესმით. საქმე ისაა, რომ ეს ადგილი დედანშიც ერთობ ბუნდოვანი და გაუგებარია. რას ნიშნავს «დაჩხუბილნიკაცი» და რა კავშირშია იგი მუხლის მთელ კონტექსტთან?

ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილი, ვასტანგის სამართლის ზემომოყვანილ მუხლზე მითითებით, განმარტავდა: «დაჩხუბილი» — «დაჩხუბვა» — ვეჩხუბები, წავეკიდები, посориться: დაჩხუბილი — посорившийся, მაგრამ ასეთი განმარტება მუხლის შინაარსს არ უდგება.

ფრანგულ თარგმანშიც, ალბათ დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, „დაჩხუბილნიკაცი“ გადმოცემულია «les personnes brouillées» — «წაჩხუბებული პირნი».

საკითხის გარკვევისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონის აზრის დადგენას. რა სურდა კანონმდებელს ეთქვა აღნიშნულ მუხლში, სადაც ლაპარაკია მისნებსა და კუდიანებზე. ჩხუბი და წაჩხუბება აქ არაფერ შუაში უნდა იყოს, რადგან აქ დანაშაულის სულ სხვა შემადგენლობაზეა ლაპარაკი, რაც შეეხება ჩხუბს, კანონმდებელი მას სამართლის წიგნის სხვა მუხლებში (75, 81, 98) საგანგებოდ განიხილავს.

სამართლის წიგნის ამ მუხლში გათვალისწინებულია დანაშაულის განსაკუთრებული შემადგენლობა, რომელსაც ჯადოსნობა, გრძნეულება ეწოდება. დანაშაულის ეს სახე ცნობილია ძველი და შუა საუკუნეების აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა სამართლის ისტორიაში.

კანონმდებელი ლაპარაკობს, რომ მისნისა და კუდიანების მიერ «დაჩხუბილნიკაცი» თუ სამართალში მივლენ, მისანი და კუდიანი

¹ Code géorgien du roi Vakhtang VI, Strasbourg, 1934, გვ. 303.

² დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887, გვ. 446.

დასახიჩრებულნი უნდა იქნან. მაშასადამე, «დაჩხუბილნი კაცნი» ის პირნი არიან, რომელთა მიმართ მისნისა და კუდიანის მიერ ჩადენილია რაღაც დანაშაული, რისთვისაც კანონი დამნაშავეს მძიმე სასჯელს — დასახიჩრებას უწესებს.

არსებობს ძველი ქართული ტერმინი «ჩ ხ ი ბ ი», რაც, საბას განმარტებით. «გრძნებით შესაკრავს» ნიშნავს, ხოლო «ჩ ხ ი ბ ვ ა» — გრძნებით შეკვრას. აქედან წარმოსდგება ტერმინი «მ ჩ ხ ი ბ ა ვ ი», რასაც საბა «გრძნებით შემკრავს» უწოდებს. მაშასადამე, «მჩხიბავი» იგივე გრძნეული კაცი, მისანი, ჯადოსანია.

ზემოთ მოყვანილ მუხლში კანონმდებელი ლაპარაკობს მისნის და კუდიანის მიერ «და ჩ ხ ი ბ უ ლ კ ა ც ზ ე», ე. ი. ისეთ კაცზე, რომელიც მისანმა და კუდიანმა მოაჯადოვა, გრძნებით შეკრა, დაჩხიბა. მაშასადამე, ტექსტში უნდა იყოს არა «და ჩ ხ ბ ი ლ ნ ი კ ა ც ნ ი», არამედ «და ჩ ხ ი ბ უ ლ ნ ი კ ა ც ნ ი», ე. ი. მოჯადოებულნი, გრძნებით შეკრული კაცნი. ამ ორი სიტყვის მსგავსების გამო S — 3683 ნუსხის დაუკვირვებელ გადამწერს ასეთი შეცდომა ადვილად შეიძლება და მოსვლოდა. რაკი ერთმა გადამწერმა ასეთი შეცდომა დაუშვა, შემდეგ ის სხვა ნუსხების გადამწერთაც გაუზარებლად გაიმეორეს.

იგივე უნდა ითქვას ზემომოყვანილი მუხლის მეორე ნაწილზეც, სადაც «ჩ ხ ი ბ ი»-ს ნაცვლად «ჩ ხ უ ბ ი» იკითხება, რაც ასევე გადამწერის მიერ შერყენილი ფორმაა.

ამრიგად, «ჩ ხ ი ბ ი» ნიშნავს ჯადოს, გრძნებით შესაკრავს, ხოლო «და ჩ ხ ი ბ უ ლ ნ ი კ ა ც ნ ი» გრძნებით შეკრულ. მოჯადოებულ ადამიანებს. ამის შესაბამისად ვახტანგის სამართლის წიგნის აღნიშნულ მუხლის დამახინჯებული ტექსტი ასე უნდა აღდგეს.

«მისნისა და კუდიანისაგან და ჩ ხ ი ბ უ ლ ნ ი კ ა ც ნ ი თუ სამართალში მოვიდნენ, მისანი და კუდიანი გასახეიბრებელი არის. და რაც იმ მკითხველს სხვაზედ ან ჩხიბი, ან წასაცდენი მოუქდენია, მოსამართლემ გაუკითხავად, სისხლი იყოს თუ საუპატიო, წაუერთოს და მისცეს».

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მართებულ პუბლიკაციას საისტორიო ძეგლებისა და განსაკუთრებით სამართლის წიგნის მუხლების აზრის სწორად გაგებისათვის. 1955 წლის გამოცემა ამ მხრივაც დიდად ცოდავს, რადგან გამოცემელს ტექსტის შინაარსი არ ესმის.

სასვენი ნიშნების უადგილო ადგილას და არასწორად ხმარების გამო ანდა, სადაც ჭერ არს, მათი გამოუყენებლობის გამო კანონთა აზრი მთელ რიგ მუხლებში მახინჯდება ან სრულიად გაუგებარი ხდება (4, 24, 56, 164, 174, 179, 197, 205, 210, 211, 254, 261, 264, 270).

ზნოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ. სამართლის წიგნის 179-ე მუხლში ლაპარაკია «ნადირობის ცილებაზე». კანონმდებელი ადგენს: თუ მონადირეთა შორის მოკლულ ნადირზე ცილება დაიწყება, გასინჯვა უნდა, საიდან, რომელი მხრიდან აქვს ისარი მოხვედრილი, ან რა ალაგას აქვს ნაკრავი; თუ ამგვარის ძებნით ვერ იპოვნონ ისრის ნაკრავი (ჭრილობა), მათი დავა სხვა წესით უნდა გადაწყდესო. გამომცემელს ტექსტი ვერ გაუგია, სასვენი ნიშანი უადგილო ადგილას დაუსვამს, რის გამოც ტექსტი ასე დამახინჯდა: «თუ ვერ იპოვნონ მათი სამართალი». აქ ლაპარაკია არა «სამართლის პოვნაზე», არამედ მოკლული ნადირის ისრის ნაკრავის (ჭრილობის) პოვნაზე.

ნაჩქარევად არის შედგენილი ტერმინთა საძიებელიც. მთელი რიგი მნიშვნელოვანი ტერმინებისა გამოტოვებულია, ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა მითითებულ მუხლში არ არის, დამოწმებული ტექსტი ზოგან დამახინჯებულია, კანონთა მუხლები მითითებულია შეცდომით, მუხლების გარკვეული ნაწილი ტერმინის ბუდეში აღნიშნული არაა, აქა-იქ დარღვეულია ტერმინთა ალფაბეტური თანამიმდევრობაც, ხოლო ზოგიერთი ტერმინი საძიებელში შეტანილია არასწორი ფორმით (მაგ., «მირხოლა» (!) «რჩა»-ს ნაცვლად და სხვ.).

ასეთია 1955 წლის გამოცემის ძირითადი ნაკლოვანებები. აქედან ცხადია, რომ გამომცემელი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული სამართლის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის «გამოცემას სათანადო მეცნიერული სიფრთხილით და კეთილსინდისიერებით არ მოეკიდა».

მასხანაზის სამართლის წიგნთა კრებულის ხელნაწერთა აღწერილობა

1. S—3683 ხელნაწერი

ექვთიმე თაყაიშვილი S—3683 ხელნაწერის შესახებ

S—3683 ხელნაწერის პირველი საფუძვლიანი მეცნიერული აღწერა-ლობა მოცემულია ექ. თაყაიშვილის კაპიტალურ ნაშრომში «Описание рукописей...» სადაც ნათქვამია: «Сборник законов» царя Вахтанга VI, рукопись in folio, в 31×22 сантиметра, писана на бумаге круглым красивым мхедрули и черными чернилами; заглавия и первое слово каждой статьи писаны киноварью. Флигран бумаги: в одной половине листа три полумесяца. в другой трилистник и знаки похожие на латинские буквы P. A. Переписчик и время переписки не указаны, но несомненно рукопись первой четверти XVII в. ска. Переплет картонный, перскрит кожей. Каждая часть сборника имеет особую нумерацию. Начальный лист занят сложным рисунком второго пришествия Христа в красках. Нижняя часть рисунка попорчена. Первые 40 листов сборника заключают в себе подробный сравнительный указатель статей. Далее приведены тексты законов в таком порядке:

1. Предисловие царя Вахтанга VI, შესავალი, 2 листа.
2. Законы Моисея, სამართალი მოსესი, 13 листов.
3. Законы греческие, სამართალი ბერძული, 63 листа.
4. Законы армянские, სამართალი სომხური, 121 лист.
5. Законы католиковские, სამართალი კათალიკოსისა, 3 листа.
6. Законы царя Георгия Блистательного, სამართალი მეფის გიორგისა, 9 листов.
7. Законы атабегა Агбуги, სამართალი აღბუღასი, 24 листа.
8. Законы царя Вахтанга с предисловием, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა, 59 листов.

Наш сборник законов, вероятно, был в руках Вахтанга: в последней части некоторые статьи не приведены и для них оставлены места (например, ст. 185 и 195), а некоторые писаны рукою самого Вахтанга (например, конец статьи 207, стат. 262, 263 и 270). Записи Вахтанга встречаются и в некоторых местах указателя. В законах царя Вахтанга или в его собственном

уложении 270 статей. В конце указателя статей (н. 39) имеется запись, из которой видно, что указатель написан Соломоном Магаладзе: «ხანდუკის ამის დამწერი მაღალაძე სოლომონი»¹.

ეკ. თაყაიშვილის მიერ 70 წლის წინათ გამოთქმული ყველა მოსახრება S — 3683 ხელნაწერის შესახებ ამჟამადაც ძალაში რჩება.

ივ. ჯავახიშვილი S—3683 ხელნაწერის შესახებ

«ქართული სამართლის ისტორიის» პირველ წიგნში დასახელებული ხელნაწერის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: «ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ბევრი ხელნაწერებია შენახული, მაგრამ კარგი და ძველი მათ შორის სამწუხაროდ, ცოტაა. ე. თაყაიშვილის აღწერილობის თანახმად სულ სამიოდე ხელნაწერი უნდა იყოს XVIII ს. პირველი მეოთხედის. ან ნახევრის. მათგან უძველესად მიჩნეულია წ. კ. გ. ს., აწ ტ. ს. უ. სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერი № 3653. რომელიც ე. თაყაიშვილის აზრით თვით ვახტანგის დროინდელი უნდა იყოს, მას ხელთ ჰქონია და ზოგიერთი ადგილები, როგორც მაგ. §-207-ს ბოლო და §§-262, 263 და 270, თითქოს თვით ვახტანგ მეფის ხელით იყოს ნაწერი (იხ. Опис. II, 614-615). დოკ. ლ. მელიქსეთ-ბეგიც ამტკიცებს, რომ ეს ხელნაწერი «თვით ვახტანგის სიცოცხლეშია გადაწერილი (რაც, სხვათა შორის, ნათლად ჩანს ამ ძვირფასი მანუსკრიპტის გამამწერის სიტყვებიდან: «დღეგრძელ ჰყავ ღთო პატრონი ვახტანგ» და «ქრისტე, აღიდე ორთავე შინა ცხოვრებათა საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ბატონი ვახტანგ. ამინ» (იხ. სამხური სამართალი, გვ. X-XI).

მოუტყლელობის გამო იმ ადგილების შედარება, რომელნიც თვით ვახტანგ VI-ის ხელით დაწერილად არის მიჩნეული, ვერ მოვასწარი, მაგრამ თვით ხელნაწერის გადაკითხვამ დამარწმუნა რომ პატივცემული მკვლევარნი შემცდარი უნდა იყვნენ: იქ ტექსტში ხარვეზებია, უეჭველია დედნის, საიდგანაც ეს ხელნაწერი გადმოწერილი უნდა იყოს, დაზიანებულობის გამო. ასეთ მდგომარეობაში ვახტანგის კანონები ვახტანგის დროს არ იქნებოდა რასაკვირველია. ამას გარდა თვით კანონების ტექსტი არა ერთგან ისეა დამახინჯებული, რომ ასე მაშინ არ შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ ეს ხელნაწერი ვახტანგის მეტყველებით უნდა იყოს იმ დროისა, როდესაც აღმ. საქართველოში თურქთა და სპარსთა ბატონობის წყალობით ზოგი ხელნაწერი სრულე-

¹ Описание рукописей. — том II, выпуск 4, Тифлис, 1906—1912, გვ. 614-615

ბით დაიღუპა, ზოგი ძალზე დაზიანებული გადარჩა და XVIII ს. მეორე ნახევრიდან განახლებულ იქმნა. ამ და სხვა თითქმის ყველა ხელთნაწერების ვახტანგის კანონის ტექსტის ხარვეზიანობა სწორედ ამ გადარჩენილი დედნის დაზიანებულობის შედეგია და მომასწავებელი. ასეთ პირობებში ვახტანგ VI-ის ამ ხელთნაწერში დღეგრძელობით მოხსენება თავდაპირველი დედნითგან მერმინდელ გადამწერთაგან თავდაპირველი ანდერძის დაცულობად უნდა აიხსნას. საბოლოო დასკვნისათვის, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ამ ხელთნაწერის გულდასმითი შესწავლაა საჭირო, მაგრამ ზემოაღნიშნული გარემოება მის ვახტანგის დროისად მიჩნევის აზრს მეტად სათუოდა ჰხდის»¹.

S-3683 ხელნაწერის შემდგომმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ კვლავ დაადასტურა ექ. თაყაიშვილის აზრი, რომ ეს ხელნაწერი ვახტანგის ხელთ იყო და მისი ნარედაქციევია. როგორც ჩანს, ბ-ნმა ივანეშ მოუცულობის გამო ვეღარ მოახერხა ამ ნუსხის ხელახლა გადათვალეობა.

ს. გორგაძე S—3683 ხელნაწერის შესახებ

ქართული სამართლის ძეგლების ხელნაწერთა ისტორიულ-ფილოლოგიური შესწავლის საქმეში საპატიო ღვაწლი და დაშახულება ცნობილ ისტორიკოსსა და ფილოლოგს სერგი გორგაძეს მიუძღვის.

S 3683 ხელნაწერის დაწვრილებითი აღწერა და გარჩევა მოცემულია ს. გორგაძის ხელნაწერ ნაშრომში — «ქართული სამართლის წიგნები (ხელნაწერები), თფილისი, 1916-19 წ.», რომელიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში ს. გორგაძის პირად ფონდში (№ 16).

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის გამოცემა, როგორც ცნობილია, ექ. თაყაიშვილის მიერ აღწერილი ხელნაწერების მისეღვით განზრახული ჰქონია ჯერ კიდევ «საქართველოს საისტორიო და საეპოგრაფიო საზოგადოებას».

«Полный текст сборника законов Вахтанга собирается издать теперь «Грузинское общество истории и этнографии на основании разобранных выше списков»².

მართლაც, ს. გორგაძის პირად ფონდში დაცულია საყურადღებო ცნობები ამის თაობაზე. ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის გა-

¹ ი. ვ. ქ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 121-122.

² Е. Т а к а и ш в и л и, Описание рукописей... II, 1910, გვ. 631.

მოცემის საკითხი პირველად გადაწყვეტილია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს სხდომაზე 1908 წლის 29 ოქტომბერს. სარედაქციო კომისია პირველად შეკრებილა იმავე წლის 5 ნოემბერს, ხელნაწერთა ვარიანტების შედარებაში მონაწილეობა მიუღიათ: ექ. თაყაიშვილს, ალ. ყიფშიძეს, ალ. სარაჯიშვილს, ს. გორგაძეს. დეკ. კალ. ცინცაძეს, იუსტ. აბულაძეს და სხვებს, რომელთა გვარები დასახელებული არ არის. შემდეგ იმავე საგანზე საბჭოს უმსჯელია 1911 წლის 21 ივნისს და ეს საქმე ს. გორგაძისათვის მიუხდვია. იმავე წელს საბჭოს კიდევ ორჯერ განუხილავს ეს საკითხი, ხოლო 1912 წლის 27 იანვარსა და 23 ივნისს საბჭოს კვლავ უმსჯელია კრებულის გამოცემის თაობაზე.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ტექსტის დადგენისათვის სარედაქციო კომისიას ხელთ ჰქონია შემდეგი ხელნაწერები:

ა) წერა-კითხვის საზოგადოებისა №№ 51, 107ა, 107ბ, 206ბ, 206გ, 543, 1275, 1410, 1459ა, 1459ბ, 2316, 2457, 2691, 2771. 3066, 3356, 3682, 3683.

ბ) საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა №№ 1, 2, 10, 11, 12. იქვე, ს. გორგაძის მასალებში, დაცულია კრებულის გამოცემის გეგმა და სარედაქციო კომისიის მიერ ტექსტის დადგენისათვის მიღებული წესი.

კანონთა ტექსტის დადგენა კომისიას გიორგი ბრწყინვალის «ძეგლის დადებით» დაუწყია: «მაგრამ კრებით მუშაობა მალე ჩაიშალა», წერს ს. გორგაძე.

ამის შემდეგ, როგორც ეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს 1911 წლის 21 ივნისის დადგენილებიდან ჩანს, კანონთა ტექსტზე მუშაობა მარტო ს. გორგაძეს გაუგრძელებია; მას გადაუწყვრია ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალი და გაუმართავს იგი ორი ნუსხის — S-3683 და დავით ბატონიშვილის უორდროპისეულ ნუსხის (w) მიხედვით.

ს. გორგაძის მასალებში დაცულია ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შემდეგი ნუსხების აღწერა:

1. A = S-3683.

2. B = H-1070, როსტომ ერისთვისეული ნუსხა, გადაწერილი 1751 წელს.

3. C = საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების №2 გრიგოლ წერეთლისეული ნუსხა.

4. საეკლესიო მუზეუმის № 874 ხელნაწერი, როგორც მინაწერიდან ჩანს, ეს ნუსხა ს. გორგაძეს 1919 წლის 5 სექტემბერს აღუწერია.

მაშასადამე, ხელნაწერებზე მუშაობა 1908-1919 წლებში მიმდინარეობდა.

5. $D = W$. დავით ბატონიშვილის უორდროპისეული ნუსხა.

სულ ს. გორგაძეს ხელთ ჰქონია:

ა) ვახტანგის კანონთა კრებულის 26 ნუსხა, აქედან: 15 საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, 10 წერაკითხვის საზოგადოებისა და 1 საეკლესიო მუზეუმისა.

ბ) ვახტანგის სამართლის წიგნის 44 ნუსხა, აქედან: 22 საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, 17 წერაკითხვის საზოგადოებისა და 5 საეკლესიო მუზეუმისა¹.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ს. გორგაძის მასალებში დაცულია S-3683 ხელნაწერის დაწერილებითი აღწერილობა, რომელშიც შეტად საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული ვახტანგის კანონთა კრებულის ცალკეული ნაწილებისა და მთლიანად ხელნაწერის შესახებ. ამიტომ ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ გამოკვლევის მთავარი ნაწილი აქვე მოვიყვანოთ.

S-3683 ხელნაწერის აღწერილობაში ს. გორგაძე წერს:

[ფ. 6] «დიდი ტანის ხელნაწერი სქელი კარდონის ყდაში, რომელსაც მიხაკისფერი ტყავი აქვს გადაკრული; ყდა დღეს დანგრეულ-მოვარდნილია. გადაწერილია სქელ მოთეთრო ქაღალდზე, რომლის ზომა 30×21 სანტიმეტრია. ხელნაწერში დღეს 336 ფურცელია, წინათ ეტყობა მეტი უნდა ყოფილიყო.

I. თავში პირველი ფურცლის პირველი გვერდი უჭირავს ფერადის წამლების დახატულს სურათს, რომელსაც ტექსტის ხელით ზემოდან აქვს წარწერა: «მეორედ მოსვლა». სურათის ცენტრში სასწორია. ამ ფურცლის მეორე გვერდი ცალიერია.

II. შემდეგი ორმოცი ფურცელი დათმობილი აქვს «ზანდუქს» ანუ კრებულის საენობრივს საძიებელს. ზანდუქის ყოველი გვერდი გაყოფილია ხაზებით რვა-რვა ნაწილად: პირველს (უდიდეს) ნაწილში სამართლის მუხლთა შინაარსია მოყვანილი, დანარჩენ (შვიდ ვიწრო), ნაწილებში შესაფერი მუხლებია ნაჩვენები შვიდი საკანონმდებლო ძეგლიდან, რომელნიც ამ კრებულში არიან მოთავსებული. ზანდუქის ყველა გვერდის ზემო ნაწილი რკალოვანი სამკაულით თავდება. ზანდუქის პირველი გვერდის რკალებში მოთავსებულია შემდეგი ფრაზა: «ქრისტე: აღიდე; ორთავე; შინა: ცხოვრებასა: საქართველოს: გამგებელი: ბატონიშვილი: ბატონი: ვახტანგ: ამინ:»

¹ ხელნაწ. ინსტ. ს. გორგაძის ფონდი, №: № 10, 11, 16.

[ფ. 7] ზანდუქისავე მე-39-ე ფურცლის პირველ გვერდზე იმავე რკალეზში ვკითხულობთ ზანდუქისავე ხელითა და მელნით:

«ლ^წთის: მშობელო: კაცთა: მფარველო: მწე: ეყავ: ორთავე: შინა: ცხოვრებათა: სრულიად: საქართველოს: გამგებელს: ბატონის: შვილს: ბატონს: ვახტანგს: მეუღლით: ძით: და: ასულით: დღეგრძელ: ყავ: და მკვიდრ: სასუფეველისა:».

იმავე გვერდის ქვემოთ აშიაზე იმავე ლამაზის ხელითა და მელნით: «ზანდუქისა: ამის დამწერი: მალალაძე: სოლომონ».

ცხადია, როცა ამ ზანდუქის დაწერა დათავებულა, ვახტანგ მე-VI-ე ჯერ მხოლოდ გამგებელი და ბატონიშვილი ყოფილა (1703—1709 წ.) და არა მეფე*.

ზანდუქის მე-40 ფურცელი დახაზულია, მაგრამ დაუწერელია. მთელი ზანდუქი (39 ფურცელი) გადაწერილია ერთისადაიმავე მრგვალი ლამაზი ხელით (მხედრულით) და ერთის მელნით. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ მერვე «გრაფაში» (ვახტანგის სამართლის გრაფა) მოთავსებული სამართლის მუხლების აღმნიშვნელი ასოები «სვ»—ინიდან (206-იდან) დაწყებული ბოლომდე (სო—270-მდე), რომელნიც სხვა ხელითა და სხვა მელნით არიან დაწერილნი. აშკარაა—როცა მალალაძეს ზანდუქის წერა დაუმთავრებია, ვახტანგის სამართლის ეს ბოლო მუხლები (სვ—სო) თვით კრებულში ჯერ კიდევ არ ყოფილა ჩატანილი*.

111. დანარჩენი 295 ფურცელი უჭირავს ვახტანგის კრებულს, რომელიც რვა ნაწილისაგან შედგება (თვითეულ ნაწილს საკუთარი სათვალავი აქვს ფურცლებისა):

1. ამ კრებულის პირველი ორი ფურცელი (ა—ბ) საერთო შესავალს უჭირავს, რომელშიც ვახტანგზე მესამე პირითაა ლაპარაკი და იგი წოდებულია «ქართლის გამგებლად» და «ბატონიშვილად», აგრეთვე ბიძა მისი გიორგი მე-XI-ეც მოხსენებულია როგორც ცოცხალი («ძე ესე» ვახტანგ მე-V-ისათ), საიდანაც ცხადდება, რომ ეს შესავალი შედგენილია არა უგვიანეს 1709 წლისა*. ამ შესავალში მოხსენებული არ არის «კათალიკოზის სამართალი» და შვიდის ნაცვლად დასახელებულია მხოლოდ [ფ. 8] ექვსი საკანონმდებლო ძეგლი: მოსესი, ბერძნული, სომხური, გიორგისი, აღბუღასი, და თვით ვახტანგის სამართალი.

* კურსივი ჩვენია (ი. დ.)

2. შემდეგი 13 ფურცელი დათმობილი აქვს «მოსეს სამართალს», რომელშიც 51 (5ა) მუხლია.

3. ამას მოსდევს «ბერძული სამართალი», რომელსაც თავდაპირველად 63(-ნიგ) ფურცელი სჭერია, მაგრამ შემდეგ მე-57-ე (5ზ) ფურცელი დაკარგულა და დღეს მხოლოდ 62 ფურცელი უჭირავს. აქ აღნუსხულია 418 მუხლი (უღმ) ¹.

4. შემდეგი 122 ფურცელი უჭირავს «სომხურ სამართალს», რომელშიც 431 (ულა) მუხლია.

5. ამას მოსდევს «სამართალი კათალიკოზისა» 24 მუხლად, რომელსაც 3 ფურცელი უკავია.

6. შემდეგ ერთი ფურცელი ცალიერია და მერე იწყება გიორგი მეფის სამართალი ანუ «ძეგლის დადება» 46 მუხლად, რომელსაც ცხრა ფურცელი უჭირავს.

7. მეშვიდე ალაგი უჭირავს «აღბუღას სამართალს» 176 მუხლად, რომელსაც 24 ფურცელი აქვს დათმობილი.

8. დასასრულ მოთავსებულია «სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა» რომელიც კალიგრაფიულად ორ მთავარ ნაწილად განიყოფა: მისი პირველი 51 ფურცელი ისეთისავე ხელითაა გადაწერილი როგორც ყველა წინადასახელებული შვიდი ძეგლი (1—7), დანარჩენი 8 ფურცელი—სხვა ხელით: ამ უკანასკნელ ნაწილში ზოგიერთი მუხლები კიდევ მესამე ხელითაა ჩაწერილი*, საზოგადოდ კი ამ მეორე ნაწილის უდიდესი ნაწილი იმავე ხელითაა გადაწერილი, რომლითაც ზანდუკია დაწერილი, ხოლო ორივე ხელი კი განსხვავებულია [ფ. 9] თვით კრებულს ტექსტის (1-7 და მე-8-ისი პირველი 51 ფურცელი) ხელისაგან. ვახტანგის სამართლის 2ე-50-ე ფურცლის მეორე გვერდზე უკანასკნელი ადგილი უჭირავს სღ (= 204) მუხლს და შემდეგ მე-51-ე ფურცელზე წინა ტექსტისავე ხელითა და მელნით მოთავსებულია ვახტანგის ბოლოსიტყვაობა, რომელიც თავდება გიღლისებურად, რაც გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად ამ ხელნაწერში ვახტანგის კრებული აქ ყოფილა დათავსებული. ამასვე მოწმობს ფურცლების სათვალავიც სწორედ ამ ფურცლამდე მთელ კრებულში საერთო შესავლიდან დაწყებული, ყოველი ძეგლის თვითველ ფურცელს ტექსტისავე ხელითა და მელნით აქვს წარწერილი (ზემო არშიაზე): «ფურცელი ა, ბ, გ... ი, . . კ» და სხვანი; ვახტანგის სამართალშიც ასეა მე-51-ე ფურცლა-

¹ უნდა იყოს «უიშ». (ი. დ.)

* იხ. მაგალითად, მუხლები სნია (ბოლო), სნიბ, სნიგ (ფურცელი 80) და სო (ფურცელი 80)

მდე, შემდეგ კი ბოლომდე ფურცლებს თავდაპირველად სათვალავად აღარ ჰქონიათ და მხოლოდ ამ ბოლო დროის ახალი მეღნითა და მე-X ჯ. საუკუნის უღაზათო ხელით წაუწერიათ მხოლოდ სათვალავი ასოები: ნა, ნბ, ნგ, და სხვანი.

საყურადღებოა ისიც, რომ ვახტანგის კრებულის (საერთო შესავლის) პირველი ფურცელი ხმარებისაგან დაკუქყიანებული და დაზიანებულია, მაშინ როცა მის წინ მდგომი ზანდუკის უკანასკნელი ფურცლები სუფთა და მშვენივრად დაცულია: ცხადია, მაშასადამე, რომ როცა ეს კრებული ზანდუკის დამწერს მალალაშვილს ჩაეარდნია ხელში, მაშინ კრებულში ყოფილა მხოლოდ საერთო შესავალი და მისი მომდევნო ექვსი ძეგლი, ხოლო მეშვიდე ძეგლისა ე. ი. ვახტანგის სამართლისა მხოლოდ 204 (=სდ) მუხლი და ბოლოსიტყვაობა; და ზანდუკის ავტორს (მალალაშვილს) მხოლოდ ამათთვის შეუდგენია ზანდუკ-საძიებელი.

[ფ. 10] მაგრამ ბოლოსიტყვაობაში ვახტანგ ბატონიშვილი ნებას აძლევს გამოცდილსა და მცოდნე მდივან-მსაჯულებს შეავსონ მისი სამართალი ახალ-ახალი მუხლებით. თუ ამას საჭიროება მოითხოვს. მართლაც, მალალაშვილს უსარგებლნია ამ ნებართვით და (შეიძლება თვით ბატონიშვილისავე საეციალური ბრძანებითაც) თანდათან მიუწერია (თავისუფალ ფურცლებზე) დანარჩენი მუხლები, შესაძლოა არა ერთ დროს, არამედ სხვადასხვა დროს: ამას გვაღიქვამინებს ასო «ქ» (=ქრისტე) ყოველი მუხლის წინ, სე (=205) მუხლიდან დაწყებული, რომელსაც სათაურად უზის: «თუ ვითარ: ჯანს: დაწერა: გახაჩებისა», მე-270 მუხლამდე, რაიც წინეთ მხოლოდ მთელი ძეგლების (და არა მუხლების) დასაწყისში გვხვდება. ეტყობა, ამ მუხლებს კარგა ხანს სათვალავიც არა ჰქონია წინ დასმული და მხოლოდ შემდეგ დაუსვამთ, რც შემდეგაც ამ მუხლების შესატყვისი სარიცხავი ასოები ზანდუკშიაიკ ჩაუტანიათ სხვა ხელითა და სხვა მეღნით*.

ყოველისავე ზემოთქმულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ხელნაწერის უდიდესი ნაწილი (საერთო შესავლით დაწყებული და ვახტანგის ბოლოსიტყვაობით გათავებული) უფრო

* ამ დამატებებს მუხლებს წინამდებარე ხელნაწერში აკლია რამოღენიმე მუხლი. სახელდობარ 225-ე მუხლისა მართო ერთი სტრიქონილა და სრულებით არ არის მესლები 226—237, რადგან სწორედ ამ ადგილას (ნე და ნვ ფურცლებს შორის) ხელნაწერს ერთი ფურცელი აკლია (ს. გორგაძე).

ადრეა გადაწერილი, ვინემ ზანდუკი და ვახტანგის სამართლის ბოლო მუხლები 205-იდან 270-მდე.

ორსავე ნაწილში სასვენებელ ნიშნებად ნახმარია ორ-ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

ის კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მთელი ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგის გამ [ფ.11]გებლობის დროს. ე. ი. არა უგვიანეს 1709 წლისა, მაგრამ არც უადრეს 1705 წლისა. რადგან საკუთრივ ვახტანგის სამართლის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ვახტანგმა ეს სამართალი დაწერა თანადგომითა ძმისა მისისა დომენტი კათალიკოზისათა, რომელიც საკათალიკოზო კათედრაზე ავიდა 1705 წელს.

ვახტანგის სამართლის მე-149-ე და 178, 185 და 195-ე მუხლებისა ამ ხელნაწერში მარტო სათაურებია (ან უკეთ დასაწყისი სიტყვებია) წარმოდგენილი, აგრეთვე მე-225-ე მუხლისაც: 226—237 მუხლები სრულიად დაკარგულია. არა ჩანს არც 260 და 261 მუხლები. უკანასკნელს მუხლს სათვალავად უზის სო = 270.

[კრებულის საერთო შესავალი]*

[ფ. 40] როგორც სამართლიანათ ფიქრობენ¹ ეს შესავალი თვით ვახტანგ მე-VI-ეს არ უნდა ეკუთვნოდეს; მესამე პირით ლაპარაკი და გადაჭარბებული ქების ეპიტეტები ვახტანგის შესახებ — ამისი უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია: ვახტანგი თავის თავზე საკუთარის ხელით ამგვარს ქებას ვერ დასწერდა. ამასვე ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ იმ საგნების შესახებ, რომლებზედაც აქ ამ შესავალშია ლაპარაკი, ვახტანგი უფრო გარკვეულათ და პირველის პირით საკუთრად თავისი სამართლის შესავლისა და პირველი ნაწილის ბოლოსიტყვაობაში გველაპარაკება; მაშ, რაღად უნდა დასჭირებოდა მასვე ამავე საგნების შესახებ, და ისიც მესამე პირით, ლაპარაკი!

პირველი: ამ საერთო შესავალის ყველა ხელნაწერს ვარიანტში მოხსენებულია მხოლოდ: მოსესი, ბერძნული, სომხური, გიორგისი, აღბუღასი და საკუთრივ ვახტანგის სამართალნი; გამოტოვებულია — სამართალი კათალიკოზისა. საკუთრივ ვახტანგის სამართლის წინასიტყვაობაში კი, სომხური სამართლის შემდეგ, ნათლათ და გარკვეუ-

* ხელნაწერს სათური არა აქვს: იწყება სიტყვით «შენიშვნა», როგორც ჩანს, ეს წერილი შენიშვნის სახით კანონთა ტექსტს უნდა დართოდა (ი. დ.)

¹ Снрник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, стр. 145, Шенишнა დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს ა.

ლათ აღნიშნულია კათალიკოზის სამართალიც. აი თვით ის ადგილი ვახტანგის წინასიტყვაობიდან: «წინა-თქმულთა ამისთვის ვიწადეთ სასამართლოსა წიგნისა აღწერა: პირველ — დაბადებისა, მოსეს მიერ ქმნილნი, სამართალნი, და კვალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნებული, ეგრეთვე კათალიკოზისა, მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართალი შეეკრიბეთ» და ბოლოს ჩვენი საკუთარი სამართალიც დავერთეთო. ჩვენ ხელთა გვაქვს საკუთრივ ვახტანგის სამართლის [44]*-მდე ვარიანტი და არც ერთს მათგანში, ზემოაღნიშნულ ალაგას, სიტყვა «კათალიკოზისა» გამოტოვებული არაა. ამას გარდა ხელთა გვაქვს [26]*-მდე ხელნაწერი ვარიანტი «ქართულის სამართლის» წიგნისა (ე. ი. კრებულისა), და არც ერთს მათგანში თვით კათალიკოზის სამართლის ტექსტი გამოტოვებული არ არის. ამგვარათ, როგორც საკუთრივ ვახტანგის სიტყვებიდან, ისე თვით კრებულის ტექსტიდან ცხადათა ჩანს, რომ იმ რედაქციიდან, რომელსაც ამ კრებულის შედგენა ჰქონია ნატვირთი, შვიდი საკანონმდებლო ძეგლი გამოსულა და არა ექვსი, როგორც ეს ამ საერთო შესავლის ხელნაწერ ვარიანტებშია მოხსენებული, ალბათ, მისი ავტორის (ან გადამწერის) დაუკვირვებლობით. სწორედ, ამის გამო საჭიროდ ვსცანით აღნიშნული [ფ. 41] შესავლის ტექსტში დიდი ფრჩხილებით სამი სიტყვა ჩაგვემატებია: «მეექუსე — სამართალი კათალიკოზისა» და ამის მიხედვით შემდეგი ძეგლის სათვალავიც შეგვეცვალა («მეშვიდე»). ამგვარათ, ვახტანგის სამოსამართლო კრებულის შემადგენობა ასეთია: 1. მოსეს სამართალი, 2. ბერძული, 3. სომხური, 4. კათალიკოზისა, 5. გიორგი მეფისა, 6. ბექა-ალბულასი და 7. ვახტანგ ბატონიშვილისა. ამ რიგზეა დაწყობილი ეს ძეგლები კრებულის ხელნაწერთა უძეტეს ნაწილში; არსებითათ ამავე რიგს ვიცავთ ჩვენს გამოცემაშიაც, ბინას ვუცვლით მხოლოდ კათალიკოზის სამართალს, რომელსაც ვათავსებთ ალბულას სამართლის შემდეგ (ქრონოლოგიურის წესით).

მეორე. ამ საერთო შესავალში ბერძნული სამართლის შესახებ საკმაოდ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ვახტანგ ბატონიშვილმა იგი თვითვე ათარგმნინა ბერძნულიდან ქართულად; მაგრამ სომხური სამოსამართლო წიგნების შესახებ კი აქ აზრი ისეა გამოთქმული, რომ ნათლად არა ჩანს: ვახტანგმა ეს წიგნები უკვე გადმოთარგმნილი მოატანინა ეჩმიაძინიდან, თუ მოტანის შემდეგ ათარგმნინა ქართულად; ერთი სიტყვით, შესავლის ტექსტიდან არა ჩანს, ვახტანგის დროს უთარგმნიათ სომხური სამოსამართლო წიგნი, თუ იგი წინეთ

* ხელნაწერში დატოვებულია ცარიელი ადგილი ციფრების ჩასაწერად (ი. დ.)

ყოფილა უკვე გადმოთარგმნილი. სამაგიეროთ, საკუთრივ ვახტანგის სამართლის პირველი ნაწილის ბოლო სიტყვაობაში როგორც ბერძნულის, ისე სომხური სამართლის შესახებ გადაჭრით ნათქვამია შემდეგი: «ხოლო სხვანაცა ზემორე ხსენებული წიგნები სასამართლონი დიდთა სამეფოთანი მოვიძიეთ და მოვიღვეთ და მრავლის სასჯელითა, ვიდრე წელთა მეორემდე, გარდამოვთარგმნეთ, და იგინიცა უკლებლად აღვეიწერიეს და არს შემოკობილი ყოვლისა სამართლითა»¹. ამგვარათ, ყოველ ექვს გარეშეა, რომ ბერძნული და სომხური («დიდთა სამეფოთანი») სამართალნი ვახტანგის დროს უთარგმნიათ ქართულად. მაშასადამე, ვახტანგის კრებულის შემდგენლის რედაქციას ნატვირთი ჰქონია არა მარტო შეკრება სამოსამართლო ძეგლებისა, არამედ, ამასთან ერთათ, ფრიად ძნელი საქმე — ზოგის მათგანის უცხო ენებიდან გადმოთარგმნისაც, რასაც, როგორც თვით ვახტანგ ბატონიშვილი გვარწმუნებს, თითქმის ორი წელიწადი დასჭირვებია.

მესამე საგანი, რომელსაც გვსურს მკითხველის ყურადღება მივაპყროთ, ვახტანგის კრებულის შედგენის თარიღია. ჩვენ ვიცით მხოლოდ რომ აღნიშნული კრებული ვახტანგმა თავის «ჯანიშინობის» ანუ ქართლის გამგებლობის დროს (1703—1709 წ.) გამოსცა. მაგრამ იმ ცნობების მიხედვით, რომელსაც საკუთრივ ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის პირველი [ფ. 42] ნაწილის ბოლო სიტყვაობა იძლევა, ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით თვით კრებულის პირველი გამოცემის თარიღიც მოვიკვლიოთ. სახელდობრ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვახტანგის სიტყვით, ბერძნულის და სომხური სამართლის თარგმნა თითქმის ორ წელს [«ვიდრე წელთა მეორემდე»] გაგრძელებულა. ვთქვათ, ვახტანგი გამგებლობის პირველსავე წელს შეუდგა «დიდთა სამეფოთა» სასამართლო წიგნების მოპოებას, რასაც (და, განსაკუთრებით «ოთხთა პატრიარქთა ქენებით» ბერძნული სამართლის მოპოებას) სულ მცირე, ერთი წელიწადი მაინც დასჭირდებოდა; მაშასადამე, კრებულის პირველი ნაწილი (ე. ი. უცხოთა სამართალნი) შეიძლება მზად ყოფილიყო არა უადრეს 1706 წლისა². ამას გარ-

¹ აქ მოხსენებულნი «დიდნი სამეფონი» არიან: ბიზანტია და «დიდი სომხეთი». შეადარეთ სომხური სამართლის სათაური: «ესე წიგნი არს დიდისა სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედან გარდმოთარგმანებული» [ს. გორგაძე].

² ეს თარიღი ხაზგასმულია წითელი ფანქრით ს. გორგაძის მიერ და მარჯვნივ ამაზე იმავე ფანქრით მიწერილია: «ახლა (1919 წ.) აღმოჩნდა ხელნაწერი (სსსს № 1102). რომელშიც ბერძნული კანონები ბოლოში მოთავსებულია თარიღი «ტფუჟ», ე. ი. 1705 წელი». ეს მინაწერი ამჟამად დაცულია ხელნაწ. ინსტ: H 1102 ნუსხაში: «ზე აღიდოსღონ საქართველოს ჯანიშინი ბატონიშვილი პატრონი ვახტანგ ენჯ-

და, როგორც საერთო შესავალში, ისე საკუთრივ ვახტანგისაში, ნათქვამია, რომ საკუთარი სამართალი ვახტანგს ამ უცხოთა სამართლების გადმოთარგმნის შემდეგ «აღუწერია», ე. ი. შეუღდგენია. თუ ამ საქმეზედაც ერთს წელიწადს მაინც ვივარაუდებთ, საკმაო საფუძველი გვექნება დავასკვნათ, რომ ვახტანგის კრებულის პირველი რედაქცია უნდა დასრულებული იყოს 1707 წლის დამლევს ან 1708 წელს. ამ თარიღთაგან, ჩვენის ფიქრით. დიდი შეცდომა არ იქნება, თუ მეორეზე, ე. ი. 1708 წელზე, შევჩერდებით და მას ვსცნობთ წინამდებარე კრებულის პირველი რედაქციის დამთავრების წლად.

ახლა რამოდენიმე მოსაზრება თვით ამ საერთო შესავალის "შედგენის" შესახებ, სახელდობრ იმის შესახებ თუ: ვისგან და როდის უნდა იყოს იგი შედგენილი? ამ შენიშვნის დასაწყისში ჩვენ უკვე დავასაბუთეთ ის აზრი, რომ ყოვლად შეუძლებელია ეს შესავალი თვით ვახტანგის კალამს ეკუთვნოდეს. მაგრამ თვით შესავლის ტექსტში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი საბუთი, რომლის ძალითაც შეიძლებოდეს უარყოფა მისი შედგენისა ვახტანგის თანამედროვეთა მიერ. პირიქით, ამ შესავალში არის ორი ისეთი ადგილი, რომელიც საკმაოდ ნათელყოფს, რომ მისი შემდგენელი ვახტანგის თანამედროვეა: ერთი ადგილი შეეხება ქართლის მეფეს გიორგი XI-ეს და მეორე — თვით ვახტანგს. ამ ადგილებიდან ცხადად ჩანს, რომ: ა) როცა ეს შესავალი იწერებოდა, გიორგი მეფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ბ) ვახტანგ «ბატონიშვილიც» მტკიცეთ ადგა მართლმადიდებლობას, ან, როგორც თვით შესავალშია ნათქვამი, იყო «მართლმადიდებლობისა მკნე მკედარი, უფლისა ძლიერი მოღვაწე, ქრისტეს წარჩინებულ [ფ. 43] ლი სტრატიატი, ებგური სამარადისო მღვიძარე, სიონისა სჯულ-მტკიცობითა შეურყეველი სვეტი და გოდოლი, განუტეხელი ზღუდე». როგორც ვიცით, გიორგი XI მოიკლა ყანდარაში 1709 წელს, ხოლო ვახტანგ VI ქრისტიანობაზე «სჯულმტკიცეთ» იყო მხოლოდ 17 წლამდე, როდესაც იგი იძულებული შეიქნა მაჰმადიანობა მიეღო. მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია ვახტანგის თანამედროვეს მისი 'სჯულმტკიცობისა' შესახებ სახალხოთ ლაპარაკი დაეწყო ამ უკანასკნელი ფაქტის შემდეგ. ეს ორი გარემოება საკმაო საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ წინამდებარე კრებულის

წინათვის სამს, ქკსა «ტუგ» (841). კრებული გადაწერილია Q 575 ტიპის ნუსხიდან 1841 წელს: «აღიწერა წიგნი კანონისა კელითა ჩემითა აზაბელ ბაჟბუქოვისა მიერ 1841 წელსა, დეკემბრის 10-ს დღესა». მაშასადამე, «სამართალი ზერძული» გადათარგმნილი ყოფილა 1705 წლის სექტემბრისათვის (ი. ლ.).

საერთო შესავალი შედგენილია ვახტანგის ერთ-ერთის თანამედროვეისაგან (ან, შეიძლება მთელი სარედ აქციო კომისიისაგან) არა უგვიანეს 1709 წლისა, ან უკეთ რომ ვთქვათ, იმავე 1709 წელს, რომელსაც, ჩვენი ვარაუდით, თვით ამ კრებულის შედგენა ეკუთვნის, და სახელდობრ, მას შემდეგ, როცა ყველა, ამ კრებულში შესატანი, ძეგლი უკვე მზად ყოფილა გადასაწერად.

[ფ. 44] დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღვნიშნოთ ის გეგმა, რომლითაც კერძოდ ამ შესავლის და, საერთოთ, ჩვენი საკანონმდებლო ძეგლების გამოცემის დროს ვხელმძღვანელობთ:

1. ამ გამოცემას საფუძვლად ვუდებთ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» ხელნაწერს №-3683, რომელიც ყველგან აღნიშნული გვაქვს ლათინური ასოთი A. ეს ერთი უძველეს ვარიანტთაგანია ვახტანგის კრებულისა, მშვენიერის გარკვეული მხედრული ხელითაა გადაწერილი თვით ვახტანგისავე გამგებლობის დროს (1709 წლამდე) და ორთოგრაფიის მხრით ძლიერ მოგვაგონებს მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედის და, კერძოდ, ვახტანგის გამგებლობის დროის (1703-1709 წ.) აქტებს.

2. სამწუხაროდ, ეს ვარიანტი უნაკლულო არაა: რამოდენიმე ალაგას ფურცლები წახეულია ან ამკინძველისაგან წაჭრილი, ზოგან კანონების მთელი მუხლები აკლია, ზოგანაც თითო-ოროლა სიტყვა გამოტოვებულია. ამიტომ, სადაც საჭიროა, ამ ძირითადი ვარიანტის ტექსტს ჩვენ სხვა ვარიანტების მიხედვით ვავსებთ და ვასწორებთ, რაც ყველგან შესაფერისის ნიშნებითა და შენიშვნებით გვაქვს ნაჩვენები¹.

ასეთია ს. გორგაძის ძირითადი მოსაზრებანი S-3683 ხელნაწერის შესახებ. გარდა ამისა, მას აღნიშნული აქვს ხელნაწერის ორთოგრაფიული თავისებურებანი, განკვეთილობის ნიშნები და კანონთა ტექსტის ქარაგმების გახსნის წესი. ამავე დროს ს. გორგაძეს გადაუწერია, გაუმართავს და დასაბეჭდათ მოუმზადებია ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის საერთო შესავალი და კათალიკოსთა სამართალი (ფონდი 16, ფ. 22—32).

ამრიგად, ს. გორგაძემ მოგვცა S-3683 ხელნაწერის დაწვრილებითი, საფუძვლიანი აღწერილობა და გამოთქვა მთელი რიგი მოსაზრებანი, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ მეცნიერული მნიშვნელობა.

¹ ს. გორგაძე, ქართული სამართლის წიგნები. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ს. გორგაძის პირადი ფონდი, № 16.

ს. გორგაძეს დასახელებული ხელნაწერის შესახებ წამოყენებული აქვს შემდეგი ძირითადი დებულებები:

1. როცა კრებულის ზანდუკის წერა დამთავრებულა, ვახტანგი ჯერ მხოლოდ გამგებელი და ბატონიშვილი ყოფილა (1703—1709) და არა მეფე.

2. როცა ს. მაღალაძეს ზანდუკის წერა დაუწყია, მაშინ კრებულში ყოფილა საერთო შესავალი, მისი მომდევნო ექვსი ძეგლი, ხოლო მეშვიდე — ვახტანგის სამართლისა მხოლოდ 204 მუხლი და ბოლოსიტყვაობა.

3. როცა ს. მაღალაძეს ზანდუკის წერა დაუმთავრებია, ვახტანგის სამართლის წიგნის 205—270-ე მუხლები კრებულში ჯერ კიდევ არ ყოფილა შეტანილი;

4. კრებულის ხელნაწერი (საერთო შესავლით დაწყებული და ვახტანგის ბოლოსიტყვაობით გათავებული) უფრო ადრეა გადაწერილი, ვიდრე ზანდუკი და ვახტანგის სამართლის ბოლო (205—270) მუხლები.

5. კრებულის საერთო შესავალი შედგენილია ვახტანგის ერთ-ერთი თანამედროვისაგან (ან მთელი სარედაქციო კომისიისაგან) არა უგვიანეს 1709 წლისა.

6. ვახტანგის სამართლის ტექსტი კალიგრაფიულად ორ მთავარ ნაწილად ივანყოფა: პირველი 51 ფურცელი გადაწერილია ტექსტის ძირითადი ხელით, დანარჩენი 8 ფურცელი — სხვა ხელით. უკანასკნელ ნაწილში ზოგიერთი მუხლები კიდევ მესამე ხელითაა ჩაწერილი.

7. ვახტანგის სამართლის 204-ე მუხლს დართული აქვს ვახტანგის ბოლოსიტყვაობა, რომელიც გიდლისებურად მთავრდება და გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად ტექსტი ამ მთავრდებოდა.

8. კრებულში შესული უცხო სამართლის ძეგლები შეიძლებოდა მზად (გადათარგმნილი) ყოფილიყო არა უადრეს: 1706 წლისა.

9. მთელი ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგის გამგებლობის დროს, ე. ი. არა უგვიანეს 1709 წლისა, მაგრამ არც უადრეს 1705 წლისა. კრებულის პირველი რედაქცია უნდა დასრულებულიყოს 1707 წლის დამლევს ან 1708 წელს.

S-3683 ხელნაწერს ეხება თ. ენუქიძეც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემაში. გამომცემელი იზიარებს ექ. თაყაიშვი-

ლისა და ს. გორგაძის ყველა ძირითად მოსაზრებას აღნიშნული ხელნაწერის შესახებ და ამავე დროს უსაფუძვლოდ ეკამათება მათ, თანაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ცდილობს მათი მოსაზრებანი საკუთარ დებულებებად გაასაღოს.

ექ. თაყაიშვილი S-3683 ხელნაწერის შესახებ სრულიად გარკვევით ამბობს: ჩვენი კრებული ვახტანგის ხელთ ყოფილა და ზოგაერთი მუხლი ტექსტში დასაძიებელში თვითონ ვახტანგის ხელით არის ჩაწერილიო.

როგორც ცნობილია, ექ. თაყაიშვილის ეს აზრი გაიზიარა პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმაც, რომელმაც 1927 წელს ამავე S-3683 ნუსხის მიხედვით გამოსცა ვახტანგის კრებულში შესული «სამართალი სომხური». იგი წერს: ეს ხელნაწერი «არამც თუ თვით ვახტანგის სიცოცხლეშია დაწერილი, არამედ თვით ვახტანგის მიერვეა გადასინჯული და შესწორებული» (სამართალი სომხური, 1927, გვ. X—XI).

ექ. თაყაიშვილის მიერ S-3683 ხელნაწერის სიძველისა და მისი ვახტანგისეული რედაქციის შესახებ გამოთქმული მოსაზრების შემდეგ, თ. ენუქიძე წერს: «ასეთ სანდო ხელნაწერად ჩვენ(!) მივიჩნიეთ... S-3683 ხელნაწერი. იგი წარმოადგენს ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულს»¹; «პროფ. ექ. თაყაიშვილის ვარაუდი (!) ამ ხელნაწერის სიძველისა და მისი ვახტანგის ხელში ნამყოფობის შესახებ ჭეშმარიტებასთან ახლოსაა» (!).² «ამგვარად ანუსხა ჩვენ (!) ყველაზე აღრინდელად და ვახტანგის ავტორიზებულ ნუსხად მიგვაჩნია»³.

საქმეში ჩაუხედავ მკითხველს ისეთი წარმოდგენა ექმნება, თითქოს თ. ენუქიძემ პირველმა დაამტკიცა, რომ S-3683 ნუსხა უძველესი და თვით ვახტანგის ნარედაქციევიანია.

ვახტანგის კანონების პირველი რედაქციის შესახებ S-3683 ხელნაწერის განხილვის შედეგად თ. ენუქიძე დაასკვნის: «თავდაპირველად ვახტანგის სამართლის ტექსტი მთავრდება 204-ე მუხლითა და ბოლოსიტყვაობით... ამ მოცულობისა უნდა ყოფილიყო ვახტანგის სამართლის წიგნის I რედაქცია»⁴.

ეს აზრი პირველად პროფ. ალ. ხახანაშვილმა გამოთქვა:

¹ ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, გვ. 3-4.

² იქვე, გვ. 5.

³ იქვე, გვ. 29.

⁴ იქვე, გვ. 20.

«ვახტანგ მეფის კანონები თავის თავად ორს ნაწილად განიყოფება: პირველი მიდის მე-204 მუხლამდე და შემდეგ იწყება მეორე ნაწილი, რომელსაც წინ უძღვის ახალი შესავალი»¹.

ს-საზგ ხელნაწერის გულდასმით შესწავლის საფუძველზე 1919 წელს ამავე დასკვნას აკეთებს ს. გორგაძეც. 204-ე მუხლის შემდეგ «მთავსებულია ვახტანგის ბოლოსიტყვაობა... რაც გვიჩვენებს, რომ თავდაპირველად ამ ხელნაწერში ვახტანგის კრებული აქ ყოფილა და თავებული».

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის პირველი რედაქციის ზანდუკისაძიების შედგენის შესახებ თ. ენუქიძე წერს: «ამავე დროს უნდა შეედგინა ს. მალალაძის მთელი კრებულის საძიებელი, ვინაიდან ამ საძიებლის ვახტანგის სამართლის წიგნის აღმნიშვნელ გრაფაში მხოლოდ 204 მუხლია დამოწმებული სოლომონ მალალაძის ხელით»².

ეს აზრიც ს. გორგაძეს ეკუთვნის: «როცა ეს კრებული ზანდუკის დამწერს მალალაშვილს ჩავარდნია ხელში. მაშინ კრებულში ყოფილა... ვახტანგის სამართლისა მხოლოდ 204 მუხლი და ბოლოსიტყვაობა და ზანდუკის ავტორს მხოლოდ ამათთვის შეუდგენია ზანდუკ-საძიებელი».

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის შედგენის დროის შესახებ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ს. გორგაძე სრულიად გარკვევით წერს: «მთელი ხელნაწერი გადაწერილია ვახტანგის გამგებლობის დროს. ე. ი. არა უგვიანეს 1709 წლისა, მაგრამ არც უადრეს 1705 წლისა, რადგან საკუთრივ ვახტანგის სამართლის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ვახტანგმა ეს სამართალი დასწერა თანადგომითა ძმისა მისისა დომენტიკათალიკოზისათა, რომელიც საკათალიკოზოთკათედრაზე ავიდა 1705 წელს». ეს დებულება ს. გორგაძეს გაძოკვლევის სხვა ადგილასაც აქვს გამოთქმული.

თ. ენუქიძეც, ოღონდ წყაროს მიუთითებლად, წერს: «ამრიგად ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის შედგენა მისივე სამართლის წიგნის ჩათვლით, 1705 წელზე ადრე და 1709 წლის აპრილზე გვიან არ შეიძლება მომხდარიყო»³.

¹ ა. ხახანაშვილი, ბატონუბობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, მეორე გამოცემა, 1910, გვ. 116-117.

² ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, გვ. 20.

³ იქვე, გვ. 17; ეს აზრი გამოერებულია მე-18 გვერდზეც.

თუმცა თ. ენუქიძე აღნიშნავს, რომ S-3683 ხელნაწერის შესახებ «ს. გორგაძეს მნიშვნელოვანი მოსაზრებები და დაკვირვებანი აქვს გაზოტქმული», მაგრამ მხოლოდ ერთადერთ მის დასკვნას კრებულის შესავლის შედგენის დროის შესახებ იმოწმებს და დებითად. ორ ადგილას კი (გვ. 5 და 21) ერთიდაიგივე ციტატი, რომელიც S-3683 ხელნაწერის გადაწერის დროს შეეხება, დამოწმებულია უარყოფითად, «კრიტიკულად». სხვა შემთხვევებში სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ს. გორგაძის ნაშრომთა საერთოდ მითითებული არ არის.

როგორც ცნობილია, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შესავლის შესახებ ამ კანონების მეორე რუსული გამოცემის რედაქტორი, გამოჩენილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე წერდა: «Предисловие это по следующим причинам мы признаем вставкою, сделанною после Вахтанга: во I-х автор его говорит о Вахтанге, как о третьем лице и к тому же Вахтанг не мог говорить о себе тем напыщенным тоном, каким говорит об нем предисловие, и во 2-х оно не внесено в Теймуразовский список, относящийся к 1751 г. и, следовательно, весьма близкий ко времени Вахтанга (+1737). Список этот прямо приступает к заимствованиям из Моисея»¹. ე. წ «თეიმურაზისეული ნუსხა», რომელიც ხელთ ჰქონია დ. ბაქრაძეს, დღემდე უცნობი და დაუდგენელია.

დ. ბაქრაძის პირველი მოსაზრება, რომ კრებულის შესავალი თვით ვახტანგს არ ეკუთვნის, გაიზიარა ივ. ჯავახიშვილმაც: «მოსეს სჯულის წინ, შესავალში, რომელიც თუმცა თვით ვახტანგს არ ეკუთვნის, როგორც სამართლიანად შენიშნა დ. ბაქრაძემ, მაგრამ რომელშიაც მისი სურვილი და წადილი, რამაც აიძულა ახალი კანონები შეედგინა, მაინც კარგად არის ახსნილი, ნათქვამია, რომ მოსესი, ბერძნული და სომხური კანონები ყოველთვის ვერ გამოდგებოდაო»². რაც შეეხება დ. ბაქრაძის მეორე მოსაზრებას, ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილს აზრი არ გამოუთქვამს.

როგორც ს. გორგაძის ხელნაწერი ნაშრომიდან ირკვევა, მან, სათანადო ნუსხების შესწავლის საფუძველზე, ჯერ კიდევ 1919 წელს დაამტკიცა დ. ბაქრაძის იმ მოსაზრების უსაფუძველობა, რომ, რადგან კრე-

¹ Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, издание А. С. Френкеля, под редакцией Д. З. Бахрадзе, Тифлис, 1887, стр. 146—147.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928, გვ. 118-119

ბულის შესავალი შეტანილი არ არის ე. წ. «თეიმურაზისეულ ნუსხაში», იგი შემდეგდროინდელ ჩანართს წარმოადგენს.

ს. გორგაძე წერს: «ჩვენ არას ვიტყვი «თეიმურაზის» ხელნაწერის შესახებ. მაგრამ თუ კი იმ საბუთს ვისივე თვალში საკმაო ძალა აქვს, მის საპირისპიროთ მოვიხსენიებთ ვორდროპის ვარიანტს (W), რომელიც გადაწერილია არა უგვიანეს 1750 წლისა... და რომელშიაც ამ საერთო შესავალს ჩვეულებრივად ადგილი უჭირავს მოსეს სამართლის წინ. ამას შეგვიძლია დავუმატოთ (S-3683), რომელშიც საესე-ბით დაცულია საერთო შესავალი... ამიტომ არ შევცდებით, უკეთუ დავასკვნით, რომ ამ უკანასკნელში (თეიმურაზისეულ ნუსხაში) შესავლის შეუტანლობა ბევრს არაფერს ამტკიცებს თვით შესავლის სიძველის წინააღმდეგ»¹.

ამავე აზრს, ოღონდ წყაროს მიუთითებლად, იმეორებს თ. ენუქიძე. მოყავს რა დ. ბაქრაძის ზემოთ მოტანილი ციტატის თარგმანა, იგი წერს: «დ. ბაქრაძის გამოთქმული ვარაუდი (?), რომ სამართლის კრებულის შესავლის ავტორი ვახტანგ VI არ არის, მოტანილი საბუთიანობით სრულიად დამაჯერებელია, მხოლოდ ვერ გაეიზიარებთ დ. ბაქრაძის მეორე ვარაუდს, სამართლის კრებულის შესავლის დროის შესახებ. ის გარემოება, რომ თეიმურაზისეულ ნუსხაში (1751 წ.) შესავალი არ არის შეტანილი, ვერ გამოდგება იმის საბუთად, რომ «შესავლის» ტექსტი 1751 წლის შემდეგ არის დაწერილი. ჩვენ გვაქვს თეიმურაზისეულ ნუსხაზე ადრინდელი კრებულები, რომელთაც გააჩნიათ «შესავალი»².

ამგვარად, ვახტანგის სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემაში, ერთგვარი პარაფრაზირებით, გამეორებულია ს. გორგაძის გამოკვლევის ძირითადი დასკვნები და დებულებები (ნუსხის გადაწერის, ზანდუქის შედგენის, კრებულის საერთო შესავლის, ვახტანგის სამართლის წიგნის შედგენის დათარიღების, მისი თავდაპირველი რედაქციის, ბოლოსიტყვაობისა და მომდევნო (205—270) მუხლების შესახებ)³

S-3683 ხელნაწერის ზოგიერთ გვერდზე დაცულია ს. გორგაძის მინაწერები ფანქრით. მაგალითად, 83 verso გვერდზე გადამწერს ჯერ გადაუწერია, ხოლო შემდეგ ვილაცას გადაუხაზავს ბერძნული სამარ-

¹ ს. გორგაძე, ქართული სამართლის წიგნები (ხელნაწერი), № 16, გვ. 43-44, შენიშვნა.

² ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, 1955, გვ. 11.

³ შდრ. ს. გორგაძის № 16 ხელნაწერის მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-11 და 42-ე ფურცელი 1955 წლის გამოცემის მე-6, მე-8, მე-12, მე-17, მე-18, მე-19 და მე-20 გვერდს

თლის 140-ე (რმ) მუხლი; იქვე, მარცხენა აშიაზე ს. გორგაძის ხელით ფანქრით მიწერილია: «ეს არც W-შია». 84 recto-ს ბოლოს ბერძნული სამართლის 148-ე მუხლის იმ ადგილას, სადაც სიტყვა «იმოწმოს» წერია, ს. გორგაძე ასეთ შენიშვნას აკეთებს: «ამას ქვემოთ W-ში აღარ არის, რვეულები ამოგლეჯილია». «კათალიკოზთა სამართლის» (241r — 243v), «ძეგლის დადების» (245r—253r) და «აღბულას სამართლისა» (254r—277r) ტექსტების მარჯვენა და მარცხენა აშეიბზე, ალაგ-ალაგ, ს. გორგაძის ხელით მიწერილია ტექსტში არასწორად დაწერილი სიტყვების მართებული ფორმები, ხოლო შიგ ტექსტში შესაბამის სიტყვას დასმული აქვს შენიშვნის სათვალავი (1, 2, 3 და ა. შ.).

საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის აშეიბზე ასეთი ტექსტოლოგიური ხასიათის მინაწერები არ არის, მაგრამ გვხვდება სხვა ხასიათის ორიოდ მინაწერი. 314 recto-ზე ვახტანგის სამართლის 146-ე მუხლის გასწვრივ მარჯვენა აშიაზე მიწერილია: «W-ში ეს მუხლი სხვა ხელითაა ჩაწერილი». 322 verso-ს ქვემო აშიაზე, 226-ე მუხლთან, ფანქრით მიწერილი ტექსტი ნაწილობრივ გადასულია, ამჟამად იკითხება: «წჳ სკვ, სკზ, სკთ, სლ, სლა, სლბ, სლგ W-ში სხვა [ხელითაა]». 334 verso-ს ქვემო აშიაზე მიწერილია: «წჳ ხა, ხაა?! არც W-შია. იხ. რუსულ-ლი გამოცემა. იხ. საისტ. საზ. №-223».

S-3683 ნუსხაში ვახტანგის სამართლის წიგნის 178-ე მუხლის მხოლოდ პირველი წინადადებაა — «ლაშქარში დანარჩუნებულს კაცსა და იარაღზე ირჩოდენ», დანარჩენი ტექსტისათვის დატოვებულია ცარიელი ადგილი. ს. გორგაძეს ამ მუხლის ტექსტი აღუდგენია W ნუსხის მიხედვით და ფანქრით ჩაუწერია ტექსტისათვის დატოვებულ ცარიელ ადგილას, რასაც ასეთ შენიშვნას უერთავს: «W-ში ეს სიტყვები სხვა ხელით არის მერე ჩაწერილი = რუსულ 178».

S-3683 ნუსხაში 195 მუხლის მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია, მუხლის დანარჩენი ტექსტისათვის დატოვებულია ცარიელი ადგილი. ს. გორგაძეს ფანქრით მიუწერია: «დიონოსი კორინთეს (W) (შეავსეთ «საისტ. და საეთნ. საზ», № 223)». ეს ნუსხა, რომელიც გადაწერილია 1810 წელს, ამჟამად დაკლულია ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში ამავე ნომრით.

თ. ენუქიძის გამოცემაში ს. გორგაძის ზემოთ მოყვანილი შენიშვნების შესახებ არაფერია ნათქვამი. რაც შეეხება 178-ე და 195-ე მუხლების დანაკლის ტექსტს, როგორც დავინახეთ, ამ მუხლებს წყაროზეც პირველად ს. გორგაძემ მიუთითა.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მოვიტანოთ S-3683 ნუსხის მნიშვნელოვანი კითხვასხეობანი, რომლებიც 1955 წ. გამოცემის ვარიანტებში მითითებული არ არის.

1855 წ. გაშოცემა

S-3683 ნუსხა

| | |
|-----------------------|-----------------------|
| შესავ. ენებოს | ენების |
| მუხ. 1 და იმ | იმ |
| „ 11 მისია - | მისია |
| „ 25 ნუმტა ვის | ნუმტა ვინ |
| „ 41 სისხლის | სისხლი, სისხლის (bis) |
| „ 61 სატანჯელის | სატანჯელის |
| „ 70 შეიუღეს | შეიუღეს |
| „ 94 იქნას | იქნას თუ მო |
| „ 111 კაცმან | კაცმან კაცმან (bis) |
| „ 113. ვისიმე | ვისიმე |
| „ 118 არის | არის და |
| „ 125 სულ | სუ |
| „ 130 უნდა | უნდოდეს |
| „ 179 დაყაროს | დააყაროს |
| „ 180 ცოტად | ეცოტად |
| „ 225 ესენი | ეს სენი |
| „ 263 მას უკან სწორედ | სწორედ |
| „ 270 ას[ა]ყრელი | ასყრელი |
| „ 270 აყრიდენ | აყირიდენ |
| „ 270 გამოირთმევდენ | გამოართმევდენ |

S-3683 ხელნაწერის აწინდელი მდგომარეობა

ეს უნიკალური ნუსხა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ვით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკასთან ერთად შეუქმნია. ხელნაწერი სულ უკანასკნელ დრომდე მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო (ყდა მომძვრალი, ფურცლები დაშლილი და კიდევები ალაგ-ალაგ ჩამოცრეცილი). ამ სახით ხელნაწერის შემდგომ ხმარებას შეიძლებოდა მისი სერიოზული დაზიანება გამოეწვია. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა გულისხმიერებით მოეკიდა ჩვენს თხოვნას ხელნაწერის რესტავრაციის შესახებ. ამჟამად (1979 წ. თებერვალი) ეს ნუსხა რესტავრირებულია, აკინძულია და ჩასმულია ლია ყავისფერ ტყავგადაკრულ მუყაოს მაგარ ყდაში. ხელნაწერი შეიცავს 336 ფურცელს, ზომა 30,3×21,3 სმ. აკლია: 112-ე და 113-ე ფურცლებს შორის ერთი ფურცელი, რომელიც ბერძნული სამართლის 351—361-ე მუხლებს შეიცავდა; 332-ე და 333-ეს შორის — ერთი ფურცელი, რომელიც ვახტანგის სამართლის 225—237-ე მუხლებს შეიცავდა; აგრეთვე 334-ესა და 335-ეს შორის — ერთი ფურცელი, რომელიც შეიცავდა ვახტანგის სამართლის ტექსტს 259-ე მუხლის ბოლოდან 261-ე მუხლის უკანასკნელ წინადადებაამდე. ხელნაწერის ფურცლებზე თავიდან ბოლომდე შავი ლაქები, ალბათ დასველების

გამო, მაგრამ ამით ტექსტი დაზიანებული არ არის. ქალაღის ჭვირნი-
შანია: ემბლემატურ ნაწილში — სამი ნახევარმთვარე, ხოლო ლიტერულ
ნაწილში — სამყურას გამოსახულება ლათინური ასოებით P და A.
ამ ჭვირნიშნის იტალიური ქალაღი XVII ს. მეორე ნახევრიდან შემო-
ღის და ხმარებაშია ვახტანგის დროსაც.

ხელნაწერის პირველი ფურცლის recto-ზე გამოსახულია მინია-
ტურა, რომლის სათაურია: «მეორედ მოსვლა».

მის ზედა ნაწილში, ცის მრგვალ შარავანდში ზის ქრისტე, რომ-
ლის ორივე მხარეს მოციქულთა და ანგელოზთა თანაბარი ჯგუფებია
განლაგებული. ხოლო შარავანდის მარცხნივ და მარჯვნივ, იოანე ნათ-
ლისმცემელი და ღვთისმშობელია წარმოდგენილი, როგორც ადამი-
ანთა შუამდგომნი ქრისტეს წინაშე (ე. წ. «დეისუსი»).

ქრისტეს ქვევით ჰეტიმასიაა (ტახტი, ქოისტეს ენებათა გამომსახვე-
ლი საგნებით), რომლის მარჯვნივ, წესისამებრ, სამოთხე გამოისახება
ხოლმე, ხოლო მარცხნივ — ჯოჯოხეთი.

ტახტის ორსავე მხარეს, ადამსა და ევას მოუყრიათ მუხლი, ხოლო
მათ უკან ორი ანგელოზია: ევას უკან დგას საყვირიანი ანგელოზი, რო-
მილიც ჩაჰყვირის ზღვასა და დედამიწას, ხოლო ადამის უკან დგას ანგე-
ლოზი, რომელიც გრაგნილად ახვევს ცას. მის ზევით წინასწარმეტყ-
ველთა ნახევარფიგურებია.

ჰეტიმასიის ქვევით კეთილ და ბოროტ საქმეთა, ცოდვა-მადლის,
აწონისა და განსჯა-განკითხვის სცენაა, მის მარცხნივ კი, ჯოჯოხეთში,
ცეცხლოვანი მდინარე მოედინება, რომლისკენაც ეშმაკები მიერე-
კებიან სამეფო და საერო ტანსაცმელში ჩაცმულ ცოდვილთ.

მდინარის მეორე მხარეს ცოდვილთა წამების ეპიზოდია წარმოდ-
გენილი — ტბა სავსე ურჩხულებით, რომელნიც შთანთქავენ და აწამე-
ბენ მათ.

მინიატურის მარცხენა ქვედა კუთხეში, ალალ-მართალთა ჯგუფი
დგას სამოთხის კარის წინ.

ამრიგად, ამ საკმაოდ ტრადიციულ სქემაში ფაქტობრივად ორი მო-
მენტია ერთ სცენად გაერთიანებული: ზევით — «განკითხვის დღე»,
ხოლო მის ქვევით კი თავად «მეორედ მოსვლა». როგორც ცნობილია,
ამ სცენის სრული იკონოგრაფიული ტიპი საბოლოოდ XI საუკუნეში
ჩამოყალიბდა.

2r-ზე იწყება კრებულის ზ ა ნ დ უ კ ი, ამ ფურცლის მეორე გვერ-
დი ცარიელია. მთლიანად ზანდუკი 39 ფურცელს შეიცავს (2r—40r).
შემდეგი სამი გვერდი (40v—41v) დაუწერელია; თუმცა დაყოფილია
სვეტებად: სულ ზანდუკი 985 პუნქტს შეიცავს, მაგრამ ხელნაწერში
პუნქტების დანომრვა წყდება მე-10 ფურცელზე სმჟ (247) პუნქტით.

ამასთან. პუნქტების დანომრვის დროს გადამწერს შეცდომა მოსვლია — ხელნაწერის 8r-ზე მას რათ (169) პუნქტის შემდეგ შეცდომით რპ (180) დაუწერია, ე. ი. 10 პუნქტი მიუმატებია. ამრიგად, ზანდუკის პუნქტების ნუმერაცია ხელნაწერში ფაქტობრივად არა სმზ (247), არამედ სლზ (237) პუნქტზე წყდება.

ზანდუკის ბოლოს (40r) ქვედა აშიაზე წვრილად მიწერილია: «ზანდუკისა მის დამწერი მ ა ლ ა ლ ა ძ ე ს ო ლ ო მ ო ნ». ზანდუკი დაწერილია ლამაზი ხელით. გარდა ს. მაღალაძის ხელისა, ზანდუკში კიდევ სამი განსხვავებული ხელი გამოირჩევა, რომელთაგან ერთი თვით ვახტანგ ბატონიშვილს ეკუთვნის. მეორე ხელით, რომელიც დაუდგენელია, 28 verso-ზე ჩაწერილია ორი პუნქტი, ხოლო 22 V-სა და 33 V-ზე თითო პუნქტი. დაბოლოს, მესამე უცნობი ხელით მე-40 recto-ზე ჩაწერილია ზანდუკის უკანასკნელი სამი პუნქტი.

რაც შეეხება ვახტანგ ბატონიშვილის მიერ ზანდუკში ჩართულ დამატებასა და მინაწერებს, საჭიროა აღინიშნოს, რომ მას გულმოდგინე რედაქცია გაუკეთებია მთელი ზანდუკისათვის: 11 ახალი პუნქტი შეუტანია, 9 პუნქტი შეუვსია და დაუმთავრებია, ხოლო 57 პუნქტისათვის მუხლების შინაარსის მოკლე მინაწერები გაუკეთებია. ვახტანგ VI-ეს, როგორც სჯულმდებელსა და საკოდიფიკაციო კომისიის ხელმძღვანელს, კრებულის ზანდუკში შეაქვს არსებითი იურიდიული ხასიათის ფორმულები და განსაზღვრებანი, რომლებიც ამაღლებენ კრებულის საძიებლის მეცნიერული დამუშავების ხარისხს¹.

42 recto-ზე იწყება სამართლის წიგნთა კრებულის საერთო შესავალი. ზემო აშიაზე წერია: «წიგნი ა სამართლისა». 42 verso გვერდიდან კრებულის ბოლომდე ყოველი ფურცლის verso-ს ზემო აშიაზე დაწერილია კრებულში შესული თითოეული ძეგლის სათაური ასეთი თანამიმდევრობით: «შესავალი», «სამართალი მოსესი», «სამართალი ბერძული», «სამართალი სომხური», «სამართალი კზისა», «სამართალი მეფის გიორგისა», «სამართალი აღბუღასი», «სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა». ხოლო recto გვერდების ზემო აშიაზე ფურცლების პაგინაციაა ასოციფრებით, ყოველ ძეგლს ფურცლების თავისი სათვალავი აქვს.

კრებულის შესავალში გადამწერს გამოჩენია რიგით მეოთხე ძეგლი: «წმიდათა და მართლმადიდებელთა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზთა და ღირსთა ეფისკოპოზთაგან განწესებული სამართა-

¹ დაწერილებით იხ. «ქართული სამართლის ძეგლები», I, 1963, გვ. 568—573.

ლი». Q-575 ნუსხაში, რომელიც გადაწერილია 1710 წელს, ეს ტექსტი დაცულია.

S-3683 ნუსხაში ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალი და ექვსივე ძეგლი გადაწერილია ლამაზი მხედრული ხელით. ამავე ხელითაა გადაწერილი მეშვიდე ძეგლიც — ვახტანგის სამართლის წიგნი 205 მუხლამდე, შემდეგ კი ტექსტი ბოლომდე გადაწერილია კალიგრაფიული ხელით ცნობილი მდივან-მწიგნობრის ს. მაღალაძის მიერ, გარდა 262, 263 და 270 მუხლებისა, რომლებიც თვითონ ვახტანგ ბატონიშვილის ხელითაა ჩაწერილი. ვახტანგის ხელითვეა მიწერილი აგრეთვე მე-7, 74-ე 76-ე და 207-ე მუხლების ბოლო ნაწილები.

პროფ. მ. კეკელიძის აზრით, «S-3683 ხელნაწერი, გარდა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 205-ე მუხლის შემდგომ ზოგიერთი მუხლისა, კანონთა კრებულზე დართულ ზანდუკ-საძიებლის გადამწერის მდივან-მწიგნობარ სოლომონ მაღალაძის მიერაა შესრულებული»¹. მაგრამ ეს დებულება ჭეოროვნად დასაბუთებული არ არის. თუ Q-575 ხელნაწერი, როგორც ამას ქრ. შარაშიძე ფიქრობდა, ს. მაღალაძის მიერაა გადაწერილი, მაშინ S-3683 ნუსხა, რომლის ძირითადი ხელი დიდად განსხვავდება Q-575-საგან, არ შეიძლება ს. მაღალაძეს ეკუთვნოდეს.

Q-575 ხელნაწერში, რომელიც ჩვენს გამოცემაში აღნიშნულია B ლიტერით, მე-7, 74-ე და 76-ე მუხლებში ვახტანგისეული მინაწერი ტექსტები არ არის, ამიტომ სავარაუდებელია, რომ ვახტანგმა ეს მინაწერები S-3683 ნუსხაში 1710 წლის შემდეგ ჩაურთო.

კრებულში შესული ძეგლებისა და მათი კარების სათაურები, აგრეთვე მუხლების დასაწყისი სიტყვები დაწერილია სინგურიით. საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნში სინგურიითაა დაწერილი შესავლის სამი პირველი სტრიქონი (278r) და 26—33 მუხლების პირველი წინადადებები (288r—v), აგრეთვე თითქმის მთლიანად, გარდა უკანასკნელი წინადადებისა, 35-ე მუხლი (289r) და სამართლის წიგნის ბოლოსიტყვის პირველი სამი სტრიქონი (328r).

განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი, ხოლო კანონთა მუხლების ბოლოს ორწერტილი ხაზით (:—).

S 3683 ხელნაწერში ვახტანგის სამართლის 149-ე, 176-ე, 185-ე და 195-ე მუხლების მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია, ხოლო კანონთა ტექსტისათვის დატოვებულია ცარიელი ადგილი 7-8 სტრიქონის ოდენობით, 178-ე მუხლისათვის კი — მთელი გვერდი (321r).

¹ თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 161, გვ. 18-19.

დაუწერელია აგრეთვე 56 v (გარდა 1 სტრიქონისა), 119 r, 240 v, 253 V გვერდები.

69 V-ს ბოლოს წაშლილია ბერძნული სამართლის 58 (60) მუხლი, ხოლო 73 r-ს ბოლოსა და verso-ს დასაწყისში — 75 (ოე) მუხლი.

რესტავრაციის შემდეგ დაზიანებულობის გამო ზოგიერთ სიტყვებს რამდენიმე ასო აკლია: 42 r—v ქვემო კუთხე მოხეულია და ქვემოთ მოტანილ სიტყვებში კავებში ჩასმული ასოები არ იკითხება: «ნათე [საო-ბით]», «ცხებუ [ლობით]», «უ [ფლ] ისა», «[ებგ] ური», 43 v-ს ბოლოს ქაღალდი ჩამოჭრილია, რის გამოც აკლია სამი სიტყვა — «მარადის მსაჯულთა მიერ»; უკანასკნელი 336-ე ფურცლის ზემო კუთხე მოხეულია, რის გამოც 268-ე მუხლის კავებში ჩასმული სიტყვები და ასოები არ იკითხება: «[კაცი რომ] თავის სახლის კაცს»,... «ბატონის [დას]-ტურით»... [თავი]სის».

ასეთია S-3683 ხელნაწერის აწინდელი მდგომარეობა. თითქმის 70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ექ. თაყაიშვილმა ამ ნუსხის პირველი ზუსტი მეცნიერული აღწერილობა მოგვცა, რომელშიც დაამტკიცა, რომ იგი ვახტანგის ხელთ ნამყოფი და ნარედაქციევი ნუსხაა. ამ ნუსხა-დედნიდან მომდინარეობენ კრებულის შემდგომი გვიანდელი ნუსხები.

ამავე დროს Q-575 ნუსხის გამოწვლილვით შესწავლამ, რომელიც გადაწერილია 1710 წელს და ავრეთვე ვახტანგის ნარედაქციევი, უცილებლად დაამტკიცა რომ S-3683 ნუსხაში, მისი გადამწერის დაუკვირებლობის გამო, როგორც ზემოთ დავინახეთ, დაშვებულია მთელი რიგი ხარვეზები და დამახინჯებანი, რომელთა აღდგენა Q-575 ნუსხის ვარიანტების მოხმობით ხერხდება.

უკანასკნელ დროს პროფ. მ. კეკელიამ გამოთქვა აზრი, რომ S-3683 ნუსხის მიხედვით «მთელი სამართლის წიგნი 1—270 მუხლის: ჩათვლით კანონმდებელი მეფის სიცოცხლეშივე და რაც მთავარია 1710 წლამდეა შედგენილი»¹. რა თქმა უნდა, ვახტანგის სამართლის წიგნი ვახტანგის სიცოცხლეშივე იქნებოდა შედგენილი. ხოლო თუ სამართლის წიგნის ბოლო (264—270) მუხლები იმთავითვე შეტანილი იყო S-3683 ნუსხაში, მაშინ Q-575 ნუსხის გადამწერმა (1710 წ.) რატომ გამოტოვა და არ შეიტანა ისინი თავის ხელნაწერში? აღნიშნულის გამო ეს აზრი დამაჯერებლად არ მიგვაჩნია.

¹ მ. კეკელია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 204-ე მუხლის შემდგომი მუხლები თავდაპირველობის შესახებ (ივ. ჯავახიშვილი, კრებული, 1977, გვ. 187).

2. Q-575 ხელნაწერი

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული შეიცავს 252 ფურცელს. ქალაქის თითოეული ფურცლის ზომა 28,5×19,5 სმ., რესტავრირებული და ახლად აკინძულია ჩვენი თხოვნით 1978 წლის იანვარში. ჩასმულია მუყაოს მაგარ ყდაში, რაზედაც გადაკრულია ორივე მხარეს მოტივრული შავი ტყავი. ხელნაწერი შექმნილია შ. ხუ-სკი ვ ა ძ ი ს ა გ ა ნ 1939 წელს. კრებული შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

კრებულის ზანდუკი 1r — 37 V

კრებულის საერთო შესავალი 39r — 40 V

სამართალი მოსესი 41r — 49r

სამართალი ბერძნისა 50r — 103r

სამართალი სომხისა 104r — 185 V

სამართალი კათალიკოზისა 186r — 188r

სამართალი მეფის გიორგისა 189r — 195r

სამართალი ალბუღასი 196r—212r.

სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა 213r—252r

ზანდუკის ანუ საძიებლის 37 verso-ზე ბოლოს მიწერილია: «ქკს ტუჴ». ე. ი. ხელნაწერი გადაწერილია 1710 წელს. ამას ადასტურებს აგრეთვე ის, რომ 42 ფურცლიდან დაწყებული ბოლომდე (252r) ყოველი ფურცლის recto-ს ზემო აშიაზე ტექსტის ხელით წერია: «კურთხეულმჴ არის განმგებლობა ვახტანგისა», ხოლო verso-ს ზემო აშიაზე თითოეული ძეგლის მოკლე სათაურია: «მოსესი», «ბერძნისა», «სომხისა», «კზისა», «მეფის გიორგისა», «ალბუღასი», «ბატონიშვილის ვახტანგისა». 188 V-ზე იმავე ხელით მიწერილია: «ადიდნეს, ღმერთო, ბატონიშვილი ვახტანგ». მაშასადამე, Q-575 ხელნაწერის მთელი ტექსტი თავიდან ბოლომდე გადაწერილია ვახტანგ ბატონიშვილის «ჯანიშინობის» ანუ გამგებლობის დროს.

Q-575 ნუსხაში ბერძნული სამართლის ოე (75) მუხლი, რომელიც ლათინელებთან დამზახლებას კრძალავს, ვიღაცას ამოუშლია, რასაც ვახტანგ ბატონიშვილი თავისი ხელით აღადგენს და ასეთ შენიშვნას უკეთებს სქოლიოში: «ის ვინც (sic) აწ ეს ამოუშლია, ავით უქნია. ასე სწერია: ლათინელთათვის. მსგავსადვე აისა მართლმადიდებელნი ქრისტეანნი ნუ დაემზახლებიან ლათინელთა. თუ არა განეშორნენ ლათინელთა წესსა და რიგსა და უსჯულოეებათა, რამეთუ რომელნიმე სიტყვასა ამას არ ირწმუნებენ და ასრეთ არ ყოფენ და არ განეშო-

რებიან ლათინელთა, მღვდელმთავართა მიერ შეიჩვენენ და მეფეთაგან იტანჯოს» (63v—64r) *.

ამრიგად, Q-575 ხელნაწერი არათუ გადაწერილია ვახტანგ ბატონიშვილის გამგებლობის დროს. უფრო ზუსტად 1710 წელს, არამედ თვით ვახტანგის ხელით ნარედაქციევ ნუსხას წარმოადგენს.

Q-575 ხელნაწერს ბოლოს, 252-ე ფურცლის verso-ზე, ტექსტისაგან განსხვავებული ხელით ასეთი მინაწერი აქვს: «ქ. ხელმწიფისაგან რომ შამებარა მე, ქიჩუ ყიფიანსა, ამის მოწამე თევდორე შღვდელი. ამ წიგნის ფურცელი არის ორას ორმოცდა თხუთმეტი ფურცელი». მაშასადამე, თავდაპირველად კრებული 255 ფურცლისაგან შედგებოდა. ამჟამად კი დაცულია 252 ფურცელი, ე. ი. აკლია სამი ფურცელი. აქედან ორი ფურცელი აკლია კრებულის ზანდუქს, ახლანდელი პაგინაციით 25—26-ე ფურცლებს შუა, ხოლო ერთი ფურცელი — საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის შესავალს 212—213-ე ფურცლებს შუა. 213-ე ფურცელი იწყება ასე: «... სთ, მით სჯიდეთ და სამართალსა იქმოდეთ».

კრებულის ზანდუკი გადაწერილია ულაზათო ხელით ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებულ ქალაღზე და შეიცავს 37 ფურცელს. მთელი კრებული (ფურც. 39—252) გადაწერილია ლამაზი ხელით, რომელიც, ქრ. შარაშიძის აზრით, ს. მალაღის ხელი უნდა იყოს.

ზანდუქის 1—8 ფურცელი სვეტებად დაყოფილი არ არის, მუხლების მოკლე შინაარსი დაწერილია ერთიმეორის მიყოლებით, ხოლო მე-9—38-ე ფურცლები დაყოფილია სვეტებად, თითოეული ფურცლის r-v, როგორც S-3683 ნუსხაში, აქაც რვა სვეტად იყოფა. მეცხრე ფურცლიდან თითოეული ფურცლის recto-ს მარჯვენა და verso-ს მარცხენა აშიებზე იგივე მინაწერებია, რაც S-3683-ში.

30-ე recto იწყება კრებულის საერთო შესავლით და მთელი კრებული ბოლომდე დაწერილია იტალიურ ქალაღზე ლამაზი მხედრული ხელით, ზანდუქ-საძიებლის (ფ. 1—38) ქალაღის კვირნიშნის ემბლეზა «გვირგვინი მტევნით», ხოლო 39—252 ფურცლებს, რომლებზეც გადაწერილია კრებულში შესული სამართლის ძეგლები, ქალაღის კვირნიშანი საერთოდ არა აქვს.

Q-575 ნუსხაში სინგურით დაწერილია კრებულის საერთო შესავლის 5 სტრიქონი (39r), ბერძნული სამართლის წიგნისა და აგრეთვე კანონთა პირველი და მეორე მუხლების სათაურები ოთხ-ოთხი სტრი-

* Q კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობაში (ტ. 11, 1958, გვ. 52) ვახტანგის მიერ აღდგენილი ამ მუხლის ტექსტი დაბეჭდილია დამახინჯებულად.

ქონი (50r, 52r). დანარჩენი მუსლების მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია სინგურით დაწერილი. რაც შეეხება საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს, აქაც კარების სათაურები და ყოველი მუხლის დასაწყისი სიტყვები დაწერილია სინგურით. აგრეთვე 35-ე მუხლი, გარდა უკანასკნელი წინადადებისა, და სამართლის წიგნის ბოლოსიტყვის პირველი ორი სტრიქონი (243 V) სინგურითაა შესრულებული.

ბერძნული სამართლის მდ (44) და მე (45) მუხლების გადაწერისას გადამწერს შეცდომა მოსვლია, გადაწერილი ტექსტი შემოუხაზავს და ქვემოთ ამავე მუხლების ტექსტი ხელახლა გადაუწერია (58V).

ამავე კანონების 58 (58) მუხლის ტექსტი წაშლილია. ასევე წაშლილია ოე (75) მუხლის ტექსტიც, რომელიც შემდეგ ვახტანგს აღუდგენია.

68r-ზე რი (110) მუხლის გასწვრივ მარჯვენა აშიაზე ტექსტის ხელით მიწერილია: «დედანში ასრე იყო». მართლაც, S-3683 ნუსხაში ბერძნული სამართლის 109-ე მუხლის სათაური ცალკე (109) მუხლადაა გამოყოფილი, ხოლო ამავე მუხლის ტექსტი — 110 მუხლად. ამრიგად, ერთ მუხლს ორი სათვალავი აქვს, რასაც შენიშვნას უკეთებს Q-575 ნუსხის გადამწერი. ერთი (პირველი) სტრიქონი წაშლილია აგრეთვე 91V-ზე.

212-ე verso-ს ბოლოს, სადაც აღბუღას სამართალი მთავრდება, ტექსტის ხელითა და მელნით მიწერილია ერთი ჩახრუხაული ტაეპი: «ესა-მართალი, ესამართალი ხეს შეიქს კმელსა წყალმომდინარედ».

ცარიელი (დაუწერელი) გვერდებია: 38r—v, 49v, 103v, და 195v. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ხოლო კანონთა მუხლის ბოლოს ორწერტილი ხაზით (—).

Q-575 ნუსხის გადამწერს წინ უდევს S-3683 ხელნაწერი, რომელსაც «დედანს» უწოდებს. მაგრამ ამავე დროს იგი სხვა ნუსხებითაც სარგებლობს. ეს ცხადად ჩანს იქიდან, რომ Q-575-ს არ გააჩნია ის ხარვეზები, რომლებიც S-3683 ხელნაწერშია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, S-3683 ნუსხას კრებულის საერთო შესავალში აკლია კათალიკოსთა სამართალი, რომელიც Q-575-ში არის. ვახტანგის სამართლის წიგნის შესავალში, სადაც ჩამოთვლილია საკანონმდებლო კომისიის წევრები, Q-575-ში მუხრანის ბატონის ერეკლეს შემდეგ წერია: «და სახლისა უხუცისა პაპუათი», რომელიც S—3683-ში არ იხსენიება. ვახტანგის სამართლის 168-ე მუხლის ბოლო აბზაცი მხოლოდ Q-575-ში არის დაცული. ამავე დროს S-3683 ხელნაწერის მე-7, 74 და 76-ე მუხლების ბოლო ნაწილები, რომლებიც მიწერილია ვახტანგის ხელით, Q-575-ში არ არის. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ S-3683 ნუს-

ხაში ეს მინაწერები ვახტანგის მიერ გაკეთებულია 1710 წლის, ე. ი. Q-575 ნუსხის გადაწერის შემდეგ.

ვახტანგის სამართლის მე-2 მუხლის ფრაზაში «თუ ბედნიერის კელ-მწიფის ყენით იყოს», სიტყვა «ბედნიერი»-დან «ბედნი» ამოფხეკილია და დატოვებულია «ერის». 160-ე მუხლის ფრაზის «სულს გარდა»-ს შემდეგ სხვა ხელითა და მელნით სტრიქონთ შუა ჩაწერილია: «თავის ყმაზედ».

178-ე, 185-ე და 195-ე მუხლების მხოლოდ დასაწყისი სიტყვებია, ხოლო კანონთა ტექსტისათვის დატოვებულია ცარიელი ადგილი 7—8 სტრიქონის ოდენობით. ამასთან, 178-ე მუხლის გასწვრივ მარჯვენა აშიაზე მიწერილია: «ამის მეტი არ ეწერა».

205-ე მუხლის სათაური «თუ ვითარ კამს დაწერა განაჩენისა», მიწერილია მარცხენა აშიაზე მუხლის დასაწყისი სტრიქონების გასწვრივ.

ვახტანგის სამართლის წიგნი Q-575 ნუსხა მთავრდება ს.გ. (263) მუხლით.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული სამართლის წიგნების ტექსტები Q-575 ნუსხაში გიღლისებურად ბოლოვდება. Q-575 ხელნაწერმა შემოგვინახა ვახტანგის სამართლის წიგნის 225—237 და 259—261 მუხლები, რომლებიც S-3683 ნუსხას აკლია ფურცლების დაკარგვის გამო.

Q-575 ხელნაწერის შესახებ 1963 წელს ვწერდით, რომ იგი «კ რ ე-
ბ უ ლ ი ს ე რ თ-ე რ თ უ ძ ე ე ლ ე ს ს ა და უ ძ ე ი რ ფ ა ს ე ს ნ უ-
ს ხ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს. 1955 წლისათვის ეს ნუსხა ჯერ კიდევ არ
იყო გამოვლინებული და შესწავლილი. ამიტომ მისი ვარიანტები თ.
ენუქიძის გამოცემაში ვერ აისახა. მაგრამ ძეგლის გამომცემლის მიერ
გამოყენებულია ამ ტიპის ნუსხის გვიანდელი პირი, რომელიც მას თავის
გამოცემაში C ლიტერით აქვს აღნიშნული. ჩვენ მიერ გამოყენე-
ბული Q-575 ნუსხა, დედნის (S-3683) გარდა, კრებულის ყველა სხვა
ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერზე უკეთეს ხელნაწერს წარმოადგენს,
რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი გასწორებანი შეაქვს A ნუსხის წა-
კითხვაში. შეიძლება ითქვას, რომ ა რ ც ე რ თ ს ხ ვ ა ნ უ ს ხ ა ს ვ ა-
ხ ტ ა ნ გ ი ს კ ა ნ ო ნ თ ა ტ ე ქ ს ტ ი ს და დ გ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს ი ს ე-
თ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა არა აქვს, როგორც Q-575 ხ ე ლ-
ნ ა წ ე რ ს¹!.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 564 — 565.

ჩვენი ეს მოსაზრება Q-575 ხელნაწერის შესახებ არ გაიზიარა თ. ენუქიძემ: «მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ Q-575 ხელნაწერი არის დედანი H-1659 ხელნაწერისა. აბსოლუტურად იდეალური ცალი, წაკითხვის თვალსაზრისით ისინი არ განსხვავდებიან... ტექსტის დადგენისათვის Q-575 და H-1659 ხელნაწერებს თანაბარი მნიშვნელობა აქვთ» (ეურნ. «საბჭოთა სამართალი», № 1, 1975, გვ. 77).

H-1659 ნუსხის 211 V-ზე გადამწერის ანდერძში, სხვათა შორის, ნათქვამია: «თუ რაიმე ამაშიდ ნაკლულევანება და შეცთომილება ჰპოოთ, ნუ განმზრახავთ, ვინაიდან პირველი ესე არს ჩემ მიერ შემთხვევა კალმის* გამართვისა. მღვდელი პეტრე ქუთათელაძე». მაშასადამე, მდივან-მწიგნობრობაში გაუწვრონელ პირს ნუსხა პირველად გადაუწერია და შეცდომების გამო წინასწარ პატიებას ითხოვს.

მართლაც, Q-575 და H-1659 ხელნაწერების შეჯერებამ დაადასტურა, რომ H-1659 ნუსხაში მნიშვნელოვანი ხარვეზები და შეცდომებია. მხოლოდ ორიოდე მაგალითს მოვიყვანთ.

Q-575

H-1659

მუხ. 4. «დამბარებელი და გაწყრომაზე დასაქერელად გასაგზავნი იასაული სხვა უნდა ყუანდეს».

4. «დამბადებელი და გაწყრომაზე დასაქერელად გასაგზავნი იასაული სხვა უნდა ყვანდეს».

H-1659 ნუსხის გადამწერი კალმის უხეშ შეცდომას უშვებს, რაც კანონის აზრს ამახინჯებს. «დამბადებელი იასაული» წარმოუდგენელი უაზრობაა.

მუხ. 37. «თუ შუას თავადით აფიცონ, ორმოცი შეუგდონ და ოცი იშოვნოს, და მით იფიცოს. და თუ უმცროსის თავადით აფიცონ, ას ოცი შეუგდონ და სამოციტ შეჰფიცოს».

37. «თუ შუას თავადით აფიცონ, ას ოცი შეუგდონ და სამოციტ შეაფიცოს».

როგორც ვხედავთ, H 1659 ნუსხის გამოუცდელ გადამწერს ხაზგასმული ტექსტი მთლიანად გამორჩენია და კანონის აზრიც გაუბუნდოვანებია.

* ხელნაწერშია «კალმის». თ. ენუქიძე კი შეცდომით კითხულობს «ქელის» (ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გვ. 28).

მუხ. 155. «საყრდრის გამტეხისა, ჭვარისა და ხატის დამტურებისა».

155. «საყდრის გამტეხისა და ხატის დამტურებისა».

აქ გადამწერის მიერ გამოტოვებულია სიტყვა «ჭვარისა», რომელიც ყველა უძველეს ნუსხაშია დაცული.

მუხ. 219. «თუ დიდებულში მოკდეს, არათუ სახლის მესამედი, არა, იმ ერთის თავის მესამედი მისცეს, რაც ქონდეს».

H—1659 ნუსხაში ეს ტექსტი სულაც არ არის, გადამწერს გამოჩენია; ვახტანგის ნარედაქციევ ორივე ნუსხაში კი შემონახულია.

მუხ. 229. «ამისთვის რომ არც გამგზავნელს უნდა სიკუდილი».

229. «ამისთვის რომ გამგზავნელს უნდა სიკვდილი».

H-1659 ნუსხის გადამწერის უყურადღებობის გამო კანონის აზრი სრულიად დამახინჩებულია.

მუხ. 237. «თუ კაცს ხედვედეს, რომ ღთის მოშიში არ არის».

237. «თუ კაცს სდევდეს, რომ ღთის მოშიში არ არის».

ამრიგად, H-1659 ნუსხა მნიშვნელოვან ხარვეზებსა და დამახინჩებებს შეიცავს, რაც Q-575 ხელნაწერში არ არის. ამის შემდეგ, ცხადია, რომ H-1659 არ არის Q-575-ის «ზუსტი პირი», «ახლო უტურადიდენტური ცალი». ამიტომ «მთელი პასუხისმგებლობით» იმის განცხადება, რომ ორივე ნუსხას ტექსტის დადგენისათვის თანაბარი მნიშვნელობა აქვთ», მეტი რომ არავთქვათ, საფუძველს მოკლებულია. და განა შეიძლება სერიოზულად ვამტყიკოთ, რომ ტექსტის დადგენისათვის ხელნაწერ დედანსა და ასიწლის შემდეგ გაუწერთნელი ხელით გადაწერილ მის პირს ტექსტის დადგენისათვის თანაბარი მნიშვნელობა აქვთ!

გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ ტექსტის გამომცემელმა «ვერ მიავლია» Q-575 ნუსხას, რომელიც საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახებოდა 1939 წლიდან, და ამის გამო თავის გამომცემას საფუძველად დაუდო ამ ნუსხის გვიან გადაწერილი დამახინჩებული პირი.

Q-575 ნუსხის შესახებ ახლა კვლავ გავიმეორებთ ჩვენს მიერ ადრე გამოთქმულ აზრს. ეს ნუსხა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის ერთ-ერთი უძველესი, ვახტანგის ნარედაქციევი ნუსხაა, რომელიც გადაწერი-

ლია განსწავლული მდივან-მწიგნობრის მიერ 1710 წელს და ასწორებს S-3683 ნუსხის უხეშ შეცდომებს. ამ ნუსხის გარეშე შეუძლებელია ვახტანგის სამართლის წიგნის კრიტიკული ტექსტის დადგენა.

3. ქუთაისის 201 ხელნაწერი

ქუთაისის ისტორიულ-ენტოგრაფიულ მუზეუმში 201 ნომრით დაცულია ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული. ქალაქი. 32 X 22,5 სმ. შუყაოს ტყავგადაკრული, მოტივრული ყდა. ზემო და ქვემო ყდა მომძვრალია, ხოლო ფურცლები დაშლილი. კრებული შეიცავს 518 გვერდს შემდეგი თანამიმდევრობით.

კრებულის ზანდუკი 1v — 39r

კრებულის შესავალი 41r—43r

სამართალი მოსესი 43r — 55v

სამართალი ბერძნული 56r—150r

სამართალი სომხური 151r — 367v

სამართალი კათალიკოზთა 369r — 374r

სამართალი მეფის გიორგისა 375r — 389v

სამართალი აღბულასი 390r — 427v

სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა 429r — 518r

უკანასკნელი 518-ე ფურცლის verso-ზე ნუსხის გადამწერის ანდერძია:

«ღიდება ღმერთსა, სამებით ერთსა, მამასა ძისა მშობელსა და სულისა გამოძავლინებელსა. დაესრულა წიგნი ესე ქალაქსა ტფილისისასა, ჟამსა ღთვ ცხებულისა მეფეთ-მეფისთა იმურაზისასა, ჟამსა მას, რომელსა ჰპყრობდა ნადირ-შაჰ პირველი, თამაზ-ხანად კმობილი, აჰა ქრისტეს აქეთ ჩღმვ, ქკს ულდ, კელითა ყოველთა უარაწმიდისისა ქალაქს ჭვარის საყდრის გარსევეან დეკანოზის შვილის, მღდელთა უნარჩევესის, მღდელ-დეკანოზის იოანესითა; მიზეზითა რაჟთმე, რაჟეთუ დედა ამის წიგნისათვით მეფეთ-მეფის ვახტანგის მიერ ნალვაწი იყო; ეპოვე და მეც გულსმოდგინედ აღწერე. მხილველთა და წამკითხველთა ყოველთა ვევედრები სიყვარულისათვის იესოსა და უბიწოდ მშობელისა მისისა მარიამისსა, რათა შენდობას ჰყოფდენ ჩემ კოდვილისათვის და ცთომანი ჩემნი მომიტევენ, რათა განვერე მწარესა მას ბრძანებასა ღვთისა გამამწარებელთათვის განმზადებულსა

დღესა მას სასჯელისასა. და, თვითცა მომხსენებელნი ჩემნი უზრუნველ ყენეს უფალმან ორსავე შინა ცხოვრებასა, ვითარცა თვით ბრძანებთ: «რაოდენი გინდეს, რათა გიყონ თქვენ კაცთა, ეგრეთვე თქვენ უყოფდით»*. და კვალად: «უკეთუ არა მიუტევნეთ კაცად-კაცადმან თქვენგან, არცა მიამამან თქვენმან მოგვიტევნეს შეცოდებანი თქვენნი»**.

* მაშასადამე, ხელნაწერი გადაუწერია დეკანოზ გარსევანის შვილს — მღვდელ-დეკანოზს იოანეს 1746 წელს.

იოანეს ხელით გადაწერილია კრებულის კანონთა ტექსტი (41r — 518r). რაც შეეხება ზანდუქს, იგი გადაწერილია სხვა ხელით, შესაძლოა მდივან-მწიგნობარ სოლომონ მაღალაძის ხელით. ზანდუქისა და კანონთა კრებულის მთელი ტექსტი გადაწერილია იტალიურ ქალაქდზე, რომლის ჰვირნიშნია სამი მთვარე.

ზანდუქს წინ დართული აქვს დაუწერელი 27 ფურცელი ლურჯი ქაღალდი, რომლის ჰვირნიშანია «1806». ფურცლებს ჰაგინაცია არა აქვს, ჩვენ დავნომრეთ ფანქრით. ამ ლურჯი ქაღალდის უკანასკნელი ფურცლის V-ზე იწყება ვახტანგის კრებულის ზანდუქის ტექსტი. როგორც ჩანს, იმ დროისათვის, ე. ი. XIX ს. დამღვევისათვის, ზანდუქის პირველი გვერდის ტექსტი იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ საჭირო გამხდარა მისი სხვა ქაღალდზე გადაწერა. ეს გვერდი გადაწერილია სხვა ხელით. ზანდუქი ხმარებისაგან საკმაოდ დაზიანებულა. ეს ლურჯი ქაღალდის ფურცლებიც, ალბათ, იმ მიზნით ჩაურთავთ, რომ ზანდუქის ტექსტი გადაეწერათ.

ლურჯი ქაღალდის პირველი ფურცლის recto-ზე ასეთი მინაწერია: «Законы сии списаны в 1746 году сыном тифлисской креста Господня церкви Протоіерея Гарсевана протоіереем Ивановом».

იქვე, სხვა ხელით: «А куплены Давидом Ник. Бакрадзе в г. Тифлисе на русском базаре, именуемом иначе ярмаркою, за пять руб. чер.

Лето от Р. Х. 1865-ое, месяц октябрь. Первый год возвращения моего из России».

იქვე: «შეწირულია დთ ბაქრაძისაგან ქუთაისის ეთნოგრაფიულის საზოგადოებისადმი 18 ივნისს 1917 წელსა».

აქ საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვით აღვნიშნოთ ამ ჩინებული ნუსხის გადამრჩენის დ. ნ. ბაქრაძის დამსახურება ჩვენი ხალხის წინაშე.

* ლუკა, 6, 31.

** მათე, 6, 15.

დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე (1838-1918) მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი დაიბადა რაჭის სოფელ სევაში 1838 წელს. თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1860 წელს. შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. რომელსაც თავისი განსაკუთრებული ნიჭის წყალობით, ექსტერნის წესით, ორ წელიწადში ამთავრებს, აბარებს სახელმწიფო გამოცდებს და იცავს კანდიდატის ხარისხს თემაზე: «როგორ გაჩნდა და დამყარდა საქართველოში თავადაზნაურობა». უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მას სურდა სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ორი წელი პეტერბურგში იმსახურა, ხოლო 1865 წელს სამშობლოში დაბრუნდა. მაშინვე შეეყვანილ იქნა ბატონყმობის გაუქმების თაობაზე შემდგარ კომისიაში. 1868-1871 წლებში იგი გურიის მომრიგებელ სამართლედ მუშაობდა, შემდეგ კი გადაყვანილ იქნა ქუთაისის მაზრაში. დ. ბაქრაძე იყო წევრი გაზეთ «შრომის» სარედაქციო კოლეგიისა, რომელიც 1881 წელს დაარსდა ქუთაისში. 1882 წელს მან შეადგინა სასამართლო-ადმინისტრაციული რეფორმის პროექტი, რომელიც ამავე გაზეთში გამოქვეყნდა იმავე წელს (№-16). 1894 წელს იგი საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ აირჩიეს. 1893 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის დაარსებაში, რომლის მზრუნველად აირჩიეს იგი 1898 წელს. ამავე დროს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იგი ქუთაისის და სენაკის მაზრის სათავადაზნაურო სკოლების სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია.

დ. ბაქრაძე ცნობილი პუბლიცისტი იყო, რომელიც «სეველის» ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს გაზეთებში — «დროება», «ივერია», «შრომა», «Русь», აგრეთვე ჟურნალებში — «კვალი», «მწყემსი» და სხვ. მას ანლო მეგობრობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან. 1893 წლის 25 აპრილს, ნ. ზარათაშვილის ნეშტის ღიღუბის პანთეონში გადმოსვენების დღეს, მან ქუთაისის თავადაზნაურობის სახელით შთამბეჭდავი სიტყვა წარმოთქვა¹.

ილაშქრებდა რა ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ, 1905 წელს დ. ბაქრაძე წერდა: «Мы хотим только сохранить свой язык, свою землю и те некоторые особенности своей древней культуры, которые никому ни в чем не мешают. Мы хотим

¹ თ. ხუსკივაძე, დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე, ქუთაისი, 1905.

чтобы к нам отнеслись с прежним доверием и уважением и восстановили нас в правах, наравне с природными русскими»¹.

დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე გარდაიცვალა ღრმა მოხუცი 1918 წელს და დაკრძალულია შშობლიურ სოფელ სევაში.

შადღიერი შთამომავლობა დიდი პატივისცემით მოიხსენიებს მის სახელს თუნდაც იმიტომ, რომ მან, რუსეთიდან ახალდაბრუნებულმა, ხელმოკლემ, თავისი მცირედი დანაზოგით სამუდამო დაღუპვას გადაარჩინა თბილისის «იარმარკაზე» სხვა ხარახურასთან ერთად გასაყიდად გამოტანილი ეს ჩინებული ხელნაწერი და შესძინა იგი ქართული ხელნაწერი ძეგლების საუნჯეს.

ხელნაწერში, როგორც ითქვა, ზანდუქს 1v—39r გვერდები უჭირავს. ზანდუქის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ფურცელი დაზიანებულია, კიდეები ჩამოცრეცილია და მათზე მინაწერი ტექსტი ალაგ-ალაგ აკლია ან დაზიანებულია. ამ ფურცლებისა და აგრეთვე უკანასკნელი ექვსი ფურცლის (513-518) დაზიანებული კიდეების რესტავრაცია იმავე ლურჯი ქაღალდით ჯერ კიდევ მაშინ (XIX ს. დამდეგს) მოუხდენიათ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისიც გაცრეცილა, ზოგან კი გახეულა.

მოსეს სამართალი, ბერძნული სამართლის ორი შესავალი და კანონთა ტექსტი, სომხური სამართლის შესავალი და კანონთა ტექსტი და ვახტანგის სამართლის წიგნი ხელნაწერში გიდლისებურად მთავრდება. ხოლო კათალიკოზთა სამართალი, ძეგლის დადება და აღბუღას სამართალი სრული, ბოლომდე დაწერილი სტრიქონებით მთავრდება.

მთელი ხელნაწერი ძველი პაგინაციით 60 რვეულისაგან შედგება. თითოეულ რვეულში 8 ფურცელია, ხოლო უკანასკნელ მე-60 რვეულში — 6 ფურცელი. რვეულების სათვალავი, გარდა პირველი რვეულისა, აღნიშნულია სქოლიოში არაბული ციფრებით. პირველი რვეულის პაგინაცია იწყება 41r გვერდიდან. ამავე გვერდზე სქოლიოში ტექსტის ხელით იწყება მთელი ნუსხის recto და verso გვერდების პაგინაცია ნუსხახუცური ასო-ციფრებით.

რაც შეეხება ზანდუქს, მას ტექსტისეული (ნუსხახუცური) პაგინაცია არა აქვს. ზანდუქი დაყოფილია რვა სვეტად. პირველ სვეტში მოყვანილია სამართლის მუხლთა მოკლე შინაარსი, ხოლო სვეტის თავში ოთხკუთხა თაღში ჩაწერილია: «ადიდე ქრისტე ორთავე შინა ცხოვრებათა საქართველოს განმგებელი ბატონისშვილი ვახტანგ. ამინ. ამინ:» ამის გასწვრივ მომდევნო შვიდი სვეტის თავში ჩაწერილია კრებულში შესული ძეგლების სათაურები და პირველ სვეტში ჩამოთვლი-

¹ ციტირებულია ა. გოგუაძის ნაშრომიდან «დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე» (ქუთ. პედინსტ. შრომები, ტ. XVII, 1957).

ლი საკითხების მიხედვით მიწერილია სამართლის წიგნების შესაბამისი მუხლები.

ზანდუკის უკანასკნელი (39r) გვერდზე, სვეტების ზემო რკალისებურ თაღებში იკითხება: «ღვთის მშობელო. კაცთა მფარველო, მწვე ეყავ ორთავე შინა ცხოვრებათა სრულიად საქართუშლოს განმგებელს ბატონიშვილს, ბატონს ვახტანგს; მეუღლით, ძით და ასულით დღეგრძელ ყავ და მკვიდრ სასუფეველისა. ამინ».

ქუთაისის 201 ხელნაწერში ვახტანგის სამართლის წიგნი 267 მუხლს შეიცავს. კანონთა ტექსტში ორი მუხლი (185-ე და 237-ე) გამოტოვებულია. 149-ე, 178-ე და 195-ე მუხლების ტექსტები, S-3683 და Q-575 უძველეს ნუსხებს რომ აკლიათ, მხოლოდ ქუთაისის 201-ე ხელნაწერშია დაცული. ამავე ნუსხაში შემონახულია ვახტანგის სამართლის 225—236-ე და 259—261-ე მუხლები, რომელიც ამ ნუსხის «დ ე დ ა»-ს—S-3683-ს აკლია ფურცლების დაკარგვის გამო.

კრებულის საერთო შესავლის პირველი ხუთი სტრიქონი, ვახტანგის სამართლის წიგნის ბოლოსიტყვაობის პირველი სამი სტრიქონი, აგრეთვე სამართლის წიგნის კარების სათაურები და მუხლების დასაწყისი სიტყვები, ისე როგორც S-3683 ნუსხაში, აქაც სინგურითაა დაწერილი. 205-ე მუხლის სათაური კი მხოლოდ ამ ნუსხაშია სინგურით დაწერილი.

ცარიელი გვერდებია: 39v—40v, 154v, 368r-v, 374v, 428r. დედნისაგან (S-3683) განსხვავებით ქუთაისის 201-ე ხელნაწერში განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი, ხოლო წინადადებისა და კანონთა მუხლების ბოლოს ორწერტილი ხაზით (:—). დედნისაგან იგი პაგინაციითაც განსხვავდება. დედანში თათოვულ ძეგლს თავისი ფურცლების სათვალავი აქვს, ქუთაისის 201-ე ნუსხაში კი მთელ კრებულს საერთო პაგინაცია აქვს, თანაც ქვემო აშიაზე, ნუსხანუტური ასოციფრებით.

43-ე ფურცლიდან დაწყებული ბოლომდე ყოველი ფურცლას recto-verso-ს ზემო აშიებზე მიწერილია კრებულში შესული ძეგლების სათაურები. ამასთან, verso-ზე წერია «სამართალი», ხოლო recto-ზე სამართლის ავტორი, — ასეთი თანამიმდევრობით: «სამართალი მოსესი», «სამართალი ბერაშული», «სამართალი სომეხური», «სამართალი კათალიკოზისა», «სამართალი მეფის გიორგისა», «სამართალი აღბულასი», «სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა».

ხელნაწერს აქვს რამდენიმე მინაწერი. ბერძნული სამართლის ტექსტი 150r-ზე მთავრდება. ამ ფურცლის verso დაუწერელი ყოფილა, რაზედაც შემდეგ გაკეთებულია რანდენიმე ერთმანეთთან დაუკავშირებელი მინაწერი. დასაწყისში სამი ხვეული ხელრთვაა: «მეფე აღე»

ქსახდრე», «ლუინ» (?) და კიდევ ერთი ხელრთვა, რომელიც ვერ გავა-
რჩიეთ. შემდეგ ქვემოთ, ცალკე, ნუსხახუცურად წერია «ვითარცა».
შემდეგ შედრულად მოყვანილია 10 სტრიქონი მათეს სახარებიდან:
«ქ. მამაო ჩხვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავი სახელი
შენი.

მოვედით სუფევაი. შენი, იყავ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა».

უკანასკნელ სამ სტრიქონში კვლავ მეორდება პირველი სამი სტრი-
ქონის ტექსტი.

სომხური სამართლის ტექსტი მთავრდება 367-ე verso-ზე. 368-ე
ფურცლის recto-ზე მიწერილია სომხურად. «იესო ქრისტე, ღმერთო
ჩვენო. ამინ», ხოლო verso-ზე ქართულად: «თ. დავით თუმანოვი».

აღბულას სამართალი 427-ე verso-ზე მთავრდება. 428-ე verso-ზე
ოთხი მინაწერია:

«ქ. მსაჯულთათვის თქმული სამართლისათვის და უსამართლოები-
სათვის».

«ქ. ოდეს რომელმა მსაჯულმა ამ სამართლის ან მეტი ან ნაკლე-
ბი სამართალი საჯოს, მასამც დამართვის კეთრი გაეზის, შიშთვილი
იუდასი, დანთქმა დათან და აბირონის, და წყეულიმც არის ქრისტესა-
გან და შაჩვენებული. ამინ».

«ქ. ეს, დიახ, კარგათ გიბრძანებია ამისო მწერალო, მაგრამ შენგან
მუნასიბი არ არის ამ გვარის წერისა და დიდი კადნიერება მოგვლია».

«თქვენმა მზემ, თქვენ უფრო ნაკლებობათ მოგვლია, რომ ზევი-
თის დამწერი რო (sic) გაგიკიცხავს».

ქუთაისის 201-ე ნუსხის ფოტოპირი ჩვენი თხოვნით გადაიღო ხელ-
ნაწერთა ინსტიტუტმა და ამჟამად დაცულია ინსტიტუტის შესაბამის
ფონდში ამავე ნომრით.

•

ქუთაისის 201-ე ხელნაწერის აღწერილობაში თ. ენუქიძე S-3683
და 201-ე ნუსხების შესახებ წერს, რომ «გარდა მცირეოდენი ორთო-
გრაფიული სხვაობისა, განსხვავება მათ შორის არ არის» (სამართლის
წიგნი. იკვ. 25). ირკვევა, რომ ასეთი დასკვნა ხელნაწერების ნაჩქარე-
ვი და ზერელე გადათვალისწინების შედეგია.

ქუთაისის 201-ე ხელნაწერის ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული მთელი
რიგი ნიშან-თვისებები თ. ენუქიძის აღწერილობაში მოხსენებული არ
არის. გარდა ამისა, ხელნაწერთა გულდასმითი შესწავლა-შეჯერების

შედგად გამოირკვა, რომ ამ ნუსხის ზოგიერთი მნიშვნელოვანი კითხვასხვაობანი ვარიანტებში სულაც არ არის მითითებული ან მითითებულია არასწორად.

1955 წ. გამოცემა

ქუთ. 201-ე ნუსხა

| | |
|-------------------------|---------------------|
| შესავ. უპატოსნედ | უპატოსნესად |
| „ ეამთათა | ეამთა |
| „ და მირონ | მირონ |
| „ ერასტითა | ერასტიითა |
| „ ენებოს | ენების |
| მუხ. 1. და იმ | იმ |
| „ 2. და სხვანი | სხვანი |
| „ 7. ორმოცა და | ორმოცს |
| „ „ შეკაზმონ | შეკაზმენ |
| „ „ წაქცევეს | წაქცევის |
| „ 12. და მის | და მას |
| „ 19. აზნაურიშვილს | აზნაურიშვილისათვის |
| „ 23. განაჩენები | განაჩენი |
| „ „ იყვნენ | იყოს |
| „ 24. მისი | და მისი სიტყვა |
| „ „ მერმე მეორე | მეორე |
| „ 25. ნუმცა ვის | ნუმცა ვინ |
| „ 30. ამასთან | ამას |
| „ 34. უწყრომა რამე | უწყრომა რომე |
| „ 38. უნდა მისცეს | მისცეს |
| „ 43. იმითი | იმითი |
| „ 61. გამოიყვანოს | გამოიყვანოს |
| „ 67. არ მიეცემის | მიეცემის |
| „ 75. მკვლელის | მომკვლელის |
| „ 76. მართებოდეს | მართებდეს |
| „ „ რომელიც | რომელით |
| „ 81. რბევისათვის | ღარბევისათვის |
| „ 84. სისხლის | სისხლი |
| „ 92. ან ცხენმან | ამ ცხენმან |
| „ 95. თავი სისხლით | თავის სისხლის |
| „ 101. აღებას გაათავებს | აიღებს და გაათავებს |
| „ 102. შუას ძმას | შუას |
| „ 112. მამკვდარი | მომკვდარი |
| „ 113. ვისიმე | ვინმე |
| „ „ და თუ | თუ |
| „ 118. არის | არის და |
| „ 125. სულ | სუ |
| „ 127. მისცა | მისცეს |
| „ 130. უნდა | უნდოდეს |
| „ 133. აქ | იქ |

| | |
|-----------------------------|-------------------------|
| „ 138. ეთხოება რა | ეთხოების |
| „ 144. მოქალაქეთ | მოქალაქეს |
| „ „ შეუგდებენ | შიაგდებენ |
| „ 148. სხეას | სხეის |
| „ 154. შვიდი მთლივ | შვიდეულად |
| „ 156. იმაზე | ამაზედ |
| „ 158. და ახლა | ახლა |
| „ 161. მაგრამ რა | რა |
| „ 163. გლეხისაგან | გლეხისა |
| „ „ ნურავინ რას | ნურც არას |
| „ 164. ქვეყნის | ქვეყანას |
| „ „ აქ | იქ |
| „ 166. ერთმანერთის | ერთმანერთის მოწმობით და |
| „ 167. პირს | პირობას |
| „ 173. ვინც ან | ვინცა ვინ |
| „ 176. და ლაშქრევა | და ლაშქრევა |
| „ 177. დაეჭირვინება | დაეჭირვინება |
| „ 179. დაყაროს | დააყაროს |
| „ 182. გამოძებით | გამოძებით |
| „ 183. ამას | იმას |
| „ 184. აშენებულა | აშენებული |
| „ 187. დაჭრილსა და | დაჭრილს |
| „ 197. ბრალი | ბრალი დაედვას და |
| „ „ და რამთოსნაყ | რამოდნსაყ |
| „ „ გამქდარა | მამქდარა |
| „ 204. ძმაზე | ძმებზედ |
| ჭოლოსიტყ. ქართლისანო | ქართლისა |
| „ მსაჯულმან | მსასჯულმან |
| „ ჩვენი | ჩვენი და |
| 205. სამართლიდამ | სამართლისა |
| „ და ბოლოს | და ან ბოლოს |
| 207. და მენათხოვრეს | მენათხოვრეს |
| „ წაუქდინოს | წააქდინოს |
| „ მიმზარებელი | მიმზარებული |
| „ ველარას | ვერას |
| „ დასაკარგავი | დასაკარგავად |
| 212. იშოვოს | უშოოს |
| 217. იქს | აქუს |
| „ საკდური | საუიღური |
| 218. გარდაქადოს | გარდაიქადოს |
| „ იყოფა | იყოფა |
| 219. მიცვლილზედ | მიცვალემაზედ |
| 223. მიტანისა | მიტანის ასე არის |
| 225. თუ ესენი | თუ ეს სენი |
| „ და მას უკან გამოჩნდა | მას უკან გამოუჩნდა და |
| 226. ამ კაცმა | ამ კაცმა რომ |

| | |
|----------------------|-----------------|
| 227. იმ კაცმა | ამ კაცს |
| 231. მოკვდეს | მოუკვდეს |
| 232. საქონელი | და საქონელი |
| 235. ან პირობაზე | ან იმ პირობაზედ |
| 239. ძმა თუ | ძმა ან |
| „ შეილი ან სიძე | შვილიანი სიძე |
| 244. გამლებისა | გამოლებისა |
| 245. თუ ან | ან |
| 252. ფათერაკი | ფათერაკად |
| „ ქრისტიანობის | ქრისტიანობით |
| 258. რას | არას |
| 263. მას უკან სწორედ | სწორედ |

ზოგჯერ გამომცემელი სრულიად შეუღწმუნებლად S-3683 ნუსხის ვარიანტებს 201-ე ნუსხაზეც ავრცელებს. 201-ე ნუსხის აღწერილობაში ნათქვამია, თითქოს პირველ გვერდზე გრაფების ზემოთ, ოვალურ თაღებში ჩაწერილია: «ქ რ ი ს ტ ე ა დ ი დ ე... ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ბ ა ტ ო ნ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ» (გვ. 24). ნამდვილად კი ასეა: «ა დ ი დ ე ქ რ ი ს ტ ე... ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ».

როგორც ზემოთ მოყვანილი ვარიანტებიდან ჩანს, ამ ორ ნუსხას შორის არათუ «მცირეოდენი ორთოგრაფიული სხვაობა», არამედ ტექსტის მნიშვნელოვანი კითხვასხვაობაც ყოფილა.

4. მახტანის სამართლის წიგნის Q-104 ხელნაწერი.

ეს ნუსხა მხოლოდ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნს შეიცავს, რომელშიც 44 ფურცელია, ქალაღის ზომაა 31×21.5 სმ. ჩასმულია ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში, ტყავი მოტვიფრულია. ქალაღის კვირნიშანი ისეთივეა, როგორიც S-3683 ნუსხისა: ემბლემატურ ნაწილში — სამი ნახევარმთვარე, ხოლო ლიტერულ ნაწილში სამყურას გამოსახულება ლათინური ასოებით P და A. როგორც აღვნიშნეთ, ეს იტალიური ქალაღი მე-17 ს. მეორე ნახევარში შემოდის და ხმარებაშია ვახტანგის დროსაც. ტექსტი გადაწერილია ვახტანგის მდივან-მწიგნობრის გივი თუმანიშვილის ხელით. ხელნაწერი შეძენილია ს ო ს ი კ ო მ ე რ კ ვ ე ლ ა ძ ი ს ა გ ა ნ .

სამართლის წიგნის ტექსტი ნაკლულია. ტექსტი წყდება 202-ე მუხლზე, ამ მუხლის დამთავრებას ორი სტრიქონი აკლია. ტექსტი მუხლებად დაყოფილი არ არის. თითოეული მუხლის შესაბამისი ტექსტი სინგურით ან აბზაცით იწყება, მაგრამ ბოლომდე არც ეს წესია დაცული, ალაგ-ალაგ ტექსტი შერწყმულია, აბზაცით გამოყოფილი არ არის. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი, ალაგ-ალაგ წერტილი:

ან მძიმე, ხოლო წინადადების ბოლოს — ორწერტილი ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ხაზით (:I ან :—). სამართლის წიგნის კარებისა და მუხლების შესაბამისი ტექსტის დასაწყისი სინგურითაა დაწერილი. ტექსტი გადაწერილია სუფთად, ლამაზი ხელით.

43-ე და 44-ე ფურცლებს შორის ხელნაწერს აკლია ერთი ფურცელი. რომელიც 195-199 მუხლებისა და მე-200 მუხლის დასაწყის ტექსტს შეიცავდა. 44-ე ფურცელი თავში და მარჯვენა კიდეზე ალაგ-ალაგ გახეულია, მაგრამ ტექსტი დაზიანებული არ არის.

უქანასკნელ გვერდზე (44v) ასეთი მინაწერია: «ქ. ყოველი საქმე, სამართალი თუ სხვა რამ ღთიან კაცზე და სულიან კაცზე არის. უღთოს კაცისაგან და ურწმუნოს კაცისაგან სწორე სამართალი არ იქნება და არც კეთილი საქმე გამოვა. ამას უნდა ეცადოს, რომ კეთილი კაცი გამოარჩიოს და ის დაადგინოს მოსამართლეთ. ახლა ბევრი სათნობით არჩევს კაცს და არ ვარგა».

30 r-ს უქანასკნელი სტრიქონი, 133-ე მუხლის შესაბამისი ტექსტის დასაწყისი, როგორც ასოთა ნაშთიდან ჩანს, შეცდომით დაწერილ სამოთხ სიტყვას შეიცავდა, რაც გადამწერსვე ამოუჭრია. და ეს ამოჭრილი ადგილი ამავე ფურცლის verso-ზე სტრიქონთ შუა მოუქცევია.

Q-164 ხელნაწერი ვახტანგის სამართლის წიგნის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნუსხაა, რომლიდანაც ეს კანონები გადაწერილია S-3683 და Q-575 ხელნაწერებში. ამასთან, Q-575 ნუსხის გადამწერი, Q-164 ხელნაწერის მიხედვით, ასწორებს იმ უხეშ შეცდომებს, რომლებიც გადამწერის მიერ დაშვებულია S-3683 ნუსხაში. ამიტომ ვახტანგის სამართლის წიგნის მეცნიერულ კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის Q-164 ხელნაწერს პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს.

სწორედ ამ ხელნაწერის შეუფასებლობის გამო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა სამართლის წიგნის 1955 წლის გამოცემა გამოცემლის აზრით, ეს ხელნაწერი «წარმოადგენს ვახტანგის სამართლის შავად ნაწერ ნუსხას». მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლოა. როგორც ირკვევა, ეს ხელნაწერი შავად ნაწერი ნუსხა კი არაა, არამედ შავად ნაწერი ნუსხიდან (ან ნუსხებიდან) გადაწერილი თავდაპირველი ტექსტია, რომელიც, ორიოდ შესწორების გარდა, ბოლომდე გამართულია, დაწერილია სუფთად, ლამაზად და, სადაც ჯერ არს, გაფორმებულია სინგურით. ცხადია, შავად ნაწერ პირვანდელ ტექსტს უამრავი ჩასწორება ექნებოდა და მისი სინგურით გაფორმება აზრად არავის მოუვიდოდა.

გამომცემელი წერს: «ჩვენ შევაჯერეთ D ნუსხის ტექსტი A ნუსხასთან და სქოლიოებში წარმოვადგინეთ სხვაობანი (ორთოგრაფიუ-

ლის გარეშე). ამ შეკერების შედეგად განსაკუთრებით კარგად გაი-
მართა სამართლის წიგნის 46-ე (უნდა იყოს 42-ე) მუხლის მე-6 და
მე-10 პუნქტები. ამ პუნქტების გამართვის საშუალება ჩვენს ხელთ არ-
სებული მრავალი ნუსხიდან მხოლოდ ამ ხელნაწერმა მოგვცა» (გვ.32).

თუ როგორაა წარმოდგენილი D(=Q 164) ნუსხის კითხვასხვაობა-
ნი, ამას ქვემოთ დავინახავთ. ახლა მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ
A(=S-3683) ნუსხის 42-ე მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტები სრული-
ად გამართულია და არ საჭიროებს D ნუსხის ტექსტის მოშველიებას.

1955 წლის გამოცემის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი სწორედ ის
არის, რომ Q-164 ნუსხის სწორი კითხვასხვაობანი გამოყენებული არ
არის S-3683 ნუსხის დამახინჯებული ადგილების გასამართავად.

მოგვეყვას უ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ვ ა ნ ე ს ი კ ი თ ხ ვ ა ს ხ ვ ა ო ბ ა ნ ი,
რომლებიც არ არის, ან შეცდომითაა მითითებული 1955 წლის გამო-
ცემის ვარიანტებში.

| მუხ. | დაბეჭდილია | Q 164 |
|------|-----------------------|-----------------------|
| შეს | წილდომილთა | წილდომილდა |
| • | ერანელთა საფადარ-სპა- | სრულიად ერანის სპასა- |
| • | სალარისა | ლარისა |
| • | სამართალსა მართალსა | სამართალსა |
| • | და კვართსა | კვართსა |
| • | დომენტიისთა | და დომენტიისთა |
| • | მიეწვდით და | მიეწვდით |
| 1 | მოუკლებს | მოუმოკლებს |
| • | ესენი | და ესენი |
| 2 | ნებისაებრ | ნების |
| • | თვისისად | თვისისაებრ |
| • | უსამართლებიათ | უსამართლიათ |
| • | მრავალნი ხნით, ჩემსა | ჩემს მრავალი ხნით |
| • | სოფლის | თუ სხვას |
| 3 | დაწყნარებული | დაწყნარებით |
| • | ლთის | და ლთის |
| • | ტყუილის | ტყუილს |
| • | ზავთი | ზავთიცა |
| • | დაიბაროს და | დაიბაროს |
| • | და ხან | ხან |
| • | და არც | არც |
| 4 | მღივანბეგი | და მღივანბეგი |
| • | გასინჯე | გასინჯეო და |
| • | იმ იასაულმან | მან იასაულმან |
| 6 | ამითი თავი | თავი ამითი |
| 7 | და ან | ან |

| მუხ. | დაბეჭდილია | Q 104 |
|------|---|----------------------------------|
| " | და რა რომ | რა |
| " | მოყვრობით | ან მოყვრობით |
| " | და ცხენი | ცხენი |
| " | წაიქცევს | წაიქცევის |
| 8 | ერთი არის | ერთია |
| " | სხვას გამოსაჩენს | გამოჩინებულს |
| " | მან კაცმან | მან კაცმან მან |
| " | გარდაკლდევინონ | გარტლდევინონ |
| 10 | და თუ | თურა და |
| 11 | ვისასაც კელთ მამული არის | მამული ვისაც კელთ არის |
| " | სადამდინაც | სადაც |
| 12 | თუ უდაბლე რამ არის, აზნაურიშვილი უფიცონ | თუ მას უდაბლე აზნაურიშვილი უფიცო |
| " | და მას | მას |
| 13 | მოწამეთ | მოწამეს |
| " | ოცსა | ოცსა და |
| " | მოწამე[ე]ბის | მოწამის |
| " | ქება | ქება რომ |
| 14 | და ცოდვის | ცოდვის |
| 15 | და ან | ან |
| " | აბაზი | აბაზი და |
| " | ერთი არის | ერთია |
| " | და იმითი იცნობთ | იმითი სცნობთ |
| 16 | მინალთუნი არის | მინალთუნი |
| " | ერთი მარჩილი | ერთი |
| " | და ეს | ეს |
| " | და ორი აბაზი იქნების | არის და ორი აბაზი |
| " | ფასობდეს | ფასობდეს და |
| 17 | გამცნობსთ | გაცნობებსთ |
| 18 | დაიქირვის | დაექირვის |
| 20 | ოქროდ | ოქროდ და |
| 22 | თვალი | თვალი და |
| 23 | განაჩენები | განაჩენი |
| " | როგორც შეიძლებს ვინმე | ვინ შეიძლებს |
| " | ვეჭობ | ჩვენ ვეჭობთ |
| " | ციხითა | ციხითა და |
| 24 | მონასტრით და | მონასტრით |
| " | ასაბიასი | ასაბიასა |
| " | ქვეყანაში მოკლდეს | მოკლდეს ქვეყანაში |
| " | დაუწყონ და | დაუწყონ |
| " | არ მოეთხაროსთ | მოეთხაროსთ |
| 25 | რაც რამ ფერი | რაცრაფერ |

| მუხ. | დაბეჯილია | Q 164 |
|------|---------------------------|-------------------------|
| " | კელმწიფე არის და მეორე | კელმწიფეა ერთი |
| " | კორციელის | კორციელნი |
| " | ნუმცა ვის | ნუმცა ვინ |
| " | გამომძიებელმან | გამომძიებელმან |
| " | მარადის | და მარადის |
| " | და მტერმან | მტერმან |
| " | საბრქე-გებითა | საფქრის დაგებითა |
| " | ზუნებანი კაცთანი შურად | კაცი საკუდავად და საოდ |
| " | და ჳლად კაცისად | |
| " | საღმთოგანთა ზედან, გინა | სამლოს კაცზე და გინა |
| " | თუ დიდებულთა და თა- | დიდებულზედა გინა თა- |
| " | ვადსა ზედა, ანუ თუ | ვადსა და აზნაურთა გინა |
| " | აზნაურთა და გლებთა | გლებთა ზედა ანუ მამა |
| " | ზედან, ანუ თუ მამა ძესა | ძეზე და ძე მამაზედ |
| " | და ძე მამაზედა, გინა ძმა- | |
| " | ზედა და მოყვასი მოყვას | |
| " | ზედა | |
| " | შეემთხვიოს | შეამთხვიეოს |
| 30 | აზნაურის | აზნაურიშვილის |
| 32 | მეხუთედ სისხლ | მეხუთედის სისხლის |
| 34 | ამასთან შუას | ამასთანავე შუათანას |
| " | განაჩენები | გაჩენები |
| " | იმათი სიკუდილი და კრი- | როზე თუ იმათ სიკუდილი |
| " | ლობა რომ | და კრილობა რამე |
| 35 | იმათოდენი | იმათი |
| 39 | რომ დაუმარცხდეს | დაუმარცხდეს |
| " | თუ არა და | და თუ რომ |
| " | გარდაუქალოს გარდამგ- | გარდამგდებას უნდა მა- |
| " | დებსა | სცეს |
| 40 | და თუ შესწამოს | — |
| 41 | შეეარდების და | შეეარდება |
| 42 | არ ითხოვების და არ გაჩ- | არ გაჩნდების და არც ით- |
| " | ნდების | ხოვების |
| " | ერთი ეს | ერთი ამისი |
| " | მიმქლომის კაცის | მიმქლომის |
| " | დაჭრა | — |
| " | არა ძმისგან, არა | არც ძმისგან, არც |
| " | რომ კაცს | კაცს რომ |
| 43 | და ცოტას | ცოტას |
| " | ასოს და ან | ასოს |
| " | როგორის | რასა |
| 44 | დაუშაოს და ასრე წაუქ- | წაუქდინოს და ასრე და- |
| " | დინოს | უშავდეს |

| მუხ. | დაბეჭდილია | Q 164 |
|------|----------------------|-------------------------|
| 45 | დაუშავდეს | დაშავდეს |
| 47 | ამად | ამიტომ |
| 49 | დაშავებიასათვის | დაშავებისა |
| 51 | ასაბიასი | ასაბიისა |
| . | კრილობისა | კრილობისაჲ |
| 53 | და | და ან |
| 54 | წამოუდგეს და | წამოუდგეს |
| 55 | მწუხარება | მწუხარება რამე და კიდევ |
| . | და | და კიდევ |
| 56 | მართებს ამიტომ რომ | დათმობა ამიტომ მართებს |
| 59 | დგომისათვის | დადგომისა |
| 61 | სიკვდილისა | სიკვდილითა |
| 67 | დედას | დედას ყველას |
| 68 | ბოზობით | ბოზობით რომ |
| 71 | რომ მასთან | მასთან |
| . | მამინც | მისთვისც |
| . | და თუ | თუ |
| 74 | და მისის | მისის |
| 75 | მკვლელის | მკელის |
| 76 | და არ | არ |
| 78 | და რჯულის | სჯულის |
| . | გალაქა | გალაქა და |
| 79 | მოძღვარმა | და მოძღვარმა |
| 80 | ულონობისათვის | ულონობისათვის და |
| " | იმყოფოს | ამყოფოს |
| 81 | და კათალიკოზისა | კათალიკოზისა |
| . | თუ უნდა | თუნდა |
| " | ან ერთი-ორი | ერთი-ორი |
| 86 | ქალთან | იმ ქალთან |
| 87 | იქნება | იქნების და |
| 88 | შესცილებია | შესცილება |
| 92 | თუ თოფი ან | თოფი თუ |
| . | ესროლოს | ესროდეს |
| " | ისარით | ისარი |
| 96 | კათალიკოზმა და მეფემ | მეფემ და კ'ზმან |
| 97 | თუ | და თუ |
| . | იმართლოს | გაიმართლოს |
| 98 | ნულარც | ნურც |
| " | და დაახედოს | დაახედოს |
| 100 | და რამდენიც | რამდენიც |
| 101 | და თუ | თუ |
| 103 | დაუქირავთ | დაუქერიათ |
| . | რაც შენობა | შენობა რამ |

| მუხ. | დაბეჭდილია | Q 164 |
|------|---------------------|---------------------|
| 103 | მისცენ | მიეცეს |
| " | თუ უნდა | თუნდა |
| " | იყოს და | იყოს |
| " | მიუიღეს | მოვიღეს |
| " | და იქნების | იქნების |
| 105 | არა და | არა |
| " | ერთი იქნების | ერთი |
| 108 | რაც რამ ღერი | რაცრაფერი |
| 109 | რამე | რამე და |
| " | ნაქნარი | თავის ნაქნარი |
| 110 | უნდოდეს | უნდა |
| 111 | ქმა | ქმა და |
| 112 | ან მამა | და მამა |
| 113 | და თუ | თუ |
| " | და უშვილოდ | და ისრე უშვილოდ |
| 116 | სამ აბათაც | სამათაც |
| 120 | ადგილია | ადგილია არის |
| 121 | " | " " |
| 122 | " | " " |
| 125 | რომ | რომ რომე |
| 127 | ევალოს | ივალოს |
| 128 | ღვინოზედ თეთრის გა- | ღვინოზედ თეთრის გა- |
| " | ცემა | ცემა (bis) |
| " | მოსამართლისაგან | მოსამართლეთგან |
| 129 | ქნას და | ქნას |
| " | და გინა | გინა |
| 130 | გაცეს | გაეცეს |
| " | ოთხს | რომ ოთხს |
| 131 | დარჩომილია | დარჩომია |
| 132 | მისცეს | მიეცეს |
| 133 | მოკვდა | მოკვდა ხომ |
| " | დაზღამდი | გაზღა |
| 136 | დაუტყვევებულა | დაუტყვევებიათ |
| 137 | იყოს ისრე | იყვნენ |
| " | იმისი | და იმისი |
| 139 | სხვას | სხვასთან |
| 143 | ათსაც | გინა ათითაც |
| " | და თუ | თუ |
| 145 | თავისის მამის | მამის მისის |
| " | ვალიც იმ | ვალი მისმან |
| " | მისმა | ქალის |

| მუხ. | დაბეჭდილია | Q 164 |
|------|----------------|------------------|
| 146 | დედისა | დედის მეტი |
| " | და დის | გინა დის |
| " | არა | არაეის |
| 148 | თუ | თუარა |
| 150 | რიგი არის | რიგი |
| " | ყველას ცალკე | ყველას |
| 151 | ანუ | ან თუ |
| 152 | ან | და ანუ |
| " | დაუნარჩომებლად | დაუნარჩუნებლად |
| 153 | ან თმის | და თმის |
| " | რამ | რა |
| 156 | თუ უნდა | თუნდა |
| " | მე | შენი |
| " | ალარც კელი | კელი |
| 158 | იცნობს | რომ იცნობს |
| " | ჩაეკიდებისო | წაეკიდებისო |
| 159 | მაშინც | მაინც |
| 163 | ვინ გინდას | ვის გინდას კაცის |
| 164 | მამულიდამ უნდა | მამულით გინდა |
| 166 | გამოჩნდების | გამოჩნდების |
| 167 | ეჭნებათ | იჭნებისთ |
| " | ის | ისევე |
| " | სართით | სართიე |
| 170 | და სადაც | სადაც |
| 173 | გაირიგოს | გაირიგოს |
| " | მიეცეს | მისცეს |
| 174 | ანუ წაჰყვეს | წაჰყვეს |
| " | არა აქვსო | არა აქვს რაო |
| " | დაკერილი | დაკერილი |
| 175 | ვერც | და ვერც |
| " | იმათ | იმას |
| " | საყდრისა | საყდრისა და |
| 177 | მართალია | მართალი არის |
| 179 | საკვირველი | საკვირველი |
| " | უცხო | და უცხო |
| " | დაუჭერებელი | და დაუჭერებელი |
| " | კაცს | კაცთ |
| " | ვერ | არ |
| " | დაყაროს | დააყაროს |
| 182 | გამოძიებით | გამოძიებით |
| " | არა და | არა |
| 183 | ტყვიას უნდა | უნდა ტყვიას |

| მუხ. | დაბეჭდილია | Q 164 |
|------|----------------|--------------|
| - | პატრონი | პატრონი რომე |
| 187 | ყმაწვილობისგან | ყმაწვილისგან |
| 188 | თუ არ | არ |
| 191 | საქონელი | ან საქონელი |
| 192 | ყანასა | ყანასა და |

ამრიგად, გამომცემელს შეეძლოდაში შეჰყავს მკითხველი და მკვლევარი, როცა აცხადებს, რომ «სქოლიოებში წარმოვადგინეთ სხვაობანი (ორთოგრაფიულის გარეშე)». ზემოთ მოყვანილი ვარიანტები, ცხადია, «ორთოგრაფიულს» არ მიეკუთვნება. ამასთანავე, აქ მოვიყვანეთ უმნიშვნელოვანეს კითხვას სხვაობათა მხოლოდ მესამედი ნაწილი. რა თქმა უნდა, ასე დაუდევრად გამოცემულ ტექსტსა და მის ვარიანტებს მკვლევარი ვერ დაეყრდნობა. მართლაც, გამომცემელის სიტყვებით რომ ვთქვათ, «ტექსტების ასე გამოცემა მეცნიერებისათვის საზიანოა».

სამართლის წიგნის შედგენილობისა და ნუსხების შესახებ

ვახტანგის სამართლის წიგნთა ნუსხების შესწავლის შედეგად კანონთა ზოგიერთი მუხლისა და განხილული ნუსხების შესახებ შეიძლება შემდეგი მოსაზრებანი გამოვთქვათ.

1. ვახტანგის ნარედაქციევ სამივე უძველეს ნუსხაში (Q-164, S-3683 და Q-575) ვახტანგის სამართლის წიგნის 149-ე, 178-ე, 185-ე და 195-ე მუხლებს მხოლოდ სინგურით ნაწერი სათაურები აქვთ, მუხლების ტექსტისათვის კი დატოვებულია ცარიელი ადგილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მუხლების ტექსტი ვახტანგის საკანონმდებლო კომისიის მიერ თავიდანვე არ ყოფილა ჩამოყალიბებული და, როგორც ჩანს, არც ვახტანგის მეფობის წლებში შეუტანიათ ისინი კანონთა ტექსტში.

ირკვევა, რომ ვახტანგმა რუსეთში გადასახლებისას (1723 წ.) «დასტურლამალთან» და სხვა ხელნაწერებთან ერთად თან წაიღო თავის სამართლის წიგნთა კრებულის S-3683 ნუსხა-დელანი.

ოსმალობისა (1724—1735) და ყილიზბაშობის (1736—1744) წლებში ქართული სამართლის, კერძოდ, ვახტანგის კანონების მოქმედება ქართლში საგრძნობლად შეიზღუდა, მაგრამ, როგორც ჩვენამდე მოღწეული სასამართლო განჩინებებით დასტურდება, ქართული სამართალწარმოება მაინც არ შეწყვეტილა.¹ ამავე დროს კახეთში თეიმურაზ მეფე აქტიურ მონაწილეობას ლებულობს ქვეყნის მართლმსაჯულებაში, თვითონ თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებსა და გამოაქვს განაჩენები დიდმნიშვნელოვან საქმეებზე.²

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ (1737 წ.), ყიზილბაშთა ბატონობის დაცემისა და ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისთანავე (1744 წ.) ამაჟამად უკვე ქართლის მეფემ თეიმურაზ მეორემ მოიძია და რუსეთიდან საქართველოში ჩამოატანინა ვახტანგისეული S-3683 ნუსხა. კვლავ განახლდა ვახტანგის სამართლის მოქმედება და სამართლის წიგნთა კრებულის S-3683 ტიპის ნუსხების გავრცელება.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, 1972, №№-222, 224, 233—235.

² იქვე, №№ 245, 252, 261, 270.

1746 წელს, უნდა ვიფიქროთ, თეიმურაზის დავალებით, განსწავლული მდივან-მწიგნობარი მღვდელ-დეკანოზი იოანე გარსევანი შვილი გადაწერს სამართლის წიგნის მთელ კრებულს და ანდერძ-მინაწერში იტყვის: «დედა ამის წიგნისა თვით მეფეთმეფის ვახტანგის მიერ ნაღვაწი იყო». მართლაც, ეს ნუსხა, რომელიც ამჟამად დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (№-201), გადაწერილია S-3683 ნუსხიდან.

ქართლის სამეფოს ტახტზე ასვლისთანავე თეიმურაზი ენერგიულ ზომებს იღებს ოსმალობისა და ყიზილბაშობის დროს დაცემული მართლმსაჯულების აღსადგენად. ვახტანგის სამართლის წიგნის შესავალსა და ბოლოსიტყვაობაში ამ კანონთა ხარვეზების შევსების ასეთი წესია დადგენილი: «ვინც მიხვდეს რასმე და მოიგონოს, ჩაუროს და ჩასწეროს». ამ წესის შესაბამისად თეიმურაზ მეფე, სჯულის მოძღვართა და სამართლის მცოდნე პირთა მონაწილეობით, აღადგენს და შეავსებს ვახტანგის სამართლის წიგნის ხარვეზებს. სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო 149-ე, 178-ე და 195-ე მუხლების დანაკლის ოტექსტის აღდგენა და 1746 წელს გადაწერილ ქუთაისის №-201 ნუსხაში მათი ჩართვა. არცერთ სხვა უძველეს ნუსხაში ზემოთ მითითებული მუხლები არ არის.

რაც შეეხება 185-ე მუხლს, მისი ტექსტი მაშინაც შეუვსებელი დარჩა. ეს მუხლი XIX ს. ორმოციან წლებში გადაწერილ დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ორიოდ ნუსხაში მოიპოვება.

თეიმურაზის რედაქციული ხელი 201-ე ნუსხის სხვა ჩანართითაც დასტურდება. სამართლის წიგნის ბოლოსიტყვაობაში ვახტანგი ასე მიმართავს ქართლის მომავალ მეფეებსა და მათ ქვეშევრდომებს: «შემდგომად ჩვენთა მეფენო, უფლისწულნო, დიდებულნო, თავადნო, აზნაურნო და ყოველნო მყოფნო ქართლისანო». უკანასკნელ სიტყვას ქუთაისის №-201 ნუსხა ასეთი რედაქციით წარმოგვიდგენს «ქართლისა და კახეთისანო». უდავოა, რომ ეს ინტერპოლაცია არ შეიძლება გადაწერს ეკუთვნოდეს, ასეთი ჩანართი მხოლოდ მეფის სანქციითა და ბრძანებით უნდა მომხდარიყო. მაშასადამე, თეიმურაზ მეფეს ვახტანგის სამართლის მოქმედება კახეთის სამეფოზე და ც გაუვრცელებია.

თეიმურაზ მეფის ზრუნვა ვახტანგის სამართლის გამოყენებისათვის სხვა მხრითაც გამოიხატა. ცნობილია, რომ მოსამართლეებს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის საგნობრივი საძიებ-

ლის გამოყენება ერთობ უძნელდებოდათ. საძიებლის ხმარების გადავილების მიზნით თეიმურაზმა ბრძანა ანბანური საძიებლის შედგენა. ამ ბრძანების შესრულება მეფემ თავის უახლოეს პირს, «დაბალ ხუცესს» ოსე ბარათაშვილს დაავალა, რომელსაც ანბანურ რიგზე დალაგებული «ადვილ-საპოვნელობის» საძიებლის შედგენა «ივლისის ა, ქ ქს ულ^მ, ჩღნ», ე. ი. 1751 წლის 1 ივლისს დაუმთავრებია.¹

2. როგორც ცნობილია, S-3683 ნუსხა-დედანს ფურცლების დაკარგვის გამო აკლია 225—237, 259-ე მუხლის ბოლო და 260—261 მუხლები. ამასთან, ამ ხელნაწერიდან გადაწერილ ქუთაისის 201-ე ნუსხით დასტურდება, რომ ეს ფურცლები დაკარგულია 1746 წლამდე და, როგორც უფრო სავარაუდებელია, ხელნაწერის რუსეთში ყოფნის ან იქით-აქეთ გადატან-გადმოტანის დროს. S-3683 ნუსხის მთელ რიგ ფურცლებს, როგორც ზემოთ ითქვა, სისველის ლაქებიც ატყვია, რაც შესაძლოა მგზავრობის დროსაც მომხდარიყო.

ზემოთ აღნიშნული მუხლები, რომლებიც S-3683 ნუსხას აკლია, მლიანად დაპირვანდელი სახით დაცულია 1710 წ. გადაწერილ ვახტანგის ნარედაქციევ Q 575-ე ნუსხაში. მაგრამ თეიმურაზის გამეფების დროს ეს ნუსხა იმერეთის მეფის კარზეა, რაც თეიმურაზისათვის უცნობია. ამიტომ დანაკლისი მუხლების აღსადგენად თეიმურაზი, სამართლის წიგნის სხვა ნუსხების უქონლობის გამო, იწვევს სამართლის მცოდნე პირებს, რომლებიც ჩამოაყალიბებენ და შეავსებენ 225—236 და 260—261 დანაკლის მუხლებს.

სწორედ ამით აიხსნება დიდი განსხვავება შინაარსისა და მოცულობის მხრით, რომელიც ზემოთ მითითებულ დანაკლის მუხლებს შორის არსებობს Q 575-ე და ქუთაისის 201-ე ნუსხების მიხედვით. შეუძლებელია ამ ორი ნუსხის შესაბამისი მუხლების ტექსტი ერთი კანონმდებლის ხელიდან იყოს გამოსული. Q 575-ია მუხლები ვახტანგისეული ავთენტური ტექსტია. ხოლო ქუთაისის 201-ის იგივე მუხლები თეიმურაზისეული ტექსტია.

3. ქუთაისის 201-ე ნუსხის მიხედვით ვახტანგის სამართლის წიგნი 267 მუხლით მთავრდება. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ ნუსხის გადაწერის დროს (1746 წ.) მისი დედანიც (S-3683) ამავე მოცულობისა იყო და ბოლო სამი მუხლი (268—270) აგრეთვე თეიმურაზის დროსაა დართული. ასეთივე ვარაუდის დაშვება სრულიად შეესაბამება თეიმურაზის ანალოგიურ საქმიანობას და სამართლის წიგნის თანდა-

¹ ვახტანგ VI. სამართლის წიგნი, 1955, გვ. 34.

თანობით შეესებინა იმ წესს, რომელიც თვითონ ვახტანგმა დაადგინა. მაშინ ვახტანგის სამართლის წიგნი S-3683 ნუსხის მიხედვით ასე წარმოკვიდრებოდა:

1707/8 წლებში იგი შეიცავს 204 მუხლსა და ბოლოსიტყვაობას.

1710 წელს — 263 მუხლს, როგორც ეს Q-575-ე ნუსხაშია.

1746 წელს — 267 მუხლს, როგორც ეს ქუთ. 201-ე ნუსხაშია.

1740-იანი წლების ბოლოდან — 270 მუხლს, როგორც S-3683 ნუსხაშია.

მაგრამ ამ ვარაუდს ორი მნიშვნელოვანი გარემოება ელობება წინ. სამართლის წიგნის 268-ე და 269-ე მუხლები ტექსტის ძირითადი ხელით უნდა იყოს დაწერილი, ხოლო 270-ე მუხლის ბოლო ნაწილი, როგორც ამას ექ. თაყაიშვილი ფიქრობდა, თვითონ ვახტანგის ხელით უნდა იყოს მიწერილი.

4. Q-575-ე ნუსხის მიხედვით ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული, მასში შესული შვიდივე სამართლის ძეგლით და წინდართული ზანდუკ-საძიებლით, მთლიანად გადაწერილია 1710 წელს. ქრონიკონი ტჟშ (1710), რომელიც მიწერილია საძიებლის გადამწერის მიერ 37-ე ფურცლის verso-ს ბოლოს, ეხება არა მარტო საძიებელს, არამედ მთელ კრებულსაც. ამასთან, სავარაუდებელია, რომ კანონთა ტექსტი ამავდევ წელს ან ცოტა უფრო ადრეა გადაწერილი, ვიდრე ზანდუკ-საძიებელი, რადგან ცარიელ, უტექსტოდ შეკრულ ფურცლებითავე საძიებლის შედგენა და წინ დართვა, ცხადია, უაზრო იქნებოდა.

Q-575-ე ნუსხა რომ 1710 წელს, ე. ი. ვახტანგის გამგებლობის (და არა მეფობის) დროსაა გადაწერილი. იმიტაც დასტურდება, რომ კანონთა ტექსტის ყოველი ფურცლის recto-ს ზემო აშიაზე ტექსტის ხელითვე წარწერილია «კუთხეულმც არს განმგებლობა ვახტანგისა». მაშასადამე, ტექსტი გადაწერილია იმ დროს, როცა ვახტანგ ბატონიშვილი, ჯერ კიდევ ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) არის და არა მეფე. რა თქმა უნდა, ტექსტი რომ უფრო გვიან იყოს გადაწერილი, მაშინ ეწერებოდა: «კუთხეულმც არს მეფობა ვახტანგისა». მეფეს კი «გამგებლის» ტიტულს კერავინ მიაწერდა და, ამრიგად, მის ზღალ ღირსებას ვერ დაამცირებდა.

5. Q-575-ე ნუსხა გადაწერილია ლამაზი ხელით დაკვირვებული და განსწავლული მდივან-მწიგნობრის მიერ, რომელიც ასწორებს S-3683 ნუსხის შეცდომებს. ამ ნუსხის ხელის შესწავლა და სხვა ხელნაწერებთან შედარება ადასტურებს ქრ. შარაშიძის ვარაუდს, რომ კა-

ნონთა მთელი ტექსტი გადაწერილია მდივან-მწიგნობარ სოლომონ მაღალაძის მიერ, რომელმაც ცოტა ადრე S-3683 ნუსხის საძიებელი და ვახტანგის სამართლის წიგნის ბოლოსიტყუაობის შემდგომი მუხლების დიდი ნაწილი გადაწერა. რაც შეეხება Q-575-ე ნუსხის საძიებელს. იგი გადაწერილია სხვა უშუალო ხელით.

6. Q-575 ნუსხისა გადაწერილია S-3683 ნუსხიდან, რაც, როგორც ზემოთ ითქვა, დასტურდება ბერძნული სამართლის 110-ე მუხლისათვის აშიაზე მინაწერი შენიშვნიდან «დედანი ში ასრე იყო». ვახტანგის სამართლის 178-ე მუხლს Q 575-ე ნუსხის აშიაზე ასეთი მინაწერი აქვს: «ამის მეტი არ ეწერა». მართლაც, დედანი, S-3683 ნუსხაში, ორივე ზემოთ აღნიშნული ადგილი ამნაირადაა წარმოდგენილი.

მაგრამ Q-575 ნუსხის გამამწერი სხვა ნუსხეებითაც სარგებლობს, რაც იქიდან ჩანს რომ ამ ნუსხას არ გააჩნია ზოგიერთი ხარვეზი, რომელიც S-3683 ხელნაწერშია. ვახტანგის სამართლის წიგნის გადაწერისას იგი Q-164 ნუსხასაც ეყრდნობა. ვახტანგის კანონების 168-ე მუხლის ბოლო აბზაცი მხოლოდ Q-575 ნუსხაშია დატული.

7. Q-575 ნუსხა ამტკიცებს, რომ მისი დედანი S-3683 ნუსხა, რომელიც უთარიღოა, მთლიანად გადაწერილია არა უგვიანეს 1709 წლისა. იმ დროისათვის S-3683 ნუსხა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის 263 მუხლით მთავრდებოდა, მომდევნო შვიდი მუხლი (264—270) დართულია 1710 წლის შემდეგ. ზოგი თვითონ ვახტანგის ხელით, ზოგი კი სხვა ხელით.

8. ვახტანგის სამართლის მე-7, 74-ე, 76-ე და 207-ე მუხლების ბოლო ნაწილები, რომლებიც S-3683 ნუსხაში მიწერილია ვახტანგის ხელით, Q-575-ში არ არის, რაც იმას მოწმობს, რომ S-3683 ნუსხაში ეს მინაწერები გაკეთებულა ვახტანგის მიერ 1710 წლის შემდეგ.

9. Q-575 ნუსხამ შემოგვიანა ვახტანგის სამართლის წიგნის 225—237 და 259—261 მუხლების ავთენტიკური, ვახტანგისეული ტექსტი, რომელიც S-3683 ნუსხას აკლია ფურცლების დაკარგვის გამო.

10. S-3683 და Q-575 ხელნაწერი ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის უძველესი, ვახტანგის გამგებლობის დროს გადაწერილი და მის მიერვე ნარედაქციევი დედნებია. ამ ორი ნუსხიდან მომდინარეობენ სხვა გვიანდელი ნუსხები, რომლებიც,

გარდა ქუთაისის 201-ე ხელნაწერისა, გადამწერთა მიერ საგრძნობლად დამახინჯებულია და ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტის დადგენისათვის რაიმე საგულისხმო ჩვენებას არ იძლევიან.

11. (ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის Q-575 ნუსხა, როგორც უკანასკნელი გვერდის (252v) მინაწერიდან ჩანს, წარმოადგენს სამეფო ეგზემპლარს, იმერთა მეფის («ხელმწიფის») კუთვნილ ცალს, რომელიც სამეფო კარზე ინახებოდა, ვითარცა ვახტანგისეული ავთენტიკური ტექსტი დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ამ ტიპის ხელნაწერებისა. ¹

12. იმერთა მეფის სოლომონ II-ის განჩინებაში მიქელაძის ქალისათვის მამულის დამკვიდრების შესახებ ნათქვამია: «წიგნი სამართლისა იმერეთისა აღწერილი მეფის ვახტანგისაგან დამტკიცებულ იქმნა ყოველისა სოფლისაგან, ყოველთა კელმწფეთაგან». მამასადამე, ქართლის სამეფოსათვის შედგენილი ვახტანგის სამართალი დამტკიცებულა ყოფილა იმერეთის მეფეთა მიერ, ვითარცა «წიგნი სამართლისა იმერეთისა».

ჩვენ ზუსტად არ ვიცით, თუ როდის, რომელ წელს, ან რომელი მეფის დროს მოხდა ეს. მაგრამ უდავოა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული Q-575 ნუსხის მიხედვით სოლომონ მეორემდე დიდი ხნით ადრე გავრცელებულია იმერეთში. ჩვენი ვარაუდით, ეს ნუსხა იმერეთის სამეფო კარზე, თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში XVIII ს. ორმოციანი წლებიდან (ალექსანდრე V-ის დროს) მაინც იწყებს გავრცელებას. ამას ადასტურებს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის როსტომ ერისთვისეული ნუსხაც, რომელიც გადაწერილია Q-575 ნუსხიდან 1751 წელს.

(რაც შეეხება ვახტანგის სამართლის მოქმედებას, მის გამოყენებას საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებში, როგორც ზემოთ ითქვა, ამ კანონებით, ვითარცა თავის ძირითად ნაწილში ქართული ჩვეულებითი სამართლის ჩანაწერით, იმთავითვე სარგებლობდნენ და ხელმძღვანელობდნენ მთელ საქართველოში. |

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 1977, გვ. 432.

სამართალი ბატონიშვილის
გახტანგისა

«უსამართლობა ამა სოფელს კაცსა უძეოდ აღმოჰფხვრის და გარდა-
ავლინებს, დღეთასიგრძეობასა მოუკლებს, ქვეყანას აუოჯრებს. ცანი
ცვარს დააკლებენ და ქვეყანა — ნაყოფს, ამ სოფელს შეარცხვენს და იმ
სოფელს წასწყემდს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს».

ვახტანგ VI

«მოსამართლე დიდად მჩხრეკელი, მიმხედარი, გამომძიებელი, გო-
ნებაუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდე-
ბი, გამსინჯავი და სხვისაც მკითხველი, მოწმის მამებარი უნდა იყოს».

ვახტანგ VI

«მოსამართლე თუ ან ქრთამითა, ან მოყვსობით, ან მუსაიბობით, გი-
ნა შიშით ანუ თუ სიყვარულით და ანუ თუ მტერობით ერთს მეორეზე
მიუღგა, — არ იქნების და არც სამართალი მოკდების».

ვახტანგ VI

«ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა
ქვეყნისა რიგთა და ქცეულებათა».

ვახტანგ VI

«აწვიაჯები ყოველთა და ისმინონ ესე, რომელმან ბრძენმან და
ჯულისკმის-მყოფელმან მსაჯულმან და მოსამართლემან ... ინებოთ
შეცვლა სამართალთასხვეებრ რათამე, ამას ნუ ჰყოფთ, ნუცა გარყენით
წერილთა ჩვენთა».

ვახტანგ VI

«ჩვენი ხალხის გენია გამოითქვა ამ საკვირველ კანონებში, რომელ-
თაც ძველ ისტორიაში ბევრი ხალხის სამოქალაქო უფლება ვერ უდ-
რის ღირსებით».

ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი

«ვახტანგის სამართალი მთელი თავისი შინაარსით იყო ცოცხალი სამართლის წიგნი, ყოველ ადგილას სახმარებელი, უკანასკნელი ინსტანციიდან უმაღლესამდინ».

ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი

«ვახტანგ VI სამართლის წიგნი ქართული საკანონმდებლო შემოქმედების მნიშვნელოვანი და საყურადღებო ძეგლია».

ი ვ. ჯ ა ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი

ტექსტიკონი

წინამდებარე გამოცემაში ვახტანგის სამართლის წიგნის კრიტიკული ტექსტი, გარდა 185-ე მუხლისა, დადგენილია ოთხი უძველესი ხელნაწერის მიხედვით, რომელთაგან ტექსტის დადგენისათვის უპირატესობა უნდა მიეცეს 1710 წელს გადაწერილ ვახტანგის ნარედაქციევ Q-575 ნუსხას.

XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. გვიანდელი, გადამწერთა მიერ მნიშვნელოვნად დამახინჯებული და ხარვეზიანი ნუსხები ზემოხსენებული ოთხი ნუსხიდან მომდინარეობენ და სამართლის წიგნის ტექსტის დადგენისათვის რაიმე საგულისხმო ჩვენებას არ იძლევიან.

ვახტანგის სამართლის წიგნის ხელნაწერების შესწავლა ჯერ კიდევ 1940 წელს დაიწყო, როცა ჩვენმა მეცნიერ ხელმძღვანელმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა, საღისერტაციო თემასთან დაკავშირებით, ასეთი წინასწარი ტექსტოლოგიური ხასიათის სამუშაო დაგვავალა (ღისერტაცია რუსულად იწერებოდა): «Грузинский текст законов царя Вахтанга VI по древнейшим рукописям: сличение и исправление текста §§-ов, касающихся норм крепостных взаимоотношений. Сличение с русским переводом тех-же §§-ов Френкеля-Бакрадзе и французским переводом и комментариями проф. Жозефа Карста».

ზემოაღნიშნულის შესაბამისად ვახტანგის სამართლის წიგნის უძველესი S-3683 ნუსხა-დედნიდან გადმოვწერეთ და გავმართეთ ტექსტი იმ მუხლებისა, რომლებიც ბატონყმურ ურთიერთობებს შეეხება და შევაჯერეთ ისინი კანონთა ტექსტის რუსული და ფრანგული თარგმანის შესაბამის მუხლებს.

ვახტანგის სამართლის ხელნაწერების შესწავლის შედეგად გამოიკვა, რომ მის ძირითად საკანონმდებლო წყაროს შეადგენს ბექასა და აღბუღას კანონები, რომელთა ტექსტი ორი უძველესი ნუსხის მიხედვით და ვრცელი გამოკვლევით 1953 წ. გამოვქვეყნეთ. ასევე უძველესი ნუსხები დაედო საფუძვლად ჩვენს მიერ 1957 წელს გამოქვეყნებულ გიორგი ბრწყინვალის «ძეგლის დადებას».

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ძეგლების ტექსტებზე ჩვენი მუშაობის შედეგები ერთგვარად შეჯამებულია «ქარ-

თული სამართლის ძეგლების» I ტომში, რომელიც 1963 წელს გამოქვეყნდა. დასახელებულ გამოცემაში გასწორებულია ვახტანგის კანონების S-3683 ხელნაწერის მრავალი უხეში შეცდომა და დამახინჩება, რომლებიც უკრიტიკოდ მიღებულია ვახტანგის სამართლის წიგნის 1955 წელს გამოცემულ ტექსტში.

ვახტანგის სამართლის წიგნის ტექსტის დასადგენად შემდეგი ნუსხებით ვსარგებლობდით:

A — ხელნაწერთა ინსტიტუტის S-3683 ნუსხა

B — ხელნაწერთა ინსტიტუტის Q-575 ნუსხა

C — ქუთაისის ისტორიულ-ეთნ. მუზეუმის №-201 ნუსხა.

D — ხელნაწერთა ინსტიტუტის Q-161 ნუსხა.


დაბეჭდილ ტექსტში გავასწორეთ ჯ-ისა და ხ-ის აღრევა. შემთხვევათა უმრავლესობას მიხედვით უპირატესობა ჯ-ის ხმარებას მივეცი და გავწართეთ სქოლიოში მიუთითებლად. «ღთ-სა» ყველგან გახსნილია «ღმრთისა»-დ.

ტექსტს ერთვის ტერმინთა, პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი.

წიგნის თავდაპირველად დამტკიცებულ თაბახთა რაოდენობის დიდად გაზრდის გამო სამართლის წიგნის ლექსიკონის დართვა აღარ მოხერხდა. გამოცემის ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეიძლება შევსებულ იქნას «ქართული სამართლის ძეგლების» პირველი ტომისათვის დართული ლექსიკონით.

ტექსტის მიმართ ზოგიერთი საგულესხმო შენიშვნისათვის მადლობას მოვახსენებ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს დ. ფურცელაძეს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1980 წელს «ქართული სამართლის ძეგლების» სერიის რუსულ გამოცემაში პირველ ნაკვეთად გამოქვეყნდა დ. ფურცელაძის მიერ თარგმნილი ვახტან VI სამართალი (Законы Вахтанга VI). თარგმანს დართული აქვს შესავალი წერილი და ვრცელი სამეცნიერო აპარატი (შენიშვნები, გლოსარიუმი და საძიებლები). რუსული ტექსტი ქართული დედნის ზედმიწევნით ზუსტი და სანიმუშოდ შესრულებული თარგმანია, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლე უწერია და ამავე დროს არამცირედი მნიშვნელობა აქვს ქართული ტექსტის ბუნდოვანი თუ ძნელადგასაგები ადგილების აზრის დასადგენად.



[ვასტანკის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალი]

[A 42 r, B 39 r, C 41 r] ქ. დასაბამითგანვე დამდებლმან¹ საფუძველთა ქვეყანისათამან და დამქველმან² ცათამან, უფსკრულთა გამომკვლევლმან და სივრცეთა სოფლისათა გარეშემცველმან, ყოველთა არსთა და არაარსთა არსებად მომყვანებელმან,* თვალუხვად მსაჯულმან, დაუფარავმან ღმერთმან, სამთვითებითა და ერთარსებით³ ღმერთად და კაცად სრულად ცნობილმან,

რაჟამს ინება და ლხინება-ყო და მოხედნა იავარქმნილთა და მტერთა მიერ შეიწრებულთა ერთა ზედან⁴ ქართლისათა და მოსცა პირველივე მეფე, ღმრთისა⁵ მიერ რჩეული და მის მიერ⁶ ძლევამომოსით მტკიცედ მპყრობელი, ტახტოსან-გვირგვინოსანი, ძირმტკიცობითა⁷ და გვარმოდგამობითა დიდისა წინასწარმეტყველისა იესესა⁸ და ძისა მისისა⁹ დავითისა, რომელსა ღმერთი უწოდდა მამად,

და ეგრეთვე ფილოსოფოსთა¹⁰ დასაბამისა და სიბრძნით ყოველთა წინასწარ მცნობელისა¹¹ სოლომონისა და პანკრატოანთა¹² ძირთაგან აღმოცენებულისა მიერ, მუნით რტოდ და ნაყოფად ჩუენდა მონიკეზული, ყოველთა კეთილთა ზიარქმნილი, წვრთილებით მოსიანი, ქცევით პარონიანი, სიმზნით ისოიანი, იგულკეთილობით დავითიანი, სიბრძნით სოლომონიანი, ნათესავკეთილობით იესიანი,¹³ სიმართლით ეზეკიელიანი.¹⁴ ცხებულობით სამოელიანი, ლხინებით ფინეზიანი, ძლიერი და უძლეველი, [A 42 v] მეფე ქართველთა, საფაადართ¹⁵ უთავადესი და ამილბართ უწარჩინებულესი, სრულიად ერანელთა¹⁶ სპასპეტად დადგინებული, პირველითგანვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთვნილისა¹⁷ და [C 41 v] აწ სასუფეველ ცათა შინა სულ ბრწყინვალედ¹⁸ მანათო [B 39 v] ბელისა, პირველ ვასტანგ კმობილისა და შემდგომად სპარსთა ენითა შაჰნავაზ წოდებულისა, ქართველთა და კახთა ორისავე ტახტის მტკიცედ მპყრობელის ძე, ესე ღმრთისა მიერ აღმატებით დამყარებული და ღმრთივ ზეცით გვირგვინოსანი, უწინარესად მეფედ გიორგიდ კმაგაწეული,

¹ დამბადებელმან C. ² დამქველმან A. დამქველმან C. ³ + ძემან B (ჩამატებულია სხვა ხელითა და მელნით) C. ⁴ ზედა B. ⁵ ღმრთისა A, ღმრთისა C. ⁶ მიე B. ⁷ ძირმტკიცეობითა B. ⁸ იასესა A. ⁹ მისისა AC. ¹⁰ ფილოსოფოსთა A. ¹¹ მცნებულისა C. ¹² პანკრატოანთ AC. ¹³ იასიანი AC. ¹⁴ ეზეკიელიანიანი AC. ¹⁵ საფაადართ C. ¹⁶ ერანთა B. ¹⁷ განკუთვნილისა A. ¹⁸ ბრწყინვალედ AC. ¹⁹ მეორედ B.

* აქამდე ტექსტი დაწერილია სინგურით.

ხოლო შემდგომად ესეცა სპარსთა ენითა მეორე შაჰნავაზ სახელდებული,

აღმოგვიბრწყინდა მზე სიმათლისა და ვითარცა¹ შარავანდელი და სხივნი მისნი ყოველთა კედართა შეადგის² და განანათლის არე დაბნელებული, ეგრეთ ყო ჩვენდა, და ქვეყანათა ამათ ქართლისათა მან მოჰფინა ნათელი და მოსცა ძედ თვისად ძე წოდებული, ძე ძმისა თვისისა, ერანელთა მდივანბეგისა, — მრავალთაგან მცირედად მოსათხრობელი, კაცი სათანადო³ და გულის სათქმელი უფროს ოქროთა⁴ და ანთაკთა პატიოსანთა, შემკული პირად-პირადად ქველის საქმითა და განშვენებული ყოფითა და ქცევით საკელმწიფოთათა, მართლმადიდებლობისა⁵ მკნე მკედარი და⁶ უფლისა ძლიერი მოღვაწე, ქრისტეს წარჩინებული სტრატეილტი, ებგ[A 43 r] ური⁷ სამარადისო მღვიძარე, სიონისა რჯულმტკიცობითა შეურყეველი სვეტი და გოდოლი, განუტეხელი ზღუდე, სიტყვითა ბრწყინვალე და საქმითა წმიდა,⁸ გვაპითა იფენიერი და წესითა რჩეული, განზრახვითა მდიდარი, მართმადიდებლობით⁹ და ღმრთის სიყვარულით შეუორგულებელი, საღმრთოთა¹⁰ და საეროთა, ორკერძოდ [C 42 r] ვე¹¹ ხნობითა და სწავლით გარემოზღუდვილი¹², ზარდახშიანი სიბრძნისა, თესლისაგან დავითისა აღმოკდომილი, ღმრთივ ცხებულთა მეფეთა და დედოფალთაგან აღმონორჩებული¹³, კეთილ-შეენიერ-ჰაეროვან-განთიადი,¹⁴ ბ ა ტ ო ნ ი შ ე ი ლ ი [B 40 r] ვ ა ხ ტ ა ნ გ მოსცა თავის¹⁵ წილად ტახტსა ზედა თვისსა გამგებლად ქართლისად.

ამან იგულვა¹⁷ და იგულისმოდგინა¹⁸ და შემოკრიბნა ყოველნი წიგნნი¹⁹ სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა თვითოეულად მიმოდაბნეულ იყო სხვათა სამეფოთა, გინა თუ ქართლსა შინა. ესე ყოველი მოიიბა, იპოვნა²⁰ და მოიშოვა, მრავლითა იძულებითა და ფრიადითა შრომითა მოიღო.

პ ი რ ვ ე ლ ი, — «დაბადებისა» და «გამოსლვათა»²¹ სამართალნი²² მოსესმიერი, რომელი თვით ღმერთმან მოსცა და ამცნო, ოდეს გამოვლნეს ეგვიპტით ისრაელთა ზღვა იგი მეწამული.

მ ე ო რ ი ს ა, ძიება-ყო საბერძნეთით, ოთხთა პატრიაქთა მიერ ქენებითა, [A 43 v] წიგნნი სასამართლონი, ჟამთა კეისრისათა თუ ვითარ სჯიდენ, — იგიცა ფრიადითა შრომითა გარდმოთარგმანები-

¹ ვითარცა] +რა AC. ² შეადგის]—AB. ³ სათანადო C. ⁴ ოქროსა C. ⁵ მართლმადიდებლობისა AC. ⁶ მკედარი და] ა და მკედარი AB. ⁷ ეგრეთი C. ⁸ წმიდა A. ⁹ მართლმადიდებლობით AC. ¹⁰ საღმრთოთა AC. ¹¹ ორკერძოვე B. ¹² გარე შემოზღუდვილი C. ¹³ აღმონორჩებული B. ¹⁴ განთადი A. ¹⁵ თვის AC. ¹⁶ განმგებლად BC. ¹⁷ იგულა AC. ¹⁸ იგულისმოდგინა A. ¹⁹ წიგნი AC. ²⁰ იპოვა B. ²¹ გამოსელათა AC. ²² სამართალი C.

თა! პრძენთა კაცთათა, რომელთა² თვით უმეტეს შეეწეოდა თარგმან-სა შინა.

ნ ე ს ა მ ე, — მოალებინა დიდისა სომხეთისა მწყემსისა გრიგოლ განმანათლებელისა სამარხოზ³ ეჩმიადინით სომეხთ მეფეთა წიგნი⁴ სამართლისანი, და მუნით გარდმოთარგმნილნი⁵ სრულნი და უკლებელნი.

მ ე ო თ ხ ე, — წმიდათა და მართლმადიდებელთა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზთა და ღირსთა ეფისკოპოზთაგან განწესებული სავართალო.⁶

[C 42 v] მ ე ხ უ თ ე,⁷ — დიდის მეფეთ-მეფის გიორგის მიერ თქმულნი სამართალნი მოპოვებულ-ყო, რომლითა სჯიდენ სამნივე ესე სანეფონი ქართლისანი.

მ ე ე ქ უ ს ე,⁸ — აღბულა ჯაყელ-ციხისჯვრელისა თქმულნი განაჩენი და სამართალნი.⁹

მ ე შ ვ ი დ ე,¹⁰ — ამა ყოველთა შემდგომად აღწერა თვით. სიბრძნით და გუ[B 40 v]ლისკმობითა¹¹ თვისითა, დამოწმებითა¹² და ნებადართვით თვისთა კათალიკოზთა და ებისკოპოზთა¹³ და დიდებულ-ღარბაისელთათა¹⁴, რომელი აღწერა თვითოეულად ყოველნივე სამართალნი უფროს საკმარ და სარგებელ ქართლსა შინა ამათ სხვათასა.

რამეთუ ყოველთა ქვეყანათა, ყოველთა სამეფოთა თვითოეული რიგი, გინა სამართალნი და ქცევა აქუან და განუწესებდესთ,¹⁵ და არა მსგავს არს ერთი იგი სხვათა, მეორესა სამეფოსასა, და თვისთა საქმეთა იქმან, ეგრეთვე სხვა ესე ზემოხსენებულნი¹⁶ მრავალნი უქმარ არს და არცა იქმან ქვეყნად¹⁷ ამად ოდენ.

ესე უმჯობესი, ესე გამგებელი ს¹⁸ ვახტანგის მიერ თქმული არს საქნელი, და ამით სჯიდენ.

ნუ უკუე თქუას ვინმემ, რად შეურაცხიეს ძველნი ესე სამართლები და უმჯობესად ახალსა ამას კმობენ?

ხუ ყოს ღმერთმან შეურაცხება პირველთა, არამედ ქვეყნად ჩვენ-და ესე არს უმჯობესი, ამად რომე, უკეთუ იყოს ძველის რჯულით სამართალი, რად კეისარმან მით არ ჰყო¹⁹ და სხვად შესცვალა, ანუ მე-

¹ გარდამოთარგმანებითა A. ² რომელსა ABC. ³ სამარხოთ C. ⁴ წიგნი AC.

⁵ გარდამოთარგმნილნი A. ⁶ მეოთხე... სამართალი — AC. ⁷ მეოთხე AC.

⁸ მესუთე AC. ⁹ და სამართალნი — B. ¹⁰ მეექვსე AC. ¹¹ გულისკმობითა B. ¹² და

მოწმობითა D. ¹³ კათალიკოზთა და ებისკოპოზთა] კათალიკოზ-ეპისკოპოზ AC. ¹⁴

დიდებულთ დარბაისერთათა B. ¹⁵ განუწესებდეს B. ¹⁶ ზემოხსენებულნი] ზემოხსენე-

ბული AC. ¹⁷ ქვეყნად B. ¹⁸ განმგებლისა B. ¹⁹ ყო B.

ფემან სომხეთისამან¹ სხვად რად თქვა, ანუ მეფემ გიორგიმ, გინა² ჯაყელ-ციხისჯვრელმან რად სხვებრ საჯეს?

ეგრეთვე ჟამმან და საქმემან ესრეთ მოილო, რომელ თქვა ძემანცა ანან მეფისამან უმჯობეს³ სხვათა საქნელად მარადის ყო[ც 43 რ]ველთა მსაჯულთა მიერ.⁴

¹ სომხეთისამ AC. ² გინთ A. ³ ამჯობეს C. ⁴ ყოველთა მსაჯულთა მიერ] — A (ჩამოკრილია და მხოლოდ ასოთა ნაშთი ჩანს).

სამართალი ბატონიძეილის ვახტანგისა შესავალი

[A 278 r, C 429 r, D 1 r] ქ. მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა დამაარსისა მქები არათუ ღირსად და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უღებად მქონე² მპოვნელ ვიქმენ.

ვითარცა მეფენი, დღითი-დღე მრეველნი* კელთა მარგალიტთა შინა,³ ჰპოებენ მძივთა რათამე და უხილველობისათვის აღიღებენ და შთაზღებენ საუწჯედ,—პატიოსანთა შემკობით⁴ უპატიოსნედ⁵ მარგალიტთა ჰყოფენ, ეგრეთვე უფალმან ჩვენმან⁶, მბადმან ყოველთამან და სიბრძნით გამგებელმან⁷, მპოვა მარგალიტთა შინა მრავალთა და აღმილო მსგავსად⁸ კმისა ამის მეცა ეგრეთვე—უმცირეს ვიყავ მე ძმათა ჩემთა შორის და უმრწემეს⁹ სახლისა ჩემისა, და ვმწყსიდი¹⁰ თავსა ჩემსა უგუნურად¹¹ და თავკედად, კელნი ჩემნი იყვნენ მოქმედ არარის¹² კეთილისა, და თითნი ჩემნი ვერა რომელსა¹³ იშრომებდნენ ნებასა უფლისასა, არამედ იყვნენ უქმ¹⁴. ვი[C 429 v]ნ-მე მიუთხრა ესოდენი¹⁵ ბოროტნი ჩემნი უფალსა ჩემსა?***

ხოლო თავადმან უფალმან გამოავლინა პირითა უტყვევლითა ბძანება, ცოდვილთა მოწყალება¹⁶, და აღმილო მე უნარჩევესობასა¹⁷ სახლისა ჩემისაგან და მყო მე მსაჯულად და განმგედ წილჯდომილთა¹⁸ ქვეყანათა უბიწოდ მშობელისა დედისა თვისისა¹⁹, არათუ ქმნილებათა²⁰ რათამე კეთილთა ჩემთათვის, არამედ უნარჩევესობისა ჩემისათვის²¹, ამისთვისმცა, რათა სც[A 278 v]ნან²² ყოველთა, რამეთუ²³ უსწავლელთა და უმეცართაგან²⁴ სთნავს და ნებავს სრულმყოფელსა ღმერთსა მარადის გონება-კეთილისა.

იყო ქვეყანა ესე ქართლისა ყოვლითურთ²⁵ კეთილითა შემკულ და შე-

1 სამართალი... შესავალი—D; სამართალი პირველი შესავალი ა ბატონიძეილის ვახტანგის ნაბძანები A; სამართალი შესავალი პირველი ბატონის შეილის ვახტანგისა C. 2 მოქმენ D. 3+ და AC. 4 შემკობით D. 5 უპატიოსნესად C. 6 ჩემმან D. 7 და სიბრძნით გამგებელმან—D. 8 მგზავსად D. 9 უმწემეს A. 10 ვმწყსიდე D. 11 უუგუნურად D. 12 არარისა D. 13 ვერა რომელსა არარისა D. 14+ და D. 15 ესოდენნი C. 16 მოწყალეობა D. 17 უნარჩევესობასა A. 18 წილჯდომილთა D. 19 თვისისასა D. 20 ქმნილებათა C. 21 ჩემისათვის D. 22 ცნან C. 23 რათა ACD 24 უმეცართაგანცა D. 25 ყოვლითურ D.

* AC ნუსხებში აქამდე ტექსტი დაწერილია სინგურით.

** შდრ. ფსალ. 151, 1—3.

ზავებულ, ხოლო ცვალებითა დღეთა¹ და ვითარებითა ჟა[D 1v]მითათ² თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდენ, ვიეთნიმე მოყვსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მო[C 430 r]რიდებით, ვიეთნიმე ღმრთის ურიდველობით³ და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამთათა,⁴ — ვითარცა ენებათ, სჯიდენ.

ხოლო ჩვენ.

ნებითა ღმრთისათა და წყალობითა დიდის კელმწიფისათა, პირველითგანვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთვნილისა⁵ და აწ* სასუფეველ⁶ ცათა შინა სულბრწყინვლად მანათობელისა, პირველ ვ ა ხ ტ ა ნ გ წოდებულისა, ხოლო შემდგომად სპარსთა ენითა შ ა ჰ ა ნ ა ზ კ მობილისა,

ძისა მისისა, სრულიად ქება-შემსგავსებით ძნიად მისათხრობელისა⁷ — ქართველთა მეფისა და ერანელთა საფადარ-სპასალარისა⁸, ამილბარ-სპასპეტისა, უთვალავისა და უამრავის სპისა და ლაშქრის მეწინავედ ჩენილისა, უვნებლად და მტერზე ძღვევით მაარებელისა⁹, ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარ-ბეგისა, გირიშქისა და ჰაილათის¹⁰ მჭირავისა, ძლიერისა და უძღვეველისა¹¹, პირველ [C 430 v] გ ი ო რ გ ი წოდებულისა და აწ მადლის კელმწიფისაგან წყალობით მ ე ო რ ე შ ა ჰ ა ნ ა | A 279 r | ე ა ზ ო ბ ი თ¹² კმობილისა,

მაგიერად მყოფმან, ძემან ერანის მდივანბეგის ლ ე ვ ა ნ კმობილისა, აწ შ ა ჰ ა ნ ა ზ კ მობილისაგან წოდებულისა¹³, საქართველოს ჯანიშინმან და გამგებელმან¹⁴ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა ნ პ ა ტ ო ნ მ ა ნ ვ ა ხ ტ ა ნ გ, წინათქმულთა ამისათვის ვიწადეთ სასამართლოსა წიგნისა აღწერა¹⁵.

პირველ «დაბადებისა», მოსეს მიერ კმნილი სამართალნი¹⁶, და კვალად ბერძენთა და სომეხთა სამართალთა¹⁷ წიგნთაგან გარდმოთარგმნებული¹⁸, ეგრეთვე კათალიკოზისა¹⁹, მეფის გიორგისა და ბექას²⁰ განჩინებული²¹ სამართლები შევეკრიბეთ და²² ესე ყოველი²³ ზემორე წერებულმან გამცნოსთ.

1 დღეთათა D. 2 ჟამთა C. 3 ურიდებლობით D. 4 ქრთამითა AC. 5 განკუთვნილისა A. განკუთვნილისა D. 6 სასუფეველს D. 7 სრულიად... მისათხრობელისა]—D. 8 ერანელთა საფადარ-სპასალარისა] სრულიად ერანის სპასალარისა D. 9 ამილბარ-სპასპეტისა... მაარებელისა]—D. 10 ჰაილათის A. 11 ძლიერისა და უძღვეველისა]—D. 12 შაჰანავაზ D. 13 აწ... წოდებულისაგან] შაჰყულიხანისაგან D. 14 და გამგებელმან]—D. 16 დაწერა D. 16 სამართალი D. 17 სამართალთა]—AC. 18 გარდმოთარგმნებულინი D. 19 კათალიკოზისა]—D. 20 ბექათ D. 21 განაჩენით D. 22 შევეკრიბეთ და]—D. 23 ყოველი D.

* D- ში გასწერივ მარცხენა აშიაზე მიწერილია: „ქების მომატება“.

ხოლო¹ ესეცა სცანთ², იგულეთ და იგულსმოდგინეთ³, და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გინდეთ | B 21: r |*სთ, მით სჯიდეთ და სამართალსა მართალსა⁴ იქმოდეთ⁵.

აწ ვიწყით განაჩენისა ამის, ჩვენ მიერ აღ | C 4:1 r | წერილისათვის⁶.

| D 2 r | რომელინი⁷ იხილავთ და ისმენთ, ნურავინ ჰგონებთ, თვით მხოლოდ, თავით თვისით რასმე ვყოფდეთ, არამედ:

თანაყოლითა და დამოწმებითა⁸ მღვდელ-მთავარისა და დიდისა დედა-ქალაქისა მცხეთისა და⁹ კვართსა ზედან საუფლოსა¹⁰ სვეტისა, ღმრთივ-აღმართებულისა და¹¹ მირონ-აღმოცენებულისა¹², საკვდელ-მპყრობლისა და კარისჯსა ზედან მტკიცედ მდგომელისა, ძმისა ჩვენისა, ბატონიშვილის კათალიკოზის დომენტიისთა¹³,

ეგრეთვე თანადგომითა არაგვის ერისთვიშვილის მთავარებისყო- | A 27: v | ოხის გრიგოლითი¹⁴ და სხვათა მიტრაპოლიტ-ებისყოზ-წინამძღვართა¹⁵ და საღმრთოვანთათა,

დამოწმებითა¹⁶ და თანაზრახვითა¹⁷ მუხრანის ბატონის ერეკლეთი¹⁸ და ჩვენისა სახლისა უხუცისა პაპუათი¹⁹, არაგვის ერისთვის გიორგითა, ქსნის ერისთვის დავითისითა, ორბელიძე²⁰ სარდრის ლუარსაბითა, ამილახორის ავთანდილითა²¹, მდივანბეგის ერა | C 4:1 v | სტიითა²² და²³ სხვათა ყოველთა²⁴ დარბაზის ერთა ჩვენთათა,

და კითხვითა²⁵ ჰკუთათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა გავაჩინეთ²⁶ და დაეწერეთ²⁷, რომელსა მივწვდით²⁸ და²⁹ ანუ³⁰ გონებანი ჩვენნი სამართალთა³¹ მიხვდნენ.

ამით³² უფრო ვიქმნეთ მიზეზ წიგნისა ამისა³³, რამეთუ აღარავინ³⁴ განდრიკოს³⁵ სასწორსა სამართლისასა ქრთამით, გინა მოყვსობით ანუ³⁶ სხვეფრივ რითმე³⁷ მიდგომითა, არამედ პირველ განაჩენნი³⁸ იხილონ, და ახალი ესეცა, და რომელიც ენებოს³⁹ მოსამართლესა⁴⁰, მით იქმოდეს სამართალსა.

მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია, და⁴¹ არცა ვიჩემებ, რომე არა აკლდეს

¹ ხოლო | და D. ² + და D. ³ იგულსმოდგინეთ C. ⁴ მართალსა — BD. ⁵ იქმოდეთ | კყოფდეთ D. ⁶ აწ... აღწერილისათვის — D. ⁷ რომელი | რომელსა სამართალსა და წერილთა ამათ D. ⁸ მოწმებითა B, შემწვობითა D. ⁹ და — D. ¹⁰ + და D. ¹¹ და — C. ¹² და მირონ აღმოცენებულის — D. ¹³ + და D. ¹⁴ გრიგოლის D. ¹⁵ წინამძღვართ B, წინამძღვარ D. ¹⁶ და მოწმებითა B. შემწვობითა D. ¹⁷ + დიდებულთა თავადთა ჩვენთა D. ¹⁸ ერეკლესითა D. ¹⁹ და... პაპუათი — ACD. ²⁰ ორბელიძის D. ²¹ ავთანდილით B, ავთანდილთ D. ²² ერასტისითა C, ერასტი D. ²³ და — BD. ²⁴ ყოველთა D. ²⁵ კითხვითა და A. ²⁶ განვაჩინეთ D. ²⁷ დაესწერეთ BD. ²⁸ მივწვდით B. ²⁹ და — D. ³⁰ ან B. ³¹ სამართალსა D. ³² ამათვინ D. ³³ ა წიგნისა ამის მიზეზ B. ³⁴ არღარავინ D. ³⁵ + და გარდაზიდოს D. ³⁶ ან B. ³⁷ რითმე BD. ³⁸ პირველი განაჩენი B. ³⁹ ენების AC. ⁴⁰ მოსამართლეს B. ⁴¹ და — B.

* აქამდე B ნუსხას ტექსტი აკლავ.

რა. ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომე ზოგი ვერ მოვიგონეთ, და არც მისწვდების კაცის გონება¹.

ვინც მიხვდეს² რასმე და მოიგონოს, ჩაუტოს [B 213 v] და ჩასწეროს, კარგსა³ და მართებულსა⁴ იქს.

[**კარი სამართლის ძმისა**]

[C 432 r, D 2 v] 1. ჯერ⁵ ეს გადართ⁶ და მოგაცნოთ მეფეთა⁷ და მსაჯულთა და ყოველს⁸ სამართალში მჭლომს კაცსა⁹,—ეს იცოდეთ და¹⁰ დამარხვით გუნებაში გკონდესთ, [A 280 r] რომე ღმერთი, ყოვლის დამბადებელი, თქვენგან სამართლის უფროს¹¹ არას ითხოვს და რისხვაცა¹² უსამართლობით მოივლინების, თორემ ვისაც¹³ გეპრიანებოდესთ, წერილი¹⁴ ნახეთ და მაშინ სცნობთ.

უსამართლობა ამა¹⁵ სოფელს კაცსა უძეოდ აღმოჰხვებრის და გარდაავლინებს, დღეთსიგარძეობასა მოუკლებს¹⁶, ქვეყანას აუოჯრებს, ცანი ცვარს დააკლებენ და ქვეყანა — ნაყოფს¹⁷, ამ სოფელს¹⁸ შეარცხვენს და¹⁹ იმ სოფელს წასწყმედს²⁰ და საუკუნო²¹ სატანჯველს დაუშკვიდრებს²².

ესენი ყველაყა უსამართლობისაგან გამოვლენ, და სამართლის ქნა მეფესა და მსაჯულსა ამა²³ ყოვლის ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განს- [C 432 v] დევნის.

2. საქართველოს მეფენი ბევრჯელ დიდად ამაღლებულნი და ნებისაებრ²⁴ თვისისად²⁵ ბძანებულან²⁶, და ბევრჯელ უამთა და დროთა ცვალებით ასრე²⁷ დამდაბლებულან, რომე²⁸ ოდენ სახელი მეფე რქმევიათ²⁹, თორემ³⁰ მართებული არა უქნევიანებიათ რა, როგორც უმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ³¹ და ურიგებიათ, ამისი მომსწრები თვითონ მეცა ვარ და³² სხვანი მრავალნი ხნით³³ ჩემსა³⁴ უფროსნი არიან და ისინიც ამგვარს დროს ბევრს შეესწრებოდენ³⁵.

აწ ამისთვის ვიწყით. თუ მეფეს მეფობა შეეძლოს, ქნას; თუ არა, სახელი და საუკუნო უნდოდეს, — შეუძლებლად მეფობას უქნელობა სჯობს და კელის აღება.

¹ გუნება AB; და არც ... გონება] — D. ² მიხვდეთ D. ³ კარგად D. ⁴ მართებულად D. ⁵ ჯერით D. ⁶ კადროთ BD. ⁷ მეფეთ D. ⁸ ყოველ D. ⁹ კაცს BD. ¹⁰ და] — ABC. ¹¹ უფრო BD. ¹² რისხვაც B, გარისხვაც D. ¹³ ვისცა D. ¹⁴ წერილი BD. ¹⁵ ამ BD. ¹⁶ მოუშკვიდრებს D. ¹⁷ ნაყოფსა D. ¹⁸ ამ სოფელს] — ACD. ¹⁹ და] — AC. ²⁰ წარსწყმედასა B, წარსწყმედს D. ²¹ საუკუნოს C, საუკუნოდ D. ²² + და D. ²³ ამ AC. ²⁴ ნების D. ²⁵ თვისისაებრ D. ²⁶ ყოფილან D. ²⁷ ასრეც D. ²⁸ რომ D. ²⁹ რქმევიათ AD, ჰრქმევიათ C. ³⁰ თორემ AC. ³¹ უსამართლიათ D. ³² და] — C. ³³ ხნითა C. ³⁴ მრავალნი ... ჩემსა] ა ჩემს მრავალნი ხნით D. ³⁵ შესწრებოდენ AC.

თუ ბედნიერის^{1*} კელმწიფის, ყე[A 280 v]ენით იყოს ერთი რამ საქმე, რომე უმისოდ ვერ იქმოდეს, და თუ ქნას, ის² იწყენდეს, იმისი საქმე სხვა არის. კანონი ხომ [C 433 r] აქვს³, რომე კაცმან სწორე სამართალი ვერა ქნას, მაგ[B 214 r]რამე⁴ იმას არა⁵ გაეწყობის რა⁶.

და მეფეს სხვა დრო ასეთი შეხედეს, რომე ყმათაგან ვერ იქმოდეს, ან კელი აილოს და ან არა, თუ⁷ სოფლის⁸ [D 3 r] ნიეთ⁹ შემსკვალვით კელი ვერ აილოს, თვითონ სამართალში ნუ დაუჯდების, ოთხი იყოს თუ მეტ-ნაკლები¹⁰, დიდებული გამოარჩიოს და იმათ¹¹ სამართლონ¹² ქვეყანა. და მეფე ღმერთს ეხვეწოს, უბრალო იქნების¹³, — მათ იციან და მათმან სულმან და მან საუკუნომან.

ε ვ. პირველ ესე, რომე მოსამართლე დიდად მჩხრეკელი, მიმხვდარი, გამომძიებელი¹⁴, გონება¹⁵-აუჩქარებელი, დაწყნარებული^{16a}, გამგონე, საჩივრის ყურის¹⁶ მიმგდები, გამსინჯავი და სხვისაც მკითხველი¹⁷, თუ ამისი სამართალი თქვენგან როგორ ისინჯვის¹⁸, მოწმის მაძებარი უნდა იყოს, უქრთამო და¹⁹ ღმრთის მოშ[C 433 v]იში.

თუ მოსამართლე სამართალში²⁰ სხვას რასმე საქმობს და მოჩივრის საჩივარს ყურს არ უგდებს²¹, ან საჩივარში ჭავრობს და მოჩივარს უწყრების, იმასაც საჩივარს²² დააკარგვინებს²³ და ვერცა რას თვითონ²⁴ მიხვდების, და უსამართლო მოუა.

იქნების მის ალაგს²⁵ ჭავრიც უნდოდეს ან ქურდსა, ან ავაზაკსა²⁶, [A 281 r] ან ტყუილს²⁷ მთხრობელს²⁸, ან ტყუილს მოწამეს²⁹, — ზავით³⁰ აჩვენოს, რომე მით გასტეხოს, ან ტყუილი არ³¹ ათქმევინოს³².

მართო მოჩივარს სამართალი არ უნდა უყოს, მეორეც დაიბაროს და³³ ორნივე ერთად ალაპარაკოს. მოწმით, კითხვით და გამომძიებით მათის საჩივრის მართლად შეტყობას ეცადოს. არც ფიცხლავ³⁴ სამართალი ქნას³⁵, — უნდა ორჯელ, სამჯერ, ხან ერთად და³⁶ ხან ცალ-ცალკე, ალაპარაკოს.

1 ერის B. 2 ის] — C. 3 არის D. 4 მაგრამ B. 5 რა D. 6 რა] — D. 7 თუ] — AC. 8 სხვას D. 9 ნიეთით AC. 10 მეტი ან ნაკლები D. 11 იზან ACD. 12 სამართლოს ACD. 13 იქნების B. 14 გამომძიებელი A, გამამძიებელი C. 15 გუნება D. 16a დაწყნარებით D. 16 + და გულის D. 17 მკითხველი მკითხავი მოჩივრის მოადის მომედელი სხვისაც მკითხველი B. 18 თქვენგან ... ისინჯვის] როგორ არის D. 19 და] — ABC. 20 + ან D. 21 ყურს არ უგდებს] კარგა ყური არ მიუგოდ D. 22 საჩივარს A. 23 დაუკარგავს D. 24 თითონ BD, თვითან C. 25 მის ალაგს] — D. 26 ან ავაზაკსა] — D. 27 ტყუილის AC. 28 მთხრობელს D. 29 ტყუილს მოწამეს] — D. 30 ზავით D. 32 ან ტყუილი არ] და მართალი D. 32 ათქმევინოს] + აგრეც ტყუილს მოწამესაც უნდა D. 33 და] — BD. 34 ფიცხლად C. 35 სამართალი ქნას] სამართლის ქნა D. 36 და] — D.

* B-ში ჯერ „ბედნიერის“ დაუწერია, შემდეგ კი „ბედნი“ ამოუფხვია და „ერის“ დაუტოვებია.

თუ გრძელი და დიდი რამ საჩივარი¹ იყოს, ორისავე სიტყვა² მდივან-მან³ დაწეროს⁴, რომე არ დაავიწყდესთ; და მერმე ცალკე გას[C 434 r] ინჯონ⁵.

ეცადნენ⁶ მართლის შეტყობასა და უფიცრად მათს გარიგებასა.

და თუ არ იქნას და უჭეროდ არ მოკდეს, [B 214 v] მერმე ეს რომელიც აჭაები და სამართლები⁷ დაგვიწერია, ვის საჩივარს რომელი⁸ აჯა შეეფერებოდეს, ის დასდვან⁹ და იმით¹⁰ გაატანინონ.

მაგრამე მოსამართლე თუ ან ქრთამითა, ან მოყვსობით, ან მუსაი-ბობით, გინა¹¹ შიშით ან თუ¹² სიყვარულით და ანუ მტერობით¹³ ერთს მეორეზედ მიუდგა, — არ იქნებ[D 3 v]ის და¹⁴ არც სამართალი მოკ-ლების.

არც მტყუანსა და არც მართალზე ქრთამი არ არის, და არც უნდა მოსამართლემ¹⁵ ინდომოს და¹⁶ აილოს, თორემ ძნელი ტვირთი დაუტ აღსაკიდებლად ბეჭთა¹⁷ თვისთათვის¹⁸.

4. უფროსიერთს სამართალს გაგზავნილი მოსაქმე გაამრუდებინებს მოსამართლეს¹⁹, ამიტომ რომე, ერთს²⁰ მეორეში მიკლომა ან სამძ-[A 281 v]ღვრის ცილება რომ გარდეკიდებათ²¹, თავი[C 434 v] მოსამართლე²², მდივანბეგი, ხომ ვერ წაუვა, იასაულს²³ გაგზავნიან, გასინჯე²⁴, მოკითხული ქენა²⁵ და მართალი ამბავი მოგვიტანეო²⁶. თუ იმ²⁷ იასაულმან²⁸ ღმერთი გმო²⁹ და ქრთამით მოსამართლეს მრული ამბავი მოუტანა³⁰, მოსამართლემ რა³¹ ქნას!

მაგრამე ასრე უნდა. მდივანბეგს, გინა სხვას მოსამართლეს, ამგვარის საქმისათვის სხვარიგი, კჳუის მყოფელი, უქრთამო, მართლის მთქმელი, სიმართლეზედ³² ცნობილი იასაული³³ ჰყვანდეს და ის გაგზავნოს; და დამბარებელი და³⁴ გაწყრომამზე დასაჭერლად³⁵ გასაგზავნი იასაულები³⁶ სხვა უნდა ყვანდეს და იმით³⁷ გაგზავნიდეს³⁸.

1 და ... საჩივარი | დიდი საქმე რამ D. 2 სიტყვა | საჩივარი D. 3 მდივანმან | — D. 4 დაწერინოს D. 5 რომე ... გასინჯონ — D. 6 ეცადოს D. 7 და სამართლები | — D. 8 რომელიც D. 9 დასდვას D. 10 მით D. 11 გინა | ან D. 12 თუ | — BD. 13 და ანუ მტერობით | — D. 14 და | — BD. 15 უნდა მოსამართლემ | ამ მოსამართლემ უნდა B. 16 მოსამართლემ ... და | — D. 17 ბრჭეთა B. 18 თორემ..., თვისთათვის | — D. 19 მოსაქმე ... მოსამართლეს | იასეული გაამრუდებს D. 20 ერთი D. 21 გარდეკიდებათ | მოკლები D. 22 + და D. 23 იასულს A. იასულს D. 24 გასინჯე | გასინჯეო და D. 25 ქენით D. 26 და... მოგვიტანეო | — D. 27 იმ | მან D. 28 იასულმან D. 29 + გმო A. 30 ღმერთი ... ამბავი მოუტანა | ქრთამით მრული ამბავი მოიტანა D. 31 რა | — A. 32 სამართალზედ B. 33 იასული A. 34 და | — AC. 35 დასაჭერლად A. 36 იასულები A, იასული B. 37 იმას ABC. 38 მაგრამე...და იმით გაგზავნიდეს | ასე უნდა მოსამართლეს დამბარებელი იასული სხვა ჰყვანდეს და ამგვარს საქმეებზედ სხვა რიგი კჳუის მყოფელი უქრთამო და სიმართლეზედ ცნობილი კაცი უნდა გაგზავნოს D.

• 5. სამართალში თუ უფროსმა¹ მოსამართლემ და მსაჯულმან² არა კითხოს³, რაგინდ უფროსი და ქუეის მყოფელი⁴ კაცი იყოს და იქ⁵ იჯდეს, სამართალი არ უნდა თქვას, არც უნდა რომელსამე მოეკმაროს. და როდესაც⁶ მსაჯულმან კითხოს, ღმრთის წინაშე რასაც მიხედვს, სწორე და [C 4:35 r] მართალი უნდა თქვას და არ დაზოგოს⁷.

[რიგი და სამართალი თავის მართლებისა]

• 6. საქართველოს რიგი და სამართალი ექესი არის, რომე ამითი თავი⁸ იმართლებს: პირველი — ფიცი, მეორე — შანთი, მესამე — მღუღარე, მეოთხე — კმალი, მეხუთე — მოწამე, მეექვსე [B 215 r] — ცოდვის მოკიდება.

ამათ თითოსა და თითოს სხვადასხვა⁹ საზღვარი¹⁰ აქვს, თუ რომელი რომე [A 282 r] [ლს¹¹ საქმეზედ უნდა დაედვას. და ქნით როგორ უნდა ქნას, თვითეულადაც გამცნებს¹².

[კმალში გატანება ამ წესით უნდა]

• 7. კმალში გატანება, — მეფეთ ორგულობასა, დალატზედ, მეფის სალაროს გატეხაზედ, ხატისა და საყდრის გატეხაზედ და მსგავს¹³ ამათებრზე¹⁴, — ამ წესით უნდა, რომე ან ორმოცსა და¹⁵ ან ნაქლებს დღემდინ ალოცონ და თითო¹⁶ წიგნი დაუწერონ ასე, რომე:

«სასწორო და სამართალრ ღმერთო, მე ესე და¹⁷ ეს კაცი გეაჭები¹⁸ და გეხვეწები, სხვას ჩემს დანაშაულს დღეს ამაში ნუ მკითხავ, რა [C 4:35 v] ასაც ეს კაცი მიღებს და მეწამების, თუ იმაში უმართლე ვიყო და არას ვერიო, ამისი¹⁹ თავი მე დამანარჩუნე, თორემ ჩემი [D 4 r] თავი ამას²⁰ დაანარჩუნეო».

ამრიგი წიგნები ორთავე²¹ უნდა დაუწერონ და²² ან ყელზე და ან შუბის ბუდესთან შეაბან.

და²³ ის შესაბმელნი კაცნი, როგორც²⁴ შეეძლოსთ, ისრე შეეკაზმონ²⁵. ერთი თავს მოედნისას და ერთი ბოლოს დადგენ.

თითო¹⁶ მემართავე ჩაატანონ, უიარაღონი, რომე²⁷ თითოს ფარისა და მართაჯის მეტი იმათ არა იქონიონ რა. რა რომ დაპირდაპირდენ, გაუშვან.

¹ უფროსმა] — D. ² და მსაჯულმან] — D. ³ კითხოს AC. ⁴ და ქუეის მყოფელი] — D. ⁵ კუეათ მყოფელი B. ⁶ იყოს და იქ] — D. ⁷ და როდესაც] რა D. ⁸ რასაც მიხედვს... არ დაზოგოს] სწორე უნდა თქვას D. ⁹ ამითი თავი] ათ თავი ამითი D. ¹⁰ სხვა BD. ¹¹ საზღვარი AC. ¹² თუ რომელი ... გამცნებს] — D. ¹³ მსგავს A, მსგავს D. ¹⁴ ამათებრზე D. ¹⁵ და] — C. ¹⁶ თითო AC. ¹⁷ ესე და] — D. ¹⁸ გეაჭები CD. ¹⁹ ამისი B. ²⁰ იმას B. ²¹ ორთავე CD. ²² და] — BD. ²³ და] — B. ²⁴ + იცოდენ და D. ²⁵ შეეკაზმენ BC. ²⁶ რომე] — D.

და შეუტონ [ერთმანეთს].

მემათრაკენი არ უნდა მიეშველენ, სანამდინ ერთი არ გარდავარდეს. და¹ რა რომ² ერთი და ერთი გარდავარდეს, მაშინ³ მემათრაკენი მიეშველენ და არ მოაკვლევინონ. და მეფეს მოართვან.

და მერმე მეფემ, ვით კამდეს, ეგრეთ⁴ ქნას.

მეფე [A 282 v] და ჯარი⁵ ამით [კმალში] გატანებას შორილამ უნდა უყურებდენ, რომე⁶ მოყვრობით ან სხვარიგად არაეინ მიეშველოს.

რომელიც გარდავარდების და ან გაი[C 436 r]ქცევის, ის გამტყუნებელი იქნების⁷.

იარალი გარდავარდნილისა⁸ გარდამგდებისა არის, და⁹ ცხენი — მემათრაკისა.

ვინ იცის, ორნივე გარდავარდენ¹⁰, უნდა დააცალონ, ქვეითათ ერთმანეთზე მიუშვან, და რომელიც წა[ა]ქცევის¹¹, სამართალი იმას დარჩება^{12*}.

[მღულარე ასრე უნდა]

8. შანთი და მღულარე ორივე ერთი არის¹³, ამისი ასრე უნდა: ალოცონ¹⁴ იგი კაცი, რომელსაც¹⁵ შანთი ან მღულარე¹⁶ გაუჩინონ¹⁷.

მოედანს, გინა სხვას გამოსაჩენს¹⁸ ალაგს¹⁹ [B 215 v] წყალი ააღულონ²⁰, ზედ ჩხირი გადვან²¹ ქვაბზედა და ძაფით ან რკინისა და ან სპილენძის უნაწილო ჯვარი, რომე სახე არ იყოს გამოყვანილი, გინა ვერცხლისა იყოს, ჩაპკილონ²².

და რა ადუღდეს წყალი და გარდმობრუნდეს, გარდმოილონ²³,

და მან კაცმან²⁴ ჩაყოს კელი სახელსა ზედან ღმრთისასა და ის ჯვარი ამოილოს.

მას უკან ფიცხლავ²⁵ [D 4 v] პარკში კელი ჩაუდვან²⁶ და დაუბეჭდონ; მესამეს ღღემდინ ისრე იყოს და²⁷ მერმე²⁸ გაუქსნან²⁹.

და³⁰ თუ არ დასწვია, მა[C 436 v]რთალი არის; და თუ დასწვია, მტყუანი³¹ იქნების³², და რასაც სწამობენ³³, გარდააქდევინონ³⁴.

1 და] — BD. 2 რომ] — D. 3 მაშინ] — D. 4 ეგრეთ D. 5 ჯარი BD. 6 + ან D. 7 გამტყუნებელი იქნების] გამტყუნებდების D. 8 გარდავარდნილისა AD. 9 და] — D. 10 გარდავარდენ A. 11 წაიქცევის C. 12 ვინ იცის ... დარჩება] — BD. 13 ერთი არის] ერთია D. 14 ალოცოს ACD; ილოცოს B. 15 რომელსაცა BC. 16 მღულარი C. 17 გაუჩინოს D. 18 გინა ... გამოსაჩენს] ან გამოჩინებულს D. 19 + სადმე BD. 20 აუღულე D. 21 გასდვა D. 22 ჩაპკილო D. 23 გარდმოილო D. 24 მან კაცმან] ა კაცმან მან D. 25 ფიცხლავ] + სამოსლისა ან სხვის ფარჩის D. 26 ჩაუყონ D. 27 და] — B. 28 ღღემდინ ... მერმე] დღეს D. 29 გაუქსნან] + ნახონ D. 30 და] — BD. 31 მტყუანი C. 32 იქნების] არის BD. 33 სწამობდენ CD. 34 გარტდევინონ D.

* ეს აბზაცი A-ში მიწერილია მარცხენა აწილაზე თვითონ ვახტანგის ხელით. BD-ში არ არის.

შანთი ასრე არის

9. რკინა რამ გააკურონ¹. რომ გაწითლდეს, იმ მქნელს კაცს კელზე ქალაღლი უნდა დაადვან, მერმე ზედ — ის გაწითლებს² A 283 r-ული² რკინა. და³ რა რომ⁴ დაადვან, მაშინვე სამს წინ უნდა გარდახტეს⁵ და მერმე, გარდამხტალმან⁶, უნდა⁷ გარდააგდოს.

თუ არ დასწვა, მართალი არის; და თუ დასწვა, ტყუილად გამოვა, და გარდასაქადი გარდააქდეინონ.

ეს შანთი მაშინ აეღებინების, რომე ან ბატონის ღალატი და ორგულობა, ან საყდრისა და ხატის გატეხა, ან ბოზობა და⁸ მსგავსი⁹ რამ¹⁰ ამისი შეეთქვას.

ფიცო ასრე არის¹¹

* 10. ერთის ჯარის შეწამებაზე, უმთხრობლოდ რომ შესწამოს¹², ერთი შეუგდებელი მოწამე არის¹³.

და თუ მთხრობლით სწამობს, შეგდებული მოფიცარი უნდა.

აგრევე¹⁴, [C 437 r] რამდენის ჯარის საქმე იყოს, იმდენი მოფიცარი შევეარდების, თავისი¹⁵ ყადარი, უმტერ-უმოყერო, მისი გარეშემო, მისის¹⁶ კეობისა.

თავის ბატონისა და იმ მფიცებელის¹⁷ ბატონის ყმას გარდაისად უნდა სხვის ყმა შეაგდოს¹⁸. იმ შეგდებულში ნახევარი იშოვნოს და ერთი იმდენი შეუგდებელი თან მიიყოლიოს.

ხატი, ვინც¹⁹ აფიცებს, იმან იშოვნოს²⁰.

იმ მოფიცარმან მღღელს ხატი კელში ჩამოართოს²¹ და ასრე უნდა თქვას: «ამისმან²² მადლმან და ამისმან²² გამაცხოველებელმან²³ ღმერთმან, შენ, ამამავალო²⁴ კაცო, რასაც მწამობ, —სახელდობრ²⁵ ჩაიტანოს, — მე იმისი არ[D 5r]ც მქნელი ვარ და არცარა ვი[B 216 r]ცი».

რა ეს სიტყვა გაათაოს²⁶, [A 283 v] მოწმე[ე]ბმან უნდა თქვან: «მართლა ფიცა, მაგისმან მადლმანო».

თუ ასრე იფიცა, გამართლებული იქნება²⁷ იგი კაცი. და თუ²⁸ ვერ იფიცა, რასაც სწამობს, პასუხი უნდა გასცეს.

¹ გააკურონ C. ² წითელი D. ³ და — AC. ⁴ რომ — D. ⁵ წახტეს BD. ⁶ წახტომილმან BD. ⁷ უნდა — BD. ⁸ და ან B. ⁹ მგზავსი ABD. ¹⁰ რამ — ABC, ¹¹ ასრე არის] —D. ¹² უმთხრობლოდ რომ შესწამოს] — D. ¹³ მოწამე არის] კაცით დაედების D. ¹⁴ აგრევე C. ¹⁵ მთხრობლით სწამობს... თავისი] ერთს ჯარს უფროსი არის რამდენის ჯარისა იყოს გარზედ ერთი მოფიცარი არის რამდენც მოფიცარი შევეარდეს მოსამართლისაგან ის მფიცებელმან იმის D. ¹⁶ მის C, მისი D. ¹⁷ ფიცებელის B, მოფიცარის D. ¹⁸ შიავდოს AC. ¹⁹ ვინ AC. ²⁰ + და D. ²¹ ჩამოართვას B. ²² ამისმა AC. ²³ გამაცხოველებელმან AB, გამანაცხოველებელმან ქრისტემან D. ²⁴ ამამავალო C. ²⁵ სახელდობრივ AC, სახელდობრი B. ²⁶ გათაოს A. ²⁷ იქნების BD. ²⁸ და თუ] თურა და D.

მაგრამე ჩვენ¹ ამასვე² ვიტყვი³, ყოველი მოსამართლე ფიცის მოკლენას ეკრძალოს და სხვარი [C 437 v] ვად მოჩიერის გარიგებას ეცადოს.

[A 314 r, B 235r, C 480r, D 32 v] [10'.]* ფიცი ასეთს კაცს არ დაედების, რომე ან ყმაწვილი იყოს, ან ჭკუნანი [A 314 v] კლები⁴. თუ ფიცი არ იცის და არა სწამს, იმგვარს კაცს ფიცი რომ დაადვას⁵, მოსამართლის⁶ ცოდვა არის.

მაგრამე, თუ იმის მეტი⁷ სხვა უფროსი არაიენ ჰყავს და ფიცი იმას ედების, იმას რა გაეწყობის.

იქნების, მოყვრით, შუა კაცით კაცმან კაცი კარგად შეარიგოს⁸ და ფიცი არ მოაჯღინოს⁹.

• 11. აწ ეს¹⁰ უნდა მოსამართლემ იცოდეს, თუ ფიცი რომლისა არის¹¹.

ვინც შესწამებს ვისმე რასმე, იმ შეწამებულმან¹² კაცმან უნდა დაიფიცოს, ან დღეს ვისაც მამული უჭირავს და შეეცალები¹³ ვინმე, ფიცი, ვისასაც კელთ მამული არის¹⁴, იმის[ი] არის¹⁵.

ის ასრე დაიფიცავს: «ეს ადგილი ამ სამძღვრამდინ, ამ ალაგამდინ,—სადამდინა¹⁶ შეუძლია, ჩაივლის, ხატი კელთ ეჭირვის, იტყვის,—აქამდის ჩემის ალაგისა¹⁷ და¹⁸ ჩემიც იყოს და ტყუილადა¹⁹ მეცილებოდე».

12. ერთი ესეც²⁰. მამულის ცილებაში გარეშე მოფიცარი არ შევარდების.

თუ დიდი რამ მამული არის, თვითონ²¹ ის საბატოს²² კაციშვილი უნდა აფიცონ²³; თუ უდაბლე რამ არის, აზნაურშვილი უფიცონ²⁴; კიდევ მის უდაბლეზე—მსახური; და²⁵ მას²⁶ ქვეითზე—გლე [C 438 r] ხი.

იქნების ერთბირ [A 284 r] სოფელიცა აფიცონ. და იქნების, ის საბატოს²² კაციშვილი თავის მსახურ-აზნაურშვილით და ყმითაც აფიცონ²⁷.

მაგრამე მოსამართლისაგან კარგად²⁸ გასინჯვა უნდა, თუ²⁹ როგორს

1 ჩვენ] მე D. 2 ამასვე A. 3 ვიტყვი D. 4 მოკლე BD. 5 დაადვა BD. 6 მოსამართლისა D. 7 მეტი D. 8 შარიგოს AC. 9 მოაჯღინონ BD. 10 აწ ეს] მაგრამე ფიცი ვისი არის ესეც D. 11 თუ ... არის] ასრე რომე D. 12 შეწამებულმან B. 13 შეეცილებოდა BD. 14 ვისასაც ... არის] მამული ვისაც კელთ არის D. 15 იმის არის] მისსა A, მისა BC. 16 სადაც BD. 17 ალაგისა B. 18 და] — ABC. 19 ტყუილად C. 20 + არის D. 21 თვითან ACD. 22 საბატოს BC. 23 აფიცო D. 24 თუ უდაბლე ... უფიცონ] თუ მის უდაბლე აზნაურშვილი უფიცო D. 25 და] — BD. 26 მის C. 27 სოფელიცა ... აფიცონ] იმ სოფელსაც დაედვას ფიცი D. 28 კარგად] — D. 29 თუ] — D.

* ამ მუხლის ტექსტი ABCD ნუსხებში წარმოდგენილია 147-ე მუხლის მეორე ნაწილად, მაგრამ იგი ფიცის ზოგად წესს შეიცავს და მისი ადგილი აქ არის.

ადგილს შესცილებია, რამდენი დღიური არის. ან რამდენი საკომლო არის — ისრე ასწონოს.

იქნების, დღიურზე¹ ერთა მოფიცარა² შევარდეს, იქნების, ორის დღისაზე ერთი შევარდეს³, იქნების, ოთხის დღისაზე ერთი აფიცონ, — კარგ-ავობაზე კვილია⁴.

ვენაჯი არის თუ ფუძე ან⁵ საწისქვილო, ან საბაღე⁶, გამონახვა უნდა, ჭერ ფასი უნდა⁷ დაადვან⁸ და მეომე⁹ ისრე მოფიცარი შეავადონ¹⁰.

⚡ [D 5 v] 13. მოწმით სამართლის ქნა ასე არის, რომე

მოწამე, დიად, სწამთ და იციან უფრო [B 216 v] ბერძენთა, ფრანგთა და რუსთადა, და წმინდა სახარებატ¹¹ ბძანებს, მაგრამე აქ, ქართლში, უფრო [C 438 v] არ განუწესებიათ.

ასრე იციან: კაცმან თუ რასაც საქმეზე ასეთი მოწამე მოიყვანა, რომე იმ მოწამეს¹² ღმრთისა ეშინოდეს, სული იცოდეს, კკუა ჰქონდეს, ან საღმრთო კაცი იყოს¹³, ან სიმართლის¹⁴ კმა ჰქონდეს დავარდნილი და კაცისაგან სანდო იყოს, უნდა დაუჯერონ. თუ არა, — ერთისა და ორის თუ არ¹⁵ ამრიგის კაცის დაჯერება არ დაუწესებიათ¹⁶. და ეს რომ¹⁷ მოგვიკესენებია, ამისთანას კაცს დაეჯერების¹⁸.

და სხვარიგი კაცი თუ არის [A 284 v], ათსა და ოცსა¹⁹, ან ერთპირ სოფელსა, მოწმობას დაუჯერებენ, თორემ ნაკლებს ძვირად გაუგონებენ²⁰.

ზემორ²¹ რომ მოწმე[ქ]ების²² ქება²³ დაგვიწერია, იმგვარი კაცი ორიც რომ მოიყვანოს, მოსამართლემ უნდა დაუჯეროს²⁴ და აღარ აფიცონ²⁵.

მაგრამე მოსამართლემ თუ ტყუილი მოწმობა და მთხრობლობა შეაჩნია²⁶ ვისმე²⁷, დიდი ნასალი უნდა უყოს, რომე სხვამ აღარავინ მიინდომოს.

[C 439 r] 14. ცოდვის მოკიდებისა ასრე არის

დიდი საქმე ცოდვით არ გარდასწყდების, ერთის მარჩილისა ან ცოტა²⁸ უფროსი, გინდა²⁹ უმცროსი, საქმე უნდა იყოს.

მაგრამ იქნების ასეთი კაცი, რომ იმისგან ცოდვის მოკიდება და სულზედ შევარდნა ძროხაზედაც დაეჯერებოდეს.

1 დღიური BD. 2 მოფიცარი მოწამე AC. 3 შევარდეს — BD. 4 ოთხის დღისაზე ... კვილია ოთხისაზედ იქნების ათისაზედ D. 5 ვენაჯი ... ან] ვენახია თუ D. 6 ან საბაღე — D. 7 უნდა — BD. 8 დაადვან D. 9 მერმე] — D. 10 შიავადონ AC, შეავადონ D. 11 სახარება C. 12 მოწამეთ AC, მოწამებს B. 13 იცოს B. 14 სამართლის B. 15 თუ არ] — ABC. 16 დაუწესებათ B. 17 ეს რომ] ესომ ABCD. 18 დაეჯერება D. 19 ოცსა] + და BD. 20 გაუგონებენ] დაუჯერებენ B. 21 ზემორ] ზემო BD. 22 მოწამის D. 23 ქება] + რომ D. 24 დაუჯერონ B. 25 აფიცონ D. 26 შიახნია AC. 27 ვისმე] — D. 28 ცოტად BD. 29 გინდა] ან BD.

და¹ ცოდვის მოკიდება ასრე არის, რომე² კისაც ამგვარი რამ შეეწა-
მოს, იმ კაცმან ის [D 6 r] შემწამებელი კაცი ზურგთ³ აიკიდოს და ასრე
უნდა თქვას: «შენიმც ცოდვა⁴ მეორედ მოსვლას მემცა მაქვს და შენ-
და ნაცვლადამც მე⁵ განვიკითხები, თუ მე ეგ მექნას».

თუ ამრიგად⁶ შესეიძლო, აღარავინ რას ემართლების, და თუ ვერ მო-
იკიდა, რასაც სწამობს⁷, უნდა პასუხი გასცეს⁸.

4 - კარი თეთრის ვარიგებისა

15. ეს⁹ თეთრის ვარიგება ამიტომ დავსწერეთ რომე, [B 217 r] თუ კა-
ცმან [C 139 v] ეს არ იცის, ან შაური, ან უზალთუნი ან აბა [A 285 r] ზი,
ან¹⁰ ასლანი, ანუ¹¹ მისხალი, ანუ¹² ფლური, ანუ¹³ ხუთი აბაზი¹⁴, ან თუმანი
რა ერთი არის¹⁵, სისხლის მიცემაში ვერას გაიგებს, რომე იმდენი სისხ-
ლად¹⁶ გაუჩინონ¹⁷.

პირველს ყამურს თეთრს გიორგაულს ეძახდენ. ის თურმე საქმობდა
სისხლშიაცა და ისრეცა. და ის გიორგაული რა ერთისაც წონა¹⁸ ყოფილა,
იმ ძველს¹⁹ წიგნებში სწერია და²⁰ იმითი იცნობთ²¹.

კიდეც²² ერთი რიგი²³ სხვა თეთრიც ყოფილა, კირმანეულს²⁴ ეძახდენ.

16. ახლა ჩვენი ყამის თეთრი ეს არის და²⁵ ასრე იანგარიშების²⁶:

ოთხი ხაშხაშის მარცვალი ერთი ფეტვის მარცვლის წონა არის,
ოთხი²⁷ ფეტვის მარცვალი²⁸ ერთის ქერის მარცვლის წონა არის,
ოთხი ქერის მარცვალი ერთის ცერცვის მარცვლის წონა არის,
ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დანგი არი [C 440 r].

ერთს²⁹ ცერცვის მარცვალს³⁰ ყირათიც³¹ ჰქვიან.

ექვსი დანგი, გინა ოცდაოთხი ყირათი³², ერთი მისხალი³³ კენების³⁴
ერთი მისხალი ორშაურნახევრის წონა არის.

ორს შაურს ყიზილბაშნი³⁵ უზალთუნს³⁶ ეძახიან³⁷, ურუმნი და
ფრანგნი თინგირს³⁸ ეძახიან.

ოთხ შაურს აბაზი ჰქვიან³⁹; ფრანგნი თულტს ეძახიან.

ხუთი აბაზი ერთი მინალთუნი არის⁴⁰ [A 285 v] და სამი აბაზი—ერთი
მარჩილი⁴¹.

¹ და] — BD. ² ზურგს BD. ³ ცოდვა] + მათ AC. ⁴ მე] — D. ⁵ სწამობენ] A, სწამობდეს B. ⁶ თუ ამრიგად ... გასწერეს] როგორც მოსამართლემ გაუჩინოს ისრე იკი-
დოს D. ⁷ ეს B. ⁸ ან] გინა AC. ⁹ ანუ] ან BD. ¹⁰ აბაზი] + და D. ¹¹ ერთი არის] ერ-
თია D. ¹² სისხლი C. ¹³ გაუჩინოს D. ¹⁴ რა ერთისაც წონა] რის წონაც D. ¹⁵ ძველს] —
D. ¹⁶ და] — D. ¹⁷ სცნობთ D. ¹⁸ კიდეც ACD. ¹⁹ რიგი] — D. ²⁰ კირმანეულს B, კირ-
მანულს D. ²¹ და] — D. ²² იანგარიშეთ D. ²³ ოთხის D. ²⁴ მარცვლის D. ²⁵ ერ-
თის B. ²⁶ ერთს ... მარცვალს] ცერცვის მარცვლის წონას D. ²⁷ ყრათი B. ²⁸ ყრათი B.
²⁹ ყზილბაშნი B. ³⁰ იუზალთუნს B. ³¹ ყიზილბაშნი ... ეძახიან] უზალთუნი ჰქვიან
ყიზილბაშთავან და D. ³² კინგირს C. ³³ ჰქვიან AB. ³⁴ არის] — D. ³⁵ მარჩილია D.

ათი მინალთუნი ერთი თუმანი არის; და¹ ეს ერთი თუმანი [D 6 v] თექვსმეტი მარჩილი და ორი აბაზი იქნების².

ოცდაათს თუმანს ურუმნი ერთს ქისას ეძახიან.

ფრანგულის თეთრის სახელები სხვა არის, მაგრამე აქ, ამ თეთრზე, როგორ³ ეფასებინ, ისრე იქნების.

სამს შაურს ფრანგნი რუმს ეძახიან.

ორი შაურის წონა ოქრო⁴, რომ მისი დალი აქდეს, ერთი ფლური არის⁵. ამ ფლურის⁶ ფასი დრო არის, შვიდ აბაზად ფასობდეს⁷, დრო [C 440 v] არის, შვიდ აბაზ უზალთუნად იყოს⁸, ხან ერთ შაურ ნაკლე-ბადაც⁹ იქნების.

[ქარი სისხლის ბანაჩანებისა]

17. აწ ეს სცანი, მოსამართლევ, გამრიგევ, თუ რასაც ფერს სისხლში რომელს გვარს და რა რიგს კაცს რას საქონლიდამ მიეცემის.

ქართლში მსახლობარი, დიდი თუ მცირე, საღმრთოვანი თუ ერის კაცი¹⁰, რამდენს კეცად¹¹ მაღლად და დაბლად გაგვირიგებია და დაგვიწერია, იმასაც ესევ წიგნი შეგატყობინებსთ და თვითეულად¹² გამცნებსთ¹³.

18. გლეხის კაცის სისხლში¹⁴ ძროხა¹⁵ იყო¹⁶ გაჩენილი, რომე ერთის გლეხის სიკვდილისათვის სამოცი ძროხა იყო გაჩენილი, მაგრამე ჩვენ თეთრად [A 286 r] გაგვიჩენია¹⁷.

ქართლში მაგდენი თეთრი არ არის და ისრევ გლეხის კაცისა და მსახურის სისხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარალი და სახლის საქმარი რკინა, რვალი, — ყველა დ[C 441 r] აიჭირვის¹⁸.

* 19. აზნაურში¹⁹ — მესამედი, თეთრი იყოს თუ ოქრო და²⁰ ვერცხლი დაეჭირვის; და იმ ორს წილში ფარჩა, იარალი, ცხენი, სპილენძი²¹, ძროხა²¹, ცხვარი და ტყვეც დაეჭირვის²².

• [D 7 r] 20. შუათანამ²³ და მის ქვემოთმან თავადმან სისხლის ნახევარში²⁴ თეთრად ოქროდ²⁵, ვერცხლად, ტყვეც და ფარჩად დაუჭიროს²⁶ და, ნახევარში ცხენი, იარალი და სპილენძი დაუჭიროს.

• 21. ამის უმაღლესმან თავადმან და იმ ერთს დიდებულს²⁷ თავს კაცს

1 და]—D. 2 და... იქნების] არის და ორი აბაზი D. 3 როგორც D. 4 ოქროს B. 5 რომ... არის] ერთი ფლური არის რომ ფლურის დალი აქდეს D. 6 ამ ფლურის] ამისი D. 7 ფასობდეს] + და D. 8 იყოს] და D. 9 ნაკლებად A, ნაკლებ C. 10 საღმრთოვანი... კაცი] სამლო კაცი, თუ ერისგან D. 11 კეცად AC. 12 თვითეულად] — D. 13 გამცნებსთ]. გაცნობსთ D. 14 სისხლი D. 15 ძროხათ D. 16 იყოს AC. 17 დაგვიწერია BD. 18 დაეჭირვის D. 19 აზნაურიშვილისათვის C. 20 და] — B. 21 + და D. 22 და ტყვეც დაეჭირვის] ტყვეც უნდა დაუჭიროს D. 23 შუათანას B. 24 ნახევარი D. 25 + და D. 26 ტყვეც ... დაუჭიროს] დაუჭიროს და ტყვეც და ფარჩაც მისის ფასით D. 27 იმ... დიდებულს] ა დიდებულს იმ ერთს D.

გარდაის მისის სახლისშვილმან,—ამათ უნდა დაუქირონ¹ თეთრი, ოქრო, ვერცხლი, ყმა, მამული, ტყვე, იარაღი და რვალი².

¹ 22. სულ დიდებული თავადი რომ დაგვიწერია [C 411 v] იმისთვინ³ გლეხი, ოქრო⁴, ვერცხლი, თვალი⁵, მარგალიტი, მისის ფასით, დაქიროვინების⁶; იქნების, თავისის⁶. ნდომით და რჩევით იარაღი⁴, პირუტყვი და რვალი დაუქიროს⁷.

[A 286 v] 23. არიან ზოგნი თავადნი და აზნაურნი, ძველითგან ტელმწიფეთაგან სისხლის განაჩენები⁸ აქვსთ. იმისი ჩვენ არა დაგვიწერია რა, ამიტომ რომე არიან თავადნი,—მაშინდელ [B 218 r] დიდებაზე ისრევ⁹ მოუშლელნი იყვნენ, და არიან ზოგნი,—ჩამომცრობილ იყვნენ, და ზოგნი მდაბალნი¹⁰—ამალღებულ იყვნენ¹¹.

ამიტომ იმ ძველის განაჩენებით¹², თუ არ მოუშლელის დიდებული-სას. ჩვენ ვერას ვიტყვი. რომლისაც მოსამართლის ქამში [D 7 v] მათი საჩივარი და განაჩენები¹³ მოვიდეს, იმისი იმან იცის.

მაგრამე¹⁴ მე ასრე მგონია, იმ ძველს განაჩენებზე¹⁵ სამართალი ძნელი იყოს. ამიტომ რომე მაშინ ქართველი ბატონიც¹⁶ დიდი ტელმწიფე ყოფილა¹⁷, დიდი [C 412 r] ალაგი სჭერია, და მის თავდასაც მამული და მორკმა ბევრი ჰქონებიათ¹⁸, ამიტომ ის განაჩენები უბოძებიათ¹⁹.

ახლა მაშინდელზე ქართველს ბატონსაც ბევრი ადგილი აკლია და მისი თავადიც მამულზე დამცრობილა, გაყრილა და მისი სიდიდე თვითანვე²⁰ დაუჩაგრავს. იმ განაჩენით ან იმას სისხლი როგორ აელების²¹ და ან მიცემას როგორ შეიძლებს ვინმე²².

რაც ახლა სისხლები გაგვიჩენია, ვეკობ²³, ესეც კმარ იყოს. ესეები, მოსამართლეთ, კარგად გასინჯეთ და გამოიძიეთ²⁴.

როგორც კაცი მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ცინითა²⁵, მონასტრით და²⁶ უფროსის კაცის მოყვასად მოკიდებით ამალღების, და²⁷ სისხლი²⁸ გაუდიდების, ისრე გაყრითა და მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების²⁹.

¹ ამათ ... დაუქირონ] — D. ² რვალი] + დაქიროვინების D. ³ იმისთვინ] იმისგან მამული D. ⁴ + და D. ⁵ დაქიროვინება D. ⁶ თავის D. ⁷ დაქიროს AC, დაქიროს B. ⁸ განაჩენი C. ⁹ ისე B. ¹⁰ მდაბალნი] — D, მდაბალნი A. ¹¹ და ... იყვნენ] — B, იყვნენ] იყოს D. ¹² განაჩენით CD. ¹³ განაჩენი D. ¹⁴ მაგრამ BD. ¹⁵ განაჩენზე D. ¹⁶ ბატონი B. ¹⁷ ყოფილა] + იმასაც D. ¹⁸ ჰქონით B, ჰქონებია D. ¹⁹ უბოძებიათ] უბოძანებიათ B. ²⁰ თვითანვე] — D. ²¹ აელება D. ²² როგორ ... ვინმე] ვინ შეიძლებს D. ²³ ვეკობ] ჩვენ ვეკობთ D. ²⁴ და გამოიძიეთ] — AC. ²⁵ + და D. ²⁶ და] — D. ²⁷ და] — B. ²⁸ და სისხლი] ო სისხლი და AC. ²⁹ სისხლი გაუდიდების ... სისხლიც მოაკლდების] და დამდაბლდების ქუეყნისა და ბატონის მარგებლობით და მახიანლობით თავს იჩენს ისრე სისხლი ედინების D.

³ [A 287 r] 24. ერთი ესეც უწყოდეს მოსამართლემ, რომე, რა დიდი საქმე და დიდრონს¹ კაცში სიკედილი [C 442 v] და რაგინდარა სისხლი მოკლეს, ერთი-მეორის მოყვსობით მოგმარებასა და მიშველებას მეფე² და კათალიკოზი³ ნუ აქნევიანებენ⁴, ნურც ერთს მეორის რბევას და აწყებანებენ⁵.

და ნურცა ვინ მოინდომებს⁶, თორემ მიმშველისა და ასაბიისა⁷ და მარბიელის კაცისა დაგვიწერია და ისრე ჩაივლის და არც შერჩების.

რა ამგვარი საქმე ქვეყანაში მოკლეს⁸, ასრე უნდა:

მათ შუა⁹ გელმწიფი D 8 r] თემ კაცი¹⁰ დაუყენოს, ერთმანეთზე აღარ მიუშვან, კიდეც¹¹ სიკედილი და ღმრთის საწყენი საქმე აღარა¹² იქნას რა [B 218 v], ან რბევა არ დაუწყონ და¹³ გლეხი და მამული¹⁴ არ¹⁵ მოეთხაროსთ¹⁶.

ორნივე დაიბარონ. ებისკოპოზ¹⁷-დარბაისელთ შემოყრით და დახელოებით¹⁸ ჯერ ერთი აჩივლონ¹⁹, ის ააყენონ²⁰, გაიცილონ²¹, მისი²² საჩივარი დაწერილი იქონიონ; მერმე²³ მეორე მოადი აჩივლონ და²⁴ მისი საქმე და საჩივარიც დაწერონ²⁵; ბევრჯელ აჩივლონ, ბევრჯელ გასინჯონ.

ფიცი მოკლეს, თუ [C 448 r] ისრე სისხლი გააჩინონ²⁶, იმ სისხლის²⁷ მესამედი მეფემ და²⁸ კათალიკოზმან იპატიონ²⁹.

აგრე კიდეც³⁰ დარბაისელთ³¹ პატივი დაედების, გასინჯვით, თუ როგორი საქმე არის, ნდომით მომჯდარა ის საქმე თუ უნდომლად,—კარგად გამონახვა უნდა³².

[A 287 v] 25. მეფისა³³ და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერი, ორისავე³⁴ სწორი არის, ამიტომ რომე ერთი ჯორცის გელმწიფე არის და მეორე—სულისა³⁵, კუროთხევა და პატივიც ღმრთისაგან და კაცთაგან³⁶ სწორე³⁷ აქვთ³⁸. დასტურ, მეფეს უფროსს პატივს სცემენ, მაგრამე³⁹ ჯორციელის⁴⁰ შიშით იქმონენ. ამიტომ მათი საქმე ჩვენ სწო-

¹ დიდრონს A, დიდროვანს C. ² მეფეს D. ³ კოზს D. ⁴ აქნევიანებენებს D. ⁵ ერთს ... დაწყებინებებს] ერთი მეორეს რბევას დაუწყებებს D. ⁶ და ... მოინდომებს] — D. ⁷ და ასაბიისა] ასაბიისა AC. ⁸ ა მოკლეს ქვეყანაში D. ⁹ ასრე ... შუა] — D. ¹⁰ + უნდა D. ¹¹ კიდეც ACD. ¹² არ D. ¹³ და] — BD. ¹⁴ და მამული] — D. ¹⁵ არ] — C. ¹⁶ მოითხაროს BD. ¹⁷ ებისკოპოზთ C. ¹⁸ დახელოებით BD. ¹⁹ აჩივლონ D. ²⁰ ააყენოს D. ²¹ გაიცილონ D. ²² მისი] და მისი სიტყვა C. ²³ მერმე] — C. ²⁴ და] — BD. ²⁵ დაწერონ] ისრე ქნან B, მისი ... დაწერონ] მისიც ისრე ქნან D. ²⁶ გააჩინონ] — ABC. ²⁷ ფიცი მოკლეს... სისხლის] და ფიცი დაადვან თუ უფიციად სისხლი გააჩინონ, რაც გაჩნდეს მისგან D. ²⁸ და] — D. ²⁹ იპატიოს AC. ³⁰ კიდეც] + სხვა სხვას B. ³¹ დარბაისელთა B. ³² აგრე კიდეც ... უნდა] იმ ორის წილისგანც მეოთხედი იყოს მეხუთედი თუ მეექვსედი დარბაისელთ იპატიონ გასინჯვით და როგორი საქმე არის იმ გზით D. ³³ მეფის B. ³⁴ რაც ... ორისავე] რაიტაფერ D. ³⁵ გელმწიფე ... სულისა] გელმწიფეა ერთი სულისა D. ³⁶ კაცთაგანც B. ³⁷ სწორედ AC, სწორი D. ³⁸ აქვთ BD. ³⁹ მაგრამ D. ⁴⁰ ჯორციელნი D.

რად დაგვიწერია. თუ არა სჯობდეს, ვინც უკეთ იცოდეს, ჩვენ ნურას გვაბრალებს, იმან დაწეროს*.

[ვის როგორი სისხლი ხდის]

[D 8 v] ნუმცა ვინ იკადრებს და ნუმცა ვის¹ შეემთხვევის ესევეთა-რი², რომელი³ ავნებს გორცსა და უმეტესა[C 44 v]დ სულსა, ნუცა საღმრთო კაცისა და ნუცა სხვათა ძეთა ადამისათა,—რომელსა მე ვგმობ, ესევეთარი.

ნუ თუ⁴ პირველითგანვე სამოთხილამ პირველისა მამის⁵, ადამის, გამომძებლმან⁶, დაუძინებლმან⁷, მარადის მბრძოლმან და⁸ მტერმან, უხილავმან ეშმაკმან თვისითა⁹ მანქანებითა და საბრჭვე-გებითა¹⁰ აღძრას ბუნებანი კაცთანი შურად და კვლად კაცისად¹¹, გინა საღმრთო-განთა ზედან, გინა თუ დიდებულთა¹² და თავადსა ზედან¹³, ანუ თუ აზნაურთა და გლეხთა ზედან, ანუ თუ¹⁴ მამა ძესა და ძე მამაზედა¹⁵, გინა ძმა ძმაზედა¹⁶ და¹⁷ მოყვასი მოყვასზედა,—ესევეთარსა¹⁸ საქმეს შეემთხვიოს¹⁹, მას უკან ამის მეტი აღარა გაეწყობის²⁰ რა, როგ[B 219 r] ორც დაგვეწეროს, ასრე²¹ უნდა იქნას.

: [A 288 r, D 9 r] 26. დიდებულის თავადის²² მთელი სიკვდილის სისხლი—ათას ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი^{23**}.

ამ დიდებულის თავადის ტოლად—მთავარებ[C 44 r]ისკობოზის სისხლი.

ამ მთავარებისკობოზის სისხლზე მეხუთედ²⁴ ნაკლებად—მიტრაპოლი-ტის სისხლი.

• 27. დიდებულს ქვემოთის, შუას თავადის სისხლი—შვიდას სამოცდა-რკა თუმანი^{25**}.

1 ვინ ACD. 2 ესევეთარსა D. 3 რომელი — AC. 4 უმეტესად ... ნუ თუ] სულსა უმეტესად საღმრთოს კაცისა ნუმც იქნების ესე კაცთაგან უკეთუ D. 5 პირველისა მამის] — D. 6 გამომძებლმან D. 7 + და D. 8 და] — D. 9 თავისით C. 10 საბრჭვე-გებითა] საფრგისა დაგებითა D. 11 ბუნებანი... კაცისად] კაცი საკუდავად და საოდ D. 12 დიდებულსა B. 13 თავადსა ზედან] თავადზედ B. 14 თუ] — B. 15 მამაზედა] მამასა ზედა C. 16 ძმაზედა] ძმასა B. 17 საღმრთოგანთა ზედან ... და] საღმრთოს კაცზედა გინა დიდებულზედა გინა თავადსა და აზნაურთა გინა გლეხთა ზედა ანუ მამა ძეზე და ძე მამაზედა ძმა ძმაზედა D. 18 ესევეთარს AC. 19 შეამთხვიოს D. 20 გაეწყოზა D. 21 ისრე B. 22 + სისხლი B; 23 ხუთას ოცდათექვსმეტი თუმანი] სამას ოთხმოცდახუთი თუმანია და ექვსი მინალთუნი D. 24 მეხუთედი C. 25 შვიდას სამოცდარვა თუმანი] ექუსას ოთხ-მოცდა ორი თუმანი და ექვსი მინალთუნი D;

* აქ D ნუსხის მე-8 r-ს ბოლო ჩამოჭრილია, ისე რომ ტექსტი დაზიანებული იარ არის; 8 v გვერდი სინგურით ნაწერი ასეთი სათაურით იწყება: „ქ. აწ ეიწყეთ კარო თუ ვის როგორი სისხლი ხდის“.

** ACD ნუსხებში ამ მუხლის ტექსტი აქამდე დაწერილია სინგურით.

ამასთან, ასრე, — დიდებულის სახლისკაცის სისხლი.

ამასთან¹, ასრე, — ებისკოპოზის სისხლი.

28. ამას ქვემოთის², მესამეს თავადის სისხლი — სამას ოთხმოცდა-
ოთხი თუმანი^{3*}.

ამასთან, ასრე, — არქიმანდრიტის⁴ სისხლი.

29. გადიდებულის აზნაურის სისხლი — ასოთხმოცდათორმეტი თუ-
მანი^{5*}.

ამასთან, ასრე, — წინამძღვრის სისხლი.

30. ამას ქვემოთის, შუას აზნაურის⁶ სისხლი — ოთხმოცდათექვსმე-
ტი თუმანი^{7*}.

[C 444 v] ამასთან⁸, ასრე, — მღვლე-მონოზნის სისხლი.

[D 9 v] ამასთანავე, ამის მეხუთედ სისხლ⁹—დაკლებით, — მწირის მო-
ნოზნისა¹⁰.

ამ შუას აზნაურის მთელის სისხლის ტოლადვე — დიდებულის დიდ-
ვაჭრის მოქალაქის¹¹ სისხლი.

[A 288 v] 31. ცალმოგვის, მესამეს აზნაურის¹² სისხლი — ორმოცდა-
რვა თუმანი^{13*}.

ამასთან, ასრე¹⁴, — მღვლის სისხლი¹⁵.

ამასთან, — დიდებულის ვაჭრის¹⁶ ქვემოთის, მეორეს ვაჭრის სისხლი.

32. ამასთან, ასრე, დაკლებით¹⁷, მსახურის სისხლი — ოცდაოთხი*^{18*}
თუმანი^{18*}.

ამასთან — მთავარდიაკვნის სისხლი.

ამასთან — შუას¹⁹ ვაჭრის ქვემოთის²⁰, მესამესა²¹ ვაჭრის სისხლი.

33. გლეხის კაცის²² სისხლი — თორმეტი*** თუმანი*.

[C 445 r] ამასთან — მეოთხეს²³ ვაჭრის სისხლი.

¹ ამასთან] კიდე ამრიგად D. ² ქვემოთ AC. ³ სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი] სამას ორმოცდა ექვსი თუმანი და ოთხი მინალთუნი D. ⁴ არქიმანდრიტის AD. ⁵ ას-
ოთხმოცდათორმეტი თუმანი] ას სამოცდა ცამეტი თუმანი და ორი მინალთუნი D.
⁶ აზნაურშვილის D. ⁷ ოთხმოცდა თექვსმეტი თუმანი] ოთხმოცდაოთხი თუმანი და
ექვსი მინალთუნი D. ⁸ ამას C. ⁹ მეხუთედ სისხლ] მეხუთედის სისხლის D. ¹⁰ მონოზ-
ნისა] მონოზნის სისხლი D. ¹¹ დიდვაჭრის მოქალაქის] მოქალაქისა და სხვას ქალაქე-
ბის ვაჭრის D. ¹² აზნაურშვილის D. ¹³ ორმოცდარვა თუმანი] ორმოცდა სამი თუმანი
და ორი მინალთუნი D. ¹⁴ ასრე] — D. ¹⁵ + აგრევე D. ¹⁶ დიდებულს ვაჭარს AC.
¹⁷ ამასთან ... დაკლებით] — D. ¹⁸ + და რვა მინალთუნი D. ¹⁹ ამასთან შუას] ამას-
თანავე შუათანას D. ²⁰ ვაჭრის ქვემოთის] ვაჭარს ქვემოთ AC. ²¹ მესამესა] — D.
²² კაცის] — D. ²³ მეოთხის C.

* ACD ნუსხებში ამ მუხლის ტექსტი აქამდე დაწერილია სინგურით; 33-ე მუხლის
დანარჩენი ტექსტი D-ში არ არის.

** D-ში აღრე წერებულა „ოცდაერთი“, რაც ხაზგადანმულია და ტექსტის ხელით
ჩაწერილია „კლ“ (24).

*** D-ში აღრე წერებულა „ათი“, რაც ხაზგადანმულია და ტექსტის ხელით ჩა-
წერილია „იბ“ (12).

ეს ასრე არის გარიგებული: გლეხის სისხლზე ერთიორად მსახურისა არის, მსახურზე ერთიორად—ცალმოგვი¹ აზნაურისა, ცალმოგვზე ერთიორად შუას აზნაურისა², შუას აზნაურზე³ ერთიორად—დიდის აზნაურისა⁴, დიდს აზნაურზე⁵ ერთიორად—დაბალის⁶ თავადისა, დაბალს⁷ თავადზედ ერთიორად—შუას თავადისა, შუას თავადზედ ერთიორად—დიდებულისა.

სხვა საღმრთო კაცისა და ვაჭრისა თან უწყერია.

[A 289 r] მეფისა, კათალიკოზისა და უფლისწულისა არა დაგვიწყერია რა.

34. ეს სისხლის განაჩენები⁸ რაც დაგვიწყერია, ძველად დადებული⁹ დაგვიწყერია, თორემ¹⁰ სხვისა არა დაგვიერთავს¹¹ რა.

მაგრამე ზოგნი არიან ჯელმწიფის მოკვლენი, საქვეყნოთ თუ კარზე¹² [C 445 v] გამრიგეთ, იმათი სიკედილი და ქრილობა რომ მოკვდეს ვისგანმე¹³, იმათ¹⁴ სისხლი დიდებულთანაცა სდისთ¹⁵, თავადთანაცა და აზნაურთანაც¹⁶.

ვისაც ეამში მოკვდეს, გვარობის სისხლს საჯელოს სისხლიც უედ დაურთონ და ისრე გაუჩინონ¹⁷.

ესეცა არის. მოკვლე თუ სხვა ბატონის წარვლენილი¹⁸ ყმა ბატონის სამსახურზე მოუკლავთ. იმისი კიდევ მეტი არის, თუ ჯელმწიფემ იმ მქნელს არ უწყრომა. და თუ უწყრომა რამე¹⁹. ის გვარეულობისა და საჯელოს სისხლი რაც გაუჩინდეს, ის აკმარონ²⁰.

[D 14 r] 35. დიდებული თავადი ეს არის:

გაუყრელი ერთი თავი თვითონ²¹ არაგვის ერისთავი²²,

გაუყრელი ერთი თავი თვითონ ქსნის ერისთავი,

გაუყრელი ერთი თავი თვითონ ამილახო [C 446 r] რი,

გაუყრელი ერთი თავი თვითონ²¹ ორბელიშვილი,

როსცა გაუყრელი ყოფილა, — ციციშვილიც ამათთან²².

¹ ცალმოგვის B. ² აზნაურშვილისა AC. ³ აზნაურშვილზე AC. ⁴ მდაბლის C. ⁵ დაბლის B. მდაბალს C. ⁶ გაჩენაები D. ⁷ დადებული განაჩენი AC. ⁸ თვარა AC. ⁹ დაგვიწყერია D. ¹⁰ ა კარზედა თუ საქვეყნოთ D. ¹¹ გამრიგეთ ... ვისგანმე რომე თუ იმათ სიკედილი და ქრილობა რამე შეემთხვიოს D. ¹² იმათი BD. ¹³ სდის BD. ¹⁴ ეს D. ¹⁵ გვარობის ... გაუჩინონ] გასინჯოს თავის მოხელის საქმე და სისხლი ისე გაუჩინოს D. ¹⁶ წარვლენი A. ¹⁷ რამე რომე C. ¹⁸ ესეცა არის ... ის აკმარონ] მაგრამე ეს უნდა: თუ იმ თავის სახელოს სამსახურზედ და მეფეთ საქმის რიგებისათვის მომკვდარა, მისის სისხლი და საქმე სხვარის. და თუ თავის საქმეზედ მტერს მოუკლავს ან მამულისათვის ან სხვას ამგვარის საქმისათვის. მაინც კიდევ მეფეთ კარის მოჭელობისათვის ძეგო სისხლი გაუჩინოს, ვით პატრონს მოაჩინდეს D 10 r, 1-5 სტრიქ. ¹⁹ თვითონ ACD. ²⁰ გაუყრელი ... ერისთავი] ერთი თავი თვითონ არაგვის ერისთავი გაუყრელი AC. ²¹ თვითონ] — ACD. ²² ციციშვილიც ამათთან] ციციშვილი AC.

ამათთან კი არა და, სომხითის მელიქიც ითქმის¹*

ამათ გარდაისად² ამათსავე სახლის კაცებს ამათთან სისხლი არა [A 28v] სდის, — სხვა უფროსი თავადი რომ დაგვიწერია, დიდებულის ქვეითი, იმათოდენ³ სისხლი ედინების.

⁴ [D 10 v] 36. აწ ეს ვიწყოთ. უკეთუ მოიკლას დიდებული და მკვლელი მისი¹ გამოჩენით² იყოს, დიდი [B 220 r] კაცი იყოს თუ დაბალი, მეფის აზნაური თუ თავადის აზნაური³, მოკითხული ქენით, თუ⁷ რასთვის მოუკლავს.

თუ ამხანაგი არის ის დიდებულის მკვლელი დიდებულისა⁸ და გამო- [C 44v] ჩენილი სისხლი მართებია და მისთვის მოუკლავს, ეს ნამართე- ბი სისხლიც გაუსინჯეთ და იმ ახლის მკვდრის სისხლიც გასინჯეთ⁹ და¹⁰ შეადარეთ; რაც ნამართებმან სისხლმან შეიფარდოს¹¹, ჩაარონინეთ; და რაც მეტი დარჩეს, მიაცემინეთ.

და თუ კიდევ¹² სხვამ უმდაბლემ¹³ დიდებულის ქვეითი¹¹ მოკლას, მისი სამართალიც ამავე¹⁵ მიბაძვით, ასრე უყავით.

და თუ სულ სიტყვა არა აქვს რა და ისრე მოუკლავს, სისხლები ხომ სწერია, და როგორიც კაცი მოუკლავს, ისრე¹⁶ გარდაუჯადოს¹⁷.

37. თუ მკვლელი არა ჩანდეს და ერთს კაცს მთხრობლით თუ ცილით შესწამონ, უნდა მოსამართლემ შემოიკითხოს, თუ რას გზით სწამობენ და რა არის მიზეზი, როგორ უქნიათ, რაგვარათ მოუკლავთ, — ესეები ათქმევიანონ¹⁸. და თუ ამგვარის გამოკითხვით და ძებნით შეაჩნიონ¹⁹, როგორც გვი[A 290 r]თქვამს, ისრე²⁰ უნდა გარდაიჯადოს.

[C 44r] თუ ამით ვერ გატეხონ²¹ და დიდებულის კაცის სისხლს უმ- ცროსს ცილით სწამობდეს. ასეთს, რომე იმ²² უფროსის კაცის ყმის ყად- არი იყოს ანუ²³ მეფის აზნაური იყოს, იმაზედ ან მდულრით ან შანთით თავი იმართლოს.

და²⁴ თუ ან უმცროსი ამხანაგი იყოს და ან ტოლი, ფიცი დაადონ²⁵.

[D 11 r] მაგრამე ფიცის დადება²⁶ ასრე უნდა: თუ დიდებულით ფიცი

200. თუ ერთიმეორის ყმა ერთმანეთს მიუვიდეს და თავი ნასყიდად დაუწეროს, [B 242 v] ან იმ მებატონემ იმ⁴ გლეხკაცს ან ვალი გარდაუწყვიტოს და ან შიმშილობაში გამოკვებოს, და დავთარში ჯერ* [D 44 r] არ დაწერილიყოს ამის სახელზედ⁵, და ისრე ის პირველი მებატონე წამოედლოს, — რაც ამ ახალს [C 495 v] ბატონს იმაზე⁶ ხარჯი ექნას, ის პასუხიც უნდა მისცეს, და რაც ამ გლეხს კაცს ამ ახლის ბატონის კელში მოუგია, იმისი ნახევარიც⁷ ახალს ბატონს უნდა⁸ მისცეს⁹.

და თავისი ყმა თავის ძველს ბატონს უნდა მიეცეს.

უწინ, რაც ამ¹⁰ ახლის ბატონის [A 327 r] კელში მოუგია¹¹, ჯერ იმისი¹² ნახევარი უნდა მიეცეს¹³ ახალს ბატონსა და მერმე, რაც თავისი დაეხარჯოს, იმისი პასუხიც ცალკე უნდა მისცეს¹⁴.

თუ ამაზედ ვერ შერიგდენ, რომე «ამის მეტი არა მაქვსო», იმ გლეხმა ფიცით უნდა შეიჯეროს.

201. თუ აქადამ¹⁵ აყრილი გლეხი სხვის¹⁶ საბატონოში წავიდეს, თუ იქ ექვსი წელიწადი დაყო¹⁷ და ისრე კელმწიფეს¹⁸ ყმად¹⁹ მოუვიდა²⁰, თუ უნდა, მისცემს კელმწიფე და, თუ უნდა, არ მისცემს, კელმწიფეს გუნებაზე ჰკილია.

ეს ამიტომ დავწერეთ, რომე ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა, ექვს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა, კელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგება²¹.

1 მიუვიდეს AC. 2 მოიკითხოს B. 3 ვერ B. 4 იმ] — C. 5 არ ... სახელზე] ან ამის სახელზე არ დაწერილიყოს D. 6 იმაზე] იმ კაცზე D. 7 ნახევარი B. 8 უნდა] — AC. 9 ახალს ... მისცეს] ა უნდა ახალს ბატონს მისცეს BD. 10 ამ] — AC. 11 მოუგოს AC. 12 ამისი ACD. 13 მისცეს AC. 14 მისცენ D. 15 აქადამ D. 16 სხვის D. 17 დაყო BD. 18 კელმწიფის BD. 19 ყმად] — AC. 20 მოვიდა A, მოვიდა BD. მიუვიდა C. 21 დაგეკარგებათ B.

* აქამდე D ნუსხას აკლია ტექსტი.

[C 496 r] 202. თუ საბატონოს კაცის შვილის ყმა¹ სხვას საბატონოში წავიდეს, თუ ოცდაათი წელიწადი იქ დაჟოს² და ისე მოვიდა და სხვას კაცს ეყმო, ველარას შეუა.

თუ ნაკლები დაჟო და ისრე მოვიდა, ვერავინ შეეცილება, ისრევ თავის ძველს ბატონს უნდა მიეცეს*.

მაგრამე თრიალფთზე, ქართველის ბატონის სახასოში, თორმეტის წლის წასული რომ მოვიდეს³, აღარ მისცემენ.

— [A 327 v] 203. გლეხის კაცის ცოლი⁴ რომ დაქვრივდეს, მისი მკობატონე ქვრივს ძალად ნუ გაათხოებს, — ვინც ქვრივს უბლოდეს, ის შეირთოს და თუ არ უბლოდეს, თავის ობლებთან იყოს.

და თუ ნებით შეირთოს ვინმე, თავის მონდომებული, იმ ქვრივის წამყვანმა ავს ქვრივ [B 243 r]სა და კარგს ქვრივზედაც კარი და მარჩილი მისცეს⁵; მეტს ნურც ის მებატონე და ნურც მოურავი ნულარასა⁶სთხოვს.

თუ ვაჟი ობოლი გაჰყვეს, გაზარდოს და მის ბატონს⁶ მოჰგვაროს.

თუ ქალი ობ [C 496 v]ოლი დარჩეს, თუ უნდა, ქვრივმან გაზარდოს და დაასახლოს; და, თუ უნდა, მისმა ბიძებმა და მოყვრებმან გაზარდონ და გაათხოონ, — მებატონე მუახლედ ნუ მოინდომებს.

თუ სულ დამზრდელი არავინ გააჩნდეს⁷, ის ობოლი ქალებიც მისმა ბატონმა დაზარდოს; და თუ⁸ დაათხოვს, ხომ კარგი იქნება, თუ არა⁹, მუახლედ ჰყვანდეს.

204. გლეხის გაყრა ასრე არის

დარბაზი დერეფნით უფროსისა არის.

კალო-საბძელი — უმცროსისა.

ღვედი, სახნის-საკვეთი, გუთნის იარაღი — გუთნის დედისა.

ცხვრის ქვაბი, ერკემელი¹⁰, რაც არის, მეცხვარისა არის.

ქმალი, თოფი, ცხენი და იარაღი მსახურისა არის.

სხვა მამული ძმაზედ¹¹ გაიყონ და რჩომა — მწყემსზედ.

[ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ე ა]

[C 328 r, C 497 r] თვით თავით თვისით აღმომეტყველი წიგნისა ამის სამსაჯულოსა და მომღებელი წინაშე ყოველთა მყოფთა და ყოფადთა, ძე მეფეთა და განმგებელი ქართველთა ერთთა ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი¹¹ ვ ა ხ ტ ა ნ გ * *, კუალად ვიტყვი თქვენდა.

¹ ყმა) + აიყაროს და D. ² დაჟო BD. ³ მოუვიდეს BC. ⁴ ცოლი ქვრივი ABC.

⁵ მისცეს) გამოართვას ABC. ⁶ პატრონს C. ⁷ გააჩნდეს) დარჩეს C. ⁸ და თუ) — B.

⁹ ხომ ... არადა) კარგია თორემ B. ¹⁰ ერკემალი C. ¹¹ ძმებზედ C. ¹² ბაწონიშვილი A.

* აქ წყდება D ნუსხის ტექსტი.

** ABC ნუსხებში ბოლოსიტყვა აქამდე დაწერილია სინგურით.

ეპა, წარჩინებულნი და ღმრთისა ერთ-უფლებისა და სამთვითების გულმკურღლად მადიდებელნი და შეუორგულებულნი საკუთარნი მამანო¹—კათალიკოზნი, ეპისკოპოზნი, მიტრაპოლიტნი, წინამძღვარნი, მღვდელნი და სხვანი საღმრთოვანნი, და შემდგომად ჩვენთა მეფენო, უფლისწულნი, დიდებულნი, თავადნი, აზნაურნი და ყოველნი მყოფნი ქართლისანო², რომელნი ჰგებთ და კვალად სხვანი [ეგებოდეთ, და იხილევდეთ ნაღვართა და წერებულთა წიგნთა ამათ სასამართლოთა, ჩვენ მიერ თქმულთა და თქვენდა მომართ მოღებულსა, პირველვე დასაწყისმან წიგნისა ამისამანვე გამცნოსთ და მუნვე მოგიხზრასთ, თუ ვი[C 497 v]თარ მიზეზ ვექმენით აღწერად თვითოეულად სამართალთა.

ფრადითა შრომითა და მრავლისა გამოძეიებლობითა თვით ვიგულსიმოდგინეთ, რომელსა³ ზედა⁴ მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულლობით საღმრთოთა და გინა სამკედროთამან, ბრძენმან და მონახულმან, ყოველმანვე ერთბამად, და ესე ესრეთ არს შემზადებული.

ხოლო სხვანიც ზემორე ხსენებულნი [A 328 v] წიგნები სასამართლონი დიდთა სამეფოთანი მოვიძიეთ და მოვიღვეით, და მრავლის სასჯელითა ვიდრე წელთა მეორედმდე გარდმოვთარგმნეთ⁵, და იგინიცა უკლებელად⁶ აღგვიწერიეს და არს შემკობილი ყოვლისა სამართლითა.

არამედ, ვინათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე⁷ არს და არა მიჰგავს სხვათა ქვეყნისა⁸ რიგთა და ქცეულებათა, სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლა და სიკვდილი, სხვა არს ლალატი და უკადრასი, ამაღ ესევითარისა სამართალნი სხვათა განაჩენთა შინა მოკლელ⁹ იპო[C 498 r]ების და მათი წიგნი უფროს ჩვენდა უკმარ არს.

ნუ სიქადულად შემირაცხავთ და ვგონებთ¹⁰ უმჯობესად ყოველთასა წიგნსა ამას, სასარგებლოდ ქვეყანისა ამისად,—ამად ნურავინ სძულობს და იუნდოვებს.

აწ ვიჯები ყოველთა და ისმინონ ესე. რომელმან ბრძენმან და გულსკმის-მყოფელმან მსაჯულმან¹¹ და მოსამართლემან აღმოკვეთისათვის ქრთამთა¹² და მიუღდგომლობისათვის მოყვასთა და თვალუხვად¹³ სჯათა წვრთილებისათვის იმძულვაროთ წიგნი ესე და მოიძავოთ, და ინებოთ შეცვლა სამართალთა სხვებრ რათამე, ამას ნუ ჰყოფთ, ნურც გარყვნით წერილთა ჩვენთა, რომელი აღგვწეროს.

არამედ რომელმან უმჯობესი სიბრძნით თვისით [A 329 r] ჰპოოს, იგი ჩართვით, თვისივე თქმულად, საღ ენებოს, მუნ დაწეროს და იგიც ეგოს.

¹ მონანო AC. ² ქართლისანო] ქართლისა და კახეთისანო C. ³ რომლსა A. ⁴ ზედან AC. ⁵ გარდამოვთარგმნეთ A. ⁶ უკლებლივ C. ⁷ რამე C. ⁸ ქვეყანისა AC. ⁹ მოკლებით AC. ¹⁰ ვგონებთ C. ¹¹ მსაჯულმან]—B, მსაჯულმან C. ¹² ქრთამითა B. ¹³ თვალუხვად B.

მკანს იგი სწოეთი იაკე თქუილოდ სუა ვიქმნე პუც დ
 აქეონს ქ იუც ვეს სუა მწეოდან არ მძინს ვედიან

ა ქე ქ ვეპარს სმარაი

ქი ზეი მკეძარ ვე

ვლთეს ვეიუა ს

ვეა ვიერ ივ

მეცა ქს

აქე

ს

არ ვაი ქს ვინ ვინ

ქ მ ვახტანგის სმარაონს ზეის მთე ქეძმარს ქ მ მსოი აფარდევ სე

თან მითი მყოფებზე ქმედილი არა მძი ქაინებულ თუც სმ

თავი ქმეძმარს ქ თამარის მკრებდარ მ ზეის ვახტანგს ქ ლაინი

ვ ქმეძმარს ზეიქ სე ვეცა ქმეძმარს მკრებდარ სე მკრებდარ სე

ს მკრებდარ თე ვეცა ქმეძმარს მკრებდარ ქ ლაინს ქმეძმარ

თავი მკრებდარ სმარაონს აქ ქმეძმარს თეი მკრებ თე თეიქმარს ვე სე

მეცა ვე მკრებდარ ვე ქმეძმარს ქ მკრებდარ თეიქმარს სმარაონს ქმეძმარ

ქ მ სმარაონს მ ზეის მკრებდარ სმარაონს ქმეძმარს ვე ქმეძმარს

ქმეძმარს მკრებდარ მ სმარაონს ვე ქმეძმარს ქ სმარაონს მკრებდარ

ქმეძმარს მკრებდარ მ სმარაონს ვე ქმეძმარს ქ სმარაონს მკრებდარ

ბოლო რომელმან არა ისმინოს ვედრება ესე და მოშალოს სამართლები ჩვენის¹, სხვებრ შეეცალნეს, ცოდვათა ჩვენთა მი[C 498 v]ერ იგიმცა დაისჯების*.

205. თუ ვითარ ჯამს დაწერა განაჩენისა^{2**}

[C 499 r] ქ. ამ შეკრებულის სასამართლოს წიგნისა ასრე იქნებოდეს და ამ წესით იქმარდენ.

ერთის ჩანთით, მდივანბევისაგან დაბეჭდილი, სალაროში ებარებოდეს.

როდესაც სასამართლოდ დასხდებოდენ და მოჩივარს აჩივლებდენ, ამ წიგნს გამოიტანდენ და მდივანბეგი გავსნიდეს. მდივან[B 244 r]ს წინ ელვას, კითხულობდეს.

მოჩივარმან რომ³ იჩივლოს, მათი საჩივარი რომ გაიგონონ და საგანაჩენოდ მიიყაროს და განაჩენს წერა დაუწყონ, ორისავე მოჩივრის საჩივარი უნდა დაწერონ; ფიცი მოკდეს თუ უფიცრობა, გინა სისხლი, გინა ბოზობისა, გინა ქურდობისა და რომლისაც ნივთის სამართალი დაიწეროს, ის სამართალი ამ წიგნის რომლისაც სამართლიდამ დაიწეროს, განაჩენშიაც ასრე⁴ ჩასწერდენ: «ამა და ამ მოსამართლის განაჩენისა და სამართლიდამ⁵, ამდენის თავიდამ ეს სა[A 329 v]მართალი გავაჩინეთ».

ამიტომ რომე, როდესაც ან ამ უამად და ან⁶ ბოლოს, მოჩივარმან როდესმე თქუას—[C 499 v] «ქრთამითა და მიდგომითა მოსამართლემ უსამართლო მიყოო»⁷, მაშინ განაჩენსა და ამ სამართლის წიგნსა შეამოწმებენ და აქედამ ნასამართლი იქნების და ველარავინ იუარებს.

მერმე არის და მოსამართლეს აღილათს⁸ ვერავინ დაუტყერს.

და ვერც ეს მოსამართლენი, თუ არ ამ წიგნში წერებულს, სხვას მონებულს სამართალს ვერ გააჩენენ.

როდესაც სამართალი გარდასწყდებოდეს, წიგნს ისრევე მდივანბეგი დაბეჭდედეს და სალაროში მიაბარებდეს.

¹ ჩვენი] -! და C. ² განაჩენისა] -! აქ გასინჯეთ და სცნობთ C. ³ რომ] — C. ⁴ ისრე C. ⁵ სამართლისა B. ⁶ ან] — AB. ⁷ მიყოო A. ⁸ აღილათს] დალათს AB, და ლათს C.

* აქ მთაერდება სამართლის წიგნის თავდაპირველი ტექსტი ABC ნუსხებში. A-ში აქედან ბოლომდე ტექსტი გადაწერილია ამავე ნუსხის საძიებლის გადამწერის (სოლომონ მაღალაძის) კალიგრაფიული ხელით. ზოგიერთი მუხლი (207^ა, 262, 263, 270) ჩაწერილია ვახტანგის ხელით.

** B ნუსხაში ეს სათაური მიწერილია მარცხენა აშიაზე ამ მუხლის დასაწყისის სტრიქონების გასწვრივ, C-ში კი დაწერილია სინგურით:

206. ქ. მამულისა თუ რასაც ფერის განაჩენი რომ იყოს კელმწიფისაგან გასამართლებული თუ სხვის¹ მოსამართლისაგან გაჩენილი, ის მეფე და მოსამართლე რომ გარდაცვალებულიყოს და ბოლოს ის განაჩენი მოიტანონ და არც ის საქმე გარიგებულყოს, და იმ მოლაპარაკეს ის მამული თუ სადაო ისრევე კელთ ეჭიროს და «აშოროს» ამბობდეს, — «ეგ განაჩენი ჩვენთან სა[C 500 r]ჩივრით სამართალში არ არის დაწერილიო და ტყუილად გასინჯვით მართო თქვენ აგილიათო», — თუ იმავე მეფის დროს მოვიდეს ის ლაპარაკი, მეფემ მოსამართლეთა და² დამწერთ უნდა უწყინოს და გარდააჯდევინოს, შეეთომით განაჩენი რატომ დააბეჭდინეს³.

თუ აღარ ცოცხალან, და რაღა გაეწყობის, — ვისაც მამული თუ სადაო რამე კელთ უჭირავს, ფიცი იმისი არის.

მაშინ, რომ მაკსოვარი აღარ ცოცხალ იყოს, ეს მაშინ უნდა, თორემ, რომელსაც მაკსოვარი ეშობების და სწორე შეიტყობის, ის არ მოიშლების.

[A 330 r] 207. ქ. მიბარებულისა რასაც ნივთისა და გინა⁴
ნათხოვრისა ასრე იქნებოდეს

თუ ასრე [B 244 v] პირობა დაუდვას ან წიგნით, ან მოწმით, ამგვარად ინდოს, რომე, «ან მტრის დასხმით, ან ცეცხლით, ან წყლით, ან მოპარვით, რასაც ფერის⁵ დამარცხებით თუ ჩემსასაც არა დაუდმარცხდა რაო, [C 500 v] არც არას შენსას დაუდმარცხებო», და მერმე ამ მიმბარებელს და⁶ მენათხოვრეს ერთის რისაც დამარცხებით თავისი წაუტა და და ეს სხვისაც, — არას ემართლებიან.

იქნების, რომ არ უჯეროს, «შენი არა წამყდარა რაო და ჩემი უნალველობით დაჰკარგე და წამიკდინეო», — ფიცით შეიჯეროს, როგორიც საქონელა ყოფილაყოს, იმრიგის მოწმით, როგორაც მოსამართლეთ გამონახონ.

თუ თავისი არა წაუტა რა და მიბარებული და ნათხოვარი წააყდინა, უკლებლად უნდა მისცეს ისივე თავნი.

[207¹]. იქნების, უწიგნოდ, უპიროდ კაცმა კაცის საქონელი მიიბაროს და ან ინათხოვროს, რასაც მიზეზით უნდა წაუტდინოს⁷, არას ემართლების, თავისი თავნი უნდა უკლებრივ მისცეს, — თვინიერ ცეცხლითა და ლაშქრით, ქურდითა და წყლით; თუ ამ ოთხში ერთ-ერთითაც არის წაყდენია, თავად თხოვნა არა მართებს მიმბარებელს; და თუ

¹ სხვის] — C. ² და] — C. ³ დააბეჭდინეს B, დააბეჭდინეს C. ⁴ გინა] ან B. ⁵ ფერით B. ⁶ და] — C. ⁷ წააყდინოს C.

სთხოვოს, სულ აღარ მიეცემის. ნახევარი უბჰკონ, ამიტომ რომე უნებური საქმე [C 501 r] წაქიდებია.

[207²]. კაცს რომ კაცის რა გინდა რა საქონელი ებაროს, ვისაც¹ აბარია², იმას რომ თავისი ბატონი³ გაუწყურეს და აიკლოს, და ის მიზარებული საქონელიც⁴ თან გაატანონ, იმისი⁵ ასრე იქნას:

თუ დასთმოს იმ კაცმა მოყვრობით და მეზობლობით, რადგან რომ იმისთანა ზიანი მოსვლია და წამჯდარა ბატონის წყრომით, და საქონლის პატრონმა აღარა⁶ სთხოვა, კარგია; და თუ სთხოვა, უნდა მისცეს, თავისას არას ემართლების.

[207^{3*}] ქ. იქნება, რომ კაცს კაცისა ებაროს რამე, რა გინდა რა ფერი, და უთხრას პატრონს—«გამაცალეო», და არ გააცალოს, და მერმე ან დაეკარგოს, ან მოჰპარონ, ის მიმბარებელი⁷—თუ ცოტას რასმე შეუა, თორემ სხვას ვეღარას⁸ სთხოვს, ამიტომ რომე, ის [რ]ოჰ უთხრა, რატომ არ გააცალა?

თუ წაყვანა არ უთქვამს და ისრე დაუკარგა, თავისი თავნი მისცეს.

[A 330 v, C 501 v] 208. ქ. კაცმა რომ კაცს მიაბაროს რამე, და მას კაცს ცოლი ჰყვა [B 245 r]ნდეს და ის კაცი მოკვდეს, და თუ მას მის ცოლთან შვილი დარჩეს, ის, რაც რომ მამას იმის ბარებია, იმ შვილს ეთხოვების.

და თუ შვილი არ დარჩა და მართო ცოლი დარჩა, თუ იმ ანაბრისა კელთა ჰქონდეს რამე, იმ დედაკაცს მიაცემინონ.

თუ დედაკაცი მოკვდეს და კაცმან ცოლი სხვა შეირთოს, და მეორეს ცოლს უკან ის კაციც მოკვდეს, თუ შვილი დარჩეს მეორეს ცოლთან, მეორეს ცოლთან მიცემულ შვილსაც ეთხოვების, ვისიც რა მამას იმის ბარებია.

და თუ შვილი არა დარჩა, მას დედაკაცს კი არ ეთხოვების.

თუ, ვინ იცის, თავის მზითევსა და ნიშანს გარდა სხვა ნამეტნავი საქონელი იმ ანაბრისა ქონდეს⁹ და მართლა გამოჩინდეს, ის კი უნდა მიეცეს¹⁰ თავის საქონლის პატრონსა.

209. ქ. კაცს რომ კაცის საქონელი ბარებოდეს რამე, მიმბარებელიც და საქონლის პატრონიც ორნივე მიცვალებულიყვენ, ამისი ასრე უნდა [C 502 r] იქნას:

თუ შვილი დარჩომოდეს შემნახავსა, იმ საქონლის მომდევარს პასუხი შვილმან გასცეს; თუ არადა, შვილი არ დარჩომოდეს, ვინც იმ კაცის საქონელს დაპატრონებოდეს, პასუხი იმან¹¹ უნდა გასცეს.

¹ ვისაც |— რომ B. ² აბარია | მიაბარა C. ³ რომ თავისი ბატონი | ა თავისი ბატონი რომ B. ⁴ საქონელი C. ⁵ ამისი B. ⁶ აღარა | არა B. ⁷ მიმბარებელი C. ⁸ ვერას C. ⁹ ქონდეს | — C. ¹⁰ მისცეს B. ¹¹ მან B.

* ეს მუხლი A ნუსხაში მიწერილია თვითონ ვახტანგის ხელით.

იქნების, რომ შვილი დარჩეს და მისმა ბატონმა გასცეს და დაფანტოს, იმ საქონლის პატრონს პასუხი მებატონემ უნდა გასცეს.

210. ქ. თუ კაცმა კაცი ინათხოვროს და თუ მოკვდეს, ვერას შეუა, თუ არადა, მიზეზი არა არის რა, უნდა მისცეს თავისი პატრონსა მისსა, როსაც სთხოვს¹, ამისთვის [რომე], თუ არ ღებობდა, რატომ პატრონს არ მისცა, და ან არ შეატყობინა?

თუ გიჟი იყო²,—აგრევე.

თუ არადა, ყაზახმა და ქურდმა მოსტაცა,—რატომ გაგზავნა ასეთს ალაგს, რომე [A 331 r] მოაპარეინა ან მოათაცებინა?

[210¹]. თუ, ვინ იცის, მან არ გაგზავნა და ან მან არა აწყენინა რა, და ის კაცი თვითონ წავიდა და³ გაიპარა, [C 502 v] დიღია თუ ცოტა, და გზაზე ყაზახი შეხვდა და დაიჭირა, და წაიყვანა, ამისი ასრე იქნას:

ვინც⁴ ის კაცი ითხოვა და ებარა და ყვანდა, ჯერი დაედების რამე⁵, ასე რომე არც მას კაცს ძალად გაეგზავნოს და არც არა დასაკარგავი⁶ ეწყინოს რამე. რადგან ასრე ჯერი [B 245 v] უყოს, აღარას ემართლების, ორთავე სწორედ⁷ სძებნონ.

როსაც გამოჩნდეს და იპოვონ, თუ როგორც ჯერი ქნა, ისრე ყოფილიყოს და მართალი იყოს, ის კაცი თავისაც პატრონს მიეცეს; და სხვა საზღაური. რაც იმის მომპარავს⁸ გამოართვან, ვისაც რომ ის კაცი ნათხოვრად ჰყვანდა და ებარა, იმას მიეცეს,—ამისათვის რომე, უბრალოდ დაუფიცნია და ფიცის საუპატიო მან ქურდმან უნდა გარდაუქვადოს⁹.

[2; 0²]. ერთი ესეც, რომ, ვინც ის კაცი ითხოვა, ის კაცი რომ თავის სახლში იყოს¹⁰ და მას, ნათხოვნს კაცს, კარგადაც ინახევდეს და ანაზღეულად მის სახლში ან ყაზახი დაესხას და ან¹¹ ქურდი, და ის კაცი მოიპარონ და მოიტაცონ, ამისი ასრე იქნას.

რადგან უ[C 503 r]თხოვნია, პატრონი თავისას ისევე ითხოვს, მაგრამ, რადგან იმგვარად მომჯდარა, სულ აღარ მიეცემის,— იმ კაცის ნახევარ-ფასი უნდა მიეცეს და ორთავ სწორედ ძებნონ.

თუ ვისმე მართლა შეაჩნდეს ის კაცი, გამოერთვას.

და თუ—ფასი¹², ფასიცა და საზღაურიც შუა გაიყონ სწორედ, ამისთვის რომე იმ კაცმა, ერთი ესე, რომ ნახევარი ფასი¹³ უწინ მისცა; მეორე ესე, რომე მანც იმასთან ეძება; მესამე ესე, რომე მან, კაცის მომპარავმან, იმისი¹⁴ სახლი გატეხა და იჭიღამ წაიყვანა.

[A 331 v] 211. ქ. თუ პირუტყვი მიიბაროს კაცმა კაცისა, თუ დაუკარგოს, უნდა უზღოს; და იმან ქურდი იპოვნოს და იმას გამოართვას.

¹ სთხოვოს AC. ² იყოს C. ³ და] — B. ⁴ ვინ C. ⁵ რამე] — C. ⁶ დასაკარგავად C. ⁷ სწორად C. ⁸ მომპარავს ABC. ⁹ გარდაუქვადოს A. ¹⁰ იყო B. ¹¹ ან] — B. ¹² ფასი] — C. ¹³ ფასი] — B. ¹⁴ იმის A.

თუ ავის პატივით შეუნახოს და მართებულზე ნამეტნავი ამუშაოს, და მკლე იყოს,—მოკედეს, უნდა უზლოს.

თუ ან კლდეს გარდააგდოს, ან მგელს შეაქამოს, ან მტერს მოაკვლევინოს,—უნდა უზლოს.

თუ, ვინ იცის, ან სენით მოკედეს, ან სიბრმითა,—ტყავი [C 503 v] და კორცი პატრონს უნდა მიუტანოს, სხვას არას ემართლებდა.

212. მოსამართლეს რომ საექვო მოვსენდეს სიტყვით

მოწამე თავად მომკსენესა სთხოვონ. თუ იმან დასაჭერი მოწმეები იშოვოს¹, კარგი არის.

თუ არადა, ვისაც ედავების, იმას სთხოვოს მოწამე, და ამისი უფროც დაიჭრება, ამისთვის რომე იმაში ექვი აქვს.

თუ არადა,— ფიცით გარდასწყვიტონ.

213. ქ. მოსამართლე რომ სიგლის წერილს ვერ მიხვდეს

თუ იმაში დაწერილზედ რომ ისარ [B 246 r] ჩლიდენ, თუ უცილებლად ყოფილა იმ დღემდინ, სიგელიც მართლად ჩაიგდების და შიგ წერილიცა უცილებელი ყოფილა,—არას ემართლებს.

თუ სიგლისა არა შეიტყობა რა და სადაოსაც ახლა ედავების, ნუ ალაპარაკებს,—დაპკარგვია.

[C 504 r] 214. ქ. ქვეყნისა და ქალაქთ შენახვისა

უღების დადება კაცის-კვლის ოდენი არის, ამაღ რომე ბოლო აღარ მოელების.

და კელმწიფემ მოსამართლე და გამგებელი ღმრთისა და კელმწიფის მოშიში უნდა დააყენოს, რომე კელითაც გამოუვიდეს.

215. ქ. ბჭის დადგინებისათვის

კელმწიფემ ასეთს კაცს უნდა უბრძანოს, რომე ორმოცს წელიწა- [A 332 r] დს იქით იყოს და არც, დიად, სიღარიბე აწუხებდეს, თორემ მოტყუევდება,—ღმრთის მოშიში იყოს.

ორი ბჭე არა ჭერ-არს, ამაღ რომე ერთმან ერთისაკენ თქუას, ერთმან მეორისაკენ, უსამართლო მოკვდების.

და ბჭესა ესეც უნდა სჭირდეს, რომ რაც მოჩივარმა შესჩივლოს, ასე დაისწავლოს, ასე უამბოს, როგორც შეეჩივლოს, რომ «შენ ასე არ იჩივლეო?»

¹ უშოოს C.

თუ სწორედ დაუსწავლია და ან ორთავეს საჩივარი ახსოვეს¹, უსამართლოს ნუ იტყვის.

[C 50x v] 216. ქ. დედაკაცის საჩივარში მოხვლისა

თუ დედაკაცს კაცისაგან საჩივარი აქვს, სამართალშიც მიესვლება და გაგონებაც უნდა, მაგრამ მისის ენით მოადს არც ფიცი დაედება, არცა რა წყართმის; თუ კაცს დაიმოწმებს მცდარი არის.

თუ დედაკაცი დედაკაცისაგან ჩიოდეს, მდივანში კელი არა აქვს,— მოთემემ უნდა გაურიგოს.

[ეკლესიის მამულის მოკვნის ან დანერგვისათვის]

217. ქ. ეკლესიის მამულის დამთესველმა ან დამნერგველმან, თუ ეკლესიის პატრონისაგან დასტურით მოკნას, მართებული დალა და სამსახური გარდაუჟადაოს.

თუ ცილებით ქნას, და ისევ ეკლესიას დარჩეს, რაც ეკირნახულოს, სულ ეკლესიას დარჩეს.

დანერგვა ეკლესიის პატრონის გამოთხოვნით არ იქნების, ამად რომე დიდის ხნისათვის დაინერგვის.

და თუ ცილობით იქს², კირნახული საყდარს უნდა დარჩეს.

ბევრს ეკლესიას ცოტა შეწირულობა აქვს და პატრონი არა ჰყავს,— ვინც ის მოიკმაროს, როგორც მეპატრო[C 505 r]ნეს მამულის საჯდური³ მიეცეს, [B 246 v] ის მისი გამოსავალი ეკლესიის კარზედ მივიდეს, ეკლესიას მოეკმაროს.

218. ქ. საფლავის მიწის ფასისათვის

ეკლესიას შიგნით საფლავი არ გაისყიდების, ამად რომე კაცი არც თითონ ღირსა დამარხვად, არამთუ სხვას მიყიდოს.

თუ ძალად კაცმან საფლავში მკედარი დაუმარხოს, რაც საფლავის პატრონს სისხლი სდის, მისი მესამედი გარდაიჯადოს⁴, ამად რომე კელმწიფე არას გაწყრომით საფლავს არ წაართომს.

და თუ დამმარხველმან თავისი მკედარი მოთხაროს, საფლავის პატრონი არას ემართლება⁵,—საუპატიოდ მოთხრა ეყოფა⁶.

ეკლესიას გარეთ მართებული არის, რომე საფლავის პატრონმა ფასი გამოართოს, ამისთვის რომე დაჭირებულს კაცს შეუწოდობარი საფლავი არას არგებს.

¹ ახსოვნს AB, ახსომს C. ² აქუს C. ³ საყიდური C. ⁴ გარდაჯადოს AB. ⁵ ემართლების B. ⁶ იყოფა C.

ფასი გლახმა ძროხა მისცეს, უფროსმან,—როგორც სისხლი აიწვეს, საფლავის [C 505 v] ფასმაც ისრე აიწიოს.

[A 332 v] 219. ქ. სამარხის მიცემისათვის მამული არ იკსენების, რომე კელმწიფისა არის.

საქონელი შეიღს არ ეკსენების,—იმან იცის და ღმერთმან.

სხვამ, ძმამ ან სახლისკაცმან ან მიცვლილზედ¹, ან ღრთული სახლი-დამ გავიდეს, თუ სასამართლოდ გავდეს, საქონლისა და სულადის მესამელი მისცენ.

თუ დიდებულში მოვდეს, არათუ სახლის მესამელი, არა, იმ ერთის თავის მესამელი მისცეს, რაც ჰქონდეს.

[ქვეყნისა და რაჟულის დალატისათვის]

220. ქ. თუ კელმწიფეს ლაშქრიდამ კაცი წაუვიდეს და მტერს მიუვიდეს, და იმავე კელმწიფეს დარჩეს, თავად კელმწიფის მოწყალეებაზედ კილია; თუ არადა, ფეკის მოკვეთა ჯერ-არს.

გალარიბება და გახეიბრება ორივე არ არის.

221. ქ. ციხილამ და სიმაგრისამ კაცი ან ბატონს, [C 506 r] ან ამხანაგს წაუვიდეს და გასცეს, ლაშქარი დაასხას, იმისი² სისხლი არ გაიჩინება³, ამისთვის რომე ბევრის სულის მესისხლე არის, რაც გარდავდება, სამართლით იქნება.

222. ქ. ვინც კაცმა ქვეყანას და ქრისტეს რაჟულს უორგულოს, კიდეც ხედევდეს⁴, იმით რაჟული წაჯდებოდეს, იმას მიყვეს,—ღმრთისა და ბატონისა, ორისავე მესისხლე იქნების და ყოველი ავი იმაზედ მართებული არის⁵.

[B 247 r] 223. ქ. ნიშნის მიტანისა⁶

ან ვაჟი მოკვდეს და ან ქალი, თუ რამ გასაცვეთი მისვლია და სიცოცხლეში გაუცვეთია, ვერას შეუა, რომე სიძესაც ბევრს მიეცემა.

მას⁷ გარდა სულ უნდა მიეცეს ნიშნის პატრონსა.

224. ქ. ზითვისათვის

ვისაც სახლში უშვილოდ ქალი მოკვდეს და ქმარი დარჩეს, და მის სულს კარგად [C 506 v] მოუაროს, თუ დიდის ხნის ცოლ-ქმარი არიან, არა ეთხოვოს რა.

თუ ახალი შეყრილი არიან და შვილი არა ჰყავსთ, ზითევი სამად გა-

¹ მიცვალეებაზედ C. ² ამისი B. ³ გაიჩინების B. ⁴ ხედავდეს CD. ⁵ არის] + სკვ. ქ. ნიშნის მიტანისა B. ⁶ მიტანისა] + ასე არის C. ⁷ მის C.

იყოს: ერთი წილი სულისათვის, ერთი წილი ამისათვის, რომ საქორწილო მიუტანია, და მესამედი ქალის პატრონს მიეცეს.

თუ ქალს ქმარი მოუყვდეს, ქვრივი უშვილო მოკვდეს, თუ რამ საკაცო აქვს, სახლისა არის; სხვა მონაგები სულისა არის.

და ზითევი, რაც იქნება, თუ რამ სულისათვის დაიხარჯება, ის არის, სხვა ქალის სამშობლოს უნდა მიეცეს.

B. 225. გიჟისა და ბნედიანის ცოლისათვის

თუ ეს სენი ქორწილს წინათ სჭირს და ქმარს შეატყუეს*, თუ გაუშვებს, სამკედრო უნდა მისცეს და საკანონო მამამა და გამთხოვებელმა უნდა გარდაიჯადოს, ამისთვის რომ ქმრის თავი არა ქონდა, რატომ გაათხოვეს?

და თუ რაც რა ფერი სენი დედაკაცს ქმრის კელში დაემართოს, უნდა მოუაროს, გაშვება არ იქნება.

და ერთმანერთის შენდობით იქნების, მოსამართლე არად გაერევის.

C. 225. გიჟისა და ბნედიანის ცოლისათვის. თუ ეს სენი ქორწილს წინათ სჭირს და ქმარს შეატყუევეს, მას უკან გამოუჩნდა და ქმარმან აღარ ინდომა, ის შეიტყონ სწორედ გასინჯვით¹, თუ ქორწილს უკან დამართებია.

თუ უწინვე სჭირებია და შეიტყო, ქორწილს უწინვე გაუშვა, ვერაფერს მიედავებოს.

და რადგან შეუტყუებიათ და ქო[C 507 r]რწილი უქნია, ღონე მეტი აღარ არის, სამს წელიწადს უნდა მოუაროს. თუ ეშველა, ვერ გაუშვებს. თუ არა ეშველა და, გაუშვას უსისხლოდ, ასე რომე ზითევი ქალისა ქალს მისცენ და ნიშანი კაცისაა.

აგრევე თუ კაცი დასნეულდეს იმ სენით, ხუთს წელიწადს ქალმა მოუცადოს და მოუაროს. აგრევე ძნელი არის მათი გაყრა. მაგრამ რადგან აღარ იქნება, კათალიკოზმა და მოსამართლემ გააშვებინონ², ზითევი და ნიშანი უკლებლივ ქალს მისცენ.

B. 226. უსამართლოდ გინებისათვის

იქნების რომ ასეთ ფერად შეაგინოს, რომ სისხლი და კაცთან დიდი მტერობა გაიშალოს.

ამის მთქმელს, ამათში რაც სისხლი მოკვდება, ნახევარი დაედების, რომ რატომ ასეთი შეაგინა, რომე სხვას გარდაკიდა?

¹ გასინჯვით) + და C. ² გააშვებინო C.

* აქ A ნუსხას აკლია ერთი ფურცელი, რომელიც 13 მუხლს შეიცავდა (225—237). დანაკლისი ტექსტი მოგვეყვას B და C ნუსხების მიხედვით, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან.

და სხვებზე უსამართლოს გინებისათვის მოსამართლისაგან გარდევ-
ლენის ცემითა თუ დატუქსითა¹.

C. 226. კაცმა კაცს აგინოს ჯარში, ამ კაცმა² მოსამართლესთან უნდა
იჩივლოს. მოსამართლემ გასინჯოს, ბრალი ქონია თუ უბრალოდ უგი-
ნებია და გაულანძღავს. და [თუ] მართალი გამოვიდა ნაგინები კაცი, მო-
სამართლემ მგინებელი დატუქსოს, სწვართოს და შიარიგოს, — რას ემა-
რთლებოდა, რად შეარცხვინა?

B. 227. წაძრახვისათვის

ვინც ვისაც წასძრახოს, იმით სისხლი და რაც რამ ჩხუბი მოვდეს,
ნახევარი წამძრახვამან გარდიჯალოს და ნახევარი მქნელმა.

და თუ იმ წაძრახვით ჩხუბი არა მოვდეს რა და გულის მოწყვე-
ტისათვის უთხრას, გულის მოწყვეტა და თავის გატეხა ერთგან
ჩაგვიგდია, — რასაც ვეარისა იყოს, იმ წესით თავის გატეხასთან ჩაიგდება
და იმთონი გარდაუჯალოს.

C. 227. ვინც ვინ სძრახოს და მოსამართლესთან დააბეზლოს, «ესე
და ეს კაცი ამ საქმის მქნელია და გარდაეც [C 507 v] დევინეო», მოწამე
დაისწრას და ის სიტყვა დასწეროს: «ამ კაცმა ამა და ამ კაცს ასე სძრა-
ხაო».

ის კაცი მოაყვანიონ, მარტო კითხონ. თუ თავი იმართლა, პირს და-
უყენონ; თუ გამტყუენოს, მთქმელი უბრალო იყოს.

და თუ გამტყუენდეს მთქმელი, რაც იმ კაცისათვის გარდასაჯდელი
მართებს, ამ მთქმელს უნდა გარდაეცდეს.

[მუქარის დათხოვისათვის]

[B 247 v] 228. ქ. კაცმან კაცს მუქარა დათხოვოს, ამისი ქართლში
არა გაჩნდება რა, ამისთვის რომე ამაყი კაცი არიან; და მოსამართლემ
დატუქსოს და კარი გააბრუნოს.

C. 228. თუ დიდმან დიდსა ანუ მდაბალმან თავის სწორს მუქარა
დათხოვოს, მისი ასრე იქნას: გასინჯონ რაზე დამუქრებია, ძველი მტე-
რობა აქვთ რამე, ან ცილობენ რაზედმე? ეცადნენ, კარგად ში-
არიგონ.

თუ ძველი სადაო რამ აქვთ, მოსამართლესთან იჩივლონ და რომე-
ლიც საჩივარი აქვთ, იმან გასინჯოს და შიარიგოს.

უერთმანერთოდ არც ერთისა დაიჯერება.

¹ დატუქსითა B. ² კაცმა¹ + რომ C.

[ქირავნობისათვის]

B. 229. ქ. ვინც ვინმე გაგზავნოს სადმე და იქ მოკვდეს, მოჯამაგირე იყოს თუ სხვა, თუ იქ იავადმყოფებს და დღით მოკვდების, მის სულზე უნდა გაისარჯოს, სხვას ვერას შეუვლენ გამგზავნელს.

ეს გაგზავნილი კაცი ან სენს შეესწრა და ან იმ ალაგის ჰავამ ან სიხაშმემ თუ ყაზახმა მოკლას, ნახევარი სისხლი გაუჩნდება, რისაც გვარი-სა არის, ამისთვის რომ არც გამგზავნელს უნდა სიკვდილი.

ამ რიგითა, რომ, თუ ან ყმა არის და ან კაცი გასამრჩელოს სთხოვს და გამოართმევს, ამისთანას არა ეთხოება რა.

და ან თავის სხვისშვილი და მოჯამაგირე არის, ამისი მეოთხედი სისხლი მიეცემის, ამისთვის რომ მოჯამაგირეთ დაუქირავს, მაგრამ ამისთვის არ დასდგომია, რომ სასიკვდილოს ადგილს გაგზავნოს.

C. 229. კაცმან რომ კაცი იქირაოს და სადაც გაგზავნოს, ან სალაშქროდ, ან წყალში შეგზავნოს, ან ხეზედ აგზავნოს, ან რასაც ამისთანაზედ, იქ რომ მოკვდეს [C 508 r] ან დაშავდეს, სისხლს არავინ ემართლება, — თავისის ქირისათვის მამკვდარა.

და თუ ეს კაცი ან უთხოვნია, ან ძალად დაუჭერია და გაუგზავნია სადაც და იქ იმის საქმეზედ მამკვდარა ან დაშავებულა, მთელი სისხლი უნდა მისცეს.

B. 230. ქ. ვინც ვისი პირუტყვი ან საძოვარზე. ან თუ წყალზე წაიყვანოს და დაუშაოს, და თუ მოკლას, თუ იკმარა და ისრე დაემართა, მთლიე უზღოს.

თუ ფათერაკის საქმით მოუტდა, ნახევარი დაიკლოს პატრონმან.

C. 230. ვინ ვისი პირუტყვი საძოვარზედ წაიყვანოს, «გაძოებო» და მუშაობა დააწყებინოს, მუშაობაზედ ან მოკვდეს, ან დაშავდეს, მთლად უნდა უზღოს, ამისთვის რომ საძოვარზედ წაიყვანა, ფასი გამოართო და მუშაობა დააწყებინა.

აგრევე, არ იკმარა და მოუვლელობით ან ჩავარდა სადმე, დაშავდა, ან ნადირმა აწყინა რამე, მაშინაც უნდა ნახევარი და ერთი წილი უზღოს.

და თუ ისე სენი რამ სქირვებია და იმ კაცის კელში მოკვდა, თუ გული აჯერა წამყვანმა, პატრონი ვერას შეუვა.

[ქვრივი დედაკაცისათვის]

B. 231. ქ. ვის შვილი დარჩეს, მასუკან მოკვდეს, დედაკაცი დარჩეს უშვილოდ, თუ სახლში დადგების, რადგან ქმარი და შვილი იქ მოკლდომია, ისევე თავის პატივით იყოს.

თუ გამოვა, ან სამშობლოს მივა, ან მოლოზნათ შედგება, სახლიდამ საკაცოს საქონელს ვერ წაიღებს.

და თუ რამ თავის ქმრის კერძი საქონელი და სულადი არის, მისი მესამედი სამკვდროდ გაყვეს იმ დედაკაცსა, მამულს გარდა.

თუ ქმრის სახლში გაუყარი კაცი არა ყავს, საქონელს თავის ბატონის მეტი ვერავინ შეეცილება.

C. 231. ვინ მოკედეს კაცი და დარჩეს ცოლი და შვილი, მასუკან შვილიც მოუკედეს და დარჩეს დედაკა [C 508 v] ცი, მამულთან კელი არა აქვს, — ბატონისა არის.

იმ დედაკაცმა თავისი ზითევი და ნიშანი წაიღოს.

მაგრამ ამ სახლიდამ და მამულიდამ ცოტა რამ სამარხი დედაკაცს მიეცემა ბატონისაგან, და ის მკვდარიც ბატონმა უნდა დამარხოს, რადგან თავის ნასყიდს მამულს იმისი მეპატრონე დაიქერს.

და თუ შვილი ისევ ყავს, მამულს ვერავინ წაართმევს, შვილისა არის.

თუ იმ დედაკაცმა შვილს აღარ უყურა და სხვა ქმარი შეირთო, თავისის ზითვის მეტს ვერას გაიტანს.

B. 232. ქ. დედაკაცს, ქვრივს, მამულის გასყიდვა და შეწირვა არ შეუძლია; და საქონელი, რაც კელთ უჭირავს, როგორც უნდა, მოიკმარებს.

თუ სახლას კაცი და ან ბატონი გამოევიდა, როგორც ზეით სწერია, ის უნდა იქნას (იხ. მუხ. 231).

C. 232. დედაკაცი რომ დაქვრივდეს და საქონელი რომ საყდარს შესწიროს, იმისი ასრე იქნას. თუ შვილები ყავს, ქმრის¹ საქონლისას ვერასფერს დახარჯავს, — შვილებისა არის, ვერავინ ედავება.

და თუ მან დედაკაცმა თავისი ზითევი ან თავისის კელით მონაღვაწები რამ შესწირა, შვილები ვერ ედავებიან, ვერც ბატონი.

თუ მამული შესწირა, ვერ დამტკიცდეს დედაკაცისაგან მამულის შესწირვა, ამად რომე, თუ [C 509 r] შვილი ყავს, შვილისა არის, თუ უშვილო არის, ბეთალმანი კელმწიფისა არის.

და თუ იმ დედაკაცს თავისის ზითით უყიღია და ისე შესწირა, მაშინც ბატონის შეუკითხავად ვერ შესწირავს.

B. 233. ქ. ანდერძი

თუ კაცმან, მოკვდავმა თავის ალალი საქონელი თავის ს [B 218 r]-ულს დააკლო და ვისაც უანდერძა, — მიეცემის.

მამული თუ ნასყიდი აქვს, ისიც მიეცემის; სხვა მამული მის პატრონზე ჰკიდია.

¹ ქმრის C.

C. 233. კაცი დიდგვარისა თუ დაბალი, ვინცა ვინ მიიცვალეზოდეს, მან ანდერძით ვინც დააპატრონოს, ასე იქნას:

თუ რამ საქონელი თავისი მოგებული ქონდეს, ვერავინ გაუტეხს ანდერძსა, ვისაც დააპატრონებს,—ან ნასყიდი მამული.

და თუ საბატონო რამ იყოს, ან ბატონს ებოძებინოს, ის ვერ გასცემს, ბატონს უნდა კითხოს, ბატონზე კილია, ვისაც ეპრიანება, იმას უბოძებს.

თუ გაყრილნი ძმანი ყვანდენ, ან შვილი, და იმ კაცმა იმათ არა უანდერძოს¹ რა და სხვას, უცხოის მისცეს საქონელი, სიტყვა არა აქვთ, თუ ბატონმა არ ინდომა და ნება არ დართო, ბატონის უბრძანებლად ვერ წაართმევენ.

თუ სამშო რამ არის და გაუყრელნი არიან, და იმ კაცმა თავისი წილი სხვას უანდერძა, ძმები არ დაანებებენ,—ესეც ბატონზე კილია.

B. 234. ქ. აზატობისათვის

ვინც ან თავის მკვევალი, ან მონა, ნასყიდი და თავის უცილებელი ჰყვეს და გაააზატოს, კელი არავისა აქვს.

თუ სასახლო და სამშო რამ არის, უერთმანერთოთ აზატი არ არის (ზღრ. მუხ. 260).

[C 509 v] 234. კარგად მყოფმან ანუ ავაღმყოფმან ვინ ინებოს გან-თავისუფლება თავის ყმისა და აზატი უყოს, იმისი ასრე იქნას.

უნდა დაუწეროს წიგნი, რითაც მამულით, რითაც საქონლით გაა-აზატა თავისი ყმა, ან ალაპი დაადეა ან სხვა თავისის სულის სამსახური,—და მაშინ შეიქნება წიგნითა და მოწმე[ე]ებით ის კაცი აზატი.

თუ არ იყოს სათავისთაო, ან თავისის ცოლის ზითვით ნასყიდი, და სამშო და სასახლო იყოს, მარტო თვითან არ შეუძლია აზატი, ის კაცი ყველას მოსამსახურე იქნება, არა მარტო იმსი.

იმან რომ კიდევ მისცეს აზატი, თუ სხვა ძმები არ დაუმტკიცებენ, ამისთანა აზატი და სადაო ანდერძი დაუმტკიცებელი შეიქნება და არც გაუთავდება.

[თავდებობისათვის]

B. 235. თავლები ამ სამართლით უნდა, რომ თვითონ ნებით მოვიდეს და უთავდებოს, კელში გამოაბაროს; უცილოდ ისევე უნდა კელში მიაბაროს, რაც მიბარებოდეს თავდებსა.

ძალად თავდების დაყენება ცოდვა არის.

C. 235. თავდებობისათვის ასრე უნდა იქნას, რომე კაცმან კაცს თავ-ლები მისცეს, თავლები თვითან უნდა მივიდეს თავისი ნებით, ასე თქვას:

¹ უანდერძოსთ C.

«მე ამ კაცის თავლები, ან ამ დროს არ მოგცეს, ან გააპაროს, ან რაც საღაო აქვსთ», იმისი პირობა ისე მისცეს და მოწმევეები დაისწრას, — იმას სწორე თავლები ჰქვიან.

ამას უკან ის კაცი ან მოკვდა, ან გაიპარა, ან იც 510 რქმ პირობაზედ გარდაჯდა, თავლებსა სთხოვენ.

და თუ კაცმა ტყუილად უთხრას: «ის კაცი შენი თავლები», ან ყმა ბატონმა ძალად დაათავებდოს, ან კაცმა კაცი ძალად მიიყვანოს და არც მოწმევეები ყვანდეს, — იმ თავლებობას ნუ ირწმუნებენ, მანამღი სარწმუნო მოწმევეები არა ყვანდეს, «ეს კაცი ამ კაცის თავლები არის, ჩვენ მოწამენი ვართო».

[მთხრობლობისათვის]

B. 236. ქ. მთხრობლობა საქმით ხომ მართალიც ცოდვა არის, და ტყუილი მესისხლობა არის.

მაგრამ საღმრთოს წანავედისა და ჯელმწიფის ორგულობისა შეიტყოს ვინმე და არ გაამჟღავნოს, ისიც დამნაშავესთან ჩაიგდების, მასთან უნდა დანაშაული გარდაიჯადოს.

მთხრობელმა როდისაც უთხრას კაცსა და სამთხრობლო გამოართვას, მაშინვე ის პირობა უნდა დაიდოს, რომ, «თუ გაქირდეს, პირს დაუდგებო». რომელიც ამის პირს ვერ მისცემს, იმაში ტყუილი ურევია.

თუ ტყუილად კაცმა კაცს უმთხრობლოს და მთხრობელი გამტყუნდეს, რაც იმის ენით მართალს კაცს ედებოდეს, იმთონი მოსამართლემ გარდაუქდეინოს.

C. 236. მთხრობლობისათვის ასრე იქნას. ვინც რომ თქვას: «მე გავიგონე, შენი საქონელი ამ კაცსა აქვსო», იმისი არა ირწმუნება, ტყუის.

მთხრობელი იმას ქვიან, რომელსაც უნახავს თვალითა, როგორც მოუპარავს ან დაუმალავს, ყველა უამბოს; როდეს ქურდი მოსამართლესთან მოიყვანონ და არ გატყდეს, პირს წამოუდგეს და მთხრობელმა გასტეხოს.

ამას კარგად გასინჯვა უნდა, ან მტერობა არ ედვას მთხრობელს, ან ურჯულო არ იყოს და მტერობით არ ეთქვას.

თუ მთხრობელი გამართლდა და ქურდი გატეხა, სამთხრობლო მიეცემის. თუ ქურდი ვერ გატეხა და თვითან გამტყუნდა, სცენ, ჭარიმა წაართვან და ისე გააგდონ.

B. 237*. ქ. ფიცისათვის და მოფიცრისა

მოსამართლემ გასინჯვით უნდა ფიცის საქმე გაარიგოს.

თუ კაცს ხედვედეს, რომ ღმრთის მოწიში არ არის და რჯულისაჲ არა იცის რა, იმას ფიცს ნუ დასდებ, ბრძენო მოსამართლევ, ხედავ, რომ არას ინალვლის.

დიდი საქმეც რომ იყოს, ბევრს მოფიცარს ნუ შეავადებ, რომე ორი ცოდვა ურევია: ერთი ამაღ რომ, ეგების მართალი იყოს და ბევრის კაცის შოვნა ვერ შეიძლოს; მეორე ესე, რომ, თუ ბევრნი შეგროვდენ, დიფიცვენ, არ შეირცხვენენ.

მოფიცარი ღრთული, ღმრთის მცნობელი, რჯულის მეცნიერი და ცოტა უნდა იყოს.

[A 333, C 510 v] 238. ქ. ტყუილად დამფიცებელისა**

რომ შეიტყოთ ტყუილად კაცს დაუფიცავს, მოსამართლევ, [B 248 v] რას უზამ იმას?

ურია არის და მასთან პური არ იჭმება,—მისმა მერჯულემ დიდად გარდააცდევინოს.

და რაზედაც ეფიცოს, პატრონს თავი მიეცეს, ამაღ რომე ღმრთისა და პატრონის რისხვა ეყოფა.

239. ქ. ღელაკაცის ფიცისათვის

ღელაკაცს არ ეფიცების, არც გარეშე კაცი შეეგდების¹, ამისთვის რომე გარეშეს კაცს არ გაუტყდება, არც არას მისის ფიცისას ინალვლის. უნდა მოსამართლემ მოუძებნოს, რაც რამ საყვარელი ჰყვანდეს, ძმა თუ² შევილიანი სიძე, ის შეავდოს³.

240. ქ. სიგლის წართმევისათვის

ვინ ვის მოერიოს და სიგლები წართოს⁴ ან დაუხიოს, ან დაუწვას, კელმწიფის მეტს ამისი სამართალი არ შეუძლია⁵, ამაღ რომე წართმევსაც კელმწიფემ უნდა გარდააცდევინოს.

ერთად ესეც იქნება, პატრონს კითხოს და, რო[C 511 r]გორიც სიგლები ყოფილიყოს, დაუწერინოს, დაუბეჭდოს; რომ ცოტა ტყუილიც გაერიოს, სიგლების წართმევისა⁶ არის.

¹ შეეგდება A. ² თუ ან C. ³ შიავდოს C. ⁴ წართვას C. ⁵ შეუძლიან AC. ⁶ წართმევისა AC.

* 237 მუხლის ტექსტი C ნუსხაში არ არის.

** აქედან გრძელდება A ნუსხის ტექსტი.

241. ქ. სამძღვრის გარიგებისათვის ასრე უნდა იქნას

რომელიც სამნის ჩამსმელია¹, თავად ძველი სამანი უნდა კარგად² მონახოს.

თუ ვერ იპოვოს, ასეთს ალაგს გასამძღვროს³, რომ ან გორა, ან გევი, ან კლდე ემოწმებოდეს, თორემ სამანი ბევრს ალაგს მოგლეჯილა და ნიშნიანის ადგილით⁴ უფრო არ მოიშლება.

242. ქ. სამნის მოგლეჯისათვის

როგორის საქმითაც მჯდარიყოს, დიდი იყოს თუ მცირე, თავის ჯელის სისხლის ფასი ჯურუმში გარდიჯადოს, ამისთვის რომე სამნის მომგლეჯელი კელმოსაჭრელი არის.

[ამანათისათვის]

243. ქ. კაცმა კაცს შორიდან გაუგზავნოს რამე და კაცი [C 511 v] მკედარი დახედეს, წამლებს მართებს, რომე, სახლში თუ ყვანდეს რამე, მიუტანოს, თორემ, თუ დაუბრუნა, იმ კაცისაგან წართმეული იქნება.

თუ ძალდადგომით ვერ მიუტანა, იმასთან სამართალში მიყვეს და დიდად გაისარჯოს (შდრ. შუხ. 149).

244. ქ. რუს გამლებისა⁵

რომ შუაში სხვის მამული ედვას, იმ შუას მამულის პატრონს ა[B 249 r]რა გაუკეთდება რა,—ფასი უნდა მიეცეს⁶.

თუ იმასაც გაუკეთდება რამე⁷, — კარგად შერიგდენ (შდრ. შუხ. 170).

245. ქ. მწყემსმა რომ წანაველი ქნას

თუ⁸ ან საქონლის პატრონი თვითონ არის და ან სამწყსოს შენახვისათვის ფასი აქვს, წანაველი მწყემსმან უნდა ზღოს.

და თუ ისრე, საქონელმა წააქლი[A 333 v]ნოს⁹, საქონელი იმან უნდა გარდიჯადოს (შდრ. შუხ. 188).

[სხვისი მიწის გაშენებისათვის]

246. ქ. რასაც მიზეზით კაცს მიწა სჭეროდეს და ან ბალი, ან ვენაჯი აეშენებინოს და სხვას დარჩეს, [C 512 r] თუ წადავებით და მდივნი

¹ ჩამსმელია C. ² უნდა კარგად] ~ კარგად უნდა C. ³ გასამძღვროს AC. ⁴ ადგილით] ალაგით B. ⁵ გამოლებისა C. ⁶ მისცეს B. ⁷ რამე] + და AC. ⁸ თუ] — C. ⁹ + და ABC.

მიეცემა, რაც იმ მიწაში ჰქონდახული უქნია, მისი პასუხი უნდა მიეცეს. თუ, ვინ იცის, სიტყვა არ დაეკლოს, რომე, «ჩემს მიწაში ნუ აშენებო», და არ დაეჯერებინოს, ჰქონდახული ნახევარი მიეცეს.

და თუ პატრონი წაართომს და მისცემს, არას საჰქონდახულოს უსამართლებენ.

[ხის წაღებისათვის]

247. ქ. ვინც სხვის კაცისაგან მოჰკრილი, დამზადებული რაც რა ფერი ხე წაილოს¹, პატრონს თუ არ დაუმალოს, როგორიც ყოფილიყოს, ან ფასით შეიჯეროს და ან ისევ იმისთანა მოუქრას, დაუმზადოს.

თუ შეუტყობრად წაელოს და კიდევ დაუმალოს, საზღაურით გარდუქადოს.

248. ქ. ვისაც ყმა ამოუვარდეს²

ნასყიდი თუ იყოს, მისი საქონელი ბატონს უფრო ეკელყვის³. თუ ცოლი და ქალი დარჩება, სამკედროთი⁴ და შესანახავით შეიჯეროს.

თუ ან წყალობის [C 512 v] ყმაა⁵ ან პატრონის⁶ მინაცემი, იმის ცოლსა და ქალს უფრო ცოტა რამ გამოეერთმის⁷.

თუ არც ცოლი, არც ქალი დარჩა, პატრონმა დამარხვითა და სულის საქმით კარგად უპატრონოს, სხვა ალალი იყოს.

249. ქ. რასაც ფერის ჰურდობისათვის

ცხენისა, პირუტყვისა თუ საქონლისა, როსაც კაცმა შესწამოს, თუ ჰურდი გაუტყდეს, ბოდიში ითხოვოს, შეიდეულისაგან სამი ეპატიოს და ოთხი გამოერთვას.

თუ, დიად, უარზე დადგეს და პატრონი გასარჯოს, შეიდეულიც მისცეს და სამთხრობლოცა (შდრ. მუხ. 150).

250. ქ. ღალის აღებისათვის

მიწა ოთხგვარი არის: ერთი—ნაფუძარი, მეორე—ნანეხვი [B 249 v], მესამე—სარწყავი, მეოთხე—ველური.

ამათ ჯენაშივე შერიგება უნდა მისის პატრონის პირობით.

[მისანთა და კუდიანთათვის]

251. ქ. მისანთა და კუდიანთ ამყოლი კაცი ღმრთისაგანც [C 513 r] დაწყეულილი არის და პატრონისაგანც წასაჯდენი.

¹ წაელოს ABC. ² ამოუვარდეს AC. ³ ეკელთვის B. ⁴ სამკედროთი A. ⁵ ყმა BC. ⁶ ბატონის B. ⁷ გამერთმის C.

ამ მისნისა და კუდიანისაგან დაჩხიბულნი¹ კაცნი თუ სამართალში [A 534 r] მოვიდნენ, მისანი და კუდიანი გასახეიბრებელი არის.

და რაც იმ მკითხველს სხვაზედ ან ჩხიბი², ან წასაჯდენი³ მოუქდენია, მოსამართლემ გაუკითხავად, სისხლი იყოს თუ საუბატო, წაერთოს და მისცეს.

იქნება საქონელიც წაერთოს მისნის პირით, ის ერთიორად გამოუერთოს მოსამართლელმა.

252. ქ. მოწამლისათვის

მოწამლით მკვდარი კაცი სხვას კაცის კვლას არა გავს, ამად რომე ერთმანერთის შულლით სიკვდილი სხვა არის, ფათერაკი⁴ სიკვდილი სხვა არის, მტერობის სიკვდილი სხვა არის.

მაგრამ ეს მოწამლა ორზომად სისხლად ჩაიგდება,—ქრისტიანობის⁵ სამართლით, კელში ის მომწამლავი მიეცემის მოსისხარსა.

[ტყუილად დაბეზღებისათვის]

253. ქ. ტყუილად დამბეზღებელსა ორი დანაშაული აქვს,— [C 513 v] არც კელმწიფის დოვლათისათვის სჯობს, ვისაც დააბეზღებს, ის მკვდარი არის იმ მობეზღრისაგან.

რაც მობეზღრის პირით ამოსულაყოს და ტყუილი იყოს, იმ მობეზღარს უნდა გარდაცდეს.

254. ქ. ომში კაცის დარჩენისათვის

კაცმა კაცი დაირჩინოს, თუ უცხო მტერი დარჩომია და შორის ქვეყნისაც არის, არც ჩვენის რჯულისა არის, თუ კელმწიფე არ⁶ გამოართმევს ან თავს არ დააჯსნევინებს, ნასყიდისაგან⁷ უფრო ყმა არის.

დარჩენაშიაც ეს ურევია, რომ თუ სხვის კაცისაგან ან ჩამოგდებულ არის, ან დაკოდილი, თუ კაცმა შემოიძახოს, რომე, «მომეკმარეო», ან «ჩემგან ჩამოვარდნილი ან დაკოდილი⁸ არიო», თუ დაირჩინა, დაანებე,—მამაცობა არ გაიყიდება.

თუ არადა, იარალი ჰყრა რამე და გაუარა, არა ინაღვლა რა, ვისაც დარჩეს, იმისი იყოს.

თუ მოწამე ყავს, რომ იმ კაცზედ ამ[C 514 r]ის იარალი მოხვდა რამ დამნარჩუნებელს უწინ, ერთი რომელიც უკეთესი იარალი ქონდეს, მოწამობის გ[B 250 r]ულისათვის მისცეს.

¹ დაჩხიბულნი ABC. ² ჩხიბი ABC. ³ წასაჯდენი B. ⁴ ფათერაკად C. ⁵ ქრისტიანობით C. ⁶ არ] — B. ⁷ ნასყიდისაგან C. ⁸ თუ კაცმა ... დაკოდილი] — B.

თუ ან ახლოული¹ კაცია, ან ჩვენის რჯულისა დაირჩინოს, იმას თუ კელმწიფეს² მიართომს, ჩილდოს მისცემს; თუ არადა, დიდი ნამუსი უნდა, რომ თავი დააქსნევინოს², ისიც ნამუსიანათ უნდა (ზღრ. მუხ. 178).

255. ქ. ომში ნაშოვნის საქონლისათვის

თუ ან თარეშობით ნაშოვნი იყოს, თუ კელმწიფე იქ ბძანდება, რომელიც ეპრიანება, იმასაც მიართომს და ფანჯიაქსაც³ აიღებს. თუ არ ბძანდება, ფანჯიაქს⁴ მინც აიღებს.

ამხანაგში ჭეთ⁵ თუ გარიგდენ, პირობა მისცეს ერთმანერთს, რომელიც ამხანაგი სულ ცარიელი⁶ დარჩეს, წილს ვერ დააკლებს; და ათის-თავს საცხენმალოს მაშოვარი კაცი აიღებს.

[ორმოში ჩავარდნისათვის]

[A 334 v, C 514 v] 256. ქ. ან ორმო დარჩეს პირდია, ან ნათხარი რამ ქნას კაცმა და იმაში ჩავარდეს რამე, თუ თავის ნატამალში აქვს, უფრო ვერას შეუვლენ.

და თუ სათემოს, სასოფლოს ადგილს არა ინალღლა რა კაცმა, თუ საკმელი პირუტყვი წაქდეს, იმაში ჩავარდნილი,—ორმოს თუ ნათხარის პატრონს და საქონლის პატრონს იმისთანა მთელი მისცეს.

თუ ცხენი ან ვირი, მაგისთანა, რომ არ იჭმებოდეს, ჩავარდეს, ნახევარი ფასი გარდუჯალოს.

თუ ყმაწვილი ასეთი ჩავარდეს, რომ პირუტყვეთან ჩაიგდებოდეს, რაც იწყინოს, მის საფერად მოსამართლემ გაუჩინოს.

კუეისმყოფელი ან კაცი ან დედაკაცი ჩავარდეს, არა გაუჩნდება რა, ამისთვის [რომე] თვალთ⁷ უჩანს, ნუ იქს (ზღრ. მუხ. 195).

[დელ-მამის საქონელსა და მამულზე ქალის დაპატრონებისათვის]

257. ქ. უშვილო ვინმე იყოს და ქალი დარჩეს, თუ ქმრის⁸ კელთ არის, ანდერძისაგან მიეცემის.

თუ გაუთხოვარი სახლში დარჩეს, თუ ღარიბია, ნა[C 515 r]ხევარი საქონლისა მისცენ,—ჩვენს ქვეყანას მამულს არ მისცემენ; თუ მდიდარი არის, მის ქალს მის წესით კაი საზითო მიეცემის.

ესეც იქნების, რომე თავის ადგილზე ქმარი შეირთოს, პატრონი ბევრს ნურას უკითხავს.

¹ ახლოური C. ² დააქსნევინო AC. ³ ფანჯიაქსაც A, ფანჯიექსაც C. ⁴ ფანჯიაქს A. ⁵ ჭერთ C. ⁶ ცალიერი B. ⁷ თვალი B. ⁸ ქმრის C.

ესეც იქნება, რომე ქალი დაეარდეს მამის სახლში, იმას ამ გაჩენი-
ლისაგან ზითევისა [B 250 v] უფროსი¹ უნდა მიეცეს.

[ბატონის მოკვლის, დაკრის, ცემისა თუ შეგინებისათვის]

258. ქ. ვისაც შერისხდეს ღმერთი, თავის ბატონი მოკლას ან დაქ-
რას, ამისი² სისხლი არ გაჩნდების, ამისთვის რომე ყმისა ყველა ბატო-
ნისა არის,—რას³ მისცემს.

ასე უნდა: კელმწიფემ და მოსამართლემ ასეთი წიგნი მისცენ ბა-
ტონს ყმისა, რომე ნასყიდისაგან უფრო ვერსად დაეკარგოს, ამისთვის
რომ ეს სამართალი ველარას ყმას ავს ვერ გააბედვინებს.

მის ბატონსაც წიგნი დაადებინოს, რომე უკელმწიფოდ⁴ ვერც მოკ-
ლას და ვერც გაახეიბროს,—საქონ[C 515 v]ელსა და მამულს ნუ კით-
ხავთ⁵.

ასეთი ბატონ-ყმანიც იქნება, რომე ყმას იმ ბატონის სისხლის გამო-
ღება შეეძლოს, მაგრამ სისხლის მიცემა არ უნდა დაერქოს,⁶—მოსამა-
რთლე გაუწყრეს, წაურთოს, რაც ემნიებოდეს.

ამ სამართალს უკან თუ ბატონმა ყმა არ დაინდოს, ან მოკლას,
ან გაახეიბროს, მოსამართლემ მისი სახლი გაათავისუფლოს (შდრ.
მუხ. 95).

259. ქ. თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ან ჯოხი კრას, ან კელით სცე-
მოს, კელი მო[ე]კვეთოს, ან იმ კაცის კელის ფასი წაერთოს.

თუ ან გაჯავრებით პირისპირ შეაგინოს, ენა მოეკრას ან ენის ფა-
სი წაერთვას.

კიდევ ეს არის, რომე, თუ ყმამ ეს შეიტყო, რომ ბატონს ჩემს მოვ-
რჩებით, ბევრი ავი იქნება.

ესეც იქნება, რომ ყმამ ბატონი ან ცოლზე დაიჭიროს, ან უსამართ-
ლოდ ორი ნაჭერი* ქონდეს, თუ ყმას არა შეეკადრებინოს რა, მოსამა-
რთლემ ან კარგად და[ა]ურევებინოს და ან გაათავისუფლოს.

თუ ყმამ ამისთანას საქმისათვის ან აგინოს, ან ჯოხი სცეს, ან ცოტა-
თაც დასკრას, ბატონმა შეუნდოს, სიკვდილს მაშინც ნუ შეკადრებს⁷.

¹ უფრო B. ² იმისი B. ³ რას] არას C. ⁴ უკემწიფოდ A. ⁵ უკითხავთ B. ⁶ და-
ერქებას C. ⁷ ქონდეს ... ნუ შეკადრებს] დაითვლებს და რომელიც ქურივის რიგი
სხვაგან დაგვიწერია ის ისრე უნდა იქნას C.

* აქ A ნუსხას აკლია ერთი ფურცელი, რომელიც 259-ე მუხლის ბოლოსა და
260—261 მუხლებს (გარდა ბოლო წინადადებისა) შეიცავდა. დანაკლისი ტექსტი მოკვე-
ყავს B და C ნუსხების მიხედვით, ოღონდ 259-ე მუხლის დანარჩენი ნაწილი არც C-შია
დაცული. A ნუსხის დანაკლისი მუხლების გამო C ნუსხის გადაწერი (1746 წელს) მე-
ქანიკურად აგრძელებს ტექსტის გადაწერას და შეედომით 259-ე მუხლს 261-ე მუხლის
ბოლო წინადადებას ("დაითვლების ... უნდა იქნას") ურთავს.

[ყმის თავდაჯსნიხათვის]

B. 260. ქ. პატრონმა რომ თავის მკვიდრს ყმას, ან ნასყიდსა, თავი დაავსნევინოს და მართლის მოწმე[ე]ბით წიგნი მისცეს, და იმ კაცს წიგნი ჯელთ ეჭიროს, ის ყმა აზატი არის და აზატნაქმარისაგან კიდევე უფრო აზატი იქნების, და აღარა ჯელი აქვს მის პირველს პატრონს მასთან.

და თუ არც წიგნი ეჭიროს და არც მართალი მოწამე ყვანდეს, და ისრე უწიგნოდ **B 251 r**თა და უმოწმოდ ამბობდეს, ამას კაი გასინჯვა უნდა, ან რას გზით ამბობს თავის დაჯსნასა, ან წიგნი რატომ არა აქვს, ან მოწამე რასთვის არა ყავს,—ესეები ასრე კარგად გაუსინჯეთ.

და თუ წიგნი ჯელთ უჭირავს თავის თავის დაჯსნისა, და წავა ეს თავდაჯსნილი კაცი და ერთს კაცს ეყმობა, და მამულს გამოართომს, და ასეთს წიგნსა და პირობას მისცემს, რომე, «როგორც სხვა შენი მკვიდრი ყმა გუვანდესო, მეც ისრე მკვიდრად გემობივარო», წიგნი გაუსინჯეთ, და როგორც პირობა და წიგნი აქვს, იმრიგად აყმევით. და თუ მკვიდრობის წიგნი და პირობა მიუცია, ადვილად ველარ წაუა.

თუ ისრე, უწიგნოდ და უპიროდ, წყალობის ყმად მისვლია, რადგან წიგნი არ მიუცია და თავი—სამკვიდროთ ყმათ, ამრიგად მისული, როლისაც უნდა, მამულს დაუგდებს და წავა, ჯელი არა აქვს.

თუ ეს თავდაჯსნილი კაცი თავისთვის არის და არავის ყმობია, და მასუჯან, როსაც მონიღომებს, და ვისმე ეყმობა, იმ კაცთან არვის ჯელი არა აქვს, ვისიც ყმობა უნდა, იმას ეყმობა.

ესეც იქნების, რომე წიგნი არა ქონდეს და მოწამე კი ყვანდეს,—კაის მოწმის პირითაც დაიჭერების, რომე თავი გამოეჯსნას.

იქნების, რომე პატრონიც ამბობდეს, რომ «თავი დაავსნევინეო, მართალი არისო». თუ წიგნი ქონდეს, იყმონ; თუ მართალი მოწამე ყვანდეს, იყმონ; თუ პატრონი ამბობდეს, ამით კიდევე უფრო იყმონ.

თუ ესეები არც ერთი არ იყოს კაცსა მას[ს]ზე, ცუდ-უბრალოდ ნურავინ იყმობს. თუ, ვინ იცის, იყმოს ვინმე, სამართლით გაურიგეთ (**შდრ. მუხ. 284**).

[**C 516 r**] **260. ქ.** პატრონმა რომ ყმას თავი დაავსნევინოს და ბატონით და თავისის ბეჭდით წიგნი მისცეს, ის სწორე დაჯსნილი იქნება, ჯელი აღარა აქვს იმასთან; და თუ კარგი რამ სჭირს, ხანდახან ემსახურება, ვერავინ დაუშლის.

თუ წიგნი არა აქვს, და უწიგნოდ გამოურთმევეია რამე, და სიტყვით დაპირებია, ყმა ტყუის, ყმაც ბატონისა არის და საქონელიცა.

ყოველი აზატი და თავის დაჯსნა სარწმუნოს მოწმე[ე]ბით და წიგნით დამტკიცდება.

[ნაშვილებისათვის]

B. 261. ქ. თუ ერთმა კაცმან, უძმომ, უსახლისკაცომ, გაყრილმა, უშვილომ, ცოლმან და ქმარმან, ერთის სხვის კაცის შვილი, დედამამინი თუ უდედმამოდ ნაპოვნნი, ობოლი ვინმე, გაგდებული, იყიდოს თუ იპოვნოს, იშვილოს და გაზარდოს, თავისი მამული და ქონება შვილისებრ მისასაკუთროს და მას უანდერძოს, მასუკან ის გამზრდელი თუ მსყიდველი კაცი მოკვდეს, მისი მებატონე ამ ანდერძს ნუ მოშლის, ვითამ ის არ მომკვდარა, მისი მამული და ქონება [B 251 v] მასვე აქონოს, იმითი იმსახუროს, — ვალი და სადაო, ჭირი და ლხინი, ბატონის სამსახური, მისის მამობილის მოდავეს პასუხი, ყველა მან ნაშვილებმან ქნას.

თუ დედაკაცმან უქმროდ, თავის მზითვით, ამრიგი რამე იშოვნოს თუ იყიდოს, თუ გაზარდოს, ასრე რომე ქმრისა არა ერიოს რა, მის დედაკაცისა არის, უნდა, აზატს უზამს, უნდა, იმსახურებს, ჯელი არავის აქვს.

ქმარი რომ კიდევ მოუკვდეს და სხვა შვირთოს, თავის მზითვით ნასყიდი თან გაყვების, რომე მის მებატონენს ჯელი არა აქვს.

[261¹]. იქნების, შვილად კი არა, ისრე, სასამსახუროდ ცოლ-ქმართად იყიდონ, სამსახურისა თუ მადლისათვის, და მერმე ის მსყიდველი კაცი კი მოკვდეს, — როგორც მისი საქონელი და მამული მის მებატონენს ეგლეყვის, ის ბიჭიც მისი იქნების, მაგრამე იმ კაცის საქონელთან* [A 335 r] დაითვლების; და რომელიც ქერივის რიგი სხვაგან დაგვიწერია, ის ისრე უნდა იქნას** (იხ. მუხ. 203).

C. 261. ვინც აიყვანოს ყმაწვილი, ან იპოვნოს და გაზარდოს, იმისი ასრე იქნას: იმ კაცზედ კიღია, თუ უნდა, თავის შვილად გაზღის და, თუ უნდა, — თავის ყმად.

სიკვდილის დღეს თუ ან სიცოცხლეში აზატი უყო და გაათავისუფლა, იმის მონათესავეს კაცს ჯელი არა აქვს.

თუ ყმობა დაარქვა, სამკვიდრო ყმა იქნება.

[მოახლის თხოვნისათვის]

[C 510 v] 262***. კაცი რომე კაცთან მივიდეს, მოახლე სთხოოს, «მომეც და გეყმობიო», თუ მოახლის პატრონმან გაუსინჯავათ, უმოწმოდ და ან უწიგნოდ, საქმის გამოუკითხავად, მოდავის უკითხავად, ყმობის სიხარბის გულისათვის მოახლის მიცემის დასტური მისცეს, მერმე მო-

* აქედან გრძელდება A ხელნაწერის ტექსტი.

** „დაითვლების... უნდა იქნას“, A-ში ჩაწერილია სხვა ხელით.

*** ეს მუხლი A ნუსხაში ჩაწერილია სხვა ხელით.

დავე გამოჩნდეს და თავისი ყმა ითხოვოს, რადგან სიხარბით და გაუსინჯავად მიუცემია, პატრონს ყმა არ წაერთმევის, უნდა მიეცეს.

მაგრამე არც იმ კაცსლა ცოლი წაერთმევის, ცოლ-ქმარს ნუ გაჰყრიან, და იმ კაცმან თავის ცოლის სანაცვლოდ ერთი მართებული გოგო მოახლის პატრონს მისცეს.

ვინ იცის, უქორწილოდ მიდგომა და ან ორსულობა მოუტდეს, იმისი ებისკოპოზმან და მოძღვარმან ჰკითხოს.

თუ ყმობისა ან მოწამე და თავლები მისცეს და ან წიგნი მისცეს და დაატყუოს, «ჩემი მომღვებარი არავინ არისო», და მერმე კაცს მომღვებარი გამოუჩნდეს, კაცი პატრონს უნდა მიეცეს¹.

კიდევ ცოლ [C 517 r] ქმარნი არ გაიყრებიან, ცოლისათვის იმ კაცმან მართებული გო [B 252 r] გო მისცეს და საუპატიოდ გაწილებისათვის მოახლის სისხლი² მისცეს.

[სხვას ქვეყანას ვალის აღებისათვის]

263*. ქ. თუ სხვას ქვეყანას ერთმან კაცმან³ მეორისაგან ვალი აიღოს, თამასუქი თავის შვილსა თუ სახლისკაცს გამოუგზავნოს, აქ ვინც მიმცემია⁴, სამართლიანად მისცეს. თუ, ვინ იცის, იქი⁵ გარდუწყვიტოს⁶, და იმ⁷ მოვალისაგან გარდაწყვეტის⁸ წიგნი აეღოს⁹ მოწმით¹⁰, თამასუქი გაცუდდება. და თუ რამ გამოერთმეოს¹¹, ისევ უკლებლად მისცენ.

თუ მოვალის გარდაწყვეტის¹² წიგნი არ ჰქონდეს და¹³ შემოსთვალოს, იქნება წიგნის აღება ვერ [A 335 v] მოისწრას, და¹⁴ თამასუქის პატრონმა კი აიღოს, მაგრამ იმას წიგნი უნდა¹⁵ მისცეს.

თუ, ვინ იცის, მიეცეს¹⁶ და მასუკან¹⁷ სწორედ შეიტყონ¹⁸, რა ხანსაც¹⁹ გამოერთმეოდეს, როგორც სარგებლით მიეცეს, ისე იმრიგად შეუბრუნოს^{20**}.

[თავის გატეხისათვის]

[C 517 v] 264. ქ. თუ დიდებულმან და სხვამ თავადმან, გინა აზნაურმან, ერთმან მეორეს ჯოხით ან მათარხით თავი გაუტეხოს, მისი საქმე ასრე იქნას.

თუ, დიად, დიდი დაკრულობა ჰქონდეს, რომე ან დიდად დააჩნდეს,

¹ მიეცეს B. ² სიხლი A, სილხი B. ³ თუ ... ერთმან კაცმან] თუ სხვის ქვეყნის კაცმა ერთმან B. ⁴ მამცემია C. ⁵ იქი C. ⁶ გადუწყვიტოს A, გარდაუწყვიტოს C. ⁷ იმე B. ⁸ გადაწყვეტის A. ⁹ აიღოს AC. ¹⁰ მოწმით] + და გადუწყვიტოს AC. ¹¹ გამოერთმეოდეს B. ¹² გადაწყვეტის A. ¹³ და] + ისე B. ¹⁴ და] — B. ¹⁵ უნდა] კი B. ¹⁶ თუ ... მიეცეს] — B. ¹⁷ მასუკან] — AC. ¹⁸ + და B. ¹⁹ რა ხანსაც] რახანც B. ²⁰ მიეცეს ... შეუბრუნოს] გამოერთმეოდეს იმ რიგადვე შეუბრუნონ B.

* ეს მუხლი A ნუსხაში ჩაწერილია სხვა ხელით.

** აქ მთავრდება B ნუსხის ტექსტი.

ან იმით დიდი სწეულობა გარდაცდოდეს, ის გამონახვით ბჭეთ კაცთაგან უნდა გაუჩნდეს, ვმლის¹ ნაჭრის ანგარიშზედ კი არა, მაგრამე, იქნების, ვმლით² განაჭერის ნახევარზედ, იქნება³ მესამედზე და ან მეოთხედზე⁴ გაუანგარიშონ და ისრე პასუხი გააცემინონ, ზოგი იპატიონ.

265. ქ. თუ ასრე გაუტეხოს, რომე სისხლი აღინოს, და თუ უნდა, ცოტად კიდევ დააჩნდეს, იმისთვინ ორი ქერის მარცვლის სისხლი აღინონ, რასაც გვარისა იყოს, იმ ანგარიშითა, და იმისაგან ერთი იპატიონ და ერთის ქერის მარცვლის სისხლი გაუჩინონ.

[C 518 r] 266. ქ. თუ ჯოხი დაჰკრას, ნახევარი ქერის მარცვლის სისხლი გარდაუწადოს, რასაც გვარისა იყოს, იმ ანგარიშითა.

[მოსამართლის საუპატიოსათვის]

267. ქ. ერთი ესე, რომე, თუ ბატონის გაგზავნილი მოსაქმე და მოსამართლე იმ მოჩივართ შუა უჯდეს, ბჭობდეს და არიგებდეს, და მოჩივარმან ერთმან მეორეს ან სცეს, ან თავი გაუტეხოს და ან ჯოხი დაჰკრას, იმათი სისხლი ხომ გაგვიჩენია, ზევით რომ სწერია, ეს არის(იხ. მუხ. 264—266), მაგრამე იმ მოსამართლეს რატომ ჰკადრა, ბატონის მაგიერი გაგზავნილი ყოფილა.

იმისი საქმე ასრე იქნას: ბატონმა, როგორც ეპრიანების, ისრე მოიკითხოს და გარდააწვევინოს, და ამ სამართლით იმ დამნაშავემ, მოსამართლე რასაც გვარისა იყოს, იმის ერთის ქერის მარცვლის ნახევრის სისხლის ოდენი საუპატიო მიართვას, რომე ურიგო უკადრებია*.

[შეყრისათვის]

[A 336 r] 268. [კაცი რომ]** თავის სახლისკაცს გაეყაროს და თავისი ბატონის [დას]ტურით, თუ უშვილო კაცი იყოს⁴ და შეეყაროს ვისმე, რადგან [თა]ვისის ბატონის დასტურით შეეყრება, თუ ისრევ უშვილოთ მოკვდეს, იმისი მამულიცა და ქონებაცა, ვისაც შეჰყრია, იმას უნდა დარჩეს.

[ყმის თავდებობისათვის]

269. კაცი რომ კაცს თავდებათ უნდოდეს დასაყენებლათ, იმ კაცის ბატონს შეჰკითხოს და ისრე დაიყენოს. და თუ ის კაცი წავიდეს სადმე, პასუხი იმავე თავისმა ბატონმა მიაცემინოს.

¹ კლმის AC. ² კლმით C. ³ იქნების C. ⁴ მეორეზე AC.

* აქ მთავრდება C ნუსხის ტექსტი.

** A ნუსხის 336-ე ფურცლის მარცხენა ზემო კუთხე მოხეულია.

და თუ უბატონოთ დაიყენოს, ყაბული არ არის, ამიტომ რომ ეგება იმ თავდებს იმისი ყმობა უნდოდეს, ვისაც დაუდგება, — და არ იქნება.

[ზოძებული ან აყრილი გლეხისათვის]

270. ქ. წესად ასე იყო, ან თუ ბატონი ვისმე გლეხს უბოძებდა, [ან წაართმევდა¹, ან ასაყრელი² იყო და აყრიდენ³, ეშიკლასი და იასაულნი იმავე გლეხს ჯარსა და მარჩილს გამოართმევდნენ⁴; სამდივნოსა და სამურდლოსაც გლეხს გამოართმევდნენ⁵. ეს, დიალ, დიდი უსამართლო იყო.

ახლა ჩვენ ასრე გაგვირიგებია: ვისცა გლეხი მიეცეს სამართლითა თუ წყალობით, იასაულს⁶ ჯარი და მარჩილი, ვისცა მიეცეს, იმან მისცეს, — გლეხს ამაში ნურას გარჯიან.

თუ ბატონისთვის კელი აიმართოს, ბატონმა იასაულს⁶ სხვარიგი წყალობა უყოს და გლეხს ნურას გამოართმევს^{7*}.

¹ წართმევდა A. ² ასყრელი A. ³ აყრიდენ A. ⁴ გამოართვედნენ A. ⁵ გამოართვედნენ A. ⁶ იასულს A. ⁷ გამოართვაშს A.

* ეს მუხლი მიწერილია ვახტანგის ხელით.

ს ა მ ო ე ბ ზ ე ბ ო

I. ტერმინთა სამიჯნელო

ა

- აბაზ-ი 16 *, 116, 119, 125, 128, 129, 189, ოთხშაურს აბაზი ქვიან 16
- აბჯარი-ი აბჯარი აპყაროს 61, აბჯარი მოჰპაროს 152
- აგარაკ-ი ნასყიდი აგარაკი 165
- აგებულობა კაცის აგებულობის სისხლი 45
- აგზავნა ხეზედ აგზავნოს C 229
- ადგილ-ი 103, 195, 229, 241, 256, გამოსასვლელი ადგილი 59, სასახლის ადგილი 103, 195, საგლეხო ადგილი 103
- ადუღება წყალი აუღუღონ B
- აედმოპყრობა მეფემ აედ მოეპყრას 64, (შვილს) აედ მოპყრობა უნდა 78, თუ ყმანი სჩხუბევდენ, აედ მოეპყრან 98.
- აედმოპყრობილ-ი აედმოპყრობილს მოუკლავს 90
- აედამყოფ-ი აედამყოფს სააქიმო მისცეს 194. აედამყოფმან ინებოს C 234
- აედამყოფობა თუ იქ იავადყოფებს B 229
- აეაზაკ-ი აეაზაკს ზავთი აჩვენოს 3
- აე-ი ავის ქნამდის 67, ავი საქმე 187, ავი დაემართება 197, ავი ქერივი 203, ავის პატივით 211, აეს ვერ გააბედვინებს 258, ავი იქნება 259
- აკეცობა აკეცობაზე გარდაავოს 164
- აზატი-ი აზატი არ არის B 234, აზატი უყოს C 234, C 261, შეიქნება აზატი C 234, თვითონ არ შეუძლია აზატი C 234, აზატი იქნების B 260, აზატი დამტკიცება C 260, აზატს უზამს B 261
- აზატნაქმარ-ი აზატნაქმარისაგან კიდე უფრო აზატი იქნების B 260
- აზატობა აზატობისათვის B 234
- აზიდვა ლოდს აზიდვინოს 197
- აზნაური-ი 100, 162, 163, 264, თავი და აზნაური 23, გადიდებული აზნაური 29, შუა აზნაური 30, 49, ცალმოგვი აზნაური 31, 33, 49, მეფის აზნაური 36, 37, თაჯადის აზნაური 36, დიდი აზნაური 49
- აზნაურიშვილ-ი 12, 19, 49, 101, 154, 163
- ათისთავ-ი ათისთავს აიღებს 255
- აკაფვა ვაზი გინა ხილი აუკაფოს 189
- აკიდება ზურგთ აიკიდოს 14
